

ଓঁ শৃঙ্গ  
শনিহন

গোপনীয়ান পুরো



„ერთი სახის ტყვეობის მეოხებით მე-  
ორენაირი ტყვეობის ნარმოსახვა ისე-  
ვე გონივრულია, როგორც რამე რეა-  
ლურად არსებულის ნარმოდგენა  
არარსებულის მეშვეობით.“

დანიელ დეფო

ფრიად საყურადღებო ამბები, რომლებიც ამ ქრონიკაშია მოთხოვნილი, 194... წელს ორანში მოხდა. ყველა იმ აზრს ადგა, რომ ეს ამბები, ცოტა არ იყოს, უჩვეულო გახლდათ და დიახაც სცილდებოდა ყოველდღიურობის ფარგლებს. აკი ერთი შეხედვით ორანი ჩვეულებრივი ქალაქია და მხოლოდ და მხოლოდ გარეგნული პრეფექტურაა ალჟირის სანაპიროზე.

გამოტეხილად რომ ითქვას, ქალაქი უშნოა. დროა საჭირო, რომ შეატყო, რით განსხვავდება ეს გარეგნულად წყნარი ქალაქი მრავალი სხვა სავაჭრო დაბისგან, რომელთა მსგავსნიც ყველა განედზე მოინახება. აბა, როგორ წარმოგადგენინოთ უმტრედებო, უხეო და უბალო ქალაქი, რომელშიც არც ფრთხების ფართატი ისმის, არც ფოთლების შრიალი, ერთი სიტყვით, არაფრითაა გამორჩეული. აქ წელიწადის დროთა ცვლა მხოლოდ ცაზე შეგვიძლია ამოვიკითხოთ. გაზაფხულის მოსვლას მხოლოდ საამო ჰაერი თუ გაუწყებთ, ანდა ყვავილების კალათები, წვრილ მოვაჭრეებს რომ მოაქვთ ქალაქის გარეუბნებიდან; აქ გაზაფხული ბაზარში იყიდება. ზაფხულობით მზე ცეცხლს უკიდებს გავარვარებულ სახლებს და კედლებს ნაცრისფერი ფერფლით ფარავს; მაშინ ცხოვრება ჩარაზულ დარაბებს მიღმა, დაჩრდილულ სახლებშილაა შესაძლებელი. შემოდგომით

კი ლაფშია ჩაფლული იქაურობა. კარგი დღეები მხოლოდ ზამთარში იცის.

ქალაქის გასაცნობად ყველას აჯობებდა, გვე-ცადა და გავეგო, როგორ შრომობენ აქ, როგორ უყვართ და როგორ კვდებიან. ჰავის ბრალი თუა, მაგრამ ყოველივე ამას ადამიანები ციებ-ცხელე-ბიანი განურჩევლობით ეკიდებიან. მოკლედ რომ ვთქვათ, მოწყენილად არიან და ჩვეულებათა შე-ძენას ლამობენ. ჩვენი თანამოქალაქენი ბევრს შრომობენ, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ გამდიდ-რების გულისთვის. განსაკუთრებით ვაჭრობა იზი-დავთ და, უპირველეს ყოვლისა, მათივე სიტყვე-ბით რომ ვთქვათ, „საქმეების გარიგებით“ არიან დაკავებული. ცხადია, უბრალო სიამეთაც არ თა-კილობენ: უყვართ ქალები, კინო და ზღვაში ბანა-ობა, მაგრამ ამათთვის სავსებით გონივრულად შაბათ სალამო და კვირადღე აქვთ განკუთვნილი, ხოლო კვირის დანარჩენ დღეებში ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი ფული მოიხვეჭონ. საღამოობით დაწესებულებებიდან გამოსულნი ერთსა და იმა-ვე საათებში კაფეში იკრიბებიან, ერთსა და იმავე ბულვარზე დასეირნობენ, ან თავიანთ აივნებზე გადმოდგებიან ხოლმე. ახალგაზრდობაში მათი გატაცებანი ძლიერი და დღემოკლეა, ხოლო მო-ნიფულ ასაკში მათი მანკიერებანი არ სცილდება ბურთის მოთამაშეთა ასოციაციებს, მეგობრულ ბანკეტებსა და კლუბებს, სადაც აზარტულად თა-მაშობენ დიდ თანხაზე.

ცხადია, ვინმემ შეიძლება თქვას, ეს ამბავი მარ-ტო ჩვენი ქალაქისთვის როდია დამახასიათებე-ლი, ჩვენი თანამედროვენი ყველანი ასეთები არი-ანო. რა თქმა უნდა, დღეს იმაზე ბუნებრივი არა

არის რა, რომ შეხვდე ადამიანებს, რომლებიც დილიდან საღამომდე შრომობენ, მერე კი ბანქოს თამაშში, კაფეებსა და მასლაათში კარგავენ დროს, ცხოვრებისთვის რომ რჩებათ. მაგრამ არის ისეთი ქალაქები და ქვეყნებიც, რომელთა მკვიდრთაც დროდადრო მოულოდნელად ეჭვი აღეძვრებათ, ეგებ სხვა რამეც არსებობსო. კაცმა რომ თქვას, ეს დაეჭვება მათ ცხოვრებას არ ცვლის, მაგრამ ეჭვი ხომ აღეძრათ და ესეც საქმეა. ორანი კი, პირიქით, გარეგნულად დაუეჭვებელი, ესე იგი, სავსებით თანამედროვე ქალაქია. ამიტომ აღარ ღირს დაზუსტება იმისა, თუ რანაირად უყვართ ჩვენში. კაცები და ქალები ან საჩქაროდ შთანთქავენ ერთმანეთს იმის შემწეობით, რასაც სიყვარულის აქტი ეწოდება, ან არადა, ჩვეულების მონები ხდებიან. ამ უკიდურესობათა შორის საშუალო ხშირად არ არსებობს. არც ესაა მაინც-დამაინც უჩვეულო რამ. ორანში თუმც ადამიანებს უყვართ ერთმანეთი, მაგრამ დროისა და ფიქრის უნარის უქონლობის გამო, არც კი უწყი-ან, რომ უყვართ.

ჩვენი ქალაქის თავისებურება თუ გნებავთ, ისაა, რომ სიკვდილი აქ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. თუმცა, სიტყვა სიძნელე მთლად შესაფერისი ვერაა, უფრო მართებული იქნებოდა, უხერხულობაზე რომ გველაპარაკა. ავადმყოფობა არასოდეს არის სასიამოვნო, მაგრამ მრავალი ქალაქი და ქვეყანა არსებობს, სნეულების დროს მხარში რომ ამოგიდგება ხოლმე ადამიანს და სა-დაც, ცოტად თუ ბევრად, შეიძლება თავს ავად-მყოფობის ნება მისცე. ავადმყოფს მოფერება უნდა, მას უხარია, თუ შეუძლია რამეს დაეყრდნოს,

ეს ხომ სავსებით ბუნებრივია, მაგრამ ორანში ჭირვეული ჰავა, საქმეთა სერიოზულობა, დუხფირი გარემო, ხანმოკლე მწუხარი, გართობათა ხასიათი – ყველაფერი მაგარ ჯანს მოითხოვს. აქ ავადმყოფი მეტად გრძნობს მარტოობას. ახლა წარმოიდგინეთ სიცხისგან დამსკდარი, ასეული კედლის ხაფანგში გამომწყვდეული მომაკვდავი ადამიანი და იქვე – ქალაქის მთელი მოსახლეობა, ტელეფონებით ან კაფეში რომ ლაპარაკობს თამასუქების, კონისამენტებისა და დისკონტის შესახებ. გასაგებია, რარიგ მოუხერხებელია სიკვდილი, თუნდაც სავსებით თანამედროვე, როცა ადამიანს ასეთ გულქვა გარემოცვაში ენვევა.

ამ რამდენიმე შენიშვნით იქნებ საკმაო წარმოდგენა შეგექმნათ ჩვენს ქალაქზე. თუმცა, ისიცაა, რომ არაფრის გაზვიადება არ ღირს. კიდევ ერთხელ ხაზი უნდა გაესვას ჩვენი ქალაქისა და ყოფის ჩვეულებრიობას. დამკვიდრებული ჩვეულებები უფრო აადვილებენ დღეების უშფოთველ მდინარებას და ვინაიდან ჩვენს ქალაქში სწორედ ჩვეულებებს აქვთ გენერაცია, შეიძლება ითქვას, რომ ყოველივე სასიკეთოდ წარიმართება. ცხადია, ასე რომ ვუცქიროთ, ცხოვრება მაინცდამაინც წარმტაცად არ მოგვეჩვენება. სამაგიეროდ, ჩვენთვის უცხოა უწესრიგობა. და ჩვენი გულწრფელი, თავაზიანი და შრომისმოყვარე მოსახლეობა მუდამ მოგზაურთა მართებულ პატივისცემას იწვევს. ეს სილამაზეს, სულსა და სიმწვანეს მოკლებული ქალაქი, ბოლოს და ბოლოს, დამამშვიდებლად მოქმედებს და ძილსა პგვრის ადამიანს. სამართლიანობა მოითხოვს, დავძინოთ, რომ ქალაქი აღმოცენდა უჩვეულო ბუნებრივ პირობებში, მოშიშვ-

ლებულ ზეგანზე, რომელსაც მზით გაჩახჩახებული გორაკები აკრავს და უზადო მოყვანილობის უბის ნაპირასაა გაშენებული. დასანანი მხოლოდ ის არის, რომ ქალაქი უბისკენ ზურგშექცეულად ააგეს და ამიტომ ზღვა არსაიდან ჩანს, საგანგებოდ თუ არ ეძებე.

ყოველივე ზემოთ თქმულის შემდეგ, შეიძლება იოლად დაგვეთანხმოთ, რომ ჩვენს მოქალაქეებს არაფერი უქადდა იმ ამბებს, ნლეულს გაზაფხულზე რომ დაატყდათ თავს და, როგორც შემდეგ მივხვდით, პირველი ნიშნები გახლდათ იმ მნიშვნელოვან მოვლენათა წყებისა, რომელთა მატიის შედგენა აქ განვიზრახეთ. შემდგომი ფაქტები ზოგს სავსებით ბუნებრივად მოეჩვენება, ზოგს კი, პირიქით, დაუჯერებლად. მაგრამ მემატიანე ხომ საწინააღმდეგო მოსაზრებებს ანგარიშს ვერ გაუწევს. მისი ვალია, თქვას მხოლოდ, ეს ასე მოხდაო, როდესაც იცის, რომ მართლაც მოხდა ყოველივე, რამაც მთელი ხალხის სიცოცხლე სათუო გახადა და, მაშასადამე, არსებობს ათასობით მოწმე, ვინც გულის სიღრმეში მემატიენის მიერ თქმულის ჭეშმარიტებას დაადასტურებს.

ისიცაა, რომ მთხოვობელს, რომლის სახელსაც თავის დროზე გაიგებთ, არავითარი პატივმოყვარე ზრახვები არ ჰქონია და ამ საქმეს არც ითავებდა, შემთხვევას მის ხელთ რომ არ ჩაეგდო იმდროინდელი ამბების მოსწრეთა ჩვენებები და რომ თვით მოვლენათა მსვლელობას არ ჩაერია იგი ყველა იმ ამბავში, რომლის შესახებაც ბედავს თხრობას. სწორედ ეს გარემოებანი აძლევს საშუალებას, უამთააღმნერის როლში მოგვევლინოს.

რასაკვირველია, ყველა ისტორიკოსს, თუნდაც იგი უბრალო მოყვარული იყოს, საბუთები ყოველ-თვის გააჩნია. არც ამ ამბის მომყოლი გახლავთ გამონაკლისი. პირველ ყოვლისა, საკუთარი თვა-ლით ნანახი მოჰყავს და სხვათა ნანახსა თუ ნაამ-ბობსაც იმოწმებს, მას ხომ განგებამ ისეთი როლი დააკისრა, რომ ამ მატიანის ყველა მოქმედი პი-რი თავის გულისნადებს ანდობდა; დაბოლოს, ზო-გი რამ ხელნაწერებმაც ამცნეს, ხელში რომ ჩაუ-ვარდა. მემატიანეს განზრახული აქვს, მაშინ ისარგებლოს ამ ტექსტებით, როდესაც მოესურ-ვება, გამოიყენოს ისე, როგორც მიზანშეწონილად მიიჩნევს და მოეხერხება. მას ისიც აქვს განზრა-ხული, რომ მაგრამ... მგონი, უკვე დროა, შევეშ-ვათ მსჯელობას, სათქმელის ნახევრად თქმას და უშუალოდ თხრობას შევუდგეთ. პირველი დღეე-ბის ამბავთა თხრობა განსაკუთრებულ გულმოდ-გინებას მოითხოვს.

16 აპრილის დილას ექიმმა ბერნარ რიემ, თავისი ბინიდან რომ გამოვიდა, კიბის ბაქანზე მკვდარ ვირთხას წამოკრა ფეხი. ყურადღებაც არ მიუქცევია, ფეხით განზე გასწია და კიბეს ჩაუყვა. მაგრამ ქუჩაში რომ გავიდა, გაიფიქრა, იქ საიდან გაჩნდაო, და გამობრუნდა, რათა კონსიერჟი გაეფრთხილებინა. მოხუცი მიშელის რეაქციამ უკეთ აგრძნობინა ამ ამბის უჩვეულობა. მკვდარი ვირთხა რომ დაინახა, ექიმს მხოლოდ უჩვეულოდ მოეჩვენა, კონსიერჟისთვის კი ეს ნამდვილი სკანდალი იყო. ამიტომ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: ამ სახლში ვირთხები არ არისო. ექიმი ამაოდ არნმუნებდა, ვირთხა მეორე სართულის კიბის ბაქანზე გდია, ვგონებ, მკვდარიაო, მაგრამ ბ-ნ მიშელს რნმენა ვერაფრით შეურყია: სახლში ვირთხები არ არის, ეს ერთი ალბათ ქუჩიდან შემოათრიეს, ვილაცას უხუმრიაო.

იმავე დღეს, სალამოს, სანამ თავის ბინაში შევიდოდა, ბერნარ რიემ ჯიბეებში გასაღებს დაუწყო ძებნა. უცებ, ბნელი დერეფნის სილრმიდან გამოძვრა დიდი, სველბალნიანი ვირთხა. ბარბაცით მოდიოდა, ერთი კი შეჩერდა, თითქოს წონასწორობის შენარჩუნებას ცდილობსო, და მერე ექიმისკენ გამოიქცა, კვლავ შედგა, წამოინრიპინა, ერთი შემოტრიალდა და დაეცა; ოდნავ დაღებული პირიდან სისხლს ანთხევდა. ექიმი ერთხანს აკვირდებოდა მას, მერე კი შინ შევიდა.

ვირთხაზე როდი ფიქრობდა. ამონთხეულმა სისხლმა თავისი საზრუნავი გაახსენა. მისი ცოლი, რომელიც უკვე წელიწადი იყო, ავადმყოფობდა, მეორე დღეს მთის კურორტზე უნდა გამგზავრებულიყო. ცოლი ოთახში დახვდა მნოლიარე, ჩანს, შეასრულა ქმრის თხოვნა. ქალი ძალ-ლონეს იკრებდა სამოგზაუროდ. ლიმილით შეეგება ქმარს და უთხრა:

— თავს ჩინებულად ვგრძნობ.

ექიმი შესცემოდა ლამპის შუქით განათებულ მის სახეს. ქალს თუმც ოცდაათი წელი შესრულებოდა უკვე და სენისგან დაღდასმულიც ჩანდა, რიესთვის ჯერ კიდევ ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. ამის მიზეზი ალბათ ეს ლიმილი იყო, რომელიც ყველაფერს ანაზღაურებდა.

— თუ შეძლებ, დაიძინე, — უთხრა ცოლს, — მომვლელი ქალი დილის თერთმეტ საათზე მოვა და თორმეტი საათის მატარებელზე გაგაცილებთ.

რიემ ცოლს ოდნავ დანამულ შუბლზე აკოცა. ქალმა ლიმილიანი მზერა კარებამდე გააყოლა.

მეორე დღეს, აპრილის ჩვიდმეტს, რვა საათზე, კონსიერჟმა გააჩერა მიმავალი ექიმი და შესჩივლა, ვიღაც აბეზრებმა შუა დერეფანში სამი მკვდარი ვირთხა შემომიგდეს; როგორც ჩანს, სათავურებით დაუჭერიათ, რადგან სულ მთლად დასისხლიანებულები იყვნენო. კონსიერჟი ერთხანს კარებში იდგა და ვირთხები თათებით ეჭირა ხელში, ელოდა, იქნებ დამნაშავეებმა თავი გათქვან რამე გესლიანი ხუმრობითო, მაგრამ ამის მსგავსი არაფერი მომხდარა.

— დახე ამ ლაზღანდარებს, — ამბობდა ბ-ნი მიშელი, — მაინც ჩამივარდებიან ხელში.

საგონებელში ჩავარდნილმა რიემ გადაწყვიტა ქალაქის შემოვლა დაეწყო განაპირა უბნებიდან, სადაც მისი ყველაზე ღარიბი პაციენტები ცხოვრობდნენ. ამ უბნებიდან ნაგავი გაცილებით გვიან გაჰქონდათ და მანქანა, მორელის სწორსა და მტვრიან ქუჩებს რომ მიჰყებოდა, თითქმის ედებოდა ნაგვის ყუთებს, რომლებიც ტროტუარების კიდეებზე დაეტოვებინათ. ერთ-ერთ ქუჩაში ექიმმა ბოსტნეულის ნარჩენებსა და ჭუჭყიან ჩვრებზე დაგდებული თორმეტიოდე ვირთხა დაითვალა.

პირველი ავადმყოფი ლოგინში დახვდა, ოთახში, რომლის ფანჯრებიც ქუჩაში გადიოდა და რომელიც ერთდროულად საძინებლისა და სასადილოს მაგივრობას სწევდა. ავადმყოფს, მოხუც ესპანელს, მკაცრი, მოქანცული სახე ჰქონდა. საბაზზე ბარდით გავსებული ორი ჯამი ედგა. ექიმი რომ შევიდა, საწოლზე ნახევრად წამომჯდარი ავადმყოფი კვლავ ბალიშზე გადაესვენა ქოშინით. ცდილობდა, სული მოეთქვა: ეტყობოდა, დიდი ხანი იყო, ასთმა სტანჯავდა. ცოლმა თასი მოუტანა.

— ექიმო, — უთხრა ავადმყოფმა, სანამ რიენემსს უკეთებდა, — ნახეთ, როგორ გამოდიან?

— დიახ, — მხარი აუბა ცოლმა, — ჩვენმა მეზობელმა სამი აკრიფა.

მოხუცი ხელებს იფშვნეტდა:

— გამოდიან და გამოდიან. ყველა ნაგვის ყუთში შეგიძლიათ ნახოთ. შიმშილი მოერეკებათ უთუოდ.

რიე მალე დარწმუნდა, რომ მთელ უბანს ვირთხების ამბავი ეკერა პირზე. შემოვლას რომ მორჩა, ექიმი შინ დაბრუნდა.

— დეპეშა მოგივიდათ, — უთხრა ბ-ნმა მიშელმა. ექიმმა ჰკითხა, კიდევ ხომ არ გინახავთ ვირთხებიო.

— აჟ, არა! — უპასუხა კონსიერჟმა, — ისე ვარ დადარაჯებული, ერთსაც ვერ მომიგდებენ ის ლაზლანდარები!

დეპეშა დედის ჩამოსვლას აუწყებდა რიეს. დედამისი ხვალ ჩამოდიოდა, რომ ავადმყოფი რძლის არყოფნაში შვილის ოჯახისთვის ეგდოყური. როდესაც ექიმი შინ მივიდა, მომვლელი ქალი უკვე იქ დახვდა. ცოლიც ზეზე იყო, კოსტიუმში გამოწყობილი, სახეზე ფერ-უმარილი გადაესვა.

რიემ გაუღიმა.

— კარგია, ძალიან კარგი, — უთხრა ცოლს.

ცოტა ხნის შემდეგ, სადგურში რომ მივიდნენ, რიემ ცოლი საძილე ვაგონში მოათავსა. ქალმა კუპე შეათვალიერა.

— ეს ხომ მეტად ძვირია ჩვენთვის?

— ასეა საჭირო, — უპასუხა რიემ.

— ეს ვირთხების ამბავი რაღას ნიშნავს?

— არ ვიცი. უცნაური ამბავია, მაგრამ გაივლის.

შემდეგ ნაჩქარევად მოუბოდიშა: არ გიფრთხილდები, უფრო მეტი მზრუნველობა უნდა გამომეჩინაო. ქალმა თავი გაიქნია, თითქოს გაჩუმებას სთხოვსო. ექიმმა დასძინა:

— რომ დაბრუნდები, ყველაფერი უკეთ იქნება. თავიდან დავიწყებთ ცხოვრებას.

— ჰო, — თქვა ქალმა და თვალები გაუბრნყინდა, — თავიდან დავიწყებთ.

მერე ქმარს ზურგი შეაქცია და ფანჯარაში დაიწყო ცქერა. ბაქანზე ადამიანები ჩქარობდნენ, ერთმანეთს ეჯახებოდნენ. ორთქლმავლის ქშე-

ნა აქაც ისმოდა. ექიმმა ცოლს დაუძახა და რო-  
დესაც ქალი შემოტრიალდა, დაინახა, რომ ცრემ-  
ლები ულბობდა სახეს.

— ნუ ტირი, — უთხრა ალერსით.

ცრემლებში სიმწარენარევმა ლიმილმა გამო-  
ანათა, ქალმა ღრმად ამოიხვნება:

— ნადი, ყველაფერი კარგად იქნება.

ექიმმა გულში ჩაიკრა ქალი, მერე, ბაქანზე  
მდგომი, ფანჯრის მინაში მხოლოდ მის ლიმილს  
ხედავდა.

— გთხოვ, თავს მიხედე, — შეევედრა ცოლს, მაგ-  
რამ ქალმა ვეღარ გაიგონა.

სადგურის ბაქანზე რიე გამომძიებელ ოტონს  
შეეჩეხა, რომელსაც თავისი ბიჭისთვის ჩაეკიდა  
ხელი. ექიმმა ჰკითხა, სადმე ხომ არ მიემგზავრე-  
ბითო. ბ-ნმა ოტონმა, აწონილმა და შავ-შავმა კაც-  
მა, რომელიც მაღალი წრის კაცსაც ჰგავდა, რო-  
გორც ოდესლაც იტყოდნენ, და ამასთანავე, ბიუ-  
როს მოხელესაც, თავაზიანად მაგრამ მოკლედ  
უპასუხა:

— ქალბატონ ოტონს ველი; ჩემი ნათესავების  
სანახავად იყო ნასული.

ორთქლმავალმა დაიკივლა.

— ვირთხები... — ნამოინყო გამომძიებელმა.

რიემ ერთი კი დააპირა დაძრულ მატარებელს  
ასდევნებოდა, მაგრამ მალევე შემობრუნდა გა-  
სასვლელისკენ.

— ჰო, მაგრამ ეგ არაფერია, — უთხრა  
გამომძიებელს.

ერთადერთი, რაც იმ ნუთს ჩაიბეჭდა მის მეხ-  
სიერებაში, რკინიგზის მუშა იყო, რომელსაც  
მკვდარი ვირთხებით სავსე ყუთი მიჰქონდა.

ნაშუადლევს, სანამ ავადმყოფების მიღებას დაიწყებდა, რიესთან მივიდა ახალგაზრდა კაცი, რომელზედაც უთხრეს, უურნალისტია და დილითაც მოგაკითხათო. მას რემონ რამბერი ერქვა. დაბალი და მხარბეჭიანი იყო, სახეზე ნებისყოფა აღბეჭდვოდა, ნათელი და ჭკვიანი თვალები ჰქონდა, სპორტულად ეცვა, ცხოვრებით კმაყოფილი ჩანდა. პირდაპირ საქმეს შეუდგა: ერთი დიდი პარიზული გაზეთისთვის ვაგროვებ ცნობებს არაბთა ცხოვრების პირობების შესახებ და მინდა გავიგო, როგორია აქაური სანიტარული მდგომარეობაო. რიემ უთხრა, სახარბიელო ვერააო, მაგრამ სანამ ლაპარაკს განაგრძობდა, მოინდომა იმის გარკვევა, შეძლებდა თუ არა უურნალისტი სიმართლის თხრობას.

— ცხადია, — უპასუხა რამბერმა.

— მე იმის თქმა მინდა, შეგიძლიათ თუ არა ბოლომდე დაგმოთ არსებული მდგომარეობა?

— ბოლომდე ვერ დავგმობ, რადგან მგონია, ამგვარი დაგმობა უსაფუძვლო იქნებოდა.

რიემ ფრთხილად შენიშნა, ამგვარი რამ მართლაც უსაფუძვლო იქნება, მაგრამ, როდესაც ეს კითხვა დაგისვით, იმის გაგება მენადა, პირუთვნელი სიმართლის თქმა თუ შეგიძლიათო.

— მე მხოლოდ ბოლომდე თქმული სიმართლისა მნამს. ამიტომ თქვენს ჩვენებას არ გავამაგრებ იმ მონაცემებით, რომლებიც მე გამაჩნია.

— სენ-უიუსტის ენით ლაპარაკობთ, — ღიმილით შენიშნა უურნალისტმა.

რიემ ხმის აუმაღლებლად უპასუხა, სენ-უიუსტის ენისა რა მოგახსენოთ, მაგრამ გარე სამყაროსგან დალლილი კაცის ენით კი გელაპარაკე-

ბითო, რომელსაც, მიუხედავად ამისა, უყვარს თავისი მსგავსნი და გადაწყვეტილი აქვს, არ შეურიგდეს არავითარ უსამართლობას და უარი თქვას ყოველგვარ დათმობაზეო. რამბერმა მხრებში ჩამალა კისერი და ისე შესცეკეროდა ექიმს.

— მგონი, მესმის თქვენი, — უთხრა ბოლოს და ფეხზე ნამოდგა.

ექიმმა კარამდე მიაცილა:

— გმადლობთ, რომ ასე მიიღეთ ჩემი ნათქვამი.

რამბერს თითქოს მოუთმენლობა დაეტყო.

— დიახ, მესმის, მაპატიეთ, რომ შეგანუხეთ.

ექიმმა ხელი ჩამოართვა და უთხრა, საყურადღებო რეპორტაჟი გამოგივათ, თუ აღწერთ, რომ მთელი ქალაქი მკვდარი ვირთხებითაა მოფენილი.

— ჰო, — შესძახა რამბერმა, — ეგ საინტერესოა.

ჩვიდმეტ საათზე, როდესაც ექიმი ისევ თავის ავადმყოფებთან მიეშურებოდა, კიბეზე შეეჩება ჯერ კიდევ ახალგაზრდა, კუნთმაგარ კაცს, ხშირ-ხშირი წარბებით დაჩრდილული მსხვილნაკვთებიანი სახე და ჩაცვენილი ლოყები რომ ჰქონდა. ეს კაცი ხანდახან ხვდებოდა ესპანელ მოცეკვავეებთან, სახლის სულ ზემო სართულში რომ იდგნენ. უან ტარუ გულმოდგინედ ენეოდა სიგარეტს და დასცეკეროდა მის ფერხთით, კიბის საფეხურზე მომაკვდავი ვირთხის კრუნჩხვებს. ტარუ მშვიდი, ნაცრისფერი თვალებით მიაჩერდა ექიმს, მიესალმა და უთხრა, ვირთხების გამოჩენა საკვირველი ამბავიაო.

— დიახ, — მიუგო რიემ, — მაგრამ უკვე გამალიზიანებელი გახდა.

— ერთი მხრივ, ექიმო, მხოლოდ ერთი მხრივ. ასეთი რამ არასოდეს გვინახავს და ესაა. მაგრამ მე ეს ამბავი საინტერესოდ მიმაჩნია, ერთობ საინტერესოდ.

ტარუმ ხელი გადაისვა თმაზე, ქოჩორი უკან გადაიყარა, ერთხელ კიდევ დახედა ახლა უკვე გაშეშებულ ვირთხას და გაულიმა რიეს.

— საერთოდ კი, უნდა მოგახსენოთ, რომ ეს უმთავრესად კონსიერჟის საქმეა.

სწორედ კონსიერჟი დახვდა რიეს სახლის ნინ. შესასვლელ კართან კედელს მიყრდნობოდა. მის მუდამ აჭარხლებულ პირისახეს ახლა დაღლილობის დაღი დამჩნეოდა.

— დიახ, ვიცი, — უპასუხა მოხუცმა მიშელმა, როცა რიემ უთხრა, ვირთხა კიდევ ვიპოვეთო, — ახლა უკვე ორ-ორ, სამ-სამ ვირთხას ვნახულობ. მაგრამ სხვა სახლებშიც ასეთივე ამბავია.

დათრგუნვილი და დაჯავრიანებული ჩანდა. უაზროდ ისრესდა კისერს. რიემ მოიკითხა, როგორ ბრძანდებითო, კონსიერჟი, რასაკვირველია, ჯანს არ უჩიოდა, მაგრამ რაღაცნაირად უგუნებოდ გრძნობდა თავს. მისთვის რომ გეკითხათ, ხასიათი ვირთხებმა წაუხდინეს, ისინი რომ გაქრებიან, ყველაფერი უკეთ იქნებათ.

მაგრამ მეორე დილით, აპრილის თვრამეტს, როდესაც ექიმი დედასთან ერთად სადგურიდან ბრუნდებოდა, ბ-ნი მიშელი უფრო გალეული და მისუსტებული დაუხვდა. სარდაფიდან მოყოლებული სხვენამდე ათიოდე ვირთხა ეგდო კიბეებზე. მეზობელი სახლების სანაგვე ყუთებიც ვირთხებით იყო გატენილი. ექიმის დედას ეს ამბავი მაინცდამაინც არ გაჰქვირვებია:

— ასეთი ამბები ხდება ხოლმე.

დედა პატარა, თმაშეჭალარავებული ქალი იყო, შავი და მოსიყვარულე თვალები ჰქონდა.

— ბედნიერი ვარ, ბერნარ, რომ გხედავ, — ეუბნებოდა შვილს, — ვირთაგვები ამ ბედნიერებას ვერ ჩამიშხამებენ.

შვილიც კვერს უკრავდა. მართლაც, როცა დედა ჰყავდა გვერდით, ყველაფერი ეადვილებოდა.

მაგრამ რიემ მაინც დაურეკა დერატიზაციის<sup>\*</sup> კომუნალური უნიკების დირექტორს, რომელსაც იცნობდა. ჰეითხა, გსმენიათ თუ არა ვირთხების ამბავი, ასე მრავლად რომ გამოდიან სოროებიდან და გარეთ იხოცებიან. დირექტორს, მერსიეს, გაგონილი ჰქონდა ყველაფერი, უფრო მეტიც, მის დაწესებულებაში, სანაპიროს სიახლოვეს რომ მდებარეობდა, ორმოცდაათამდე ვირთხა ეპოვათ. ოღონდ მას უნდოდა სცოდნოდა, რამდენად სერიოზული იყო მდგომარეობა. რიეს არაფრის თქმა არ შეეძლო გადაჭრით, მაგრამ ფიქრობდა, რომ უნიკება ვალდებული იყო მიეღო ზომები.

— რასაკვირველია, — დაეთანხმა მერსიე, — თუკი ბრძანებას მოგვცემენ. თუ მართლა გვონიათ, რომ ლირს ზომების მიღება, მე შევეცდები სათანადო ბრძანება გამოვითხოვო.

— ნამდვილად ლირს, — უპასუხა რიემ.

შინამოსამსახურე ქალმა ეს-ესაა შეატყობინა, რომ დიდ ქარხანაში, სადაც მისი ქმარი მუშაობს, რამდენიმე ასეული მკვდარი ვირთხა აკრიფეს.

---

\* Service communal de dératisation — ვირთხების სანინაალმდეგო ანტიპარაზიტული სამსახური (გამომც. შენ.).

დაახლოებით იმავე ხანებში, როდესაც ზემოთ  
მოყვანილი საუბარი შედგა, ჩვენს თანამოქალა-  
ქეებს შეშფოთება დაეტყოთ, რადგან თვრამეტი  
რიცხვიდან მოყოლებული ქარხნები და საწყობე-  
ბი ასობით მკვდარი ვირთხით გაივსო. მაშინ, რო-  
ცა ვირთხების აგონია დიდხანს გრძელდებოდა,  
მათ ხოცავდნენ. გარეუბნებიდან თვით ქალაქის  
ცენტრამდე, ყველგან, სადაც ექიმ რიეს უხდებო-  
და გავლა, ყველგან, სადაც ჩვენი თანამოქალა-  
ქენი იქრიბებოდნენ, ვირთხები დახვავებულიყვ-  
ნენ სანაგვე ყუთებში და ჯაჭვად მიჰყვებოდნენ  
რუებს. აღნიშნული დღიდან საღამოს პრესა აღა-  
პარაკდა ამ შემთხვევის გამო და შეეკითხა მუნი-  
ციპალიტეტს, ბოლოს და ბოლოს, აპირებთ თუ  
არა ხელის გამოლებას და რა სასწრაფო ზომები  
გაქვთ გათვალისწინებული თქვენს გამგებლობა-  
ში მყოფი მოსახლეობის დასაცავად ამ საზიზლა-  
რი შემოსევისგანო. მანამდე მუნიციპალიტეტს  
არაფერი ჰქონია გადაწყვეტილი და არაფრის გა-  
კეთებას არ აპირებდა, მაგრამ ახლა, საქმის თა-  
დარიგი რომ დაეჭირა, თათბირი მოიწვია. დერა-  
ტიზაციის უნყებამ ბრძანება მიიღო, მკვდარი  
ვირთხები დიღაობით, გამთენისას აეკრიფა. შემ-  
დეგ ორ საუნიკებო მანქანას დაევალა მათი გადა-  
ტანა მოსასპობად ნაგვის დასაწვავ პუნქტში.

მაგრამ მომდევნო დღეებში მდგომარეობა  
გართულდა. აკრეფილი მღრღნელების რაოდენო-  
ბა მატულობდა, ყოველდღიურად იზრდებოდა  
ვირთხების მოსავალი. უკვე მეოთხე დღიდან ვირ-  
თხებმა ჯგუფურად იწყეს გარეთ გამოსვლა და  
სიკვდილი. ქოხმახებიდან, სარდაფებიდან, საწრე-  
ტი მიღებიდან გრძელ წყებად მოედინებოდნენ

მობანცალე ვირთაგვები, ქანაობით მოდიოდნენ  
სინათლისკენ, რომ აქ გადაბრუნებულიყვნენ და  
დახოცილიყვნენ ადამიანთა სიახლოვეს. ღამლამო-  
ბით დერეფნებსა და ქუჩაბანდებში მკაფიოდ ის-  
მოდა სულთმობრძავი ვირთხების წრიპინი, დილა-  
ობით ქალაქის გარეუბნებში უამრავი ვირთხა ეგ-  
დო რუებში სისხლის ყვავილით ნაწვეტებულ  
დრუნჩზე, ზოგი გაბერილი და დამპალი, ზოგიც  
გახევებული და ჯერ კიდევ აბურძგნილი ულვაშე-  
ბით. შუაგულ ქალაქშიც ჯგროებად ეყარნენ პარ-  
მალებზე ან ეზოებში. მარტოც მიდიოდნენ დაწე-  
სებულებების დარბაზებსა და გადახურულ სკო-  
ლის ეზოებში, ხანაც კაფეების ტერასებზე, რომ იქ  
დახოცილიყვნენ. ჩვენი თანამოქალაქენი, მათდა  
გასაოცრად, ვირთხებს ქალაქის ყველაზე ხალხ-  
მრავალ ადგილებშიც პოულობდნენ. საჭურვლის  
მოედანზე, ბულვარებზე, სასეირნო სანაპიროზე  
ნაბილნული იყო ყველაფერი, დილაობით მკვდა-  
რი მღრღნელებისგან განმენდილი ქალაქი დღის  
განმავლობაში კვლავ ივსებოდა ვირთხებით. ღა-  
მის სიბნელეში დაგვიანებულ მგზავრს რამდენჯერ  
ნამოუკრავს ფეხი ჯერ გაუცივებელი ლეშისთვის  
ტროტუარზე. თითქოს თვით დედამინა, რომელ-  
ზედაც ჩვენი სახლები იყვნენ ჩარიგებულნი, თა-  
ვისუფლდებოდა მის წიაღში დაგროვილი სიბილ-  
ნისგან და ზედაპირზე ჩნდებოდა წყლულები, საი-  
დანაც მოედინებოდა ჩირქი, რომელიც მანამდე  
შეუმჩნევლად ალპობდა მას. წარმოიდგინეთ ჩვე-  
ნი მანამდე მშვიდი პატარა ქალაქი, რამდენიმე  
დღეში რომ შეიძრა, როგორც საღ-სალამათი კა-  
ცი, რომელსაც უეცრად სისხლი აუჯანყდა, მანამ-  
დე მდორედ რომ მიედინებოდა მის ძარღვებში.

საქმე ისე შორს წავიდა, რომ ამბების, დოკუ-  
მენტაციისა და სხვადასხვაგვარი ცნობების საა-  
გენტომ უფასო ინფორმაციისთვის განკუთვნილ  
საათებში რადიომსმენელებს აცნობა, რომ მხო-  
ლოდ 25 აპრილს აკრიფეს და დაწვეს ექვსი ათას  
ორას ოცდათერთმეტი ვირთხა. ამ ციფრმა ნათ-  
ლად გამოხატა მნიშვნელობა იმ ამბისა, რაც დღე-  
ცისმარე ხდებოდა მთელი ქალაქის თვალწინ და  
გააძლიერა შეშფოთება. მანამდე მხოლოდ აქა-იქ  
გაისმოდა ჩივილი ამ ცოტა არ იყოს, საზიზღარი  
შემთხვევის გამო. ახლალა შენიშნეს, რომ ეს ამ-  
ბავი საფრთხეს უქადდათ, თუმც ჯერ ვერც ის და-  
ედგინათ, თუ რაოდენ დიდი იყო უბედურება და  
ვერც მისი მიზეზი გამოეცნოთ. მხოლოდ ასთმით  
სნეული მოხუცი ესპანელი იფშვნეტდა ხელებს და  
ნეტარებით იმეორებდა: „გამოდიან, სულ გამო-  
დიან და გამოდიან!“

28 აპრილს სააგენტომ გადმოსცა ცნობა, რომ  
აკრეფილი იყო რვა ათასამდე ვირთხა და ქალაქის  
შეშფოთება საზღვარს გადასცდა. გადამჭრელ ზო-  
მებს მოითხოვდნენ, მთავრობას რაში აღარ სდებ-  
დნენ ბრალს, ხოლო ისინი, ვისაც ზღვის სანაპირო-  
ზე სახლი ედგა, უკვე ქალაქებით გახიზვნაზე ლა-  
პარაკობდნენ. მაგრამ მეორე დღეს სააგენტომ შე-  
ატყობინა ორანელებს, ვირთხების შემოსევა უცებ  
შეწყდა და დერატიზაციის უწყების თანამშრომ-  
ლებმა დღეს სულ უმნიშვნელო რაოდენობის ვირ-  
თხები აკრიფესო. ქალაქმა შვებით ამოისუნთქა.

მაგრამ სწორედ იმავე დღეს, შუადღისას,  
ექიმმა ის იყო მანქანა გააჩერა თავის სახლთან,  
რომ ქუჩის ბოლოს ტიკინასავით ხელფეხგაფარ-  
ჩხული, თავდალუნული კონსიერჟი შენიშნა. იგი

მღვდელს მოჰყავდა ხელკავით. ზედვე ეტყობოდა, ძლივს მოაბიჯებდა. ექიმმა იცნო მამა პანელუ; ეს განათლებული იეზუიტი და მქადაგებელი ბევრჯერ შეხვედრია. მას ურნმუნოებიც კი დიდ პატივს სცემდნენ ჩვენს ქალაქში. ექიმი დაელოდა მათ. მოხუც მიშელს თვალები უელვარებდა, იგი ქოშინებდა. თავი შეუძლოდ რომ ეგრძნო, პაერზე სეირნობა მოენდომებინა, მაგრამ კისრის, იღლიებისა და საზარდულის მწვავე ტკივილმა უკან გამოაბრუნა და მამა პანელუსთვის დახმარება ათხოვნინა.

— რაღაც მუნუკები გამომივიდა, — წაილაპარაკა მოხუცმა, — თავს ძალა დავატანე, გარეთ რომ გამოვსულიყავი.

ექიმმა მანქანიდან გადმოჰყო ხელი და მიშელს კისერი მოუსინჯა, რომელზედაც ქვასავით მაგარი სიმსივნე გასჩენოდა.

— დაწექით, სიცხე გაისინჯეთ. ნაშუადლევს შემოგივლით.

როდესაც კონსიერჟი წავიდა, რიე შეეკითხა მამა პანელუს, ვირთხების შემოსევაზე რა აზრის ბრძანდებითო.

— ომ, — უპასუხა მღვდელმა, — როგორც ჩანს, ეპიდემია დაიწყება, — და სათვალის მრგვალი შუშებიდან მისმა მოლიმარე თვალებმა გამოანათა.

საუზმის შემდეგ რიე ხელახლა კითხულობდა დეპეშას, რომელიც სანატორიუმში ცოლის მშვიდობით ჩასვლას ატყობინებდა, რომ უცბად ტელეფონმა დარეკა. ექიმს ერთი ძველი პაციენტი — მერიის მოსამსახურე ურეკავდა. მას რა ხანია აორტის დავინროება ანუხებდა და, რაკი ღარიბი იყო, ექიმი უსასყიდლოდ მკურნალობდა.

— დიახ, — ამბობდა იგი, — ხომ გამიხსენეთ, მაგრამ ახლა სულ სხვა ამბავია... ჩქარა მოდით, ჩემი მეზობლის თავს რაღაც უბედურებაა, — მღელვარებისგან სული ეხუთებოდა.

რიეს გაახსენდა კონსიერჟი, მაგრამ გადაწყვიტა, მასთან მოგვიანებით შევალო. რამდენიმე წუთის შემდეგ ექიმი უკვე შედიოდა ერთ-ერთ განაპირა უბანში, ფედერბის ქუჩაზე მდებარე დაბალ სახლში. ნესტიანსა და მყრალ კიბეზე რიემ დაინახა მის შესაგეგებლად მომავალი უოზეფ გრანი, ორმოცდაათი წლის მოხელე, ქერაულვაშა, მაღალ-მაღალი, წელში მოხრილი კაცი. მას ვინრო მხრები და წვრილი ხელ-ფეხი ჰქონდა.

— ახლა უკვეთ არის, — უთხრა რიეს, — მაგრამ მეგონა, რომ უკვე თავდებოდა.

გრანმა ცხვირი მოიწმინდა. მესამე, უკანასკნელი სართულის მარცხენა კარზე რიემ წაიკითხა წითელი ცარცით დაწერილი სიტყვები: „შემოდით, თავი ჩამოვიხრჩე.“

შევიდნენ. ჭაღზე გამობმული თოკი წაქცეული სკამის თავზე ეკიდა. მაგიდა კი კუთხეში მიედგათ, მაგრამ თოკის ბოლო თავისუფლად კონწიალებდა.

— დროზე ჩამოვხსენი, — უთხრა გრანმა, რომელიც თითქოს სულ სიტყვებს არჩევდა, თუმცა სრულიად უბრალოდ ლაპარაკობდა, — ის იყო, გარეთ გასვლა დავაპირე, რომ ხმაური შემომესმა. წარწერა რომ დავინახე, როგორ აგიხსნათ, ხუმრობა მეგონა. მაგრამ ყურს უცნაური და, შეიძლება ითქვას, საზარელი კვნესა ჩამესმა, — გრანმა თავი მოიქექა, — ეტყობა, ერთობ მტკივნეულია. ცხადია, შევედი.

საწოლი ოთახის კარი შეაღეს და ნათელი, მაგრამ ლარიბულად მოწყობილი ოთახის ზღურბლზე აღმოჩნდნენ. პატარა, ჩავოდრილი კაცუნა ინგა სპილენძის საწოლზე. მძიმედ სუნთქავდა და ჩასისხლიანებული თვალებით შესცეკეროდა შემოსულებს. ექიმი შედგა. ორ ჩასუნთქვას შუა თითქოს ვირთაგვის წრიპინი მოესმა, მაგრამ ოთახის არც ერთ კუთხე-კუნჭულში არაფერი გაფაჩუნებულა. რიე საწოლისკენ გაემართა. კაცი, ეტყობა, არც ძალიან მაღლიდან ჩამოვარდნილა, არც მაგრად დაცემულა, რადგან მაღლები მთელი ჰქონდა. ცხადია, სუნთქვა უჭირდა. წესით, რენტგენოგრამა იყო საჭირო. ექიმმა ქაფური შეუშხაპუნა და თქვა, რამდენიმე დღეში ფეხზე დადგებითო.

— გმადლობთ, ექიმო, — უთხრა ავადმყოფმა ჩახლეჩილი ხმით.

რიე შეეკითხა გრანს, პოლიციას თუ შეატყობინეთო. მოხელეს შეშფოთება დაეტყო:

— არა, — შესძახა მან, — ო, არა! მე ვიფიქრე, რომ უფრო საჭირო იყო...

— რასაკვირველია, — მოუჭრა რიემ, — მაშ, მე თვითონ შევატყობინებ.

მაგრამ უეცრად ავადმყოფი აწრიალდა და ლოგინში წამოჯდა. ექიმს არწმუნებდა, თავს კარგად ვგრძნობ, შეტყობინება არ ლირსო.

— დაწყნარდით, — უთხრა რიემ, — ეს წვრილმანია, დამიჯერეთ, მაგრამ მე ვალდებული ვარ, განვაცხადო.

— ო! — ამოიკვნესა ავადმყოფმა და სლუკუნით გადაესვენა ბალიშზე.

გრანი ერთხანს ულვაშს აწვალებდა, მერე ავადმყოფს მიუახლოვდა:

— რა მოგივიდათ, ბატონი კოტარ! თვითონ განსაჯეთ. ვთქვათ, თქვენ თქვენი არ მოიშალოთ და ხელახლა დაპიროთ... ხომ შეიძლება ექიმს დაბრალდეს.

მაგრამ აცრემლებულმა კოტარმა უთხრა, ხელახლა არაფერს ჩავიდენ, წუთიერმა სიგიურემ დამრია ხელი, ახლა მხოლოდ ის მსურს, თავი დამანებონ. რიემ რეცეპტი გამოუწერა.

— შევთანხმდით, — დაუყვავა ავადმყოფს, — შევეშვათ ამას. ორ-სამ დღეში ისევ შემოგივლით. ოღონდ სისულელებს თავი დაანებეთ.

კიბეზე ექიმმა უთხრა გრანს, იძულებული ვარ, განვაცხადო, მაგრამ კომისარს ვთხოვ, მხოლოდ ორი დღის შემდეგ შეუდგეს გამოძიებასო.

— ამაღამ თვალყურის დევნებაა საჭირო. ცოლ-შვილი თუ ჰყავს?

— არ ვიცი, მაგრამ მე თვითონ შემიძლია ღამე ვუთიო, — გრანმა თავი დააქნია, — სიმართლე თუ გნებავთ, ხეირიანად თვითონ მაგასაც არ ვიცნობ, მაგრამ ხომ უნდა დავეხმაროთ ერთმანეთს.

რიემ ანგარიშმიუცემლად მოათვალიერა დერეფნის კუთხეები და შეეკითხა გრანს, სულ ამონ-ყდნენ თუ არა ვირთხები ამ უბანშიო. მოხელემ არაფერი იცოდა; მას, მართალია, გაეგონა ვირთხების ამბავი, მაგრამ მაინცდამაინც არაფრად აგდებდა უბნის ჭორებს.

— მე სხვა ჯავრი მანუხებს, — უთხრა ექიმს.

რიე ნაჩქარევად გამოემშვიდობა. ცოლისთვის უნდა მიენერა წერილი, მანამდე კი კონსიერუი ჰყავდა მოსანახულებელი.

ქუჩებში საღამოს გაზეთების დამტარებლები გაჰყვიროდნენ, ვირთხების შემოსევა შეჩერე-

ბულიაო. მაგრამ რიეს ავადმყოფი სანოლიდან წახევრად გადმოკიდებული დაუხვდა, ცალი ხელი მუცელზე წაევლო, მეორე კი ყელზე და ვარდის-ფერ ბალდამს ანთხევდა ნარჩენების ვედროში. ხანგრძლივი წვალების შემდეგ დაუძლურებული მიესვენა ლოგინზე. სიცხემ ოცდაცხრამეტსა და ხუთ გრადუსამდე აუნია. კიდურები და კისრის ძარღვები კიდევ უფრო დაუსივდა, ფერდებზე ორი შავი ლაქა გაუჩნდა. ახლა მუცლის შიგნით ტკივილს უჩიოდა.

— მენვის, — ამბობდა იგი, — მწვავს ეს სატიალე.

ჩაშავებული ტუჩებით ძლივს ლერლავდა სიტყვებს და ექიმს შესცეკეროდა გადმოკარკლული თვალებით, რომლებიც თავის ტკივილისგან ცრემლით ჰქონდა სავსე. ცოლი შეშფოთებით შეპყურებდა მდუმარე რიეს.

— რა არის, ექიმო?

— შეიძლება ბევრი რამ ვივარაუდოთ, მაგრამ დანამდვილებით ჯერ არაფრის თქმა არ შემიძლია. საღამომდე დიეტაზე ამყოფეთ და სასაქმებელი მიეცით. ბევრი სითხე ასვით.

კონსიერჟს სწორედ წყურვილი ახრჩობდა.

შინ რომ დაბრუნდა, რიემ თავის კოლეგას, ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე გამოჩენილ ექიმს — რიშარს დაურეკა.

— არა, — უპასუხა რიშარმა, — უჩვეულო შემთხვევები არ შემინიშნავს.

— არც მაღალი სიცხე ლოკალური ანთებით?

— თუმცა კი, ორი შემთხვევა იყო, როცა ავადმყოფს ლიმფური ჯირკვლების ანთება ჰქონდა.

— ზომაზე მეტად?

— პმ, — თქვა რიშარმა, — მოგეხსენებად, რომ ზომა...

ასე იყო თუ ისე, საღამოს კონსიერჟს ორმოცი გრადუსი სიცხე ჰქონდა, ბოდავდა და ვირთხებს უჩიოდა. რიემ გადაწყვიტა, ავადმყოფისთვის მუნუკები დაესერა. სკიპიდარით დათუთქული ავადმყოფი აბლავლდა: „ოჳ, თქვე არამზადებო!“ ჯირკვლები კიდევ უფრო დაებერა, გაუმაგრდა, თითქოს გახევდაო. კონსიერჟის ცოლი გიუდებოდა.

— თვალყური ადევნეთ, — დაუბარა ექიმმა, — და თუ საჭირო ვიქნები, დამიძახეთ.

მეორე დღეს, აპრილის ოცდაათს, ნოტიო ლურჯი ციდან თბილმა ნიავმა დაუბერა. მას თან მოჰქონდა ყვავილების სურნელი ქალაქის გარეუბნებიდან. ახლად გაღვიძებული ქუჩების ხმაური ჩვეულებრივზე უფრო მძაფრად და მხიარულად მოისმოდა. კვირის განმავლობაში დაბუდებული შეუცნობელი ეჭვისგან თავდახსნილ ჩვენს პატარა ქალაქში განახლების დღე დგებოდა. რიეც, ცოლის იმედიანი წერილით დამშვიდებული, გულმოფონებული ჩავიდა მოხუცთან. დილისთვის სიცხეს მართლაც ოცდათვრამეტ გრადუსამდე დაეწია. დასუსტებული ავადმყოფი ულიმოდა ლოგინიდან.

— ახლა ხომ არა უჭირს, ექიმო? — შეეკითხა კონსიერჟის ცოლი.

— ჯერ დავაცალოთ.

შუადღისთვის სიცხემ მკვეთრად აუნია, ორმოც გრადუსამდე ავარდა, სნეული განუწყვეტლივ ბოდავდა და ისევ აუტყდა ლებინება. კისრის ჯირკვლები საშინელ ტკივილს ჰგვრიდა და საწყალი თითქოს ცდილობდა, თავი რაც შეიძლება

ტანიდან შორს დაეჭირა. ცოლი ფერხთით უჯდა, საბნის ზემოდან ხელებს ფრთხილად უჭერდა ფეხებზე, თან თვალებში შეჰყურებდა რიეს.

— ყური დამიგდეთ, — უთხრა ექიმმა, — ავადმყოფის იზოლირებაა საჭირო, საგანგებო მკურნალობა უნდა ვცადოთ. ახლავე დავრეკავ საავადმყოფოში და სასწრაფო დახმარების მანქანით წავიყვანოთ.

ორი საათის შემდეგ, ისინი უკვე სასწრაფო დახმარების მანქანას მიჰყავდა. ექიმი და კონსიერჟის ცოლი ავადმყოფისკენ დახრილიყვნენ. სნეული დაჩირქებული პირიდან ნაწყვეტ-ნაწყვეტ სიტყვებს ისროდა, ძლივს აღმოხდა: „ვირთხები!“ სახეგამტკნარებული, ტუჩებდაშაშხული და ქუთუთოებდამძიმებული მოხუცი ქოშინებდა, ტკივილით გაგიუებული დასაკეც საწოლზე მოკუნტულიყო, თითქოს უნდოდა საწოლი მოკეცილიყო და ზედ გადაფარებოდა. თითქოს საიდანლაც მიწიდან ამოსული გაურკვეველი ხმა განუწყვეტლივ უხმობდა უჩინარი სიმძიმის ქვეშ ატანებულს.

- განა იმედი აღარ არის, ექიმო?
- გათავდა, — უპასუხა რიემ.

შეიძლება ითქვას, რომ კონსიერჟის სიკვდილი მომასწავებელი იყო შემაშფოთებელი ნიშნებით სავსე პერიოდის დასასრულისა და შედარებით უფრო მძიმე პერიოდის დასაწყისისა, როდესაც პირველი დღეების განცვიფრება თანდათან პანიკად გადაიქცა. ჩვენი მოქალაქენი ახლალა მიხვდნენ, — მანამდე კი ფიქრადაც არ გაუვლიათ, — რომ ჩვენი პატარა ქალაქი საგანგებოდ შეარჩია ბედისწერამ, რათა იქ ვირთხები მზის გულზე დახოცილიყვნენ და კონსიერჟები უცნაური სენის წერა გამხდარიყვნენ. არადა, თურმე ცდებოდნენ და მათ დაუყოვნებლივ უნდა გადაესინვათ თავიანთი წარმოდგენა სამყაროზე. ყოველივე რომ ამით დამთავრებულიყო, კვლავ ჩვეულების მონებად დარჩებოდნენ. მაგრამ ჩვენს სხვა მოქალაქეებსაც მოუწიათ იმავე გზაზე დაგომა, რომელზედაც პირველმა ბ-მა მიშელმა შედგა ფეხი, თანაც მსხვერპლი მუდამ კონსიერჟები ან ლატაკნი როდი იყვნენ. ამ წუთიდან დაიწყო შიში და მასთან ერთად განსჯაც.

მაგრამ სანამ ყოველივეს დაწვრილებით განიხილავდეს, მთხოვბელს სასარგებლოდ მიაჩნია მაშინდელი ამბების კიდევ ერთი მომსწრეს აზრიც მოიშველიოს. უან ტარუ, რომელსაც ჩვენ უკვე შევხვდით თხრობის დასაწყისში, ორანში რამდენიმე კვირით ადრე დამკვიდრდა და მას აქეთ ქალაქის ცენტრში, ერთ დიდ სასტუმროში დაიდო

ბინა. საკმაოდ შეძლებული იყო, რაკი თავისი შემოსავლით ცხოვრობდა და თუმცა ქალაქი თანდათან შეეთვისა, არავის შეეძლო იმის თქმა, საიდან მოვიდა ან აქ რისთვის დარჩა. მას ყოველგვარი თავშეყრის ადგილას შეხვდებოდით. გაზაფხულის პირველი დღეებიდანვე თითქმის სულ პლაზზე იყო. ემჩნეოდა, რომ ცურვა დიდად სიამოვნებდა. ხალისიანი და მუდამ მოლიმარი, ეტყობოდა, ყველა ბუნებრივ სიამეთა ტრფიალი იყო. მაგრამ გართობას არ ემონებოდა. თუმცა ერთი ჩვევა კი ძვალრბილში გაუჯდა – ვერ მოისვენებდა, რომ არ სტუმრებოდა ესპანელ მოცეკვავეებსა და მუსიკოსებს, რომლებიც ჩვენს ქალაქში საკმაოდ მრავლად არიან. ასეა თუ ისე, ტარუს უბის წიგნაკები წარმოადგენს ამ ძნელი პერიოდის ერთგვარ ქრონიკას. მაგრამ ლაპარაკია სრულიად განსაკუთრებულ ქრონიკაზე, თითქოს ავტორს წინასწარ აკვიატებია აზრი – რაც რამ მოხდება, დიდი მნიშვნელობა არ აქვსო. ერთი შეხედვით შეიძლება გეფიქრათ, რომ ტარუ როგორლაც ახერხებდა ჭოგრით ეცქირა ადამიანებისა და საგნებისთვის. საერთო შემფოთების უამს ცდილობდა, გამხდარიყო მეისტორიე იმისა, რასაც ისტორია არ გააჩნია. იქნებ სინანული გამოგვეთქვა ამ წინასწარ შემუშავებული აზრის გამო და მისი პატრონისთვის უგულობა დაგვეწამებინა, მაგრამ მისმა უბის წიგნაკებმა ამ პერიოდის ქრონიკისთვის შეიძლება უამრავი მეორეხარისხოვანი წვრილმანი მოგვანოდონ, რომელთაც მაინც აქვთ მნიშვნელობა. უფრო მეტიც, ვფიქრობთ, თვით ამ ჩანაწერების უცნაურობა არ მოგვცემს უფლებას, ნაჩქარევი მსჯავრი გამოვუტანოთ ამ საინტერესო პერსონაჟს.

უან ტარუს პირველი ჩანაწერები მისი ორანში ჩამოსვლის დღითაა დათარილებული. ამ ჩანაწერებში თავიდანვე გამოსჭვივის მისი პატრონის საოცარი კმაყოფილება იმის გამო, რომ ასეთ ულამაზო ქალაქში მოხვდა. აქვეა მერიის შენობის დამაშვენებელი ორი ბრინჯაოს ლომის დაწვრილებითი აღნერილობა, აგრეთვე უდარდელი მსჯელობა იმის გამო, რომ ქალაქში ხეები არ არის, სახლები უშნოა და ქალაქი სულელურადაა დაგეგმილი. შიგადაშიგ ტარუ ურთავს ქუჩებსა თუ ტრამვაიში ყურმოკრულ დიალოგებს, თანაც ერიდება ყოველგვარ კომენტარს და მხოლოდ ერთი ასეთი საუბრის გამო, ვიღაც კამპს რომ ეხება, გამოთქვამს თავის აზრს.

— კამპს ხომ იცნობდი, — ამბობდა ერთი მათვანი.

— აბა, კამპი? მაღალ-მაღალი, შავულვაშა?

— სწორედ ეგ, მეისრედ რომ მუშაობდა.

— მახსოვს.

— ჰოდა, მოკვდა.

— ოჰო! როდის?

— ვირთხების შემოსევის შემდეგ.

— რაო, რა სჭირდა?

— რა ვიცი, ციებ-ცხელება ჰქონდაო. თანაც ვერ იყო ჯანიანი. იღლიებში სიმსივნეები გაუჩნდა და ვერ გადაიტანა.

— სხვებზე უძლური რომ არ ჩანდა...

— მაგას სუსტი ფილტვები ჰქონდა, თანაც ორფეონის ორკესტრში უკრავდა. სულ რომ საყვირს უბერო, ძალა გამოგელევა.

— ჰოო, — დაასკვნა მეორემ, — როცა ავად ხარ, რა დროს საყვირის ბერვაა.

ამის შემდეგ, ტარუ ეკითხებოდა თავის თავს, რატომ შევიდა კამპი ორფეონში, როდესაც ეს აშ-კარად მავნე იყო მისთვის, ან რამ აიძულა სიცოცხლე საფრთხეში ჩაეგდო საკვირაო აღლუმების გულისთვისო.

ტარუზე ეიდევ, როგორც ჩანს, საამო შთაბეჭდილება დატოვა ერთმა პატარა სცენამ, მისი ფანჯრის პირდაპირ მდებარე აივანზე ხშირად რომ თამაშდებოდა. მართლაც, ტარუს ოთახი გადაჰყურებდა ერთ შესახვევს, სადაც კედლების ჩრდილში კატებს ეძინათ. მაგრამ ყოველდღე, ნასაუზმევს, როცა მთელი ქალაქი დასიცხული თვლემდა, ქუჩის გადაღმა, აივანზე გამოჩნდებოდა ხოლმე ჩია ბერიკაცი, ჭალარა, კოპნიად დავარცხნილი თმით, მკაცრი და გაჯგიმული, სამხედრო ყაიდის ტანსაცმელში გამოწყობილი. კატებს უხმობდა ქედმაღლულად და თან დაყვავებით: „ფისო, ფისო!“ კატები მიაპყრობდნენ ძილისგან გაუფერულებულ თვალებს, მაგრამ ადგილიდან არ იძროდნენ. მაშინ მოხუცი ნაკუნ-ნაკუნ ხევდა ქალალდის ფურცელს და ქუჩაში ყრიდა. თეთრი პეპლების გუნდი იზიდავდა კატებს, ისინი გამოდიოდნენ შუა ქუჩაში და გაუბედავად ინვდიდნენ თათს ქალალდის ნაკუნებისკენ. მაშინ მოხუცი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, აფურთხებდა კატებს და ერთი ნაფურთხიც რომ მოხვედროდა მიზანს, გულიანად იცინოდა.

დაბოლოს, როგორც ჩანს, ტარუ მთლიანად მოხიბლა ქალაქის კომერციულმა იერმა, გამოცოცხლებამ და გასართობებმაც კი, რომლებიც, რა თქმა უნდა, ისევ და ისევ სავაჭრო ინტერესებით გახლდათ ნაკარნახევი. ეს უცნაურობა (ნიგ-

ნაკში სწორედ ეს სიტყვაა ნახმარი) ტარუს მონებას იმსახურებდა და ერთ-ერთი საქებარი ჩანაწერი ასეთი სიტყვებითაც კი მთავრდებოდა: „აი, თურმე რაა!“ მხოლოდ ეს ადგილებია, სადაც მოგზაურის ამ პერიოდის შენიშვნებს თითქოს პირადული იერი დაჲკრავთ. მათი სილრმისა და მნიშვნელობის ხელალებით შეფასება ძნელია. როცა გვიამბობს, რომ მკვდარი ვირთხის დანახვამ ანგარიშში შეცდომა დააშვებინა სასტუმროს მოლარეს, ტარუ ჩვეულებრივზე ნაკლებ გარკვეული ხელით მიაწერს: „კითხვა: რა მოვიმოქმედოთ, რომ ტყუილად არ დავკარგოთ დრო? პასუხი: სრულად შევიგრძნოთ იგი მთელი მისი ხანგრძლივობის მანძილზე. საშუალებანი: მთელ დღეს მაგარ სკამზე ვისხდეთ კბილის ექიმის მისაღებში; კვირა ნაშუადლევი გავატაროთ აივანზე; მოვისმინოთ მოხსენებანი გაუგებარ ენაზე; ავირჩიოთ ყველაზე მოუხერხებელი სარკინიგზო მარშრუტები და, ცხადია, ფეხდგომელა ვიმოგზაუროთ; ჩავდგეთ თეატრის სალაროს რიგში, ბილეთი კი არ ავილოთ და სხვ.“. მაგრამ ამ სიტყვიერ და აზრობრივ გადახვევათა შემდეგ წიგნაკში იწყება ჩვენი ქალაქის ტრამვაიების დაწვრილებითი აღნერილობა. საუბარია მათ მაქოსებურ ფორმაზე, გაურკვეველ ფერსა და ჩვეულ ჭუჭყზე. ეს მსჯელობანი მთავრდება შენიშვნით: „საუცხოოა“, რაც არაფერს განმარტავს.

ყოველ შემთხვევაში, ტარუს უბის წიგნაკებში ნახსენებია ვირთხების ამბავი. აქ მოგვყავს მისი სიტყვები:

„დღეს ქუჩის მოპირდაპირე მხარეს მცხოვრები მოხუცი უგუნებოდაა. კატები ალარ ჩანან. სულ

მთლად გაქრნენ, გაღიზიანებულნი მკვდარი ვირთხებით, რომელთაც მრავლად პოულობენ ქუჩებში. არა მგონია, კატებმა ჭამა დაუწყონ მკვდარ ვირთხებს. მახსოვს, ჩემს კატებს ეზიზლებოდათ ისინი. მაგრამ, ეტყობა, კატები მაინც სარდაფებში დაშლიგინობენ, მოხუცი კი უგუნებოდაა. ისე კოპნიად ალარ არის დავარცხნილი და არც უნინდებურად გაჯვიმულია. ემჩნევა, რომ გულს ნაღველი შემოსწოლია. წუთით გამოვიდა და ისევ შევიდა, მაგრამ სანამ შევიდოდა, ერთხელ მაინც გადააფურთხა ქუჩაში.

დღეს ქალაქში გააჩერეს ტრამვაი, რადგან შიგ, კაცმა არ იცის საიდან, მკვდარი ვირთხა აღმოჩნდა. ორი-სამი ქალი მაშინვე ჩამოვიდა. ვირთხა გადააგდეს. ტრამვაი ისევ დაიძრა.

ჩვენი სასტუმროს ლამის დარაჯმა, რომელიც სანდო კაცი ჩანს, მითხრა: ისეთი ნინათვრძნობა მაქვს, ვირთხები კარგს არაფერს უნდა გვიქადანენო. „როცა ვირთხები ტოვებენ ხომალდს...“ მე მოვუჭერი, ეგ ხომალდებზეა თქმული, ქალაქებსაც თუ მიესადაგება, ჯერ არ შეუმონმებიათ-მეთქი. მაინც თავისაზე იდგა. ვკითხე, ნეტავ, რა უბედურებაა მოსალოდნელი-მეთქი. არ ვიცი, მაგის ნინასწარმეტყველება შეუძლებელიაო, მითხრა პასუხად და დასძინა, არ გამიკვირდება, ყოველივე მიწისძვრით რომ დამთავრდესო. მეც მხარი ავუბი, შესაძლებელია-მეთქი და მკითხა, ეს ამბავი ხომ არ განუხებთო.

— ერთადერთი, რაც მაინტერესებს, — მივუგემე, — სულიერი სიმშვიდის მოპოვებაა.

მშვენივრად გამიგო.

ჩვენი სასტუმროს რესტორანში მეტად საინ-

ტერესო ოჯახის ნახვა შეიძლება. მამა მაღალი, ხმელ-ხმელი კაცია, შავებში გამოწყობილი, გახა-მებული საყელო უკეთია, კინკრიხო გამელოტე-ბია, ხოლო საფეთქლებთან კიდევ შემორჩენია ჭა-ლარა თმა. პატარა, მრგვალი, მკაცრი თვალები, თხელი ცხვირი და სიფრიფანა ტუჩები ზრდილ-ბუს ამსგავსებს. მუდამ პირველი უახლოვდება რესტორნის კარს, მერე განზე დგება, წინ უშვებს შავი თაგვივით პატარა მეუღლეს და თავადაც შე-მოდის. ფეხდაფეხ პატარა გოგო-ბიჭი მოჰყვება, რომლებიც განრთვნილი ძალლებივით არიან ჩაც-მულნი. მაგიდასთან რომ მივა, ელის, სანამ ცოლი დაჯდება, მერე ჯდება თვითონ და ახლა ორ გო-შიასაც შეუძლია სკამზე დაცუცქება. მეუღლესა და ბავშვებს თქვენობით მიმართავს, ცოლს თავა-ზიანი საყვედურებით ავსებს, შვილებს კი შეუვა-ლი ტონით ტუქსავს:

— ნიკოლ, დღეს უაღრესად აუტანელი ხართ! გოგონა მზადაა ატირდეს. მამასაც ეს უნდა.

დღეს დილით ვირთხების ამბავმა ააფორიაქა ბიჭი, მოუსვენრად იყო, უნდოდა ერთი-ორი სიტ-ყვა ეთქვა სუფრაზე.

— სუფრასთან ვირთხებზე ლაპარაკი არაა მი-ღებული, ფილიპ. დღეიდან გიკრძალავთ მაგ სიტ-ყვის წარმოთქმას.

— მამათქვენი მართალია, — კვერი დაუკრა შავ-მა თაგვმა.

ორმა გოშიამ ცხვირი ჩარგო სალაფავში, ხო-ლო ბუმ ცოლს მადლობა გადაუხადა თავის უაზ-რო კანტურით.

ამ სანიმუშო მაგალითისდა მიუხედავად, მთელ ქალაქს ვირთხები აკერია პირზე. გაზეთიც კი ჩა-

ერია. ადგილობრივი ქრონიკა, რომელიც ჩვეულებრივ ჭრელზე ჭრელია, ახლა მთლიანად მუნიციპალიტეტის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიას ეთმობა: „ფიქრობენ კი ჩვენი ქალაქის მესვეურები, რა საშიშროებას გვიქადის მღრღნელთა გახრნილი ლეში?“ სასტუმროს დირექტორს აღარ შეუძლია სხვა რამეზე ლაპარაკი. ხუმრობა საქმეა რესპექტაბელური სასტუმროს ლიფტში ვირთხების პოვნა? ეს ხომ ყელის გამოჭრაა მისთვის. მე დასამშვიდებლად ვუთხარი, ყველა ხომ ასეთ დღეშია-მეთქი.

— სწორედ ეგაა, რომ ჩვენთანაც ისეა, როგორც ყველგან.

მანვე მიამბო უცნაური ციებ-ცხელების პირველ შემთხვევებზე, ყველას რომ აშფოთებს. სასტუმროს ერთ-ერთი დამლაგებელი ქალი უკვე დაავადდაო ამ სენით.

— მაგრამ, როგორც ჩანს, სენი გადამდები არ არის, — სასწრაფოდ დასძინა მან.

მე ვუთხარი, ჩემთვის ამას მნიშვნელობა არ აქვს-მეთქი.

— ა! მესმის, თქვენ, ბატონო ჩემო, ჩემსავით ყოფილხართ, ჩემსავით ფატალისტი.

მე არაფერი ამის მსგავსი არ მითქვამს და არც ვარ ფატალისტი. ასედაც ვუთხარი...

ამ დღიდან მოკიდებული ტარუს უბის წიგნაკები უფრო დაწვრილებით გვიამბობენ იმ უცნაური ხურვების ამბავს, რომელმაც უკვე შეაშფოთა ხალხი. იქ, სადაც მოგვითხრობს, რომ ვირთხების გაქრობასთან ერთად კატები კვლავ დაუბრუნდნენ ჩია მოხუცს და ისიც მოთმინებით უდარაჯებს მათ დასაფურთხებლად, ტარუ დასძენს,

უკვე ცნობილი გახდა ხურვების ათიოდე შემთხვევა, რომელთაც სიკვდილი მოჰყვაო.

დაბოლოს, დოკუმენტიად შეიძლება ჩაითვალოს ტარუს მიერ დახატული ექიმ რიეს პორტრეტიც. რამდენადაც მთხრობელს შეუძლია განსაჯოს, იგი საკმაოდ სანდოა.

„ოცდათხუმეტი წლის ჩანს. საშუალო ტანისაა, მხარბეჭიანი, თითქმის ოთხკუთხა სახე, მუქი, ჯიქურ მომზირალი თვალები, მაღალი ყვრიმალები, დიდი, სწორი ცხვირი და მოკლედ შეჭრილი შავი თმა. მორკალული, სქელი ტუჩები თითქმის მუდამ მოკუმული აქვს. ოდნავ წააგავს სიცილიელ გლეხს გარუჯული სახით, შავი თმა-წვერითა და მუქი ფერის ტანსაცმლით, ასე რომ შვენის.

ჩქარი სიარული იცის. ისე ჩამოდის ტროტუარიდან, რომ ფეხი არ შეეშლება, მაგრამ სამიდან ორ შემთხვევაში ოდნავ შეხტება ხოლმე, როცა მოპირდაპირე ტროტუარზე ადის. საჭესთან დაბნეულია და ხშირად მოხვევის შემდეგაც ციმციმა ჩართული რჩება. მუდამ თავშიშველი დადის. ეტყობა, საქმის მცოდნე კაცია.“

ტარუს მოტანილი რიცხვები ზუსტი იყო. ექიმმა რიემ ეს კარგად იცოდა. კონსიერჟის გვამის იზოლაციის შემდეგ თავად დაურეკა რიშარს, ამ საზარდულის ავადმყოფობაზე რომ შეჰკითხოდა.

— არაფერი მესმის ამ ამბისა, — გამოუტყდა რიშარი, — უკვე ორი ავადმყოფი მომიკვდა, ერთი — ორმოცდარვა საათში, ხოლო მეორე — სამ დღეში, მას კი იმ დილას, სანახავად რომ მივედი, უკეთესობა ეტყობოდა.

— შემატყობინეთ, თუ სხვა შემთხვევებიც იყოს, — სთხოვა რიემ.

მერე კიდევ რამდენიმე ექიმს დაურეკა. გამოკითხვამ ცხადყო, რომ რამდენიმე დღეში ოცამდე მსგავსი შემთხვევა მომხდარიყო. თითქმის ყველას სიკვდილი მოჰყოლოდა. მაშინ რიემ სთხოვა რიშარს, როგორც ორანის ექიმთა საზოგადოების მდივანს, ახლად დაავადებულთა იზოლაცია მოეხდინათ.

— მე არაფერი შემიძლია, — უთხრა რიშარმა, — ზომები პრეფექტურამ უნდა მიიღოს. მაინც რამ გაფიქრებინათ, რომ გადადების საშიშროება არსებობს?

— რამ და ძლიერ საშიში სიმპტომებია.

მაგრამ რიშარმა განუცხადა, სამაგისო რწმუნება არ მაქვს, ერთადერთი რაც შემიძლია, ისაა, რომ პრეფექტს მოველაპარაკოო.

სანამ მოლაპარაკება წარმოებდა, ამინდი აირია. კონსიერჟის სიკვდილის მეორე დღეს ცასქელი ღრუბლებით დაიფარა. ქალაქს თავს დაატყდა ხანძოკლე დელგმა. ამ მოულოდნელ თავსხმას ხვატი მოჰყვა, თვით ლაუვარდისფერმა ზღვამაც კი დაკარგა მუქი ცისფერი; მოლრუბლული ცის. ქვეშ ვერცხლისა თუ რკინისფრად ბზინავდა და სასტიკად ჭრიდა თვალს. ამ გაზაფხულის ნოტიო სითბო ზაფხულის პაპანაქებას მოგაგონებდათ. ზეგანზე ლოკოკინასავით მოკალათებული, ზღვისკენ ოდნავ გახსნილი, დაღვრემილი ქალაქი გარინდულიყო. გრძელ, შელესილ კედლებშუა, მტვრიან ვიტრინებს შორის, უამისფერ ყვითლად შეღებილ ტრამვაიებში ადამიანები თავს ცის პატიმრებად გრძნობდნენ. მხოლოდ ექიმ რიეს მოხუცი პაციენტი მისცემოდა ლხენას: ასთმა ასეთ ამინდში აღარ აწუხებდა.

— აცხუნებს, — ამბობდა იგი, — ბრონქებისთვის მისწნრებაა.

მართლაც აცხუნებდა, მაგრამ არც ციებ-ცხელება იყო ნაკლებად მწველი. მთელ ქალაქს მოსდებოდა ცხელება: ყოველ შემთხვევაში ასეთი შთაბეჭდილება თან სდევდა ექიმ რიეს იმ დილით, როცა ფედერბის ქუჩისკენ მიდიოდა, რათა დასწრებოდა ოქმის შედგენას კოტარის თვითმკვლელობის მცდელობის გამო. მაგრამ გაიფიქრა, რა სისულელეა, ყველაფერი ნერვიული გადაღლილობისა და მოზღვავებული საზრუნავის ბრალია, თავი უნდა ავიყვანო ხელში და აზრი მოვიკრიბოო.

ადგილზე რომ მივიდა, კომისარი ჯერ არ მისულიყო. გრანი კიბის ბაქანზე ელოდებოდა. გადაწყვიტეს, ჯერ მასთან შესულიყვნენ და კარი

ლია დაეტოვებინათ. მერიის მოსამსახურე გრანს მეტად ლარიბულად მოწყობილი ორი ოთახი ეჭირა. თვალში გეცემოდათ მხოლოდ ხის შეუღებავი თარო, ზედ გამნერივებული რამდენიმე ლექსიკონი და შავი დაფა, რომელზეც ნახევრად ნაშლილ სიტყვებს – „აყვავებულ ხეივნებს“ ამოიკითხავდით. გრანის თქმით, კოტარს ღამით კარგად ეძინა, მაგრამ თავის ტკივილით გამოელვიძა და არაქათი აღარ ჰქონდა. გრანი დაღლილი და ნერვებაშლილი ჩანდა, ოთახში ბოლთას სცემდა, ხსნიდა და ხურავდა დაწერილი ფურცლებით სავსე, სქელ საქალალდეს, მაგიდაზე რომ იდო.

მან უამბო ექიმს, თუმცა კარგად არ ვიცნობ კოტარს, მაგრამ ვფიქრობ, მცირე რამ ქონება უნდა ჰქონდესო. ისიც დააყოლა, უცნაური კაცია, დიდი ხანია ჩემს მეზობლად დგას, მაგრამ ჩვენი დამოკიდებულება კიბეზე შეხვედრისას მისალმებით თუ ამოინურებაო.

– მხოლოდ ორჯერ ვესაუბრე. ამ რამდენიმე დღის წინ კიბის ბაქანზე ცარციანი კოლოფი დამივარდა და წითელი და ლურჯი ცარცის ნაჭრები გადმომიცვივდა. ამ დროს კოტარი გამოვიდა ბაქანზე და ცარცის აკრეფაში მომეშველა. შემეკითხა, რის-თვის ხმარობენ სხვადასხვა ფერის ცარცსო...

გრანს აუხსნია მისთვის, ლათინურის გახსენებას ვცდილობ, ლიცეუმის შემდეგ ბევრი რამ გადამავინყდაო.

– მარწმუნებენ, ლათინური ძალიან გვშველის ფრანგული სიტყვების აზრის უკეთ გაგებაშიო, – მიუბრუნდა იგი ექიმს.

ამიტომაც დაუწყია დაფაზე ლათინური სიტყვების წერა. ლურჯი ცარცით სიტყვების ის ნა-

ნილები გამოჰყავდა, რომლებიც ბრუნვის ან უღლების დროს იცვლება, ხოლო წითლით – უცვლელი ნაწილები.

– არ ვიცი, გამიგო თუ არა კოტარმა, მაგრამ, ასე მეჩვენა, რომ დაინტერესდა და წითელი ცარცის ერთი ნაჭერი მთხოვა. მე, ცოტა არ იყოს, გამიკვირდა, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს... აბა, რას ნარმოვიდგენდი, რომ ცარცი თავისი განზრახვის შესასრულებლად დასჭირდებოდა.

რიე შეეკითხა, მეორედ რაზე ლაპარაკობდითო. მაგრამ ამ დროს კომისარი მოვიდა მდივნის თანხლებით და ჯერ გრანის ჩვენების მოსმენა მოინდომა. ექიმმა ყურადღება მიაქცია, რომ კოტარზე ლაპარაკისას გრანი მას მუდამ „სასოწარკვეთილს“ უწოდებდა. ერთხელ ასეც კი თქვა: „საბედისწერო გადაწყვეტილებაო“. დაინყეს გამორკვევა იმისა, თუ რამ აიძულა კოტარი დღე მოესწრაფებინა. გრანი უჩვეულო სიფრთხილით არჩევდა გამოთქმებს. ბოლოს, შეჩერდნენ სიტყვებზე „პირადი უსიამოვნებანი“. კომისარმა იკითხა, ხომ არაფერი ემჩნეოდა ქცევაში ისეთი, რაც კოტარის „გადაწყვეტილებას“ ფარდას ახდიდაო.

– წინა საღამოს კარზე დამიკაკუნა, – უპასუხა გრანმა, – და ასანთი მთხოვა, ერთი კოლოფი მივეცი. ბოდიში მომიხადა და დასძინა, რომ მეზობლობაში... მერე დამპირდა, დაგიბრუნებთო. მე ვუთხარი, რა საჭიროა-მეთქი.

კომისარმა ჰკითხა გრანს, კოტარის ქცევა უცნაურად ხომ არ მოგეჩვენათო.

– მეუცნაურა, თითქოს ბაასის გაბმას ცდოლობდა, მაგრამ მე სწორედ იმ დროს სამუშაო მქონდა.

გრანი მიუბრუნდა ექიმს და შემკრთალი გა-  
მომეტყველებით დასძინა:

— პირადი სამუშაო.

კომისარმა ავადმყოფის ნახვა მოინდომა, მაგ-  
რამ რიემ უთხრა, საამისოდ ჯერ კოტარის მომ-  
ზადებაა საჭიროო. ექიმი ოთახში შევიდა, ავადმ-  
ყოფმა, რომელსაც რუხი ფლანელის პერანგი ეც-  
ვა, ლოგინში ნამოინია და შეშფოთებულმა კარის-  
კენ გაიხედა.

— პოლიციარ? — იკითხა.

— დიახ, — უპასუხა რიემ, — ნუ ლელავთ, ორი-  
ოდე ფორმალობა და თავს დაგანებებენ.

მაგრამ კოტარმა მიუგო, ეგ არაფერს მიშვე-  
ლის, თანაც არ მიყვარს პოლიციაო. რიეს მოუთ-  
მენლობა დაეტყო.

— არც მე მეხატება გულზე. მაგრამ სწრაფად  
და ამომწურავად უნდა გასცეთ პასუხები შეკით-  
ხვებზე და ამით გავათავოთ.

კოტარი გაჩუმდა და რიემ კარს მიაშურა, მაგ-  
რამ პატარა კაცმა მაშინვე დაუძახა და როდესაც  
ექიმი საწოლთან მივიდა, ხელებზე წაეტანა:

— მითხარით, ექიმო, ხომ არ შეიძლება ავადმ-  
ყოფი დააკავონ, ანდა ის ადამიანი, ვინც თავის  
ჩამოხრჩობა სცადა?

რიემ ერთხანს უყურა და მერე აღუთქვა, ასეთ  
რამეს არც არავინ გიპირებთ, თანაც, ექიმი აქ  
იმისთვისაა, რომ თავისი ავადმყოფი დაიცვასო. კოტარს გულზე ეფონა და რიემ კომისარი შემო-  
იყვანა.

კოტარს გრანის ჩვენება წაუკითხეს და ჰკით-  
ხეს, შეგიძლიათ თუ არა, თქვენი საქციელის მი-  
ზეზი აგვიხსნათო. ავადმყოფმა უპასუხა, „პირა-

დი უსიემოვნებანი” ზედგამოჭრილი ნათქვამიაო. კომისარი ჩააცივდა, კვლავ ხომ არ ჩაიდენთ ასეთ რამესო. კოტარი გამოცოცხლდა და მიუგო, არა და არა, ახლა კი მხოლოდ ის მსურს, თავი დამანებონ და მომასვენონ.

— უნდა მოგახსენოთ, — იწყინა კომისარმა, — ჯერჯერობით თქვენ უკარგავთ მოსვენებას სხვებს.

მაგრამ რიემ თვალი უქნა და კომისარმაც შეწყვიტა ყვედრება.

— ეჭ, — ამოიოხრა კომისარმა გამოსვლისას, — უამისოდაც ბევრი თავში საცემი საქმე გვაქვს, მას აქეთ, რაც ამ ხურვებაზე ლაპარაკობენ.

მერე შეეკითხა, ექიმო, მართლა სერიოზულად არის თუ არა საქმეო. მაგრამ რიემ უპასუხა, ვერაფერს გეტყვითო.

— სულ ამ ამინდის ბრალია ყველაფერი, — დაასკვნა კომისარმა.

ეტყობა, მართლაც ამინდის ბრალი იყო. დღის ბოლოსთვის რიე თავს ვერაფერს აბამდა, რასაც კი არ შეახებდა ხელს, თითქოს ზედ ეწებებოდა და გრძნობდა, რომ ყოველ ვიზიტთან ერთად ბოლმა ემატებოდა. იმავე სალამოს, გარეუბანში, სნეული მოხუცის მეზობელი პირქვე დაემხო და ბოდვა და ლებინება დაეწყო. მას გაცილებით უფრო დიდი სიმსივნეები ჰქონდა, ვიდრე რიეს კონსიერჟს. ერთი მათგანი დაჩირქებოდა და მალე გადაიშალა დამპალი ნაყოფივით. შინ რომ დაბრუნდა, რიემ დაურეკა დეპარტამენტის მედიკამენტების საწყობს. ექიმის იმდღევანდელ ჩანაწერებში მხოლოდ ისაა აღნიშნული, უარყოფითი პასუხი მივიღეო. ნამით არ ჰქონდა მოსვენება. ისევ და ისევ

ეძახდნენ ამ სენით დაავადებულებთან. მალე ცხადი გახდა, რომ სიმსივნეების გაკვეთა იყო საჭირო. ქირურგიული დანის ორი ჯვარედინი დასმა და სიმსივნიდან ინთეროდა სისხლარეული თხრამლი. გატანჯული ავადმყოფები სისხლად იღვრებოდნენ. მუცელზე და ფეხებზე ლაქები უჩნდებოდათ, სიმსივნეებიდან აღარ სდიოდათ ჩირქი, მაგრამ შემდეგ ისევ უსივდებოდათ. უმეტეს შემთხვევაში, ავადმყოფი კვდებოდა საშინელ სიმყრალეში.

პრესა, რომელმაც ვირთხების გამო ერთი ამბავი ატეხა, ახლა კრინტს აღარ ძრავდა. ვირთხები ხომ ქუჩაში კვდებიან, ყველას დასანახად, ადამიანები კი თავიანთ სახლებში იხოცებოდნენ. გაზეთებს კი მხოლოდ ქუჩა აინტერესებთ. თუმცა პრეფექტურა და მუნიციპალიტეტი შეფიქრიანდნენ. სანამ თითოეული ექიმის პრაქტიკაში სულ რაღაც ორი-სამი შემთხვევა იყო ამ გაურკვეველი დაავადებისა, ყურიც არავის შეუბერტყავს. მაგრამ ვიღაცას აზრად მოუვიდა, შეეჯამებინა ყველა ეს შემთხვევა, რაც საქმარისი გახდა, რომ მთელი ქალაქი შემფოთებას მოეცვა. სულ რამდენიმე დღეში სიკვდილიანობამ იმატა და მათთვის, ვისაც ამ უცნაურ სენთან ჰქონდა საქმე, ცხადი შეიქნა, რომ ეს ნამდვილი ეპიდემია იყო. სწორედ ეს მომენტი შეარჩია კასტელმა, რიეზე გაცილებით ხნიერმა ექიმმა, თავის კოლეგასთან რომ მისულიყო.

— თქვენ, რასაკვირველია, უკვე იცით, არა, რაც არის ეს? — ჰქითხა მან რიეს.

— ანალიზების შედეგებს ვუცდი.

— მე კი ვიცი. ამიტომ არავითარი ანალიზები

არ მჭირდება. ერთხანს ჩინეთში ვმუშაობდი, გარდა ამისა, რამდენიმე შემთხვევა პარიზშიც მინახავს, ოციოდე წლის ნინათ, მაგრამ მაშინ ვერ გაბედეს ამ სენისთვის ნამდვილი სახელის დარქმევა. საზოგადოებრივი აზრი ხომ წმიდათანმიდაა: პანიკა ნუ იქნება, ოღონდ პანიკა ნუ იქნება. დათანაც, ერთი ჩვენი კოლეგისა არ იყოს: „ეს შეუძლებელია. ყველამ იცის, რომ დასავლეთში ეს სენი მოისპო.“ დიახ, ყველამ იცოდა, გარდაცვლილთა გარდა. თავს ნუ იტყუებთ, რიე, თქვენ ჩემსავით კარგად უწყით, რაც არის ეს!

რიე საგონებელში იყო ჩავარდნილი. თავისი კაბინეტის ფანჯრიდან გადასცეკეროდა კლდოვან ქედს, რომელიც ნაპირს მიუყვებოდა და უბეს კეტავდა. ცა, თუმცა ლურჯი იყო, მნუხრის მოახლოებასთან ერთად სულ უფრო და უფრო მკრთალად ბზინავდა.

— დიახ, კასტელ, ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ როგორც ეტყობა, ეს შავი ჭირია.

კასტელი ადგა და კარისკენ გაემართა.

— მოგეხსენებათ, რას გვიპასუხებენ, — თქვა მოხუცმა ექიმმა, — „ეგ სენი მრავალი წლის ნინათ გაქრა ზომიერი ჰავის ქვეყნებში.“

— რას ნიშნავს, გაქრაო? — მხრების აჩეჩვით ნარმოთქვა რიემ.

— დიახ, და არ დაგავინუდეთ, პარიზშიც ვნახე ამ თითქმის ოცი წლის ნინათ.

— რა გაეწყობა, იმედი გვქონდეს, რომ ამჯერაც იმაზე სასტიკი არ იქნება, რაც მაშინ იყო, მაგრამ ეს ხომ მართლაც დაუჯერებელია.

სიტყვები „შავი ჭირი“ ეს-ეს არის, პირველად წარმოითქვა. თხრობის ამ ადგილას, სანამ ბერნარ რიკ თავის ფანჯარასთან გარინდებულა, მთხრობელს ნება უბოძეთ, მკითხველის თვალში გაასამართლოს ექიმის ეჭვი და განცვიფრება, რადგან მისი პირველი რეაქციაც დაახლოებით ისეთივე იყო, როგორიც ჩვენი თანამოქალაქეთა უმრავლესობისა. სტიქიური უბედურება ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ თავსაც რომ დაგატყდება, ძნელად თუ ირწმუნებს კაცი. მსოფლიო უამიანობის იმდენი შემთხვევა იცის, რამდენი ომიც გადახდენია. მაგრამ შავი ჭირიცა და ომებიც მოულოდნელად აცხრება თავს ადამიანებს. ექიმ რიესთვისაც ანაზდეული იყო ეს ამბავი, ისევე, როგორც სხვა ორანელებისთვის და მისი ეჭვებიც ამით აიხსნება. ამითვე აიხსნება ის ამბავი, რომ ექიმი წუხდა და ამავე დროს იმედსაც ვერ შელეოდა. როდესაც ომი იფეთქებს, ადამიანები ამბობენ: „ომი დიდხანს ვერ გასტანს, ეს ხომ აშკარა სისულელეა.“ ეჭვი არაა, რომ ომი მართლაც დიდი სისულელეა, მაგრამ ეს არ აფერხებს მის მსვლელობას. სისულელე მუდამ გამძლეა. ეს ადგილი შესამჩნევი იქნებოდა, ადამიანი ყოველთვის თავის თავზე რომ არ ფიქრობდეს. ამ მხრივ არც ჩვენი თანამოქალაქენი იყვნენ გამონაკლისნი, მათაც თავის თავის გარდა არაფერი აგონდებოდათ,

ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჰუმანისტები იყვნენ: უბედურების არ სჯეროდათ. ადამიანი დიდ უბედურებას ვერ ეთვისება, ამიტომ თავს ირნ-მუნებს, უბედურება არარეალურია, ეს ცუდი სიზ-მარია და ქარს გაპყვებაო. მაგრამ იგი ყოველთ-ვის როდი ქრება, სამაგიეროდ, ცუდ სიზმრებს შო-რის ქრებიან ადამიანები, თანაც, უპირველეს ყოვ-ლისა, ჰუმანისტები, რადგანაც ისინი სიფრთხი-ლეს არად მიიჩნევენ. ამ მხრივ, ჩვენი თანამოქა-ლაქენიც სხვაზე მეტად როდი სცოდავდნენ. მათ, უბრალოდ, მოკრძალება დაავიწყდათ და თვლიდ-ნენ, ჩვენთვის ჯერ ყველაფერი შესაძლებელიაო, ეს კი აფიქრებინებდათ, თავს უბედურება რომ დაგვატყდეს, შეუძლებელიაო. ისინი განაგრძობ-დნენ საქმეების გარიგებას, ემზადებოდნენ სამოგ-ზაუროდ და არ გადადიოდნენ საკუთარ მრნამსა. ან კი როგორ ეფიქრათ შავ ჭირზე, რომელიც სპობს მომავალს, მიმოსვლასა და კამათს? თავი თავისუფლად მიაჩნდათ, მაგრამ ვერავინ ეზია-რება თავისუფლებას, სანამ არსებობს ამგვარი უბედურებანი.

მას შემდეგაც კი, რაც რიემ მეგობრის წინაშე ალიარა, ქალაქში გაბნეული ათეულობით ავადმ-ყოფი ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე ჭირ-მა იმსხვერპლაო, მისთვის საფრთხე მაინც არა-რეალური რჩებოდა. უბრალოდ, ექიმებს სხვაზე უკეთ წარმოუდგენიათ, რა არის ტანჯვა და სხვა-ზე მეტი წარმოსახვის უნარიც აქვთ. რიე გასცე-როდა ფანჯრიდან თავის ნირშეუცვლელ ქალაქს და ალბათ ვერც გრძნობდა, თუ როგორ ებადე-ბოდა გულის სიღრმეში მომავლისადმი ოდნავი ზიზლი, რომელსაც ჩვეულებრივ, შეშფოთებას

უნოდებენ. ცდილობდა, მეხსიერებაში აღედგინა ყველაფერი, რაც იცოდა ამ სენზე. მეხსიერებაში კი მხოლოდ ის ამოუტივტივდა, რომ ისტორიაში ცნობილმა უამიანობის ოცდაათმა დიდმა ეპიდე- მიამ ას მილიონამდე კაცი გამოასალმა წუთისო- ფელს. მაგრამ რა არის ასი მილიონი კაცის სიკვ- დილი? ომგამოვლილსაც კი გიჭირს თუნდაც ერ- თი ადამიანის სიკვდილის წარმოდგენა. და ვინაი- დან ადამიანის სიკვდილი მხოლოდ მაშინ გზაფ- რავს, როდესაც მას უშუალოდ ხედავ, ისტორიის მანძილზე გაფანტული ასი მილიონი გვამი კვამ- ლივით იფანტება წარმოდგენაში. ექიმს გაახსენ- და უამიანობა კონსტანტინოპოლში, რომელიც, პროკოპის ცნობით, დღეში ათი ათას კაცს ავლებ- და მუსრს. ათი ათასი მკვდარი დიდი კინოთეატ- რის ხუთ დარბაზს შეადგენს. თვალსაჩინოების- თვის ხუთი კინოთეატრიდან გამოსული ხალხი უნ- და შეგვეკრიბა, წაგვესხა ქალაქის მთავარ მოედან- ზე და ერთად დაგვეხოცა. მაშინ ამ უსახო ხროვის წაცვლად წაცნობი სახეების წარმოდგენა მაინც შეგვეძლებოდა. მაგრამ, ცხადია, ამის განხორცი- ელება შეუძლებელია, თანაც ვინ იცნობს ათი ათას კაცს სახეზე? ესეც არ იყოს, ცნობილია, რომ პრო- კოპისთანა ადამიანებმა თვლა არ იცოდნენ. კან- ტონში სამოცდაათი წლის წინათ შავმა ჭირმა ორ- მოცი ათასი ვირთხა გაულიტა, სანამ ადამიანებს . მისწვდებოდა, მაგრამ 1871 წელს შეუძლებელი იყო ვირთხების ზუსტად დათვლა. მიახლოებით ანგა- რიშობდნენ, ამრგვალებდნენ, თანაც, ეჭვი არ უნ- და, ცდებოდნენ. ისე კი, ერთი ვირთხა ოცდაათი სანტიმეტრი სიგრძისაა, ორმოცი ათასი მკვდარი ვირთხა ერთ ხაზზე რომ გავამნკრივოთ, გამოვა...

მაგრამ აქ უღალატა ექიმს მოთმინებამ. ძალიან გაუტია, ეს კი არამც და არამც არ შეიძლებოდა. რამდენიმე შემთხვევა ჯერ კიდევ ეპიდემია არ არის და საკმარისი იქნება გამაფრთხილებელი ზომების მიღება. რაც ვიცით, იმას უნდა ჩავებლაუჭოთ: სხეული შეშდება და პროსტაცია ეუფლება, თვალები უნითლდება, ალებინებს, თავის ტკივილი სტანჯავს, ბუბონები უჩინდება, წყურვილი ახრჩობს, ბოდავს, ლაქებს აყრის ტანზე... სხეული თითქოს შიგნიდან ეგლიჯება და ბოლოს... აქ ექიმს გაახსენდა ერთი წინადადება, რომლითაც მთავრდებოდა სახელმძღვანელოში სიმპტომების ჩამოთვლა: „მაჯა ძლივსლა ფეთქავს და სულ მცირე მოძრაობაც კი სიკვდილს იწვევს.“ დიახ, ადამიანის სიცოცხლე ბენზიე ჰკიდია, თან ზუსტი გამოანგარიშებით ავადმყოფთა სამი მეოთხედი იმდენად მოუთმენელი აღმოჩნდება ხოლმე, რომ ამ საბეჭისწერო მოძრაობისგან თავს ვერ იკავებს.

ექიმი ისევ ფანჯარაში იყურებოდა. მინის იქითა მხარეს გაზაფხულის კრიალა ცა იყო, ოთახში ჯერ კიდევ უღერდა სიტყვები: „შავი ჭირი“. ეს სიტყვები მარტო მეცნიერულ განსაზღვრას კი არ შეიცავდა, არამედ უჩვეულო სურათების გრძელ წყებასაც, რომელიც არ შეესაბამებოდა ამ ყვითელსა და ნაცრისფერ ქალაქს, საკმაოდ გამოცოცხლებული რომ იყო სალამო ხანს, მაგრამ კი არ ხმაურობდა, ზმუოდა მხოლოდ და ბედნიერი იერი ჰქონდა, თუ შეიძლება, რომ ქალაქი ერთსა და იმავე დროს ბედნიერიც იყოს და მოქუფრულიც. ასეთი მშვიდობიანი და უდრტვინველი თითქმის გაუჭირვებლად უარყოფდა გარდასულ უბე-

დურებათა სურათებს: ჭირმოდებულ ათენს, ფრინველებმაც რომ მიატოვეს, მდუმარე, სულ-თმობრძავი ადამიანებით სავსე ჩინეთის ქალა-ქებს, მარსელელ კატორლელთ, ორმოებში რომ ყრიდნენ გახრნნილ გვამებს, პროვანსის დიდი კედლის მშენებლობას, კედლისა, რომელსაც გზა უნდა შეეკრა შავი ჭირის მძვინვარე შემოტევის-თვის, იაფელ საზიზლარ გლახაკებს, კონსტანტი-ნოპოლის ქსენონთა ნესტიან, დამპალ ქვეშა-გებს, ზედ მიწურ იატაკზე რომ ეყარა, ავადმ-ყოფთ, ფინლებით რომ მიათრევდნენ, ჭირიანო-ბის დროს ნილბოსანი ექიმების მასკარადს, მი-ლანის სასაფლაოზე ცოცხლად დარჩენილების რიალს, შიშით შეპყრობილი ლონდონის ქუჩებში გვამით დატვირთულ ურმებს, როცა ყველგან, ყოველთვის, დღისითაც და ღამითაც ადამიანე-ბის გაბმული კვნესა მოისმოდა. არა, ყოველივე ამას ჯერ არ შეეძლო ბოლო მოელო იმდღევან-დელი სიმშვიდისთვის. მინის იქითა მხარეს უცებ გაიწკრიალა უჩინარმა ტრამვაიმ და ერთ წამში გააქრო მკაცრი სინამდვილე და ტკივილი. მხო-ლოდ სახლების ულიმლამო საჭადრაკო დაფის კი-დესთან განოლილი ზღვა მონმობდა, რომ ამქვეყ-ნად კიდევ იყო რაღაც მშფოთვარე და დაუდგ-რომელი. და ექიმი რიეც, რომელიც ზღვის უბეს გასცეკეროდა, ფიქრობდა ლუკრეციუსის მიერ ნახსენებ კოცონზე, ჭირიანობის დროს ათენელე-ბი რომ ანთებდნენ ზღვის პირას. ღამლამობით აქ მოჰყავდათ მკვდრები, მაგრამ სანაპირო აღარ ჰყოფნიდათ მიცვალებულებს და ცოცხლები მაშ-ხლებით ებრძოდნენ ერთმანეთს, რათა მათთვის საყვარელი ადამიანებისთვის მოეპოვებინათ ად-

გილი კოცონზე, სამკუდრო-სასიცოცხლო შერკინება ერჩივნათ ნეშტის უპატრონოდ მიტოვებას. ძნელი არ იყო, წარმოგედვინა ალისფერი კოცონები, მშვიდი, ჩაბნელებული ზღვის პირას, ნაპერნკლებით ატკრვიალებულ ღამეში მაშხალებით ბრძოლა და სქელი, მონამლული ბოლი, დინჯად მოყურადე ცისკენ რომ მიინევდა... თავზარი დაგეცემოდა...

მაგრამ ამ თავზარდაცემას საღი მოსაზრება აქარნყლებდა. მართალია, სიტყვები „შავი ჭირი“ უკვე ითქვა, მართალია, სწორედ იმნამსაც შეინირა ერთი-ორი მსხვერპლი, მაგრამ ჯერ კიდევ არ იყო გვიან შეეჩერებინათ იგი. უპირველეს ყოვლისა, საშური გახლდათ შეცნობა იმისა, რაც შესაცნობი იყო, მერე – ამ უსარგებლო აჩრდილების განდევნა და სათანადო ზომების მიღება. აი, მაშინ კი მოისპობოდა შავი ჭირი. ადამიანს ხომ არ ძალუძს მისი წარმოდგენა, ანდა მცდარად წარმოუდგენია იგი. თუკი მოისპობოდა, ეს კი ალბათ ასეც იქნებოდა, ყოველივე კარგად წარიმართებოდა, თუ არადა, შევიტყობდით მაინც, რას წარმოადგენდა იგი და იმასაც გავიგებდით, ხომ არ შეიძლება, ჯერ შეეგუო მას, რათა შემდგომში გაუმკლავდე.

ექიმმა ფანჯარა გამოალო და ქუჩის ხმაური ერთბაშად შემოიჭრა. მეზობელი სახელოსნოდან მოდიოდა მექანიკური ხერხის ხანმოკლე და ხშირი წივილი. რიე გარინდებიდან გამოერკვა. აი, ეს ყოველდღიური შრომა იყო ყველაზე სარწმუნო. სხვა დანარჩენი კი ბენვზე ჰკიდია და უმნიშვნელო მოძრაობაზეა დამოკიდებული. ბენვს კი ვერ მოეკიდები. მთავარია, კარგად აკეთო შენი საქმე.

ექიმი რიე ამ ფიქრებში იყო გართული, როცა უზენაუ გრანის მოსვლა აუწყეს. გრანს, თუმცა მე-რიაში მსახურობდა და ათასნაირი დავალება ჰქონდა, დროდადრო სტატისტიკური ცხრილის შედგენასაც ავალებდნენ. ახლა იგი სიკვდილიანობის შემთხვევათა შეჯამებას ახდენდა. მოხელე ბუნებით ხათრიანი კაცი იყო და სიამოვნებით და-თანხმდა, ბ-ნ რიეს ჩემს გამოანგარიშებათა ას-ლებს მე თვითონ მივუტანო.

გრანთან ერთად მისი მეზობელი კოტარიც ეახლა ექიმს. გადააბიჯა თუ არა ზღურბლს, მო-ხელემ ქალალდის ფურცელი ააფრიალა.

— ციფრები მატულობს, — მოახსენა ექიმს, — ორ დღეში თერთმეტი კაცი გარდაიცვალა.

რიე მიესალმა კოტარს და მოიკითხა. გრანმა აუხსნა, რომ კოტარს სურდა, ექიმისთვის მადლობა გადაეხადა და შეწუხებისთვის მოებოდიშებინა. მაგრამ რიე უკვე სტატისტიკურ ფურცელს ათვალიერებდა.

— რას იზამ, — თქვა რიემ, — იქნებ დადგა იმის დროც, რომ სენს თავისი სახელი დავარქვათ. ისე-დაც დიდხანს ვიტყუებდით თავს. წამომყევით, ლაბორატორიაში ვარ მისასვლელი.

— დიახ, დიახ, — იმეორებდა გრანი და კიბეზე ჩა-მავალ ექიმს მისდევდა, — საგნებს თავისი სახელი უნდა ვუწოდოთ. მაინც რა ჰქვია ამ ავადმყოფობას?

ქვედა ყბაზე კიდევ შერჩენოდა რამდენიმე კბილი, ზედაზე კი ერთიც აღარ ჰქონდა. გალიმებისას ზედა ტუჩი ძალზე მაღლა ეწეოდა და პირი მოჩვენებას მიუგავდა. ყოველივე ამას თუ სემინარისტის მიხრა-მოხრას, კედელ-კედელ სიარულს, კარებში შეუმჩნევლად გასხლტომის ჩვევას, სარდაფისა და კვამლის სუნს და უმნიშვნელო, პატარა კაცის ჩვევებს დავუმატებთ, დაგვეთანხმებით, რომ შეუძლებელი იყო, ეს კაცი სხვაგვარად წარმოგვედგინა, თუ არა საწერ მაგიდასთან მჯდომარე, რომელიც ქალაქის აბანოებისა და საშხაპეების ტარიფს ამონმებდა, ანდა ახალგაზრდა საქმის მნარმოებელს უმზადებდა მასალას მოხსენებისთვის, ნაგვის გატანის ახალ ფასებს რომ ეხებოდა. თვით ყველაზე მიუდგომელი დამკვირვებელიც კი გეტყოდათ, გრანი იმისთვის გაჩნდა ამქვეყნად, რომ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელის დროებითი თანაშემწის უმნიშვნელო, მაგრამ მეტად საჭირო დავალებანი აღასრულოს, რაშიც სამოცდაორ ფრანკსა და ოცდაათ სანტიმს უხდიან ყოველდღიურად.

მართლაც, გრანისავე თქმით, სწორედ ასეთი განსაზღვრა ეწერა მისი პირადი საქმის გრაფაში „კვალიფიკაცია“. როდესაც ოცდაორი წლის წინათ, ლიცენტიატის ხარისხის მიღების შემდეგ, უფულობის გამო გრანმა თავი ანება სწავლას და ამ თანამდებობას დათანხმდა, მას, როგორც თავად ამბობდა, სწრაფ „დანინაურებას“ შეპირდნენ. გრანს მხოლოდ ის ევალებოდა, საკმაო უნარი გამოეჩინა ისეთ ფაქიზ საკითხებში, რომლებიც წამოიჭრებოდა ხოლმე ჩვენი ქალაქის მართვის დროს. შემდეგში კი, როგორც არწმუნებდნენ,

საქმეთა მნარმოებლის თანამდებობა არ ასცდებოდა, რაც ხელგაშლილი ცხოვრების საშუალებას მისცემდა. რასაკვირველია, პატივმოყვარეობა კი არ ამოქმედებდა უოზეფ გრანს, ამის თავდები მისი ნაღვლიანი ლიმილი გახლდათ, არამედ პატიოსანი შრომით მოპოვებული უზრუნველყოფილი ცხოვრება ხიბლავდა, რაც საშუალებას მისცემდა სინდისის ქენჯნის გარეშე მიეყო ხელი საყვარელი საქმისთვის. თუკი დათანხმდა შემოთავაზებულ ადგილს, მხოლოდ კეთილშობილ განზრახვათა გამო და, თუ შეიძლება ასე ითქვას, გარკვეული იდეალის ერთგულების გულისთვის.

უკვე მრავალი წელი იყო, რაც ეს დროებითი ვითარება გრძელდებოდა. ცხოვრება უსაშველოდ გაძვირდა, გრანის ხელფასი კი, თუმცა რამდენჯერმე საერთო მომატებაში მოხვდა, მაინც უმნიშვნელო იყო. მოხელემ შესჩივლა რიეს, ეტყობა, ამას არავინ აქცევსო ყურადღებას. აქ შეიმჩნევა გრანის ორიგინალობა, ან, უკიდურეს შემთხვევაში, მისი ხასიათის ერთი ნიშან-თვისება. მას მართლა შეეძლო თავისი უფლებების შეხსენებით თუ არა, რომლებშიც მთლად დარწმუნებული არ გახლდათ, დაპირებაზე დაყრდნობით მაინც მოეთხოვა კუთვნილი, მაგრამ ჯერ ერთი, განყოფილების უფროსი, ვინც იგი მიიღო სამსახურში, დიდი ხანია მომკვდარიყო, თანაც მოხელეს ზუსტად ვერ გაეხსენებინა, შეპირება რა სიტყვებით იყო გამოთქმული. დაბოლოს, რაც მთავარია, უოზეფ გრანს ვერ შეერჩია სათანადო სიტყვები.

რიეს დაკვირვებით სწორედ ეს თავისებურება ახასიათებდა ყველაზე მეტად ჩვენს მოხელეს. ეს უშლიდა ხელს, რომ განცხადება დაენერა,

რაზედაც დიდი ხანი იყო ფიქრობდა ან სხვა რამ ნაბიჯი გადაედგა გარემოებისდა შესაბამისად. გრანს თუ ვერწმუნებით, მას განსაკუთრებით უჭირდა სიტყვა „უფლების“ დაწერა, რაკი თავა- დაც არ იცოდა, ზუსტად რას ნიშნავდა ეს ცნება. ვერ ბედავდა ვერც „დაპირების“ ხმარებას, რო- მელიც გულისხმობდა, რომ იგი კუთვნილს მოით- ხოვდა და მის საქციელს გაბეჭულს დაამსგავსებ- და, რაც სრულიად არ შეესაბამებოდა მის დაბალ თანამდებობას. მეორე მხრივ, არაფრით არ უნ- დოდა, ეხმარა სიტყვები: „კეთილგანწყობა“, „შუ- ამდგომლობა“, „მადლობა“, რადგან საკუთარი ადამიანური ღირსებისთვის სათაკილოდ მიაჩნდა. პოდა, რადგან ზუსტ გამოთქმებს ვერ პოულობ- და, ჩვენი უკვე საკმაოდ ხანში შესული თანამო- ქალაქე თავის უმნიშვნელო სამსახურს სჯერდე- ბოდა. თუმცა, როგორც თვითონ ეუბნებოდა ექიმ რიეს, დიდ ხელმოკლეობას არ განიცდიდა, რაკი შეძლო თავის მოთხოვნილებათა შეფარდება სა- არსებო წყაროსთან. ამგვარად, გრანი სამართლი- ანად მიიჩნევდა, ჩვენი ქალაქის მსხვილი მრეწ- ველისა და მერის საყვარელ გამოთქმას, რომ ბო- ლოს და ბოლოს (იგი განსაკუთრებით ამ სიტყვას აწვებოდა, როგორც მსჯელობის საფუძველს), არავის უნახავს, ვინმე შიმშილით მომკვდარიყოს. ასეა თუ ისე, ასკეტურმა ცხოვრებამ მართლაც გა- უქარწყლა ამგვარი წუხილი. იგი კვლავ შესაფე- რისი სიტყვების ძებნას განავრძობდა.

შეიძლება ითქვას, რომ მისი ცხოვრება გარკ- ვეული აზრით მართლაც სამაგალითო იყო. გრანი იმ მეტად იშვიათ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთაც არასოდეს აშინებთ თავიანთი კეთი-

ლი გრძნობების გამუღავნება. მართლაც, ის მცირედიც კი, რასაც საკუთარ თავზე ჰყვებოდა, მოწმობდა მის სიკეთესა და გულზიარობას, რომელთა აღიარებასაც ვერ ბედავენ ჩვენს დროში. არ ნითლდებოდა იმის გამო, რომ უყვარდა დისწულები და ერთადერთი ახლობელი ადამიანი, რომელიც შერჩა და რომელსაც ორ ნელინადში ერთხელ მოინახულებდა ხოლმე საფრანგეთში. იგი გამოუტყდა რიეს, რომ ჯერ კიდევ მისი სიყმანვილის უამს გარდაცვლილი მშობლების მოგონება ახლაც გულს სტკენდა. არც იმას უარობდა, რომ მათ უბანში ყველაზე მეტად ერთი ზარი უყვარდა, რომელიც ნენარად ჩამორეკდა ხოლმე საღამოს ხუთ საათზე. მაგრამ როდესაც ასეთ უბრალო საგნებზე ლაპარაკობდა, დიდი გაჭირვება დაადგებოდა ხოლმე, რადგან საჭირო სიტყვებს ვერ პოულობდა. ბოლოს, ეს სიძნელე მთავარ სადარდებლად ექცა. „ოჟ, ექიმო, ნეტავ, საკუთარი აზრების გამოხატვა შემაძლებინა!“ რიესთან ყოველი შეხვედრის დროს ჩამოაგდებდა ხოლმე ამაზე ლაპარაქს.

ამ საღამოს, მიმავალ მოხელეს რომ გაადევნა თვალი, ექიმი ერთბაშად მიხვდა: ალბათ ნიგნს ნერს, ან სხვა რამ ამის მსგავსს აკეთებსო. ცოტა გულს ეფონა და ასე მიაღწია ლაბორატორიამდე. ექიმმა იცოდა, უაზრობა იყო, მაგრამ რატომლაც არ სჯეროდა, რომ შავი ჭირი შეიძლება დასტყდომოდა ქალაქს, რომელშიც ცხოვრობენ კეთილშობილი მანიით შეპყრობილი უბრალო მოხელეები. უფრო ზუსტად, არ იცოდა, რა ადგილი მიეჩნია ამგვარი მანიისთვის უამიანობის დროს და ამიტომ დაასკვნა, პრაქტიკულად ჩვენს ქალაქში შავი ჭირი ფეხს ვერ მოიკიდებსო.

მეორე დღეს, დიდი დაუინების შემდეგ, რომელიც ბევრს უადგილოდ მოეჩვენა, რიემ თავისი გაიტანა და პრეფექტურას სანიტარული კომისიის სხდომა მოაწვევინა.

— მართალია, მოსახლეობა შფოთავს, — აღიარა რიშარმა, — თან არც მითქმა-მოთქმას აქვს ბოლო. პრეფექტმა მითხრა: თუ გნებავთ, სწრაფად ვიმოქმედოთ, მაგრამ ჩუმადო; დარწმუნებულია, რომ განგაში ტყუილად გვაქვს ატეხილი.

ბერნარ რიემ მანქანაში ჩაისვა კასტელი და პრეფექტურას მიაშურეს.

— იცით თუ არა, რომ დეპარტამენტში შრატი არ მოგვეპოვება? — შეეკითხა კასტელი.

— ვიცი. საწყობში დავრეკე. დირექტორმა პირი დაალო. პარიზიდან უნდა გამოვინეროთ.

— იმედია, არ დაგვიგვიანებენ.

— მე უკვე ვუდეპეშე, — უთხრა რიემ.

პრეფექტს თავაზიანად ეჭირა თავი, მაგრამ ნერვიულობდა.

— დავიწყოთ, ბატონებო, — თქვა მან, — მოგახსენოთ თუ არა მოკლედ საქმის ვითარება?

რიშარისთვის რომ გეეითხათ, ეს ზედმეტი იყო. ექიმებმა ისედაც იცოდნენ, რა ამბავი ტრიალებდა ქალაქში. საკითხავი ის გახლდათ, რა ზომები უნდა მიეღოთ.

მოხუცმა კასტელმა უხეშად გააწყვეტინა:

— საკითხავი ისაა, მართლა შავი ჭირია თუ არა.

ორი თუ სამი ექიმი სახტად დარჩა. სხვები, ეტყობა, ყოყმანობდნენ. პრეფექტი კი შეკრთა და ანგარიშმიუცემლად მიბრუნდა კარისკენ, თითქოს უნდოდა შეემოწმებინა, ხომ არ გაიჭრა ეს საშინელი სიტყვები გარეთო. რიშარმა განაცხადა, შიშმა თავზე არ უნდა აგვირიოს, ეტყობა, ხურვებასთან გვაქვს საქმე და მის გართულებებთან საზარდულის არეში; მხოლოდ ამის თქმა შეიძლება, ჰიპოთეზები კი მეცნიერებაში მუდამ ისეთივე სახითათოა, როგორც ცხოვრებაში. მოხუცმა კასტელმა, ჩაყვითლებულ ულვაშს რომ იკვნეტდა, ნათელი თვალები მიაპყრო რიეს, შემდეგ გულმოწყალედ მოავლო თვალი იქ შეკრებილთ და განაცხადა:

— მე შესანიშნავად ვიცი, რომ შავი ჭირი მოგვადგა კარზე, მაგრამ ეს რომ ოფიციალურად ვაღლიაროთ, რასაკვირველია, ულმობელი ზომების მიღება მოგვიხდება... ისიც კარგად მომეხსენება, რომ ჩემს კოლეგებს სწორედ ეს აიძულებთ, უკანდაიხიონ და მეც, მათ დასამშვიდებლად შემიძლია დავუშვა, რომ ეს სენი შავი ჭირი არ არის.

პრეფექტი აცქმუტდა და შესძახა, ასეა თუ ისე, თვით მსჯელობის მიმდინარეობა არაა მართებულიო.

— მთავარი ის კი არ არის, — შეესიტყვა კასტელი, — მართებულია თუ არა მსჯელობის მსვლელობა, არამედ ის, რომ გულისხმაში ჩაგვაგდოს.

ვინაიდან რიე დუმდა, თქვენი აზრიც გვითხრითო, სთხოვეს.

— ტიფოზური ხასიათის ხურვებასთან გვაქვს საქმე, რომელსაც ბუბონები და პირის ლებინება ახლავს. რამდენიმე ბუბონი გავკვეთე და ამგვა-

რად საშუალება მომეცა გადმონთხეული სითხე სა-ანალიზოდ გადამეცა. აღმოჩენილი ბაცილა ლაბო-რატორიაში შავი ჭირის ბაცილად შეიცნეს, თუმცა სიზუსტე მოითხოვს, ისიც ითქვას, რომ ამ ბაცი-ლას ზოგიერთი სპეციფიური ცვლილებანი განუც-დია და კლასიკურ აღნერილობას არ ემთხვევა.

რიშარმა ხაზგასმით აღნიშნა, ეს გარემოება ეჭვს ბადებს და ამ ბოლო დღეებში დაწყებული ანალიზების სერიის სტატისტიკურ შედეგებს მა-ინც უნდა დაველოდოთ.

— როცა მიკრობს შეუძლია სამი დღის განმავ-ლობაში ოთხჯერ გაზარდოს ელენთის მოცულო-ბა, — თქვა რიემ მცირე დუმილის შემდეგ, — ლიმ-ფური ჯირკვლები ფორთოხლისოდენა გახადოს და ფაფისნაირი მასით აავსოს, საყოყმანო აღა-რაფერია. ინფექციის კერათა რიცხვი იზრდება. თუ სენი ასეთი ტემპით გავრცელდა და ვერ შევა-ჩერეთ, ორი თვეც არ მოუნდება, რომ ნახევარი ქალაქი იმსხვერპლოს. ამგვარად, არსებითად არც ისეთი მნიშვნელობა აქვს, რას დავარქმევთ — შავ ჭირსა თუ ხურვებას, მთავარია, შევაფერხოთ და არ მოვასპობინოთ ნახევარი ქალაქი.

რიშარი თვლიდა, საჭირო არ გახლავთ ფერე-ბის გამუქება, იქნებ სენი გადამდებიც არ არის, რაკი გარდაცვლილთა ოჯახის ნევრები საღ-სა-ლამათნი არიანო.

— მაგრამ სხვები ხომ დაიხოცნენ, — შენიშნა რიემ, — ცხადია, სენი ყველას არ ედება, თორემ ვეღარაფერი შეაკავებდა და ქალაქიც თვალის დახამხამებაში გაუკაცურდებოდა. ფერების გა-მუქებას აქ არავინ ცდილობს. გვინდა, სიფრთხი-ლის ზომებს მივმართოთ.

რიშარმა შეაჯამა სხდომის შედეგები და შეახსენა დამსწრეთ, რომ ავადმყოფობის შესაჩერებლად, თუკი თავისით არ შეჩერდა, მკაცრი პროფილაქტიკური ზომების მიღება იქნება საჭირო, რომლებიც კანონითაა გათვალისწინებული; ხოლო საამისოდ მოგვიწევს ოფიციალურად ვცნოთ, რომ შავი ჭირი მოგვადგა კარს, მაგრამ რაკი ამაში მთლად დარწმუნებული არ ვართ, ჯერ კიდევ დაფიქრება გვმართებსო.

— საკითხავი ის კი არ არის, — მიუგო რიემ, — მკაცრია თუ არა კანონით გათვალისწინებული ლონისძიებანი, არამედ ის, თუ რამდენად აუცილებელია მათი გამოყენება იმისთვის, რომ ნახევარი ქალაქი სიკვდილს გამოვტაცოთ კლანჭებიდან. დანარჩენი ადმინისტრაციის საქმეა. და შემთხვევითი არაა, რომ სწორედ ამგვარი საკითხების მოსავარებლად ნიშნავს ჩვენი კანონი პრეფექტს.

— ეჭვგარეშეა, — კვერი დაუკრა პრეფექტმა, — მაგრამ ოფიციალურად უნდა აღიაროთ, ქალაქში შავი ჭირი მძვინვარებსო.

— ჩვენ რომც არ ვაღიაროთ, — უთხრა რიემ, — ის მაინც განადგურებით ემუქრება ნახევარ ქალაქს.

რიშარი, ცოტა არ იყოს, გაგულისებული ჩაერია:

— საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენს კოლეგას სჯერა შავი ჭირის ეპიდემიის. სინდრომის მისეული აღწერილობა ამას მოწმობს.

რიემ უპასუხა, მე სინდრომი არ აღმინერია, აღვწერე ის, რაც თავად ვნახეო. ვნახე ბუბონები, ლაქები, ხურვება, რომელიც ორ დღეში სპობს ავადმყოფს. განა თქვენ, ბატონო რიშარ, ძალგიძთ საკუთარ თავზე აიღოთ პასუხისმგებლობა

და ამტკიცოთ, ეპიდემია სასტიკი პროფილაქტიკური ზომების გარეშე შეწყდებაო?

რიშარს ყოყმანი დაეტყო, მერე რიეს შეხედა და უთხრა:

— გულნრფელად მითხარით, რას ფიქრობთ, დარნმუნებული ხართ, ნამდვილად შავი ჭირია? .

— თქვენ სწორად არ სვამთ საკითხს. აქ საქმეს სიტყვა კი არ წყვეტს, არამედ — დრო.

— თქვენი აზრით, — უთხრა პრეფექტმა, — შავი ჭირიც რომ არ იყოს, მაინც უნდა მივმართოთ იმ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, რომლებიც უამიანობისთვისაა გათვალისწინებული?

— თუ მაინცდამაინც გსურთ, აზრი მათქმევინოთ, ჩემი აზრი სწორედ ეგ იქნება.

ექიმებმა მოითათბირეს და, ბოლოს, რიშარმა დაასკვნა:

— ერთი სიტყვით, ჩვენ უნდა ვიკისროთ პასუხისმგებლობა და ისე ვიმოქმედოთ, თითქოს უამიანობა მოგვდგომოდეს კარს.

ასეთ ფორმულირებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი.

— თქვენც ამ აზრისა ხართ, ძვირფასო კოლეგავ? — ჰერიტა რიშარმა რიეს.

— ფორმულირებას ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, — მიუგო რიემ, — ოლონდ ისე არ უნდა მოვიქცეთ, თითქოს ნახევარ ქალაქს სიკვდილი არ ემუქრებოდეს, თორემ მუქარა აგვიხდება.

რიე გავიდა და ყველანი გალიზიანებული დატოვა. სულ რამდენიმე წუთის შემდეგ კი შემწვარისა და შარდის სუნით აქოთებულ გარეუბანში სენისგან განაწამები ქალი, რომელსაც ბუბონებიდან სისხლი სდიოდა, შემოაჩერდა თვალებში.

თათბირის მეორე დღეს ხურვებამ კიდევ იმატა. ამ ამბავს გაზეთებშიც კი წერდნენ, მაგრამ გაკვრით, თითქოს დიდი არაფერი მომხდარიყოს. კიდევ ერთი დღის შემდეგ რიემ პატარ-პატარა თეთრი განცხადებები ნახა, რომლებიც პრეფექტურას ნაჩქარევად გაეკრა ქალაქის ყველაზე მივარდნილ კუნძულებში. ამ განცხადებებიდან კაცი ვერ გაიგებდა, ესმოდათ თუ არა ხელისუფალთ, რა მძიმე იყო შექმნილი მდგომარეობა. ლონისძიებანი არ იყო მაინცდამაინც სასტიკი. კაცი იფიქრებდა, ხელისუფლება მზად არის, ბევრი რამ ანაცვალოს საზოგადოებრივი აზრის სიმშვიდესო. განკარგულების შესავალ ნაწილში ნათქვამი იყო, რომ ორანის კომუნაში რეგისტრირებულ იქნა მომაკვდინებელი ხურვების რამდენიმე შემთხვევა, მაგრამ იმის თქმა, გადამდები გახლდათ თუ არა სენი, ჯერ ნაადრევი იყო. ეს თითო-ოროლა შემთხვევა საკმარისად ნიშანდობლივი არ არის, რომ განგაში ავტეხოთ და იმედია, მოსახლეობა შეძლებს სიმშვიდის შენარჩუნებას, მაგრამ პრეფექტმა სიფრთხილის მიზნით მაინც მიიღო რაღაც ზომები. თუკი ორანელები მათ ჯეროვნად გაიგებენ და დაუყოვნებლივ შეასრულებენ, ეპიდემიის საშიშროება თავიდან აცილებული იქნებათ. ამიტომ პრეფექტს წამითაც კი არ ეპარებოდა ეჭვი, რომ მოქალაქენი ძალ-ლონეს არ დაიშუ-

რებდნენ, რათა ერთგულად დახმარებოდნენ ქალაქის მესვეურთ.

შემდეგ განცხადებაში ლაპარაკი იყო ზოგად ლონისძიებებზე, მათ რიცხვში ვირთხებთან ბრძოლის ლონისძიებებზე, რაც მეცნიერულ საფუძველზე უნდა ჩატარებულიყო. ვირთხების დასახოცად შხამიანი აირები უნდა შეეყვანათ წყალსადინარებში და გულმოდგინე მეთვალყურეობა გაენიათ წყალმომარაგებისთვის. განცხადება ურჩევდა ორანელებს, დაეცვათ სანიმუშო სისუფთავე და ნინადადებას აძლევდა მოქალაქეებს, რომელთაც რწყილები ჰყავდათ, გამოცხადებულიყვნენ ქალაქის დისპანსერში. ამასთანავე, ოჯახები, სადაც ზემოაღნიშნული სენი თავს იჩენდა, ვალდებული იყვნენ განეცხადებინათ ეს ამბავი და დათანხმებულიყვნენ ავადმყოფთა იზოლაციაზე საავადმყოფოს საგანგებოდ გამოყოფილ პალატებში. ნათქვამი იყო ისიც, რომ ეს პალატები უზრუნველყოფილნი იყო ყოველივეთი, რათა მინიმალური დროის განმავლობაში ემკურნალათ ავადმყოფისთვის და ყოველნაირად ცდილიყვნენ მის გადარჩენას. რამდენიმე პუნქტი აღნიშნავდა სნეულის ოთახისა და გამოყენებული ტრანსპორტის დეზინფექციის აუცილებლობას. საერთოდ კი აბლობლებს ურჩევდნენ, სანიტარულ ზედამხედველობაზე უარი არ ეთქვათ.

ექიმმა რიემ მსწრაფლ აქცია ზურგი განცხადებას და შინისკენ გაემართა. უოზეფ გრანმა, კაბინეტში რომ ელოდა, ხელები აიქნია და რაღაცის თქმა დააპირა.

— ვიცი, ვიცი, — უთხრა რიემ, — ციფრები მატულობს.

ნინადლეს ქალაქში ათამდე ავადმყოფი გარდაიცვალა. ექიმმა უთხრა გრანს, ამ საღამოს კოტართან უნდა მივიდე და შეიძლება თქვენც გნახოთო.

— კარგი რამ განგიზრახავთ, — უთხრა გრანმა, — თქვენი ნახვა ნამდვილად არგებს, ძალიან შეცვლილი მეჩვენება.

— რა მხრივ?

— თავაზიანი გახდა.

— ნინათ არ ყოფილა?

გრანი შეყოყმანდა. იმის თქმა არ შეეძლო, თითქოს კოტარი უზრდელი ყოფილიყოს, ეს გამოთქმა მართებული არ იქნებოდა. კოტარი ერთობ უკარება და ჩუმი ადამიანი იყო, გარეულ ტახს მოჰვედა. ოთახი, უბრალო რესტორანი და საკმაოდ საიდუმლოებით მოცული გასეირნება — აი, ამით გახლდათ შემოფარგლული მთელი მისი არსებობა. ოფიციალურად იგი ღვინისა და ლიკიორის ფირმის წარმომადგენელი იყო. ხანდახან ორი-სამი კაცი მოსდიოდა, რომლებიც, ეტყობა, მისი კლიენტები იყვნენ. ხანგამოშვებით, საღამოობით კინოში უყვარდა შესვლა, რომელიც მისი სახლის წინ იყო. გრანმა იმასაც კი მიაქცია ყურადღება, რომ კოტარს, როგორც ჩანს, განგსტერული ფილმები იტაცებდა. მუდამ ეულად დადიოდა და ყველას მიმართ უნდობლობას იჩენდა.

გრანის თქმით ამას სულ ბოლო მოედო.

— არ ვიცი, როგორ ვთქვა, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს ადამიანებთან შერიგებას ცდილობს, თითქოს ყველა უნდა გადაიბიროსო. ხშირად მელაპარაკება, მთავაზობს ერთად გასეირნებას და მეც ყოველთვის უარს ვერ

ვეუბნები. თუმცა, კაცმა რომ თქვას, მეც დამა-ინტერესა, აკი ბოლოს და ბოლოს, სიკვდილს გა-მოვტაცე ხელიდან.

რაც თვითმევლელობა სცადა, კოტართან ალა-რავინ მისულა. ქუჩაში, ნოქრებთან, ყველგან სიმ-პათიას დაეძებდა. არავის არასდროს ამდენი გუ-ლითადობა არ გამოუჩენია მედუქნებთან ლაპა-რაკის დროს, არავის ასეთი ინტერესით არ მოუს-მენია თამბაქოს გამყიდველი ქალისთვის.

— ეს ქალი, — დასძინა გრანმა, — ნამდვილი ას-პიტია. კოტარს ეს რომ ვუთხარი, მიპასუხა, ცდე-ბით, მასაც აქვს კარგი თვისებები, ოლონდ მათი ამოცნობაა საჭიროო.

და, ბოლოს, კოტარმა რამდენჯერმე დაპატი-უა გრანი ქალაქის ძვირფას რესტორნებსა და კა-ფეებში. ეტყობა, იქაც დაუწყია სიარული.

— აქ ჩინებულად გრძნობთ თავს, — უთქვამს გრანისთვის, — თან სასიამოვნო გარემოცვაშიც ხართ.

გრანმა შენიშნა, რომ მოსამსახურე პერსონა-ლი მეტად თავაზიანად ექცეოდა ღვინის ფირმის ნარმომადგენელს და ამის მიზეზიც ამოიცნო, რო-დესაც ნახა, რა ბევრს უტოვებდა მათ კოტარი „გადასაკრავად“. ჩანდა, რომ ნასიამოვნები იყო ამ ფასად ნაყიდი თავაზიანობით. ერთხელ, რო-დესაც მეტრდოტელმა კარამდე მიაცილა და პალ-ტოს ჩაცმაშიც უშველა, კოტარმა ასე უთხრა გრანს:

— კარგი კაცია, შეიძლება დამიმოწმოს.

— რა უნდა დაგიმოწმოთ?

კოტარი შეყოყმანდა:

— რომ ცუდი ადამიანი არ ვარ.

ისიც უნდა ითქვას, რომ გუნება სწრაფად ეც-  
ვლებოდა. ერთხელ, როდესაც მედუქნე სათანა-  
დო პატივით არ მოექცა, საშინლად გაბრაზებუ-  
ლი დაბრუნდა სახლში:

— არამზადა! ეგეც სხვებს არ აჰყოლია?! — გა-  
იძახოდა გამნარებული.

— ვინ სხვებს?

— ყველა დანარჩენს.

გრანი საყურადღებო სცენასაც შეესწრო თამ-  
ბაქოს ფარდულში. გაცხოველებულ საუბარში  
თამბაქოთი მოვაჭრე ქალმა უცბად რატომლაც  
სავაჭრო კანტორის ერთი ახალგაზრდა მოხელე  
ახსენა, რომელსაც პლაუზე არაბი მოეკლა და და-  
ეპატიმრებინათ. ალჟირში იმხანად ყველას ამ  
მევლელობის ამბავი ეკერა პირზე.

— ეს ოხრები რომ სულ ერთიანად ციხეში ჩა-  
ყარო, — თქვა ქალმა, — პატიოსანი ხალხი სულს  
მოითქვამდა...

მაგრამ სიტყვა პირზე შეაშრა, კოტარის უე-  
ცარი აღშფოთება რომ ნახა. კოტარი დუქნიდან  
გავარდა ისე, რომ ბოდიშიც არ მოუხდია. გრანი  
და გამყიდველი ქალი შეცბუნებულები დარჩნენ.

შემდეგში გრანმა კოტარის ხასიათის სხვა  
ცვლილებებსაც მიაპყრო ყურადღება. კოტარი  
თავისი დღე და მოსწრება ლიბელარული შეხედუ-  
ლებების კაცი იყო. ამის დამადასტურებელი გახ-  
.ლდათ მისი ამორჩეული ფრაზა: „სუსტს ძლიერ-  
თან რა გასვლია“. მაგრამ ეს ერთი ხანია, მხოლოდ  
ორანის მემარჯვენეთა გაზეთს ყიდულობდა და  
უნებურად აზრი დაგებადებოდათ, ასე ყველას  
დასანახად განზრახ კითხულობს საზოგადოებ-  
რივ ადგილებშიო. ლოგინიდან სულ რამდენიმე

დღის წამომდგარი იყო, რომ ფოსტაში მიმავალ გრანს სთხოვა: აი, ეს ასი ფრანკი ჩემს დას გაუგზავნეთო (ფულს ყოველთვიურად უგზავნიდათურმე). მაგრამ როდესაც გრანმა წასვლა დაპირა, შეაჩერა:

— ორასი ფრანკი გაუგზავნეთ. გაოცდება და ძალიან გაუხარდება კიდეც. ალბათ ფიქრობს, სულ დამივინყაო, სინამდვილეში კი ძალიან მიყვარს.

ერთხელაც ყურადსალები ბაასი გააჩალეს. აი, მაშინ გრანი იძულებული გახდა, თავისი საიდუმლო გაემხილა, რაკი კოტარი ჩააცივდა, საღამოობით რას საქმიანობთო.

— მაშ, წიგნს წერთ? — ჰკითხა კოტარმა.

— ასე ვთქვათ, მაგრამ საქმე უფრო რთულადაა, ვიდრე თქვენ ფიქრობთ!

— აჟ! — შესძახა კოტარმა, — მეც მინდა მაგ საქმეს მოვკიდო ხელი!

გრანს გაევირვება დაეტყო და კოტარმა წაიბურტყუნა, ხელოვანისთვის, როგორც ჩანს, ბევრი რამ გაიოლებულიაო.

— რატომ? — ჰკითხა გრანმა.

— თუნდაც იმიტომ, რომ ხელოვანს მეტი უფლებები აქვს, ვიდრე სხვას. ეს ყველამ იცის. მას მეტი ეპატიება.

— მე მგონი, — უთხრა რიემ გრანს იმ დილით, როცა განცხადებები გამოაკრეს, — ვირთხების ამბავმა თავგზა აუბნია კოტარს, ისევე, როგორც მრავალ სხვას.

— არა მგონია, ექიმო, და თუ ჩემი აზრი გინდათ გაიგოთ...

ფანჯრების ქვეშ დერატიზაციის სააგენტოს მანქანამ ჩაიხრიგინა. რიემ მოიცადა, სანამ კვლავ

სიჩუმე ჩამოვარდებოდა და შემდეგ გამოჰკითხა აზრი. გრანი სერიოზული გამომეტყველებით შესცეროდა:

— ამ კაცს, — თქვა მან, — რაღაც ჰქენჯნის.

ექიმმა მხრები აიჩეჩა. პოლიციის კომისრის თქმისა არ იყოს, სხვა თავში საცემი საქმეც ბევრი ჰქონდა.

ნაშუადლევს რიე ეთათბირა კასტელს. გამოგზავნილი შრატი ჯერ არსად ჩანდა.

— თუმცა გამოგვადგებოდა კი? — იკითხა რიემ, — ეს ბაცილა უცნაურია.

— ო! — შეესიტყვა კასტელი, — მე მაგ აზრის არ ვარ. ამ ბაცილებს მუდამ თავისებური სახე აქვთ, მაგრამ არსებითად იგივენი არიან.

— თქვენ მხოლოდ ვარაუდს გამოთქვამთ. სინამდვილეში კი არაფერი ვიცით.

— ცხადია, ვვარაუდობ. მაგრამ სხვებიც ჩემს დღეში არიან.

ექიმი რიე თანდათან უფრო მეტად გრძნობდა იმ თავბრუსხვევას, რომელიც ყოველთვის დარევდა ხელს, როდესაც შავ ჭირზე იწყებდა ფიქრს. ბოლოს, საკუთარ თავს გამოუტყდა, რომ ეშინოდა. ორჯერ შევიდა ხალხით გაჭედილ კაფეში. კოტარისა არ იყოს, ისიც ადამიანურ სითბოს დაეძებდა. თავად ეს სისულელედ მიაჩნდა, მაგრამ ამ ფიქრებმა გაახსენეს, რომ ღვინის ფირმის წარმომადგენელთან უნდა შეევლო.

სალამოს რომ მიაკითხა კოტარს, იგი სასადილო ოთახის მაგიდასთან იდგა. მაგიდაზე გადაშლილი დატექტიური რომანი ედო. კითხვით ალბათ აღარ კითხულობდა, რადგან უკვე ბინდი ჩამონალილიყო, ეტყობა, ნუთით ადრე ექიმის მოს-

ვლამდე, ჩაბნელებულ ოთახში იჯდა და ფიქრებ-ში გახლდათ გართული. რიემ მოიკითხა. კოტარი დაჯდა და წაიპურტყუნა, კარგად ვარ, მაგრამ უკეთესად ვიქნებოდი, თუ თავს დამანებებდნენო. რიემ შენიშნა, კაცი მუდამ მარტო ვერ იქნებაო.

— თქვენ ვერ გამიგეთ. მე იმ ადამიანებზე მო- გახსენებთ, რომლებსაც მხოლოდ ერთი საფიქრა- ლი აქვთ — რაც შეიძლება მეტი უსიამოვნება მო- გაყენონ.

რიე დუმდა.

— ოღონდ არ იფიქროთ, თითქოს ჩემს თავზე გეუბნებოდეთ. აგერ, ამ რომანს ვკითხულობდი. აქ ნაამბობია ვიღაც უიღბლო კაცის შესახებ, რო- მელსაც ერთ მშვენიერ დილას აპატიმრებენ. ღმერთმა უწყის, რისთვის უთვალთვალებდნენ, მან კი არაფერი იცოდა. მასზე საუბრობდნენ კა- ბინეტებში, მისი სახელი ჩანერილი ჰქონდათ ბა- რათებში. თქვენ ეს სამართლიანად მიგაჩნიათ? თქვენ გვონიათ, რომ ვინმეს უფლება აქვს, ასე მო- ექცეს ადამიანს?

— გააჩნია, — უთხრა რიემ, — ერთი მხრივ, ამის უფლება მართლაც არავის აქვს. მაგრამ ეს მეო- რეხარისხოვანი ამბავია. არ შეიძლება, სულ კარ- ჩაკეტილში იჯდეთ. ხანდახან უნდა გაიაროთ.

კოტარშა გაბრაზებით უთხრა, მაგის მეტს არაფერს ვაკეთებ და თუ საჭირო იქნა, მთელი უბანი დამემონმება, ის კი არადა, უბნის გარეთაც მრავალი ნაცნობი მყავსო.

— ბ-ნ რიგოს თუ იცნობთ, არქიტექტორს? ჩე- მი მეგობარია.

ოთახში სიბნელე შესქელდა. გარეუბნის ქუჩას გამოცოცხლება დაეტყო. შვების ყრუ შეძახილი

გაისმა იმ ნუთს, როდესაც ლამპიონები აინთო. რიე აივანზე გავიდა და კოტარიც უკან მიჰყვა. ისევე, როგორც ყოველ საღამოს, ჩვენი ქალაქის მეზობელი უბნებიდან ნელა მონაქროლ ნიავს თან მოჰქონდა ხმები, შემწვარი ხორცის სუნი და თავისუფლების სასიხარულო და სურნელოვანი ბუბუნი, თანდათან რომ ავსებდა ქუჩას, სადაც ახალგაზრდობა გამოფენილიყო ურიამულით. საღამოს ბინდი, უჩინარი გემების საყვირების გამყინავი ხმა, გუგუნი ზღვისა და გუგუნი ქუჩებს მოდებული ბრბოსი – აი, ეს უამი, ოდესლაც ესოდენ საყვარელი, რიეს დღეს დამთრგუნველად მოეჩვენა ყოველივე იმის გამო, რაც უკვე იცოდა.

– შეიძლება სინათლე ავანთოთ? – შეეკითხა იგი კოტარს.

აანთეს. კოტარმა თვალები მოჭუტა კაშკაშა შუქზე და ექიმს შეხედა.

– ერთი მითხარით, ექიმო, ავად რომ გავხდე, თქვენს განყოფილებაში თუ მიმიღებთ?

– რა თქმა უნდა.

მაშინ კოტარმა იკითხა, თუ მომხდარა, რომ კლინიკაში ან საავადმყოფოში მწოლი ავადმყოფი დაეპატიმრებინოთო. რიემ მიუგო, ზოგჯერ ასეთი რამეც ხდება, მაგრამ მაშინ ავადმყოფის მდგომარეობასაც ითვალისწინებენ.

– მე, ჩემდა თავად, გენდობით, – უთხრა კოტარმა.

შემდეგ ჰკითხა, ცენტრამდე თქვენი მანქანით ხომ ვერ მიმიყვანთო. ქალაქის ცენტრში ხალხი უკვე შეთხელებულიყო და ლამპიონებიც აქა-იქლა ბუუტავდა. მაგრამ ბავშვები ჯერ კიდევ თამაშობდნენ ჭიშკრების წინ. კოტარის თხოვნით

ექიმმა მანქანა ბავშვების გუნდთან გააჩერა. ისინი კლასობანას თამაშობდნენ უივილ-ხივილით. უცებ, ერთი მათგანი, სახემოთხუპნილი ბიჭუნა, შავი, გადაგლესილი თმა უზადოდ რომ ჰქონდა გაყოფილი, რიეს მიაჩერდა ნათელი თვალებით. მისი მზერა კაცს შეაცებუნებდა, ექიმმაც თვალები დახარა. კოტარი მანქანიდან გადმოვიდა და ხელი ჩამოართვა ექიმს. ყრუ, ხრინწიანი ხმით ალაპარაკდა, ერთი-ორჯერ უკანაც მიიხედა.

— ხალხი რაღაც ეპიდემიაზე ლაპარაკობს, მართალი თუა, ექიმო?

— ხალხი, ბუნებრივია, სულ ლაპარაკობს, — მიუგო რიემ.

— სწორი ბრძანებაა. ათიოდე კაცი თუ მოკვდა, ქვეყნის აღსასრული გვგონია. მაგრამ ჩვენ ეს კი არ გვინდა!

ძრავა აღმუვლდა. რიეს სიჩქარის გადამრთველზე ედო ხელი. მან ისევ შეხედა ბავშვს, რომელიც მშვიდი და სერიოზული თვალებით მისჩერებოდა; უეცრად, ბავშვმა გაულიმა, ისე, რომ ყველა კბილი გამოუჩნდა. ექიმმა ლიმილითვე უპასუხა, შემდეგ კი კოტარს ჰკითხა:

— მაინც რა გვინდა?

კოტარი უცებ ჩაებლაუჭა მანქანის კარს და სანამ გაიქცეოდა, ცრემლნარევი, ლვარძლიანი ლიმილით შესძახა:

— მინისძვრა! თანაც მაგარი!

მინისძვრა არ მომხდარა და მეორე დღე რიემ ქალაქის ოთხსავე კუთხეში სირბილს, ავადმყოფების ოჯახებთან მოლაპარაკებასა და თვით ავადმყოფების დარწმუნებას მოანდომა. რიეს არასოდეს ასე ძნელად არ მოსჩვენებია თავისი

ხელობა. დღემდე თვითონ ავადმყოფები უმსუბუქებდნენ შრომას, რაკი მთლიანად მიენდობოდნენ ხოლმე. ახლა პირველად იგრძნო ექიმმა, რა უნდობლობით ეკიდებოდნენ, თითქოს თავიანთ სნეულებას აფარებდნენ თავს და იქიდან უცქერდნენ გაოცებული, მტრული თვალით. ექიმი ჯერ შეუჩვეველი იყო ამგვარ ბრძოლას. და როცა საღამოს ათი საათისთვის მანქანა ასთმით სნეული მოხუცის სახლთან გააჩერა, ძლივს აითრიანელი. უნდოდა, რაც შეიძლება, დიდხანს ეცქირა ბნელი ქუჩისთვის და ვარსკვლავებისთვის, რომლებიც ხან ქრებოდნენ, ხან ისევ ენთებოდნენ ბნელ ცაში. ავადმყოფი გაჯგიმული იჯდა ლოგინში. ეტყობა, უკეთ სუნთქავდა, ბარდას არჩევდა და ერთი თასიდან მეორეში ყრიდა. სახეგაბადრული შეხვდა ექიმს:

- მაშ, მართლა ქოლერაა ექიმო?
- ვინ გითხრათ?
- გაზეთში წერია, რადიოშიც გამოაცხადეს.
- არა, ქოლერა არ არის.
- მაგრად კი გააბუქეს მაგ ჭკუის კოლოფებმა, - თქვა აგზნებულმა მოხუცმა.
- თქვენც ნუ დაიჯერებთ, - უთხრა ექიმმა.

მოხუცი გასინჯა და ახლა ღარიბული სასადილო ოთახის შუაგულში იჯდა. დიახ, ეშინოდა. იცოდა, რომ სწორედ ამ გარეუბანში ხვალ დილით ათამდე ბუბონებიანი ავადმყოფი დაელოდებოდა მის მისვლას. ბუბონების გაკვეთამ მხოლოდ ორ თუ სამ შემთხვევაში მოჰვარა შვება ავადმყოფს. უმეტესობას კი ლაზარეთი ელოდა, ხოლო ექიმმა კარგად იცოდა, რას ნიშნავდა ლაზარეთი უპოვართათვის. „არ მინდა ცდები ჩაატარონ მასზე!“

— უთხრა ერთი ავადმყოფის ცოლმა. მაგრამ ცდებს არ ჩატარებდნენ, საწყალი უბრალოდ სულს განუტევებდა. ცხადზე ცხადი გახლდათ, რომ მიღებული ზომები არ იყო საქმარისი. რაც შეეხება „საგანგებოდ მოწყობილ პალატებს“, ექიმმა მშვენივრად უწყოდა, რაც იყო — სხვა ავადმყოფთაგან. სასწრაფოდ დაცლილი, ფანჯრებდაგმანული ორი ფლიგელი, რომელთაც სანიტარული კორდონი ჰქონდა შემოვლებული. თუ ეპიდემია თავისით არ შეწყდებოდა, ამგვარი ადმინისტრაციული ღონისძიებებით მას ვერ შეაჩერებდნენ.

თუმცა, საღამოს ოფიციალური ცნობები ისევ ოპტიმისტური იყო. მეორე დღეს ცნობათა სააგენტომ გადმოსცა, რომ პრეფექტურის ღონისძიებებს ხალხი მშვიდად შეხვდა და რომ უკვე შეატყობინეს ავადმყოფობის ოცდაათამდე შემთხვევა. კასტელმა რიეს დაურეკა:

- რამდენი საწოლია ფლიგელებში?
- ოთხმოცი.
- ქალაქში, ალბათ, ოცდაათზე მეტი ავადმყოფია?

— ბევრია ისეთი, საავადმყოფოში დაწლის რომ ეშინია, და კიდევ უფრო მეტი — ისეთი, ვის შესახებაც უბრალოდ ჯერ ვერ მოუსწრიათ ჩვენთვის შეტყობინება.

— დასაფლავებისას მეთვალყურეობა თუ დაანესეს?

— არა. მე რიშარს დავურეკე და ვუთხარი, ლაპარაკი კი არაა საჭირო, არამედ — გადამჭრელი ღონისძიებანი. ამ ეპიდემიის წინააღმდეგ ნამდვილი ჯებირი უნდა აღვმართოთ, ან სულაც არ ღირს ხელის გამოლება-მეთქი.

— რაო მერე?

— მიპასუხა, სათანადო რწმუნებულება არ მაქვსო. ჩემი აზრით კი, სენი სულ უფრო იმძლავრებს.

და მართლაც, სამი დღის განმავლობაში ორი-ვე ფლიგელი გაივსო. რიშარი ვარაუდობდა, ერთი სკოლა დაიკეტება და დამატებით საავადმყოფოდ ვაქცევთო. რიე შრატს ელოდა და ბუბონებს კვეთდა. კასტელმა კი თავისი ძველი წიგნები გამოქექა და საათობით იჯდა ბიბლიოთეკაში.

— ვირთხები შავმა ჭირმა ან სხვა მსგავსმა სენმა გაულიტა, — დაასკვნა მან, — მათ ათასობით რწყილი გაფანტეს ქალაქში. ეს რწყილები გეომეტრიული პროგრესიით გაავრცელებენ ინფექციას, თუ გზა დროზე არ გადავულობეთ.

რიე დუმდა.

ამ დროისთვის თითქოს ამინდიც გამოკეთდა. უკანასკნელი თავსხმის შემდეგ დარჩენილ გუბე-ებს მზე აშრობდა. მშვენიერი ლაუვარდისფერი ცა, ყვითელ სინათლეს რომ აფრქვევდა, და თვითმფრინავების გუგუნი, ცხელ ჰაერში რომ ატანდა, ხალხს უდარდელობისკენ უბიძგებდა. ამასობა-ში, ოთხ დღეში, ხურვებამ ოთხი საკვირველი ნახ-ტომი გააკეთა: პირველ დღეს თექვსმეტი კაცი დაიხოცა, მეორე დღეს — ოცდაოთხი, მესამე დღეს — ოცდარვა, მეოთხე დღეს — ოცდათორმეტი. მეოთხე დღეს გამოაცხადეს, რომ დამატები-თი საავადმყოფო იხსნებოდა საბავშვო ბალის შენობაში. ჩვენი თანამოქალაქენი, აქამდე შეშფო-თებას მოსწრებული ხუმრობით რომ ფარავდნენ, ახლა მდუმარედ მიაბიჯებდნენ ქუჩებში და ერთობ დათრგუნვილნი ჩანდნენ.

რიემ გადაწყვიტა, პრეფექტისთვის დაერეკა:

- მიღებული ზომები არ კმარა!
  - ჩემს ხელთ არის ციფრები, ისინი მართლაც შეშფოთებას იწვევენ, – უთხრა პრეფექტმა.
  - უფრო მეტიც: იმედის ნატამალსაც არ გვიტოვებენ.
  - გენერალური გუბერნატორისგან ბრძანებას გამოვითხოვ.
- რიემ კასტელს ასე ამცნო ეს ამბავი:
- ბრძანებას ითხოვენ, ნაცვლად იმისა, რომ ტვინი გაანძრიონ.
  - შრატი?
  - ამ კვირაში მივიღებთ უთუოდ.

პრეფექტურამ რიშარის პირით დაავალა რიეს, კოლონიის დედაქალაქში გასაგზავნად ანგარიში შეედგინა, რათა იქიდან ბრძანებები გამოეთხოვათ. რიემ ანგარიშს სენის კლინიკური აღნერილობა და ციფრები დაურთო. იმავე დღეს ორმოცამდე მკვდარი აღრიცხეს. პრეფექტმა გადაწყვიტა, საკუთარი პასუხისმგებლობით მეორე დღიდანვე უფრო მკაცრი ღონისძიებები გაეტარებინა. მოქალაქეებს უნინდებურად ევალებოდათ, ეცნობებინათ ავადმყოფობის ყველა შემთხვევა. ავადმყოფები, როგორც დაწესებული იყო, ლაზარეთში უნდა გადაეყვანათ, მათ სახლში დეზინფექცია გაეკეთებინათ და დაეკეტათ, ახლობლები კი უშიშროების მიზნით კარანტინში მოეთავსებინათ. დასაფლავება ეწყობოდა ქალაქის ხარჯზე, იმგვარ პირობებში, რომელთა აღნერილობასაც შემდეგში ნახავთ. ერთი დღის შემდეგ თვითმფრინავით შრატიც ჩამოიტანეს. ავადმყოფებს კი ეყოფოდათ, მაგრამ არასაკმარისი იქნებოდა, თუკი ეპიდემია გავრცელდებოდა. რიემ

უდეპეშა და პასუხად შეატყობინეს, საწყობში მეტი მარაგი არ აღმოჩნდა და ახლა ახალ პარტიას ამზადებენო.

ამასობაში ქალაქის შემოგარენიდან გაზაფხული ენვია ბაზრებს. ათასობით ვარდი ჭკნებოდა ტროტუარების გაყოლებით ჩარიგებულ კალათებში და ვარდის საამო სურნელი ტრიალებდა მთელ ქალაქში. გარეგნულად არაფერი შეცვლილა. პიკის საათებში ტრამვაიები უწინდებულად გაჭედილი იყო, ხოლო დანარჩენი დღის განმავლობაში დაცარიელებული და ჭუჭყიანი დადიოდა. ტარუ აკვირდებოდა ჩია მოხუცს, მოხუცი კი კიდევ აფურთხებდა კატებს. გრანი ყოველ საღამოს უბრუნდებოდა თავის საიდუმლო საქმიანობას. კოტარი ძველებურად ირჯებოდა, ხოლო გამომძიებელი ბ-ნი ოტონი, თავის შინაურ სამხეცეს წვრთნიდა. ასთმიანი ბერიკაცი ბარდას არჩევდა, უურნალისტ რამბერისთვის კი ბევრჯერ მოუკრავთ თვალი, როცა იგი დამშვიდებული, ცნობისმოყვარე სახით მიჰყვებოდა ქუჩებს. საღამოობით იგივე ბრბო ავსებდა ქუჩებს და კინოთეატრების წინ რიგი დგებოდა. ისიცაა, რომ სენმა თითქოს უკან დაიხია და რამდენიმე დღის განმავლობაში სულ ათიოდე მიცვალებული აღნუსხეს. შემდეგ ისევ ელვის სისწრაფით გავრცელდა. იმ დღეს, როდესაც გარდაცვლილთა რიცხვი კვლავ ოცდაათამდე გაიზარდა, ბერნარ რიემ რამდენჯერმე გადაიკითხა ოფიციალური დეპეშა, რომელიც პრეფექტმა გადასცა და თან უთხრა: „შეშინდნენ“. დეპეშაში ნათქვამი იყო: „დაკეტეთ ქალაქი. გამოაცხადეთ უამიანობა“.

შეიძლება ითქვას, რომ ამ წუთიდან მოყოლებული შავი ჭირი ჩვენს საერთო საქმედ იქცა. აქამდე, უცნაური მოვლენებით აღძრული შიშისა და გაოგნების მიუხედავად, არც ერთი ჩვენი მოქალაქე თავის ადგილს არ მოშორებია და შეძლებისდაგვარად უნინდებურად საქმიანობდა. ცხადია, ამგვარადვე უნდა გაგრძელებულიყო. მაგრამ რაუამსაც ჩაკეტეს ქალაქის კარი, ყველამ, და მათ შორის მთხოვნელმაც, შენიშნა, რომ ერთსა და იმავე ხაფანგში გაბმულიყვნენ და როგორლაც უნდა შერიგებოდნენ ამ გარემოებას. წარმოიდგინეთ, რომ პირადული გრძნობაც კი, რომელსაც საყვარელ არსებასთან განშორება იწვევს, პირველი დღეებიდანვე უცებ მთელი მოსახლეობის საერთო განცდად გადაიქცა და შიშთან ერთად ამ ხანგრძლივი გადასახლების მთავარი სატანჯველი გახდა.

და მართლაც, ერთ-ერთი ყველაზე უფრო ყურადსალები შედეგი, რაც ჩვენი ქალაქის დახურულ ქალაქად გამოცხადებას მოჰყვა, გახლდათ ადამიანების მოულოდნელი განშორება, რომლებიც საამისოდ არ იყვნენ მზად. დედებსა და შვილებს, მეუღლებს, საყვარლებს ეგონათ, რომ დროებით იყრებოდნენ, როცა სადგურის ბაქანზე გადაკოცნეს და თითო-ოროლა სიტყვით დაარიგეს ერთმანეთი იმ რწმენით, რამდენიმე დღის ან კვირის თავზე ისევ შევხვდებით. სულელური

გულუბრყვილობის ქსელში გაბმულნი თვლიდნენ, ეს ჩვეულებრივი განშორებააო, და ისევ ყოველდღიურ საზრუნავს მიუბრუნდნენ, მაგრამ უეცრად მიხვდნენ, რომ ერთმანეთს ველარ ნახავდნენ, ველარ დაელაპარაკებოდნენ და ამას აღარაფერი ეშველებოდა. ვინაიდან ქალაქი არსებითად პრეფექტის დადგენილების გამოქვეყნებამდე რამდენიმე საათით ადრე ჩაიკეტა და, ცხადია, შეუძლებელი გახლდათ ყველა კერძო შემთხვევის გათვალისწინება. შეიძლება ითქვას, ამ ვერაგული სენის პირველი შედეგი ის იყო, რომ მან აიძულა ჩვენი თანამოქალაქენი ისე ემოქმედათ, თითქოსდა პირადი გრძნობები არ გააჩნდათ. იმ დღეს, როდესაც დადგენილება ძალაში შევიდა, პრეფექტურას მყისვე აუარებელი მთხოვნელი მიაწყდა. ხალხი ტელეფონით რეკავდა ან უშუალოდ მოხელეებს მიმართავდა ათასგვარი ყურადსალები და შესანყნარებელი მიზეზით, რომელთა განხილვა ახლა არ ეგებოდა. სიმართლე თუ გნებავთ, მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ გავერკვიეთ, რომ ჩვენი მდგომარეობა არავითარ კომპრომისს არ ითმენდა და ისეთ სიჭყვებს, როგორიცაა: „მოვილაპარაკოთ“, „შემენიეთ“, „გამონაკლისის სახით“, აზრი აღარ ჰქონდა.

წერილის მიწერის ესოდენ პატარა სიამოვნებაზეც კი უარი გვეთქვა. ერთი მხრივ, ქალაქს გარე სამყაროსთან ჩვეულებრივი ურთიერთობების გზები მოესპო, ხოლო, მეორე მხრივ, ახალი დადგენილებით მიწერ-მოწერა აიკრძალა, რათა წერილებს სენი არ გაევრცელებინა. დასაწყისში რამდენიმე წარჩინებულმა პირმა მოახერხა ჩუმად მოლაპარაკებოდა ქალაქის გუშაგებს და ისინი წერილების ქალაქიდან გაგზავნაზე დაეყოლიებინა.

ოლონდ ეს მოხდა ეპიდემიის პირველ დღეებში, როდესაც გუშაგები ჯერ კიდევ ბუნებრივად თვლიდნენ თანაგრძნობასა და შეცოდებას. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, იმავე გუშაგებმა, როდესაც დარწმუნდნენ, მდგომარეობა სახუმარო არაა, აღარ იყის-რეს ეს სახითათო საქმე. დასაწყისში ნებადართული იყო საქალაქთაშორისო ტელეფონით სარგებლობა, მაგრამ ამას ტელეფონების კაბინებთან ისეთი რია-რია და ხაზების ისეთი გადატვირთვა მოჰყვა, რომ რამდენიმე დღით ყოველგვარი საუბარი აიკრძალა, ხოლო შემდგომში სასტიკად შეიზღუდა, ასე რომ, დარეკვა მაშინდა თუ ხერხდებოდა, როცა ვინმე კვდებოდა, იბადებოდა, ანდა ქორნილს იხდიდა. ახლა დეპეშებილა იყო ერთადერთი შვება. ერთმანეთთან გონებით, გულითა და ხორცით დაკავშირეული ადამიანები იძულებულნი იყვნენ, უნინდელი ურთიერთსიყვარული გამოესახათ ათსიტყვიანი დეპეშის მთავრულ ასოებში. მაგრამ გამოთქმები, რომლებიც დეპეშაში შეიძლება იხმარო კაცმა, მალე გამოილევა ხოლმე და მაშინვე ყველაფერი – ერთად გატარებული ცხოვრებისა და მტანჯველი ვნების ამბავიც – ამოინურება მზა გამოთქმების პერიოდული განმეორებით: „კარგად ვარ. ვფიქრობ შენზე. გუოცნი“.

თუმცა ზოგი ჩვენგანი წერილების წერას მაინც არ იშლიდა და ახალ-ახალ ხრიკებს იგონებდა, რომ როგორმე დაკავშირებოდა გარე სამყაროს, მაგრამ მათი მცდელობაც, ბოლოს და ბოლოს, ამაო იყო. თუ ჩვენ მიერ გამოგონილი რომელიმე ხერხი მიზანს აღნევდა, ჩვენ ამასაც ვერ შევიტყობდით ხოლმე, რადგან პასუხს არ ვიღებდით. მაშინ იძულებული ვიყავით, თავიდან შევ-

დგომოდით ყველაფერს და კვირების მანძილზე უსასრულოდ გვეწერა ერთი და იგივე წერილი, გაგვემეორებინა ერთი და იგივე ამბები, ასე რომ, გარკვეული ხნის შემდეგ ჩვენი გულის სისხლით დანამულ სიტყვებს აზრი ეკარგებოდა. ანგარიშ-მიუცემლად გადავწერდით ხოლმე წერილს და მკვდარი წინადადებების მეოხებით ვცდილობ-დით, აგვესახა ჩვენი უნუგეშო ცხოვრება. ბოლო რომ მოგველო ამ უნაყოფო და ჯიუტი მონოლო-გისთვის, კედელთან უაზრო ლაპარაკისთვის, დე-პეშების პირობით ენას ვამჯობინებდით.

თუმცა რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც აშ-კარა გახდა, რომ ქალაქიდან ვერავინ გააღწევდა, ზოგიერთს აზრად მოუვიდა, კითხვით მიემართა ქა-ლაქის ხელისუფალთათვის, მისცემდნენ თუ არა დაბრუნების ნებას იმათ, ვინც ეპიდემიამდე წავიდა ქალაქიდან. პრეფექტურაში რამდენიმე დღე იმსჯე-ლეს ამ საკითხზე და თანხმობა თქვეს, ოლონდ ისიც დასძინეს, დაბრუნებულები ვერავითარ შემთხვევა-ში ველარ გავლენ ქალაქიდან; თუმცა თავისუფლად შემოსვლის ნება კი ენიჭებათ, მაგრამ გასვლაზე ნე-ბართვა არ ექნებათო. მაინც გამოჩნდა თითო-ორო-ლა ოჯახი, რომელიც ზერელედ მოეკიდა შექმნილ მდგომარეობას, დაივიწყა ყოველგვარი სიფრთხი-ლე და მხოლოდ და მხოლოდ ახლობელთა ნახვის სურვილით ატანილმა შეუთვალა თავისიანებს, ესარგებლათ ამ შესაძლებლობით. მაგრამ მალე შა-ვი ჭირის ტყვეები მიხვდნენ, რომ ხიფათში აგდებ-დნენ ახლობელთა სიცოცხლეს და განშორებას შე-ურიგდნენ. ჭირიანობისას ერთადერთი შემთხვევა იყო, როდესაც ადამიანური გრძნობები ტანჯვა-ნა-მებით სიკვდილის შიშჩე ძლიერი გამოდგა. ბევრი

იფიქრებს, ესენი შეყვარებულები იქნებოდნენ, რომელთაც სიყვარული ერთმანეთისკენ უბიძგებდა და მოსალოდნელ ტანჯვას აღარ შეუშინდნენ, მაგრამ ესენი მრავალი წლის ჯვარდანერილი მოხუცი ექიმი კასტელი და მისი მეუღლე იყვნენ. ქალბატონი კასტელი ეპიდემიის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე გაემგზავრა მეზობელ ქალაქში. ეს იმგვარი ოჯახიც არ იყო, საზოგადოებისთვის სამაგალითო ცოლქმრული ბედნიერების ნიმუშად რომ ქცეულა. მთხოვობელს იმის თქმაც კი შეუძლია, რომ ცოლ-ქმარმა ამ დრომდე დაბეჯითებით არც კი იცოდა, კმაყოფილი იყო თუ არა თავისი ხვედრის. მაგრამ ამ უეცარმა და ხანგრძლივმა განშორებამ ორთავე დაარწმუნა, რომ არ შეეძლოთ უერთმანეთოდ ცხოვრება და ამ ერთბაშად აღძრული ჭეშმარიტების ნინაშე შავი ჭირი რაღა სათვალავში ჩასაგდები გახლდათ.

ეს გამონაკლისი იყო. უმეტეს შემთხვევაში კი ყველა თვლიდა, რომ განშორებას მხოლოდ ეპიდემიასთან ერთად უნდა მოღებოდა ბოლო. გრძნობა, რომელიც საფუძვლად ედო ჩვენს ცხოვრებას და ჩვენი ვარაუდით კარგადაც ვიცნობდით (ორანელებს ხომ, როგორც უკვე ითქვა, მარტივი გრძნობები ამოძრავებთ), ახალ იერს იღებდა. ქმრები და საყვარლები, რომლებიც უნინ სავსებით ენდობოდნენ თავიანთ ცხოვრების თანამგზავრებს, ეჭვიანობას იწყებდნენ. კაცებს, სიყვარულში ზედაპირულობა რომ სჩვეოდათ, გული მხოლოდ ერთადერთისთვის უფეთქავდათ. ვაჟები, ერთ ჭერქვეშ რომ ცხოვრობდნენ დედასთან და ლამის ზედაც აღარ უყურებდნენ, ახლა შიშითა და სინანულით იხსენებდნენ ყოველ ნაოჭს,

მის სახეს რომ ღარავდა. ამ უსაშველო, სასტიკმა გაყრამ, რომელსაც კაცმა არ იცოდა, ბოლო როდის მოელებოდა, დაგვაბნია, დაგვიკარგა ცხოველი მო- გონებებისადმი წინააღმდეგობის განევისძალა, მო- გონებებისა, ჯერ კიდევ ასეთი ახლობელი, მაგრამ თანაც ერთობ შორეული რომ იყო და მარტო გარ დასულ დღეთა ხსოვნითლა ვსულდგმულობდით. არსებითად ორმაგ ტანჯვას განვიცდიდით: ცალკე საკუთარი სატანჯველი გვტანჯვავდა და ცალკე იმა- თი, ვინც აქ არ იყო და უჩვენობით სტკიოდა გული, შვილი იქნებოდა, მეუღლე თუ საყვარელი.

სხვა ვითარებაში ჩვენი თანამოქალაქენი საქ- მიან ცხოვრებას მიეძალებოდნენ და გამოსავალს მით პპოვებენ. მაგრამ შავი ჭირი მათ უქმად ტო- ვებდა, აიძულებდა, უაზროდ ებოდიალათ პირ- ქუშსა და განწირულ ქალაქში. ამას თან ერთვო- და მოგონებათა მაცდური თამაში, ვინაიდან უმიზნო ხეტიალისას ერთსა და იმავე ქუჩებში უხ- დებოდათ გავლა და ასეთ პატარა ქალაქში, უმე- ტეს შემთხვევაში, ეს სწორედ ის ქუჩები გახლ- დათ, სადაც ადრე დასეირნობდნენ ადამიანთან, ახლა გვერდში რომ აღარ ჰყავდათ.

ამგვარად, უამიანობამ, უპირველეს ყოვლისა, გადასახლება მოუტანა ჩვენს თანამოქალაქეებს. და მთხრობელი დარწმუნებულია, რომ უფლება აქვს, ყველას სახელით წეროს იმის შესახებ, რაც თვითონ განიცადა მაშინ, რაკი ორანელთა უმრავლესობაც იმასვე განიცდიდა. დიახ, ნამდვილად გადასახლების გრძნობა იყო ის ჭრილობა, რომე- ლიც არ შუშდებოდა, ის უცნაური შფოთვა, უგუ- ნური სურვილი, უკან დაგვებრუნებინა ანდა პირი- ქით, დაგვეჩარებინა მეხსიერების მწველ ისრე-

ბად ქცეული დროის სრბოლა. თუ ხანდახან ნებაზე მივუშვებდით წარმოსახვას და თავს ვიქცევდით ვიღაცის დაბრუნების მაუწყებელი ზარის ან დე-რეფანში ნაცნობი ფეხის ხმის მოლოდინით, თუ ასეთ წუთებში თანახმა ვიყავით, დაგვევიწყებინა, რომ მატარებლები აღარ დადიოდნენ და ვცდი-ლობდით, სწრაფად მოვეგვარებინა საქმეები, რომ შინ ვყოფილიყავით იმ საათებში, როდესაც საღა-მოს ექსპრესით ჩამოსული მგზავრი შეძლებდა ჩვენს უბნამდე მოღწევას – ცხადია, ასეთი თამაში დიდხანს ვერ გასტანდა. აუცილებლად დგებოდა წუთი, როცა ჩვენს შეგნებამდე აღწევდა, რომ მა-ტარებელი არ ჩამოვიდოდა. მაშინ ჩვენთვის ცხა-დი ხდებოდა, რომ ხანგრძლივი განშორება გვენე-რა და მდგომარეობას უნდა შევრიგებოდით. ჰოდა, ვრნმუნდებოდით, რომ ნამდვილი პატიმრები ვიყა-ვით და მარტო წარსულზე მოგონებებით უნდა გვეც-ხოვრა. და თუ ვინმე ჩვენთაგანი ცდილობდა, მომა-ვალზე ეფიქრა, მალე, რამდენადაც შესაძლებელია, უარი უნდა ეთქვა ოცნებებზე, რადგანაც ისინი მნა-რედ უკოდავდნენ გულს, როგორც საერთოდ ყვე-ლა ადამიანს, ვინც წარმოსახვას მიენდობა.

კერძოდ, ყველა ჩვენმა თანამოქალაქემ მა-ლე მოიშალა ჩვეულება, რომელიც იმაში მდგო-მარეობდა – ნამდაუნუმ, ხალხშიც კი გამოეთვა-ლათ, განშორება რამდენ ხანს გასტანდა. რატომ? საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენი ყველაზე გამოუს-წორებელი პესიმისტები ვარაუდობდნენ, უამია-ნობა ნახევარი წელი გაგრძელდებაო და წინას-ნარვე იგემეს კიდეც მომავალი თვეების მთელი სიმწარე. ისინი დიდი ძალდატანების ფასად ცდი-ლობდნენ ვაჟუაცურად გადაეტანათ თავს დამ-

ტყდარი განსაცდელი, უკანასკნელ ძალ-ღონეს იკრებდნენ, რომ სულით არ დაცემულიყვნენ, რომ ლირსეულად გაეძლოთ ტანჯვა-წამებისთვის, რომელსაც ბოლო არ უჩანდა. მაგრამ ზოგჯერ მეგობართან შეხვედრა, გაზეთში გამოქვეყნებული ცნობა, წამიერი ეჭვი ან უეცარი თვალის ახელა-აფიქრებინებდათ, რომ ბოლოს და ბოლოს, არავითარი საფუძველი არ ჰქონდათ იმედისა, სენი ექვს თვეს გასტანსო, და რომ შეიძლებოდა იგი წელი-წადსაც გაგრძელებულიყო და უფრო დადგანსაც.

ამგვარ წუთებში მათ ვაჟყაცობა, ნებისყოფა და მოთმინება ღალატობდათ და ეჩვენებოდათ, რომ ველარასოდეს ამოაღნევდნენ უფსერულიდან, სადაც ჩაცვენილიყვნენ, ამიტომაც ცდილობდნენ, არასოდეს ეფიქრათ, როდის დადგებოდა გათავისუფლების დღე, აღარ მიეპყროთ მზერა მომავლისთვის და, თუ შეიძლება ასე ითქვას, მუდამ თავდახრით ევლოთ. მაგრამ ცხადია, ამგვარ სიფრთხილეს, ასეთ ხრიკებს ტკივილის გასაყუჩებლად, ფარ-ხმლის დაყრას და ბრძოლისთვის თავის არიდებას მეტად მცირე შვება მოჰქონდა. რაკი არასდიდებით არ სურდათ მწუხარებას მინებებოდნენ, კარგავდნენ იმ წუთებსაც, როდესაც უამიანობის დავიწყება და მომავალი შეხვედრის სიხარულით დატებობა შეეძლოთ. მოკლედ, ამ მწვერვალებსა და უფსერულებს შორის შუა გზაზე დარჩენილი, კი არ ცხოვრობდნენ, აჩრდილებივით მიცურავდნენ ნებაზე მიშვებული დღეებისა და უნაყოფო მოგონებების ტალღას აყოლილი, აჩრდილებივით, რომლებიც მაშინდა იქცევიან ხორცულებებს ადამიანებად, თუკი თავიანთი ნებით გადგამენ ფესვებს საკუთარი მწუხარების ნიადაგში.

ერთი სიტყვით, მათ განიცადეს ის სასტიკი ტან-ჯვა-წამება, რომელიც თან სდევს ყველა პატიმარ-სა და ყველა დევნილს და რაც სხვა არ არის რა, თუ არ უმაქნისად ქცეული მეხსიერებით სიცოცხლე. წარსულსაც კი, რომელზედაც გაუთავებლად ფიქ-რობდნენ, სინანულის გემო სდევდა თან, რადგან მათ სურდათ ამ წარსულისთვის მიემატებინათ ყო-ველივე ის, რაც სანანებლად ჰქონდათ დარჩენი-ლი, რისი გაეტებაც ვერ მოასწრეს ან რაც ვერ გა-ნიცადეს იმ ადამიანთან ერთად, რომელსაც ელოდ-ნენ. თავიანთი იმუამინდელი მდგომარეობა აღარ აქმაყოფილებდათ. ანმყოთი შეშფოთებულნი, წარ-სულის მოძულენი და უმომავლოდ შთენილნი – ჩვენ ვგავდით იმათ, ვისაც კაცთ მართლმსაჯულე-ბა და სიძულვილი საკანში გამოამწყვდევს ხოლმე. დასასრულ, შეიძლება ითქვას, რომ ამ აუტანელი არდადეგებიდან თავის დაღნევის ერთადერთი გზა იყო საკუთარი წარმოსახვის შემწეობით მატარებ-ლების კვლავ ამოძრავება და ფუჭი საათების შევ-სება იმის მოლოდინით, სადაცაა ზარს დარეკავე-ნო – ზარს, რომელიც ჯიუტად დუმდა.

მაგრამ ეს თუ გადასახლება იყო, მეტი წილი გადასახლებულებისა საკუთარ სახლში რჩებოდა. და თუმცა მთხოობელი მხოლოდ ერთ, ყველა ჩვენთაგანისთვის საერთო გადასახლებაში იყო, არ უნდა დაევინებინა ისინი, ვისთვისაც, უურნა-ლისტ რამბერის ან სხვათა მსგავსად, განშორე-ბის ტკივილი კიდევ უფრო გამძაფრებულიყო იმის გამო, რომ შავმა ჭირმა უცხო ქვეყანაში მოგზაუ-რობისას მოუსწროთ, მონყვეტილნი იყვნენ ახ-ლობლებს, რომელთაც ვერ დაუბრუნდებოდნენ და მშობლიურ ქვეყანასაც. ამ საერთო გადასახ-

ლებას ისინი კიდევ უფრო მეტად შეიგრძნობდნენ, რადგან გარდა იმისა, რომ დროის სრბოლა მათაც სხვებსავით წუხილსა და შიშს ჰგვრიდა, ისინი სხვა ადგილზე მიჯაჭვულნიც აღმოჩნდნენ და განუწყვეტლივ ეხეთქებოდნენ კედლებს, რომლებიც ამ ჭირიან ქალაქსა და დაკარგულ სამშობლოს შორის აღმართულიყო. ცხადია, სწორედ ესენი დაბორიალებდნენ დილიდან შებინდებამდე მტვრიან ქალაქში, მდუმარედ იგონებდნენ თავიანთი ქვეყნის საღამოებსა და განთიადებს, რომლებიც მარტო მათ ახსოვდათ. ამით კიდევ უფრო ამძაფრებდნენ თავიანთ უბედურებას. მერცხლის გაფრენა, ცვარი მზის ჩასვლისას, რაღაც უცნაური ლაქა, რომელსაც მზის სხივი ტოვებდა უკაცურ ქუჩაში – ყოველივე ეს მათ თვალში იდუმალ და ავის მომასწავებელ ნიშნად მოჩანდა. თვალს ხუჭავდნენ, რათა არ დაენახათ გარე სამყარო, რომელიც ოდითგანვე მკურნალია ყველა უბედურებისა, და ჯიუტად ელოლიავებოდნენ თავიანთ ზედმეტად რეალურ ქიმერებს, მთელი ძალ-ღონით ეჭიდებოდნენ ნაცნობი მიწის ხატებს, სადაც იქაური შუქი, თითო-ოროლა გორაკი, საყვარელი ხე თუ ქალის სახე ქმნიდა იმ განსაკუთრებულ გარემოს, რომელსაც ვერაფერი შეცვლის.

დაბოლოს, თუ შეყვარებულებზე შევჩერდებით, რომლებიც მეტად საინტერესონი არიან და რომელთა ამბავიც მთხოვნელს სხვაზე უკეთ მოეხსენება, მათ სხვა ნაღველიც შემოსწოლოდათ გულზე, რომელშიც ჭარბად იყო გარეული სინდისის ქენჯნა. შექმნილი ვითარება ნებას აძლევდათ განეხილათ თავიანთი გრძნობა რაღაცნაირი ფიცხი ობიექტურობით. ასეთ შემთხვევაში იშ-

ვიათად თუ მოხდებოდა, რომ საკუთარი სისუსტეები არ წარმოსახვოდათ მთელი სიცხადით. ყველაზე მეტად თავს იმას საყვედურობდნენ, რომ არ ძალუძდათ ზუსტად წარმოედგინათ საყვარლის მიხრა-მოხრა და საქციელი. წუხდნენ, რომ არ იცოდნენ მათი დღის განრიგი, უგულისურობას საყვედურობდნენ თავს, რატომ დროზე არ გამოვიკითხეთო, ან რად ვიქცეოდით ისე, თითქოს არ გვესმოდა, რომ იმის ცოდნას, თუ რას აკეთებს შენი მიჯნური, სხვა სიხარული არ შეედრება. ამ წუთიდან მოყოლებული აღარ უჭირდათ, თვალი გაედევნებინათ თავიანთი სიყვარულისთვის და მისი ნაკლოვანებები შეენიშნათ. ჩვეულებრივ დროს ყველამ ცნობიერად თუ შეუცნობლად ვიცოდით, რომ არსებობდა უსაზღვრო სიყვარული, და მაინც მეტ-ნაკლები სიმშვიდით ვეგუებოდით იმ აზრს, რომ ჩვენი სიყვარული კნინი რამ გრძნობა გახლდათ. მაგრამ ადამიანის მეხსიერება უფრო მომთხოვნია. და უბედურებას, უცებ გარედან რომ დაატყდა თავს ჩვენს ქალაქს, არა მარტო დაუმსახურებელი წამება მოჰქონდა ჩვენთვის, რაზეც კიდევ შეიძლებოდა აღვშვოთებულიყავით, არამედ გვაიძულებდა გვეტანჯა საკუთარი თავი და მით უდრტვინველად შევგებებოდით ტკივილს. აი, ამ გზით აღნევდა ეპიდემია იმას, რომ არ მიეპყრო ყურადღება და დავთრები აერია ჩვენთვის.

მოკლედ, ყოველი ჩვენგანი იძულებული იყო, დღიდან ღამემდე ეცხოვრა ზეცის წინაშე მარტო დარჩენილს. ეს საყოველთაო მოკვეთილობა, რომელსაც დროთა განმავლობაში ხასიათების გამოწრთობა შეეძლო, იმხანად გვაძაბუნებდა. რაც

შეეხება ზოგიერთ ჩვენს თანამოქალაქეს, ისინი სხვა მონობის ულელქვეშ მოექცნენ და ყურმოჭრილ ყმებად გაუხდნენ დარსა და ავდარს. მათი შემყურე იფიქრებდით, რომ ახლა პირველად აქცევდნენ ყურადღებას ამინდს. როგორც კი ქვაფენილზე მზის ათინათი ათამაშდებოდა, სახეები უნათდებოდათ. წვიმიან დღეებში კი სახეცა და აზრებიც ერთნაირად ექუფრებოდათ. რამდენიმე კვირის წინ ასეთი სისუსტე არ მოერეოდათ, არც ამ უაზრო მონობის ულელს დაუდებდნენ ქედს, რადგან ქვეყნიერების პირისპირ მარტო არ იდგნენ და არსება, რომელიც მათთან ერთად ცხოვრობდა, გარკვეული აზრით სამყაროს ეფარებოდა. ამ წუთიდან მოკიდებული კი პირიქით, ზეცის ჭირვეულობის ტყვეობაში მოექცნენ, ესა იგი, უსაფუძვლოდ იტანჯებოდნენ და უსაფუძვლოდ იმედოვებდნენ.

თანაც ამ უკიდურეს სიმარტოვეში არავის შეეძლო მეზობლის იმედი ჰქონოდა. ყველა თავისი თავის ამარა დარჩა. ვინმე ჩვენგანს რომ ეცადა, სხვას განდობოდა, ან ეთქვა რამე თავისი გრძნობების შესახებ, როგორი პასუხიც არ უნდა მიეღო, უფრო ხშირად საწყენად ურჩებოდა. მაშინ იგი ამჩნევდა, რომ ისიც და მისი თანამოსაუბრეც სულ სხვადასხვა რამეზე ლაპარაკობდნენ. მათი სიტყვები მრავალი დღის ფიქრისა და წამების ნაყოფი იყო და ხატი, რომლის განდობაც მოსაუბრისთვის სურდათ, დიდი ხნის მანძილზე იშუშებოდა მოლოდინისა და გრძნობის ცეცხლზე. თანამოსაუბრეს კი ეგონა, რომ ეს ჩვეულებრივი ღელვა იყო, ბაზარზე გასაყიდად გამოტანილი ტკივილი, სტანდარტული მელანქოლია. როგორიც არ უნდა ყოფილიყო პასუხი – კეთილგანწყობილი თუ მტრული – იგი მაინც

ყალბად უღერდა და მეტი რა გზა იყო, გულლია სა-  
უბარზე უარი უნდა ეთქვათ. ისინიც კი, ვისთვისაც  
დუმილი გაუსაძლისი გამხდარიყო, იძულებული  
ხდებოდნენ, შეეთვისებინათ საბაზრო ენა, ეხმა-  
რათ პირობითი გამოთქმები, რომელთაც სხვადას-  
ხვა შემთხვევების რუბრიკაში ანდა ყოველდღიურ  
ქრონიკაში ნახავთ. ყველაზე ჭეშმარიტი ტანჯვაც  
კი გაცვეთილი სიტყვებით გამოითქმოდა. შავი ჭი-  
რის ტყვეებს მხოლოდ ამ ფასად შეეძლოთ, თავი-  
ანთი კონსიერჟის თანაგრძნობა დაემსახურებინათ  
ან თანამოსაუბრის ყურადღება მიეცყროთ.

თუმცა ყველაზე მთავარი მაინც ის გახლავთ,  
რომ რა მტანჯველიც არ უნდა ყოფილიყო ჩვენი  
შიში, რა მძიმეც არ უნდა გვჩვენებოდა ამ დაცარი-  
ელებული გულის ტარება, მაინც შეიძლება ითქვას,  
რომ უამიანობის პირველ ხანებში ასეთ დევნილებს  
ერთი უპირატესობა გააჩნდათ. და მართლაც, რო-  
ცა მოსახლეობა შიშით ძრწოდა, მათი ფიქრები  
მთლიანად იმ არსებისკენ მიისწრაფოდა, რომელ-  
საც ელოდნენ. საყოველთაო დაბნეულობაში სიყ-  
ვარულის ეგოიზმი იფარავდა მათ და თუკი ფიქ-  
რობდნენ შავ ჭირზე, მხოლოდ იმდენად, რამდენა-  
დაც ეს სენი სამუდამო განშორებით ემუქრებო-  
დათ. შუაგულ ეპიდემიაში შვება იყო სხვა საგანზე  
ფიქრი, რაც შეიძლება გულგრილობად მოგჩვენე-  
ბოდათ. სასონარკვეთა პანიკისგან იფარავდა მათ,  
თვით უბედურებაც კი სასიკეთო იყო მათვის. მა-  
გალითად, თუ ერთი მათვანი სენს გადაპყვებოდა,  
სიკვდილი ისე ნაადგებოდა თავს, რომ გონის მოსვ-  
ლასაც ვერ ასწრებდა. აჩრდილთან გრძელ საუბარს  
ბოლო ეღებოდა და მინის დიდი დუმილი ისე შთან-  
თქავდა მას, რომ თავად ვერაფერს ამჩნევდა.

სანამ ჩვენი თანამოქალაქენი ცდილობდნენ, შეგუებოდნენ ამ უეცარ განდევნას, უამიანობამ ქალაქის კარებში მცველები ჩააყენა და ორანისეუნ მომავალ გემებს გეზი აცვლევინა. იმ დღიდან, რაც ორანი დახურულ ქალაქად გამოცხადდა, არც ერთი მანქანა არ შესულა ქალაქში. გვეჩვენებოდა, თითქოს ავტომობილები უგზო-უკვლოდ დადიოდნენ ქალაქში. პორტიც უცნაური სანახავი იყო, განსაკუთრებით, თუ მაღლიდან, ბულვარიდან დახედავდით. ჩვეული გამოცოცხლება, რომლის გამოციგი ერთ-ერთ პირველ ნავსადგურად ითვლებოდა მთელ სანაპიროზე, უეცრად გაქრა. მხოლოდ ლარამდენიმე გემს თუ ნახავდით, მათაც კარანტინში მოხვედრილს. ნავსადგომთან უქმად მდგარი ამწევბი, გვერდზე გადატრიალებული ვაგონეტები, აქაიქ დახვავებული კასრები და ტომრები მოწმობდნენ იმას, რომ შავმა ჭირმა ვაჭრობაც ჩაილა.

ამ უჩვეულო სანახაობის მიუხედავად, ჩვენს თანამოქალაქეებს თითქოს უჭირდათ გაგება იმისა, რაც თავს დაატყდათ. რა თქმა უნდა, იყო ყველასთვის საერთო გრძნობები, იყო განშორება და შიში, მაგრამ ბევრი პირველ პლანზე მაინც პირად საზრუნავს აყენებდა. სენს ჯერ რეალურად არავინ აღიარებდა. უმრავლესობას ყველაზე მეტად ის აღიზიანებდა, რაც ხელს უშლიდა მათ ჩვეულებებს და მათ საქმიან ინტერესებს ენინაალმ-

დეგებოდა. მათ გულში ბრაზი, ალმუნთება ისად-გურებდა, ეს კი ისეთი გრძნობები როდია, რომ-ლებიც შეიძლება შავ ჭირს დაუპირისპირო. ყვე-ლაზე უნინ, მაგალითად, ადმინისტრაციის გაკიც-ხვა იწყეს. პრეფექტის კრიტიკას, რომელსაც გა-ზეთებიც ბანს აძლევდნენ (ხომ არ შეიძლება და-სახული ზომების შერბილება?), საკმაოდ მოუ-ლოდნელი პასუხი მოჰყვა. აქამდე არც გაზეთები და არც ცნობათა სააგენტო არ იღებდნენ ავადმ-ყოფობის ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცე-მებს. ახლა პრეფექტი ყოველდღე გადასცემდა ამ ცნობებს სააგენტოს და სთხოვდა, კვირაში ერთ-ხელ გამოექვეყნებინათ.

მაგრამ მოსახლეობამ ერთბაშად მაინც ვერ იაზრა, რა ამბავი იყო მის თავს. მართლაც, ცნობა იმის შესახებ, რომ შავი ჭირის გაჩენიდან მესამე კვირას სამას ორი კაცი გარდაიცვალა, არათერს ეუბნებოდა მათ გულსა და გონებას. თანაც ხომ შე-იძლებოდა ყველა მათგანი შავ ჭირს არ გადაჰყო-ლოდა. გარდა ამისა, ქალაქში არავინ უწყობდა, ჩვე-ულებრივ დროს კვირაში რამდენი კაცი იხოცებო-და. ქალაქში ორასი ათასი მცხოვრები იყო, იქნებ სიკვდილიანობის ეს რიცხვი ნორმალურიც გახლ-დათ. ეს ისეთი ხასიათის ცნობებია, რომელთაც არავინ აქცევს ყურადღებას, თუმცა უეჭველად ყუ-რადსალები კია. ხალხს, სიმართლე თუ გნებავთ, აკ-ლდა საიმისო ცნობები, რომ შედარება მოეხდინა. მხოლოდ მოგვიანებით, რა დაინახა, რომ სიკვდი-ლიანობამ იმატა, შეიგნო ჭეშმარიტება. მართლაც, მესამე კვირამ თან მოიტანა სამას ოცდაერთი ცხე-დარი, ხოლო მეექვსემ – სამას ორმოცდახუთი. ზრდა, როგორც ხედავთ, მრავლისმეტყველი იყო,

მაგრამ არა იმდენად, რომ ჩვენი ქალაქელები უზომოდ შეშფოთებულიყვნენ. ისინი მაინც ფიქ-რობდნენ, რაც თავს დაგვატყდა, მხოლოდ უბე-დური შემთხვევაა, მართალია, ფრიად საწყენი, მაგრამ დროებითი, ჩაივლის და გაქრებაო.

პოდა, განაგრძობდნენ ქუჩებში ხეტიალს ან არადა, მაგიდებს უსხდნენ კაფეების ტერასებზე. საერთო ჯამში მხდალები არ ეთქმოდათ, უფრო მეტს ოხუნჯობდნენ, ვიდრე ჩიოდნენ და თავი ისე ეჭირათ, თითქოს გუნებას ვერ უფუჭებდათ ეს უთუოდ წარმავალი გასაჭირი. გარეგნულად ყველა-ფერი რიგზე იყო. თუმცა თვის დამლევს, დაახლო-ებით ლოცვის კვირაში, რომელზედაც ლაპარაკი ქვემოთ იქნება, უფრო სერიოზულმა ცვლილებებ-მა გარდაქმნეს ჩვენი ქალაქის სახე. თავდაპირვე-ლად, პრეფექტმა მიიღო ზომები, რომლებიც ეხე-ბოდა ტრანსპორტის მოძრაობასა და მომარაგებას. მომარაგება ლიმიტირებული იქნა, ხოლო ბენზინის გაყიდვა – მკაცრად შეზღუდული, ელექტროენერ-გიის ეკონომიასაც კი მოითხოვდნენ. მხოლოდ აუ-ცილებელი პროდუქტები აღწევდა ორანში სახმე-ლეთო და საპარო გზით. ასე რომ, მოძრაობამ თან-დათან იკლო და, ბოლოს, თითქმის მთლად შეწყდა. ლუქსის მაღაზიები ყოველდღე იხურებოდა, სხვა-თა ვიტრინებში კი განცხადებებს აკრავდენ, ასე-თი და ასეთი საქონელი არ გვაქვსო, მაგრამ მათ კარნინ მაინც მყიდველების რიგი იდგა.

ასე უცნაურად იცვალა სახე ორანმა. ფეხით მოსიარულეთა რიცხვი გაიზარდა. იმ საათებშიც კი, როცა ქუჩა ჩვეულებრივ ცარიელია, დიდა-ლი ხალხი, იძულებით უქმად რომ იყო, რაკი მა-ღაზიები და ზოგი დაწესებულება დაიკეტა, ქუ-

ჩებსა და კაფეებს მოეფინებოდა ხოლმე. ჯერჯე-რობით ისინი უმუშევრები კი არ იყვნენ, არამედ შვებულებით დათხოვილნი. მაშინ, მეტადრე ნა-შუადლევის სამ საათზე, მოკაშკაშე ცის ქვეშ ორა-ნი ტოვებდა მაცდურ შთაბეჭდილებას მოზეიმე ქა-ლაქისა, სადაც მოძრაობაც შეაჩერეს და მაღაზი-ებიც დაკეტეს, რათა ხელი არ შეეშალათ საჯარო დემონსტრაციისთვის; ქალაქისა, რომლის მცხოვ-რებლებიც ქუჩებში გამოსულან სახალხო მხიარუ-ლებაში მონაწილეობის მისაღებად.

ბუნებრივია, კინოთეატრები სარგებლობდნენ ამ საყოველთაო შვებულებით და დიდ შემოსავალსაც იღებდნენ. მაგრამ ახალი ფილმები დეპარტამენტში აღარ მოდიოდა. მეორე კვირის დამლევს კინო-თეატრები იძულებულები გახდნენ, ერთმანეთში გა-ეცვალათ პროგრამები, მერე კი, ცოტა ხანი კიდევ რომ გამოხდა, იწყეს ერთი და იმავე ფილმების ჩვე-ნება, მაგრამ მათი შემოსავალი არ იკლებდა.

დაბოლოს, კაფეებში, როგორც ეს ხდება იმ ქა-ლაქებში, რომელთა ვაჭრობაშიც ღვინოსა და ალ-კოჰოლს პირველი ადგილი უჭირავს, სასმელების ღიდძალი მარაგი აღმოჩნდა კლიენტების დასაკ-მაყოფილებლად. ერთ-ერთი კაფეს წინ გამოაკ-რეს რეკლამა: „ღვინო მიკრობს სპობს“ – და აზ-რი იმის შესახებ, ალკოჰოლი ადამიანს ინფექცი-ური დაავადებებისგან იცავსო, ისედაც ბუნებ-რივად რომ მიაჩნდა ყველას, ამიერიდან კიდევ უფრო განმტკიცდა. ყოველლამ, დაახლოებით ორი საათისთვის, კაფეებიდან გამოგდებული ლოთები ავსებდნენ ქუჩებს და მიდამოს აყრუ-ებდნენ ხალისიანი შეძახილებით.

მაგრამ ყველა ეს ცვლილება, გარკვეული თვალ-

საზრისით, იმდენად უჩვეულო იყო და ისე სწრაფად განხორციელდა, რომ ჭირდა იმის წარმოდგენა, ყოველივე ნორმალურია და დიდხანს გასტანს. შედეგი კი ის გახლდათ, რომ პირველ პლანზე ისევ და ისევ ჩვენს პირად გრძნობებს ვაყენებდით.

ქალაქის კარის დაკეტვიდან ორი დღის შემდეგ, ექიმი რიე, საავადმყოფოდან რომ გამოვიდა, გზად კოტარს შეხვდა. კოტარს სახეზე უზომო კმაყოფილება ენერა. რიემ მიულოცა, კარგად გამოიყურებითო.

— დიახ, ჩინებულად, — უთხრა კოტარმა, — ამ წყეულმა ჭირმა, ექიმო, ჩანს, სერიოზულად მოგვკიდა ხელი.

რიემ აღიარა, ეგ ეგრეაო. კოტარმა კი ხალისით დასძინა:

— ახლა, ეტყობა, მიზეზიც აღარ აქვს საიმისო, რომ შეგვეშვას. ყველაფერი ყირამალა დადგება.

ერთხანს მხარდამხარ მიდიოდნენ. კოტარი უამბობდა, რომ მათ უბანში ერთ მსხვილ ბაყალს დიდალი სურსათი დაეგროვებინა, რათა მერე მაღალ ფასებში გაეყიდა, და რომ საწოლქვეშ უამრავი კონსერვის ქილა უნახეს, როდესაც მის საავადმყოფოში წასაყვანად მივიდნენ. „ის საავადმყოფოში მოკვდა. შავი ჭირი, მოგეხსენებათ, ვერ გაამდიდრებს ადამიანს!“ კოტარს ასე დაუსრულებლივ შეეძლო მოეყოლა ეპიდემიის ამბები, ნამდვილი თუ ტყუილი. ამბობდნენ, რომ ქალაქის ცენტრში, ერთ დილას ვიღაც კაცი გამოვარდნილა ქუჩაში, რომელსაც შავი ჭირის ნიშნები შეუნიშნავს საკუთარი თავისთვის, პირველსავე შემხვედრ ქალს მივარდნილა, გადახვევია და ყურში ჩაუძახია, შავი ჭირი მაქვსო.

— როგორც ჩანს, — ამბობდა კოტარი ისეთი გუ-

ლითადი კილოთი, რომელიც არ ეხამებოდა მის მტკიცებას, – ჩვენ ყველანი ჭკუიდან შევიშლებით, ეს უდავოა.

სწორედ იმ საღამოს იყო, რომ უოზეფ გრანმა, ბოლოს და ბოლოს, ექიმს გული გადაუშალა. ეს ასე მოხდა: მოხელემ ქალბატონ რიეს ფოტოსურათი შენიშნა საწერ მაგიდაზე და ექიმს კითხვით შეაცექერდა. რიემ უპასუხა, ჩემი ცოლი ქალაქში არ არის, სხვაგანაა წასული სამკურნალოდო. „ერთი მხრივ, ბედი ჰქონია“, – თქვა გრანმა. ექიმმა მიუგო, უეჭველად ბედია, ოღონდ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კიდევაც განიკურნებაო.

– აჟა, მესმის, – თქვა გრანმა.

და პირველად მას აქეთ, რაც რიე იცნობდა, ენანყლიანად იწყო ლაპარაკი. მართალია, საჭირო სიტყვებს კვლავ ეძებდა, მაგრამ თითქმის ყოველთვის პოულობდა, თითქოს უკვე დიდი ხანია მოფიქრებული აქვსო სათქმელი.

ძალიან ახალგაზრდას შეურთავს მასავით ახალგაზრდა მეზობლის ლარიბი გოგონა. სწორედ ამის გულისთვის მიუტოვებია სწავლა და სამსახური დაუწყია. არც უანა და არც თვითონ გრანი თავიანთ უბანს არ გასცილებიან. გრანი შინ აკითხავდა ხოლმე საცოლეს, უანას მშობლები კი გუნებაში დასცინოდნენ ამ სიტყვაძუნნსა და უგერგილო სასიძოს. უანას მამა რკინიგზელი იყო. როდესაც ისვენებდა, მუდამ ფანჯარასთან იჯდა ჩაფიქრებული; უშველებელი ტორები კალთაში ეწყო. დედა დილიდან საღამომდე ფუსფუსებდა, უანა მას ეხმარებოდა. ქალიშვილი ისეთი პანანინა იყო, რომ, როცა იგი ქუჩაზე გადადიოდა, გრანს შიშისგან სუნთქვა ეკვროდა. მანქანები ამ დროს ვეებერთელა ეჩვენებო-

და ვაუს. ერთხელ, უანა აღტაცებით შეჩერდა საშობაოდ მორთულ მაღაზიის ვიტრინასთან, მერე გრანს შეხედა და უთხრა: „რა ლამაზია!“ გრანმა მაჯაზე მოუჭირა ხელი. ასე გადაწყდა მათი დაქორწინება.

მერე რაც მოხდა, გრანის სიტყვით, ძალზე ჩვეულებრივი ამბავი იყო. ყველას ასე ემართება: დაქორწინდებიან, ცოტა კიდევ უყვართ ერთმანეთი, შრომობენ, იმდენს შრომობენ, რომ სიყვარული ავინწყდებათ. უანაც იძულებული შეიქნა, დაეწყო მუშაობა, რადგან კანტორის უფროსმა დანაპირები არ შეასრულა. აქ საჭირო იყო მცირეოდენი წარმოსახვის უნარი, რომ გაგევოთ, რისი თქმა უნდოდა გრანს. დაღლილობამ თავისი გაიტანა, იგი მოეშვა, სულ უფრო და უფრო სიტყვაძუნნი გახდა, აღარ ეუბნებოდა თავის ახალგაზრდა ცოლს, მიყვარხარო. წარმოიდგინეთ ადამიანი, რომელიც დილიდან საღამომდე თავაუღებლად მუშაობს, სიღატაკე, გაცუდებული მომავალი, საღამოობით დუმილი მაგიდის გარშემო; ასეთ სამყაროში ვნებისთვის ადგილი არ მოიძევება. ალბათ უანა განიცდიდა ამას. მაგრამ მაინც არ ტოვებდა ქმარს: ხდება ხოლმე, დიდხანს იტანჯები და არ კი იცი. გავიდა წლები. ბოლოს, ქალი წავიდა. ცხადია, მარტო არ წასულა. „ძალიან მიყვარდი, მაგრამ დავიღალე... არ ვარ ბედნიერი, რომ მივდივარ, მაგრამ ცხოვრების თავიდან დაწყებისთვის სულაც არ არის საჭირო, ბედნიერი იყო.“ დაახლოებით ამას სწერდა. ჯოზეფ გრანმაც ბევრი ტანჯვა გამოიარა. მასაც შეეძლო თავიდან დაეწყო ყოველივე, როგორც შენიშნა რიემ, მაგრამ საქმე ისაა, რომ რწმენა აღარ ჰქონდა.

უბრალოდ რომ ვთქვათ, სულ უანაზე ფიქრობდა. სურდა, მიენერა მისთვის წერილი, თავი ემარ-

თლებინა. „მაგრამ ეს ძნელია, – ამბობდა იგი, – უკვე დიდი ხანია, ამაზე ვფიქრობ. სანამ ერთმანეთი გვიყვარდა, ერთმანეთს უსიტყვოდ ვუგებდით. მაგრამ ადამიანებს მუდამ როდი უყვართ ერთმანეთი. საჭირო წუთს უნდა მომენახა ის სიტყვები, რომლებიც დააკავებდა, მაგრამ ვერ შევძელი. თქვა და ხელი გადაისვა ულვაშებზე. რიე მდუმარედ შესცეკროდა მას.“

– მაპატიეთ, ექიმო, – უთხრა მოხუცმა, – მაგრამ უკეთ როგორ ვთქვა... თქვენი ნდობა მაქვა. თქვენთან შემიძლია ლაპარაკი. ჰოდა, ვლელავ კიდევ...

აშკარა გახლდათ, რომ ფიქრით გრანი ათასი ლიეთი იყო დაშორებული შავი ჭირისგან.

იმ საღამოს რიემ დეპეშა გაუგზავნა თავის ცოლს: აცნობებდა, ქალაქი დაკეტილია, მე კარგად ვარ, თავს მიხედე, შენზე ვფიქრობო.

ქალაქის დაკეტვიდან სამი კვირის შემდეგ რიეს საავადმყოფოსთან ახალგაზრდა კაცი დახვდა, რომელიც მას ელოდა.

– იმედი მაქვს, მიცანით, – უთხრა ახალგაზრდამ.

რიეს მოეჩვენა, რომ იცნობდა ამ კაცს, მაგრამ საიდან, ვერ გაეხსენებინა.

– მე ამ ამბებამდე მოგმართეთ და გთხოვეთ ცნობები არაბთა ცხოვრების პირობებზე. რემონრამბერი მქვია.

– ა! დიახ, – თქვა რიემ, – თქვენ ახლა რეპორტაჟისთვის საუცხოო მასალა გაქვთ.

რამბერი, ეტყობა, ნერვიულობდა. უთხრა, საქმე ეგ როდია, მე თქვენთან დახმარების სათხოვნელადა ვარ მოსულიო.

— ბოდიშს ვიხდი, — განაგრძო მან, — მაგრამ ამ ქალაქში არავის ვიცნობ, ჩემი გაზეთის კორესპონდენტი კი, საუბედუროდ, იდიოტია.

რიემ შესთავაზა, ცენტრში მდებარე დისპანსერამდე გამომყევით, იქ რაღაც განკარგულებები უდა გავცეო. მერე დაუყვნენ ზანგების უბნის ვინრო ქუჩებს. საღამო ახლოვდებოდა, მაგრამ ქალაქი, ასეთ დროს ოდესლაც ხმაურიანი რომ იყო, უცნაურად დაცარიელებული ჩანდა. საყვირის კანტიკუნტი ხმები, დაისის შუქის მოოქრულ ცაში რომ ადიოდა, მოწმობდა — სამხედროები ცდილობდნენ თავი ისე მოეჩვენებინათ, თითქოსდა თავიანთ მოვალეობას ასრულებდნენ. სანამ აღმართ-აღმართ მიდიოდნენ, მავრიტანული სტილით ნაგებ, ცისფრად, ყვითლად და იისფრად შეფეთქილ სახლებს შორის, რამბერი მეტად აღელვებული ლაპარაკობდა. ცოლი პარიზში დაეტოვებინა. მართალი რომ ითქვას, დაქორნინებულები არც იყვნენ, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა. ქალაქის დახურვისთანავე უდეპეშა. თავდაპირველად იფიქრა, ეს დროებითი ამბავია და შეუცადა, როგორმე მინერ-მონერის საქმე მოეგვარებინა. მაგრამ ორანელმა კოლეგებმა პირდაპირ უთხრეს, ვერაფრით დაგეხმარებითო, ფოსტიდანაც უარით გამოისტუმრეს, პრეფექტურაში კი ერთ-ერთმა მოხელემ პირში დასცინა. ბოლოს, ამდენი დავიდარაბის შემდეგ მარტო იმას მიაღწია, რომ ორი საათის რიგში დგომის მერე დეპეშა გაუგზავნა ცოლს: „ყველაფერი რიგზეა. ნახვამდის.“

მაგრამ მეორე დილით, როდესაც დგებოდა, უცაბედად ფიქრმა გაუელვა, რომ კაციშვილმა არ იცოდა რამდენ ხანს გასტანდა ეს ამბავი. ამიტო-

მაც გამგზავრება გადაწყვიტა. რაკი სარეკომენდაციო წერილი ჰქონდა (უურნალისტები მაინც სარგებლობენ რაღაც უპირატესობებით), პრეფექტურის კანცელარიის უფროსთან შესვლა მოახერხა. უთხრა: არავითარი კავშირი არ მაქვს ორანთან, აქ არაფერი მესაქმება, თქვენთან შემთხვევით ვარ მოხვედრილი და სამართლიანობა მოითხოვს, ნასვლის ნება დამრთოთ, თუნდაც გარეთ გასვლის შემდეგ კარანტინი მომახდევინონო. კანცელარიის უფროსმა მიუგო, ძალიან კარგად მესმის თქვენი, მაგრამ გამონაკლისს ვერ გავაკეთებ, თუმც კი შევეცდები, მაგრამ მდგომარეობა მეტად სერიოზულია და გადაწყვეტით ვერაფერს გეტყვითო.

— კი მაგრამ, — უთხრა რამბერმა, — მე ხომ უცხო ვარ ამ ქალაქში.

— რა თქმა უნდა, მაგრამ მაინც იმის იმედი ვიქონიოთ, რომ ეპიდემია დიდხანს არ გასჭანს.

რამბერი რომ ენუგეშებინა, ექიმმა თქვა: ახლა ორანში უამრავ საინტერესო მასალას იპოვით რეპორტაჟისთვის, თანაც არ არსებობს მოვლენა, კარგად თუ დააკვირდი, თავისი დადებითი მხარე არ ჰქონდესო. რამბერმა მხრები აიჩინა. ქალაქის ცენტრს უახლოვდებოდნენ.

— ეს სისულელეა, ხომ გესმით, ექიმო. მე იმისთვის არ გავჩინილვარ ამქვეყნად, რომ რეპორტაჟები ვწერო. მაგრამ, შესაძლოა, იმისთვის კი ვიყო გაჩინილი, რომ ქალი მიყვარდეს. განა ეს ბუნებრივი არ არის?

რიემ თქვა, ეგ აზრი, როგორც ჩანს, გონივრულიაო.

ბულვარებზე ჩვეულებრივი ხალხმრავლობა აღარ იყო. რამდენიმე გამვლელი სახლში მიიჩქარო-

და ქალაქებარეთ. არავინ შეხვედრიათ მოლიმარი. რიგ გაიფიქრა, ეს დღეს გამოქვეყნებული ცნობების ბრალია. ოცდაოთხი საათის შემდეგ ჩვენს თანამოქალაქეებს ისევ მიეცემათ იმედი, ჯერ კი გონიერაში დღევანდელი ციფრები უტრიალებთ.

— საქმე ისაა, — უცებ თქვა რამბერმა, — რომ დიდი ხანი არ არის, რაც ერთმანეთს შევხვდით და ძალიან შევეთვისეთ.

რიე დუმდა.

— ვხედავ, თავი მოგაბეზრეთ, — განაგრძო რამბერმა, — მე მხოლოდ ის მინდოდა, მეკითხა თქვენთვის, ხომ ვერ დამინერდით ცნობას, სადაც აღნიშნული იქნებოდა, რომ მე არ მჭირს წყეული სენი. ვფიქრობ, ეს ცნობა გამომადგება.

რიემ თავი დაუქნია, მერე ფრთხილად წამოაყენა პატარა ბიჭი, რომელიც მოულოდნელად დაეჯახა და ფეხებში ჩაუვარდა. ასე განაგრძეს გზა და საჭურვლის მოედანს მიაღწიეს. მტვრისგან განაცრისფრებული ფიკუსისა და პალმის რტოები უძრავად ეკიდნენ ასევე მტვრიანი და ჭუჭყიანი რესპუბლიკის ძეგლის ირგვლივ. ისინი ძეგლთან შეჩერდნენ. რიემ ჯერ ერთი ფეხი დაჰკრა მინას, მერე მეორე, რომ მოთეთრო მტვერი ჩამოეფერთხა, მერე რამბერს შეხედა. გაუპარსავი იყო, ფეტრის ქუდი ოდნავ უკან გადაენია, ჰალსტუხის ქვეშ პერანგის ლილი გახსნოდა, სახეზე წყენა ეწერა, ხოლო თვალებში სიჯიუტე ჩაბუდებოდა.

— დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მესმის თქვენი, — უთხრა ბოლოს რიემ, — მაგრამ თქვენი მსჯელობა არ არის სწორი. მე ვერ დაგინერთ ცნობას, რაკი, ფაქტიურად, არ ვიცი, გჭირთ თუ არა ეს სენი. და, რომც არ გჭირდეთ, იმ შემთხვევა

ვაშიც კი იმის თავდები ვერ ვიქნები, რომ, იმ წა-  
მიდან, როდესაც ჩემი კაბინეტიდან გახვალთ იმ  
ნამამდე, სანამ პრეფექტურაში შეხვალთ, ინფექ-  
ცია არ შეგეყრებათ, და თუნდაც...

— თუნდაც? — ჩაეკითხა რამბერი.

— თუნდაც მე მოგცეთ ცნობა, მაინც არაფერ-  
ში გამოგადგებათ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ამ ქალაქში ათასობით კაცია  
თქვენს დღეში და ქალაქიდან მათი გაშვება შე-  
უძლებელია.

— კი მაგრამ, თუ მათ შავი ჭირი არ სჭირო?

— ეს არ კმარა. სულელური მდგომარეობაა,  
კარგად მესმის, მაგრამ მაინც ყველას გვეხება.  
თავი არ უნდა მოვიტყუოთ.

— მე რომ აქაური არ ვარ?

— ამიერიდან, სამწუხაროდ, თქვენც აქაური  
იქნებით, როგორც ყველანი.

რამბერი გაცხარდა:

— კაცომოყვარეობის ამბავია, გეფიცებით.  
თქვენ უთუოდ ვერც წარმოგიდგენიათ, რას ნიშ-  
ნავს ასეთი განშორება ორი ადამიანისთვის, რომ-  
ლებიც ასე არიან ერთმანეთთან შეთვისებულნი.

რიემ მაშინვე არ უპასუხა. მერე თქვა: ვფიქ-  
რობ, წარმომიდგენიაო, და დასძინა, მთელი არ-  
სებით მინდა, რომ შეეყაროთ თქვენს ცოლს, რომ  
ყველა, ვისაც ერთმანეთი უყვარს, შეერთდეს,  
მაგრამ არსებობს დეკრეტები და კანონები, არ-  
სებობს შავი ჭირი, მე კი ვალად მადევს, ჩემს საქ-  
მეს არ ვუდალატოო.

— არა, — მნარედ უთხრა რამბერმა, — თქვენ არ  
შეგიძლიათ გამიგოთ. თქვენ ლაპარაკობთ გონე-

ბის ენით, თქვენ აბსტრაქციის ტყვეობაში ხართ.

რიემ ახედა რესპუბლიკის ძეგლს და თქვა, არ ვიცი გონიერის ენით ვლაპარაკობ თუ არა, მაგრამ აუცილებლობის ენით ვლაპარაკობ, ეს კი მუდამ ერთი და იგივე როდიაო. უურნალისტმა ჰალსტუხი გაისწორა:

— მაშ, ეს იმას ნიშნავს, რომ სხვა გზა ვეძებო? სულ ერთია, — განავრძო მან ცოტა გამომწვევად, — მე მაინც წავალ ქალაქიდან.

ექიმმა უთხრა, მესმის თქვენი, მაგრამ ეგ ამ-ბავი მე აღარ მეხებაო.

— როგორ არა, გეხებათ, — მოულოდნელად იფეთქა რამბერმა, — მე თქვენ იმიტომ მოგმართეთ, რომ მიამბეს, თქვენ ძალიან ცდილხართ გაგეტა-რებინათ მკაცრი ზომები. ჰოდა, ვიფიქრე, იქნებ, გამონაკლისის სახით, ერთხელ მაინც დაარღვიოს დადგენილება, რომელიც მისი დიდი მონდომების წყალობით მიიღო-მეთქი ქალაქის მმართველობამ. მაგრამ, ეტყობა, თქვენთვის სულ ერთია ყველა-ფერი. თქვენ არავისზე არ გიფიქრიათ, არ გაგხსენებიათ ისინი, ვინც ერთმანეთსაა მოშორებული.

რიემ აღიარა, ერთი მხრივ, ეს მართალიაო. მას არ სურდა, გაენია ამისთვის ანგარიში.

— ა! მესმის, — განავრძობდა რამბერი, — ახლა მოიმიზეზებთ, საზოგადოების კეთილდღეობას ვემსახურებით. მაგრამ საზოგადოების კეთილ-დღეობა ხომ თითოეული ადამიანის ბედნიერებას გულისხმობს.

— ესეცაა, მაგრამ ბედნიერების გარდა ხომ სხვა რამეც არსებობს, — მიუგო ექიმმა, რომელ-მაც თითქოს ჩამოიბერტყა უნინდელი დაბნეულობა, — ასე ხელალებით არ უნდა განსაჯოთ.

ცდებით იმაშიც, რომ ჯავრობთ. თუ თქვენ შეძლებთ აქაურობას თავი დააღწიოთ, უზომოდ ბედნიერი ვიქნები. უბრალოდ, არსებობს ისეთი რამეები, რასაც ჩემი სამსახური მიკრძალავს.

რამბერმა მოუთმენლად გააქნია თავი:

— დიახ, ტყუილად ვჯავრობ, თანაც საკმაო დრო წაგართვით.

რიემ სთხოვა, მაცნობეთ ხოლმე, რას მოიმოქმედებთ და ნუ დამემდურებით. უთუოდ არსებობს საქმის რაღაც მხარე, რომელშიც მე და თქვენ შეგვიძლია ერთმანეთს გავუგოთო. რამბერი შეცდუნებული ჩანდა.

— მე მჯერა ეს, — თქვა მან მცირე ხნის დუმილის შემდეგ, — დიახ, მე მჯერა ეს ჩემდაუნებურად, მიუხედავად ყოველივე იმისა, რაც მითხარით.

იგი შეყოყმანდა:

— მაგრამ საქციელს ვერ მოგიწონებთ.

მერე შუბლზე ჩამოიფხატა თავისი ფეტრის ქუდი და სწრაფი ნაბიჯით გასცილდა იქაურობას. რიემ დაინახა, რომ იგი სასტუმროში შევიდა, სადაც უან ტარუ ცხოვრობდა.

ახლა ექიმმაც გააქნია თავი. უურნალისტი მართალი იყო, ასე მოუთმენლად რომ მიისწრაფოდა ბედნიერებისკენ. მაგრამ განა მაშინ მართალი იყო, როცა მას სდებდა ბრალს? „თქვენ აბსტრაქციის ტყვეობაში იმყოფებით“. ნუთუ მართლა აბსტრაქცია იყო ეს დღეები, თავის საავადმყოფოში რომ ატარებდა, საავადმყოფოში, სადაც შავი ჭირი მუსრავდა ადამიანებს და კვირაში საშუალოდ ხუთასამდე კაცს იწირავდა? დიახ, უბედურებას რაღაც ეცხო აბსტრაქციისა და ირეალურისა. მაგრამ როდესაც აბსტრაქცია გკლავთ, უნდა ეურჩოთ მას.

რიემ მხოლოდ ის იცოდა, რომ ეს არც ისე იოლია. არც დამხმარე საავადმყოფოს ხელმძღვანელობა იყო იოლი (ასეთი დამხმარე საავადმყოფო ამჟამად სამი იყო), მას რომ დაევალა. ერთ-ერთ ოთახში, ექი-მის კაბინეტის გვერდით, მან მიმღები პუნქტი მო-აწყო. იმ ოთახში იატაკი აყარეს და ორმო ამოთხა-რეს. შიგ სადეზინფექციო ნიულის ტბა იდგა, ხოლო შუაგულში აგურით ნაგები პატარა კუნძული იყო. სწორ ამ კუნძლზე აწვენდნენ, სწრაფად ხდიდ-ნენ ტანთ და მის ტანსაცმელს ნიუალში ყრიდნენ. დაბანილი, გამშრალებული, ლაზარეთის ხორკლი-ანი პერანგით შემოსილი ავადმყოფი რიეს ხელში გადადიოდა, შემდეგ კი რომელიმე პალატაში აწ-ვენდნენ. იძულებულები იყვნენ სკოლის შიდა ეზო-ები გამოეყენებინათ, რადგან საავადმყოფოებში უკვე ხუთასი საწოლი იდგა და თითქმის ყველა და-კავებული იყო. დილის შემოვლის შემდეგ, რომელ-საც თვითონ ხელმძღვანელობდა, მას შემდეგ, რაც ავადმყოფებს შრატს გაუკეთებდნენ და ბუბონებს გაუჭრიდნენ, რიე კვლავ ამონმებდა სტატისტიკურ მონაცემებს, ხოლო ნაშუადლევს ისევ ჩამოივლი-და პალატებს. ბოლოს, საღამოთი, თავის ავადმყო-ფებს მიაკითხავდა სახლში და გვიან ღამითლა ბრუნდებოდა შინ. წინა ღამეს დედამ ცოლისგან გა-მოგზავნილი დეპეშა რომ გაუწოდა, შენიშნა, შვილს ხელები უკანკალებდა.

— მართალია, — აღიარა რიემ, — ხელები მიკან-კალებს. მაგრამ ეს ნერვების ბრალია, უნდა მო-ვერიო თავს.

იგი ღონიერი და ამტანი იყო. არსებითად, ჯერ არც დაღლილი ეთქმოდა. მაგრამ ავადმყოფებთან მისვლა, სიმართლე თუ გნებავთ, მისთვის აუტანე-

ლი ხდებოდა. ეპიდემიური დიაგნოზის დასმა ნიშნავდა, რომ ავადმყოფი სწრაფად უნდა წაეყვანათ. მაშინ მართლაც იწყებოდა აბსტრაქცია და სიძნელე, ვინაიდან სნეულის ოჯახმა იცოდა, რომ თავის სისხლსა და ხორცს ან განკურნებულს იხილავდა ან მკვდარს. „შეგვიბრალეთ, ექიმო!“ – ეუბნებოდა ქ-ნი ლორე, ტარუს სასტუმროში მომუშავე დამლაგებლის დედა. მაგრამ რას ნიშნავდა შებრალება? ცხადია, რიეს ჰქონდა მათი სიბრალული, მაგრამ ეს არავის არაფერს მატებდა. იძულებული იყო, დაერეეა ტელეფონით. რამდენიმე წუთში სასწრაფო მანქანის საყვირის ხმა გაისმოდა. თავდაპირველად მეზობლები ფანჯრებს აღებდნენ და ქუჩაში იხედებოდნენ. მერე და მერე კი პირიქით, საჩქაროდ ხურავდნენ დარაბებს. აი, მაშინ იწყებოდა ბრძოლა, ცრემლები, დარწმუნება, ერთი სიტყვით, აბსტრაქცია. სიცხითა და შიშით გახურებულ ოთახებში სიგიურის სცენები თამაშდებოდა. მაგრამ ავადმყოფი მაინც მიჰყავდათ და რიესაც შეეძლო წასვლა.

პირველ დღეებში რიე სასწრაფო დახმარების მანქანის მოსვლას როდი ელოდებოდა – შეატყობინებდა თუ არა ტელეფონით, მაშინვე სხვა ავადმყოფთან მიიჩქაროდა. მაგრამ როგორც კი წავიდოდა, ავადმყოფის ახლობლები მაშინვე კარებს რაზავდნენ და შავ ჭირთან პირისპირ დარჩენას ამჯობინებდნენ განშორებას, რომელსაც, უკვე იცოდნენ, რა მოჰყვებოდა. საჭირო ხდებოდა ყვირილი, ბრძანება, პოლიციისა და, მოგვიანებით, სამხედროების გამოძახებაც კი. ერთი სიტყვით, ავადმყოფის იერიშით აღება. პირველი კვირების განმავლობაში რიე იძულებული იყო სასწრაფო დახმარების მოსვლამდე დარჩენილიყო ავადმყოფთან.

მომდევნო პერიოდში კი, როდესაც სასწრაფოს ექიმს უკვე მოხალისე სანიტარ-ინსპექტორს აყოლებდნენ, რიეს შეეძლო ერთი ავადმყოფიდან დაუყოვნებლივ მეორესთან გადასვლა. დასაწყისში ყველა საღამო იმ საღამოს ჰგავდა, როდესაც ქ-ნი ლორეს სანახავად მივიდა მარაოებითა და ხელოვნური ყვავილებით მორთულ პატარა ბინაში. ქ-ნი ლორეს დედა ნაძალადევი ღიმილით შეეგება:

— იმედი მაქვს, ეს ის ხურვება არ არის, ექიმო, რომელზედაც ყველა ლაპარაკობს.

მან კი საბანი გადახადა ავადმყოფს, პერანგი აუნია და დუმილით დააცქერდა წითელი ლაქებით დაფარულ მუცელსა და ბარძაყებს, გასიებულ ჯირკვლებს. დედამაც დახედა თავისი ქალიშვილის სხეულს და ყვირილი აღმოხდა. სწორედ ასე გოდებდნენ დედები ყოველ საღამოს, უაზროდ რომ დაშტერებოდნენ თავიანთი შვილების გაშიშვლებულ, სიკვდილით დაღდასმულ მუცლებს. ყოველ საღამოს რიეს ხელებს ვიღაცის ხელები ებლაუჭებოდა, ცრემლებს ფუჭი ხვეწნა-მუდარა ცვლიდა, ყოველ საღამოს სასწრაფო დახმარების საყვირის ხმას ეგებებოდნენ ისტერიკული ტირილით, რომელიც ისეთივე ამაო იყო, როგორც ყოველგვარი მნუხარება. მსგავსი საღამოები ისე წაეწყო ერთი-მეორეს, რომ რიე სხვას არაფერს ელოდა, გარდა ასეთი სცენების უსასრულოდ გრძელი რიგისა. დიახ, შავი ჭირი ისევე, როგორც აბსტრაქცია, მონოტონურია. იქნებ მხოლოდ ერთი რამ შეიცვალა და ის ერთი თვით რიე გახლდათ. მან ეს იმ საღამოს იგრძნო, რესპუბლიკის ძეგლთან რომ იდგა. მაშინ იგრძნო, თუ რა მძიმე გულგრილობამ დარია ხე-

ლი, როცა სასტუმროს კარს მისჩერებოდა, რომლის უკანაც რამბერი გაუჩინარდა.

ამ დამქანცავი კვირების მიწურულს, როცა დაბინდებისას ხალხი ქუჩაში გამოეფინებოდა და უაზროდ ხეტიალს იწყებდა, რიე ანაზდად მიხვდა, რომ აღარ სჭირდებოდა სიბრალულისგან თავის დაცვა. სიბრალული გლლით, როდესაც იგი არაფრის მაქნისია... და ამ ქანცვამცლელი დლეების შემდეგ ექიმმა პირველად იგრძნო შვება, როცა მიხვდა, რომ მისი გული ნელ-ნელა საკუთარ არსებობაში იკეტებოდა. იცოდა, რომ ამიერიდან საქმე გაუადვილდებოდა. ამიტომაც ხარობდა, როცა დედამისი, ლამის ორ საათზე ფეხზე რომ უხვდებოდა შინ დაბრუნებულს, წუხდა, ჩემს შვილს უაზრო გამოხედვა აქვსო, იგი სწორედ იმაზე ნაღვლობდა, რასაც რიესთვის ერთადერთი შვება მოჰქონდა. აბსტრაქციას რომ ეომო, რაღაც საერთო უნდა გქონდეს მასთან. მაგრამ როგორ შთააგონოს ეს რამბერს? რამბერისთვის აბსტრაქცია წარმოადგენდა ყოველივე იმას, რაც გზას უღობავდა მის ბედნიერებას. და რიე გულწრფელად ალიარებდა, რომ უურნალისტი ერთგვარად მართალი იყო. მაგრამ მან ისიც იცოდა, რომ ზოგჯერ აბსტრაქცია ბედნიერებაზე ძლიერია. და მაშინ უსათუოდ უნდა გაუწიო მას ანგარიში. მხოლოდ მაშინ. ალბათ ეს დაემართა რამბერსაც, მაგრამ ექიმმა ეს მოგვიანებით გაიგო, მაშინ, როცა უურნალისტმა გული გადაუშალა. ამგვარად, რიეს შეეძლო, ახალი პოზიციიდან მიედევნებინა თვალი თითოეული ადამიანის ბედნიერებასა და შავი ჭირის აბსტრაქციას შორის გამართული სასტიკი ბრძოლისთვის, რაც ამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩვენი ქალაქის ცხოვრების აზრს შეადგენდა.

მაგრამ იქ, სადაც ერთნი ხედავდნენ აბსტრაქტიას, სხვები ჭეშმარიტებას ხედავდნენ. უამიანობის პირველი თვის მინურული ხალხს ჩაამნარა ეპიდემის აშკარა ზრდამ და მამა პანელუს აგზნებულმა ქადაგებამ, პანელუ ის იეზუიტი გახლდათ, დასხეულებულ მოხუც მიშელს რომ შეხვდა ქუჩაში და სახლამდე მიაცილა. იგი უკვე საკმაოდ ცნობილი იყო ორანის „გეოგრაფიულ ბიულეტენში“ მუდმივი თანამშრომლობის წყალობით. მისი ეპიგრაფიული შრომები დიდი აღიარებით სარგებლობდა. მაგრამ მან ფართო აუდიტორია შეიძინა არა როგორც მეცნიერ-სპეციალისტმა, არა-მედ ქადაგებებით თანამედროვე ადამიანის ინდივიდუალიზმზე. მამა პანელუ გამოდიოდა მომთხოვნი ქრისტიანობის მოქადაგედ, თანაბრად შორს რომ იდგა დღევანდელთა თავაშვებულობისა და გასული საუკუნეების ობსკურანტიზმისგან. რაյი შემთხვევა ჩაუვარდა ხელთ, პირში მიახალა მწარე სიმართლე თავის მსმენელებს.

ამ თვის მინურულს ქალაქის საეკლესიო ხელისუფალთ გადაწყვიტეს, შავი ჭირის ნინააღმდეგ საკუთარი ძალებით ებრძოლათ და ერთობლივი ლოცვის კვირეული მოენყოთ. ლვთისმოსაობის ეს საჯარო გამოვლინება უნდა დამთავრებულიყო კვირა დღეს საზეიმო მესით, ჭირიანთა მფარველის, ნმინდა როკის სადიდებლად. ამას-

თან დაკავშირებით მამა პანელუს სთხოვეს სიტყვით გამოსვლა. ეს უკანასკნელი მთელი ორი კვირით მოსწყდა თავის გამოკვლევებს ნეტარ ავგუსტინესა და აფრიკის ეკლესიაზე, რომელთაც მას საპატიო ადგილი დაუმკვიდრეს იეზუიტთა ორდენში. მგზნებარე ბუნების პატრონმა გაძედულად იტვირთა მასზე დაკისრებული ამოცანა. დიდი ხნით ადრე, ვიდრე მამა პანელუ იქადაგებდა, ქალაქში უკვე ლაპარაკობდნენ ამ ქადაგებაზე და იგი თავისებურად მნიშვნელოვან თარიღად აღიბეჭდა ამ პერიოდის ისტორიაში.

ლოცვის კვირეულმა დიდძალი ხალხი მიიზიდა. არ კი იფიქროთ, თითქოს ორანის მკვიდრნი ჩვეულებრივ დროს განსაკუთრებულად ლვთისმოსავნი იყვნენ. კვირა დილას, მაგალითად, ზღვაში ბანაობა სერიოზულ მეტოქეობას უწევდა მესას. ვერც იმას ვიტყვით, ერთბაშად მოიქცნენ და სხივი ნათლისა მოეფინათო. მაგრამ ერთი მხრივ, ქალაქი დაიხურა, ნავსადგურში სიარული მოეშალათ, ბანაობა აიკრძალა, ხოლო მეორე მხრივ, ახლა გონიერა ისე ჰქონდათ მიმართული, მართალია, სულის სილრმეში არ სცნობდნენ თავს დატეხილ მოულოდნელ ამბებს, მაინც გრძნობდნენ, რაღაც შეიცვალაო. თუმცა ბევრი ჯერ კიდევ იმედოვნებდა, ეპიდემია შეჩერდება და ჩვენ-ჩვენი ოჯახებით გადავრჩებითო. მაშასადამე, ჯერ არავის წინაშე არ გრძნობდნენ თავს ვალდებულად. მათთვის შავი ჭირი იყო აბეზარი სტუმარი, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს ისევე უნდა ნასულიყო, როგორც მოვიდა. დაშინებულები იყვნენ, მაგრამ არა სასომიხდილნი, რადგან ჯერ კიდევ არ დამდგარიყო უამი, როდესაც შავი ჭირი თავიანთი არსებობის განუყრელ ფორმად

წარმოუდგებოდათ და დაავინყებდათ იმ ცხოვრებას, მის მობრძანებამდე რომ ჰქონდათ. ერთი სიტყვით, მოლოდინში იყვნენ. რელიგიის, ისევე, როგორც მრავალი სხვა პრობლემის შესაფასებლად შავმა ჭირმა მათ უჩვეულოდ წარუმართა გონება, რომელიც თანაბარი მანძილით იყო დაშორებული როგორც გულგრილობისგან, ასევე ვნებისგან, და რომლის განსაზღვრაც, საკმაოდ კარგად შეიძლება სიტყვით „ობიექტურობა“. უმრავლესობას იმათვან, ვინც თვალი ადევნა ლოცვის კვირეულს, შეეძლო გაეზიარებინა სიტყვები, ერთ-ერთმა მორნმუნებ ექიმ რიესთან რომ თქვა: ეს, სხვა თუ არაფერი, ზიანს მაინც არ მოგვიტანსო. თვით ტარუმაც კი ჩანერა თავის დლიურში, ასეთ ვითარებაში ჩინელები დოლს უკრავენ შავი ჭირის გენიის დასაშოშმინებლად, თან შენიშნავდა, თუმცა შეუძლებელი გახლავთ იმის დადგენა, დოლია უფრო ქმედითი, თუ პროფილაქტიკის ზომებიო, და იქვე დასძენდა, საკითხის გადასაჭრელად საჭირო იქნებოდა, გვქონდა ცნობები შავი ჭირის გენიის არსებობის შესახებ და რაკი მსგავსი არაფერი მოგვეპოვება, ჩვენი უცოდინარობა წინასწარ აცლის საფუძველს ყოველგვარ თვალსაზრისსო.

ასეა თუ ისე, ჩვენი კათედრალური ტაძარი მთელი კვირის განმავლობაში თითქმის სავსე იყო მლოცველებით. პირველ დღეს ორანელთა უმეტესობა ტაძრის კარიბჭის წინ პალმებისა და ბრონეულის ხეთა ჩრდილში ამჯობინებდა ჯდომას და იქ ისმენდა გალობასა და ლოცვას – ტაძრიდან ტალღებად მონადენი ხმები ქუჩამდეც კი აღწევდა. მერე, თანდათანობით, ერთიმეორის მაგალითს მიჰებადეს, ტაძარში შესვლა გაბედეს და თა-

ვიანთი მორიდებული ხმა მლოცველთა ხმებს შეუერთეს. კვირა დღეს უკვე დიდძალმა ხალხმა შეავსო ნეფი, მიაღწია სტოვამდე და კიბეებზეც ტევა არ იყო. წინა დღეს ცა მოიქუთრა, კოკისპირული წვიმა წამოვიდა. გარეთ მდგომთ ქოლგები გაშალეს. ტაძარში საკმევლისა და სველი ქსოვილის სუნი ტრიალებდა, როდესაც მამა პანელუ ავიდა კათედრაზე.

საშუალო ტანისა იყო, მაგრამ ჩატსკვნილი. როდესაც კათედრის კიდეს დაეყრდნო და თავისი მსხვილი ხელებით ჩაატრინდა, მლოცველებმა მხოლოდ რაღაც მოუქნელი, შავი მასა დაინახეს, ცოტა უფრო ზემოთ ორი წითელი ლოყა, ლოყებს ზემოთ კი ფოლადისჩარჩოიანი სათვალე. ბერს ძლიერი, მგზნებარე ხმა ჰქონდა, რომელიც შორს გაისმოდა და როდესაც დამსწრეთ შეუტია პირველივე მხურვალე და მკაფიო ფრაზით: „ძმებო, უბედურება გენვიათ, თქვენ ეს დაიმსახურეთ, ძმებო!“ – ხალხს მღელვარების ტალღამ გადაურბინა სტოვამდე.

მომდევნო სიტყვები ლოგიკურად თითქოს არ უთანხმდებოდა ამ პათეტიკურ შესავალს. მხოლოდ შუა ქადაგებაში მიხვდნენ ჩვენი თანამოქალაქეები, რომ მამა პანელუმ მოქნილი ორატორული ხერხით პირველსავე ფრაზაში ჩადო თავისი ქადაგების მთავარი იდეა, თითქოს სილა გააწნაოთ. უშუალოდ ამ ფრაზის შემდეგ მან მოიყვანა „გამოსვლათას“ ტექსტი, სადაც ლაპარაკია ეგვიპტეში უამიანობაზე და დასძინა: „აქ ისტორიაში ეს უბედურება პირველად მოგვევლინა მისთვის, რათა ლვთის მგმობელი დაესაჯა. ფარაონი ეურჩებოდა უფლის ნება-სურვილს და შავმა ჭირმა იგი მუხლებზე დააჩინქა. იმ უხსოვარი დროიდან ლვთის რისხვა აშოშ-

მინებდა ურჩითა და ბრმათა. კარგად დაუფიქრდით  
ამას და მუხლი მოიდრიკეთ!“

წვიმამ კიდევ უფრო დაუშვა გარეთ და ეს უკა-  
ნასკნელი ფრაზა, წარმოთქმული სრულ სიჩუმეში,  
რომელსაც უფრო საცნაურს ხდიდა ვიტრაჟზე კო-  
კისპირული წვიმის შხაპაშხუპი, ისე გვარიანად ახ-  
მიანდა, რომ რამდენიმე მსმენელი წამიერი ყოყ-  
მანის შემდეგ ულონოდ დაეშვა მუხლებზე. სხვებ-  
ძა გაიფიქრეს, მათ მაგალითს უნდა მივბაძოთო და  
ერთიმეორის მიყოლებით სიჩუმეში, რომელსაც  
დროდადრო სკამის ჭრიალი თუ არღვევდა, მთელ-  
მა მრევლმა მუხლი მოიყარა. მაშინ პანელუ გას-  
ნოდა, ღრმად ჩაისუნთქა და სულ უფრო და უფ-  
რო მკაფიო კილოთი განაგრძო: „თუკი დღეს შავი  
ჭირი გეწვიათ, ეს იმას ნიშნავს, რომ დადგა უამი  
დაფიქრებისა. მართალთ მისი არ უნდა ეშინოდეთ,  
მაგრამ ბოროტს დიახაც რომ შიში და ძრწოლა  
მართებს. სამყაროს ვეებერთელა კალოზე ულმო-  
ბელი კევრი მანამდე ლენავს თავთავს, სანამ ბზე  
მარცვლისგან განიყოფება. ბზე მეტი იქნება, ვიდ-  
რე მარცვალი, მრავალნი წვეულნი და მცირედნი  
რჩეულნი“, მაგრამ ეს უბედურება ღმერთს არ უნე-  
ბებია. მეტად დიდხანს იყო ბოროტებასთან ნილ-  
ნაყარი სამყარო, მეტად დიდხანს ჰქონდა ღვთის  
მოწყალების იმედი. საკმარისი იყო, მოგენანიები-  
ნა ცოდვები და ყველაფერი ნებადართული ხდე-  
ბოდა. მონანიებაში კი ყველა მარჯვეა. მაგრამ მო-  
ვა დრო და თითოეულ ჩვენგანს მოეკითხება. მა-  
ნამდე კი უფრო იოლია ღვთის მოწყალების იმე-  
დით ცხოვრება, აქაოდა ყველაფერი მოგვარდე-

\* მათეს სახარება, 22,14. (გამომც. შენ.)

ბაო. პოდა, ეს არ შეიძლებოდა დიდხანს გაგრძელებულიყო! უფალმა, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში ამ ქალაქის მკვიდრთ მოწყალების თვალით უმზერდა, ლოდინისგან დაქანცულმა, მარადიულ იმედში გაცრუებულმა, ჩვენზე ხელი აიღო. ლვის ნათელს მოკლებული ამიერიდან დიდხანს ვიქნებით უამიანობის წყვდიადში!“

დარბაზში ვიღაცამ დაიფრთხვინა, თითქოს ცხენი ლაგმის ანყვეტას ლამობსო. ხანმოკლე პაუზის შემდეგ პანელუმ უფრო დაბალი ხმით განაგრძო: „ოქროს ლეგენდაში“ ვკითხულობთ, რომ უმბერტო ლომბარდიელის მეფობაში, იტალიას თავს დაატყდა ისეთი შავი ჭირი, ცოცხლები ძლივსძლივს აუდიოდნენ მკვდრების დამარხვასო. შავი ჭირი განსაკუთრებით მძვინვარებდა რომში და პავიაში. გამოეცხადათ კეთილი ანგელოზი და უბრძანა მან ბოროტ ანგელოზს, რომელსაც მარჯვენაში ოროლი ეჭირა, დაებრახუნებინა განწირულთა კარებზე. და რამდენჯერაც დაეშვებოდა ოროლი სახლზე, იმდენი ცხედარი გამოჰქონდათ იქიდან.“

აქ პანლუმ თავისი მოკლე მკლავები კარიბჭისკენ გაიშვირა, თითქოს რაღაცას უჩვენებდა წვიმის მოძრავი ფარდის მიღმა: „ძმებო, – თქვა მან მქუხარედ, – იგივე სასიკვდილო ნადირობა გამართულა დღეს ჩვენს ქუჩებში. შეხედეთ ამ შავი ჭირის ანგელოზს, ლუციფერივით მშვენიერსა და ელვარეს, ვით თავად ბოროტებას, თქვენი სახუ-

\* „ოქროს ლეგენდა“ – ნმინდანთა ცხოვრების წიგნი, რომელიც XIII საუკუნეში შეადგინა იტალიელმა დომინიკელმა მამამ უაკ დე ვორაუინმა (გამომც. შენ.).

რავების ზემოთ რომ დაქრის. მარჯვენა ხელში ზე-  
აღმართული სისხლიანი ოროლი უპყრია, მარცხე-  
ნა ხელი კი თქვენი სახლებისკენ გაუწვდია. იქნებ  
სწორედ ამნამს მისი თითო თქვენი კარისკენ არის  
გაშვერილი და ისმის ოროლის ხეზე შეხების ხმა.  
შავი ჭირი მყის შედის თქვენთან, ჯდება თქვენს  
ოთახში და თქვენს დაბრუნებას ელოდება. იგი იქ  
გელით, მომთმენი და გაფაციცებული, თავდაჯე-  
რებული, როგორც თვით სამყაროს კანონზომიე-  
რება. ვერავითარი მინიერი ძალა და, — კარგად უნ-  
ყოდეთ ეს, — თვით კაცთა ფუჭი განსწავლულობაც  
ვერ აგარიდებთ ამ ხელს, რომელსაც ის გამოიწვ-  
დის თქვენკენ. ასე გაგლენავთ ტკივილის სისხლი-  
ან კალოზე და მოგისვრით ბზესთან ერთად.“

აქ წმინდა მამამ დამსწრეთ დაუხატა უბედუ-  
რების კიდევ უფრო საზარელი სურათი. ახსენა ხის  
უშველებელი ოროლი, ქალაქს თავს რომ დასტ-  
რიალებდა, ალალბედზე ეშვებოდა ხან აქ, ხან იქ  
და კვლავ მაღლდებოდა გასისხლიანებული, ადა-  
მიანთა სისხლის მნთხეველი და მთესავი ტკივი-  
ლისა. „აი, ასეთი ნათესიდან აღმოცენდება ჭეშ-  
მარიტების მოსავალი.“

ეს გრძელი პერიოდი რომ დაასრულა, მამა პა-  
ნელუ გაჩუმდა. თმა შუბლზე ჩამოშლოდა, მთე-  
ლი სხეული უკანკალებდა და ეს კანკალი ხელე-  
ბიდან კათედრას გადაეცემოდა. მერე კვლავ გა-  
ნაგრძო ცოტა მოგუდული ხმით, მაგრამ ბრალ-  
მდებლის კილოთი: „დიახ, დადგა დრო დაფიქრე-  
ბისა. თქვენ გეგონათ, საკმარისი იყო, ღმერთი  
კვირაობით მოგენახულებინათ, რომ დანარჩენი  
დღეები თქვენს გუნებაზე გეტარებინათ. თქვენ  
ფიქრობდით, ერთი-ორჯერ მუხლის მოდრეკა

საკმარისი იყო, რომ თქვენი დანაშაულებრივი უდარდელობა გამოგეხსყიდათ. მაგრამ ღმერთს თავისი უნდა მიაგოთ. თქვენი იშვიათი სტუმრობა არ ჰყოფნის მის მგზნებარე სიყვარულს. მას უნდა, მუდამ გხედავდეთ. ასეთია მისი სიყვარულის გამოვლენა და, მართალი რომ ითქვას, მხოლოდ ასეთნაირია ჭეშმარიტი სიყვარული. ამიტომაა, რომ თქვენი ლოდინით დაქანცულმა უბედურება მოგივლინათ ისევე, როგორც ყველა ცოდვილ ქალაქს მას აქეთ, რაც ადამიანები უამთა აღნერას მისდევენ. თქვენ ახლა იცით, რა არის ცოდვა ისევე, როგორც ეს იცოდნენ კაენმა და მისმა მოდგმამ, როგორც იცოდნენ წარღვნამდე, როგორც იცოდნენ სოდომისა და გომორის მცხოვრებლებმა, ფარაონმა და იობმა და ყველა ღვთისგან შერისხულმა. მათი არ იყოს, თქვენც სხვა თვალით უყურებთ ყველა სულიერსა და არსებულს იმ დღიდან მოყოლებული, რაც ამ ქალაქმა ჩარაზა კარი და თავის კედლებში გამოგამწყვდიათ უბედურებასთან ერთად. როგორც იქნა, თქვენ შეიგნეთ, რომ საჭიროა მთავარზე იფიქროთ!"

ამ დროს ნოტიო პაერი შეიქრა ტაძრის თაღებში და სანთლების ალი ტკაცუნით შეარხია. დროდადრო ვიღაც ახველებდა და აცემინებდა. ამონასუნთქმი შერეულმა სანთლის მძიმე სუნმა მამა პანელუმდე მიაღწია. მოხუცი ისე მარჯვედ დაუბრუნდა სათქმელს, რომ დამსწრეთა მოწონება დაიმსახურა. „მე ვიცი, რომ მრავალი თქვენთაგანი სწორედ ახლა თავის თავს ეკითხება, რის თქმას აპირებსო, – განაგრძობდა იგი მშვიდი ხმით, – მე მსურს ჭეშმარიტებამდე მიგიყვანოთ და გასწავლოთ სიყვარული მიუხედავად ყოველი-

ვე იმისა, რაც წელან გითხარით. გარდახდა უამი, როცა რჩევა-დარიგებას, ძმურად გამოწვდილ ხელს შეეძლო თქვენი სიკეთისკენ მიმართვა. დღეს სიმართლე ზემოდანაა ნაბრძანები. ხსნის გზას სისხლით შეღებილი ოროლი გიჩვენებთ და ღმერთისკენაც იგი გიბიძგებთ. სწორედ ამაში ვლინდება, ბოლოს და ბოლოს, ძმებო, ღვთის მოწყალება, რომელმაც ყოველ საგანში ჩააქსოვა სიკეთეცა და ბოროტებაც, მრისხანებაცა და სიბრალულიც, შავი ჭირიცა და ხსნაც. თვით ეს უბედურება, მუსრს რომ გავლებთ, აღგამალლებთ და გზას გიჩვენებთ.

დიდი ხნის წინათ აბისინიის ქრისტიანები შავ ჭირში ხედავდნენ ღვთაებრივი ბუნების ქმედით ძალას სამარადისო სასუფევლის დასამკვიდრებლად, ისინი, ვისაც სენი არ შეეყარა, ეხვეოდნენ ჭირიანების ზენრებში, რათა უეჭველად მომკვდარიყვნენ. ცხადია, სულის გადასარჩენად ასეთ მძვინვარებას ვერ გირჩევთ. ეს სავალალო აჩქარებაზე მიუთითებს, რომელიც ძალზე ახლოა ამპარტავნობრობასთან. ღმერთზე მეტად არ უნდა ავჩქარდეთ და არ უნდა ვეცადოთ, ავაჩქაროთ ურყევი წესრიგი, რომელიც მან უკუნითი უკუნისამდე დაამყარა. ამას ცდომილებისკენ მივყავართ. მაგრამ უამიანობა გაკვეთილი იქნება თქვენთვის. ყველაზე უფრო შორს-მჭვრეტელთ მარადისობის იმ საუცხოო სხივს აზიარებს, რომელიც ყოველგვარი ტანჯვის წიალშია. ეს სხივია, მწუხრის გზებს რომ ანათებს, რომელსაც ხსნისკენ მივყავართ. ეს სხივია გამოვლენა ღვთის ნება-სურვილისა, დაუღალავად რომ გარდაპქმნის ბოროტებას სიკეთედ. დღესაც სიკვდილის, შიშისა და ურვის გზით ჩვენ მას საბოლოო მდუმარებისა და ჩვენი ცხოვრების უმაღლესი პრინციპისკენ მივ-

ყავართ. აი, ძმებო, ის უდიდესი ნუგეში, რომელიც  
მინდოდა თქვენთვის მომეტანა, რათა მხოლოდ გან-  
კიცხვის სიტყვები არ წაგეღოთ აქედან, თან წაგე-  
ტანათ სულში მშვიდობის ჩამლვრელი სიტყვაც.”

იგრძნობოდა, რომ პანელუ ქადაგებას ამთავ-  
რებდა. გარეთ წვიმას გადაეღო. ციდან ცინცხალი  
შუქი ატანდა მსუბუქ ნისლში და მოედანს ეფინე-  
ბოდა. ქუჩიდან მოისმოდა გამვლელთა ხმები, მან-  
ქანების ხმაური, რითაც ენას იდგამს ხოლმე გაღ-  
ვიძებული ქალაქი. მსმენელები ნელ-ნელა წასასვ-  
ლელად გაემზადნენ და ტაძარში ცოტა ჩოჩქოლი  
შეიქნა. მაგრამ მამა პანელუმ სიტყვა განაგრძო:  
რადგანაც უკვე გიჩვენეთ შავი ჭირის ღვთაებრი-  
ვი წარმოშობა და დაგანახეთ, რომ ეს უბედურება  
სასჯელად მოგვივლინა ღმერთმა, სიტყვას აღარ  
გავაგრძელებ ამის შესახებ და ქადაგების დასას-  
რულს არ მივმართავ უადგილო მჭევრმეტყველე-  
ბას, რაკი ასეთ ტრაგიკულ ამბებზეაო საუბარი. მი-  
სი აზრით, ყველასთვის ყოველივე ისედაც ნათე-  
ლი უნდა ყოფილიყო. დამსწრეთ მხოლოდ ის შე-  
ახსენა, რომ მარსელის დიდი უამიანობის დროს  
მემატიანე მატიე მარე ჩიოდა, თვით ჯოჯოხეთში  
მგონია თავი, რაკი არც ხსნა ჩანს სადმე და არც  
იმედიო. მატიე მარე ბრმა გახლდათ! პირიქით, მა-  
მა პანელუს დღევანდელივით არასოდეს უგრძნია  
ღვთის შემწეობა და ქრისტიანული იმედი, რომელ-  
თაც უფალი ყველას უბოძებს. იგი იმედოვნებს მი-  
უხედავად ყოველი იმედისა, იმედოვნებს მიუხე-  
დავად ამ დღეთა საშინელებისა და მომაკვდავთა  
გოდებისა, რომ ჩვენი თანამოქალაქენი ცას შეჰ-  
ლალადებენ ერთადერთ ქრისტიანულ სიტყვას,  
სიტყვას სიყვარულისა. დანარჩენს უფალი იქმს.

ძნელი სათქმელია, მოახდინა თუ არა ამ ქადა-  
გებამ შთაბეჭდილება ჩვენს თანამოქალაქეებზე.  
ბ-ნმა ოფონმა, გამომძიებელმა, ექიმ რიეს უთხ-  
რა, მამა პანელუს აზრები „აბსოლუტურად უდა-  
ვო“ არისო. მაგრამ ყველა ასეთი კატეგორიულო-  
ბით როდი სჯიდა. უბრალოდ, ქადაგებამ უფრო  
საგრძნობი გახადა ის, რასაც მანამდე გუმანით  
გრძნობდნენ: ეს გაუგონარი პატიმრობა, თავად  
რომ არ ვუწყით, იმ დანაშაულისთვის გვაქვსო  
მოსჯილი. და მაშინ, როდესაც ერთნი თავიანთი  
კნინი ცხოვრებით ცხოვრობდნენ და ეგუებოდნენ  
პატიმრობას, სხვებს ამიერიდან ერთადერთ სა-  
ფიქრალად ამ ციხიდან გაპარვა ჰქონდათ.

ადამიანები ჯერ შეეგუვნენ გარესამყაროს-  
თან მოწყვეტას, ისევე, როგორც შეეგუებოდნენ  
რომელიმე დროებით უსიამოვნებას, მხოლოდ  
ზოგიერთ მათ ჩვეულებას რომ დაარღვევდა. მაგ-  
რამ რაკი იაზრეს, რომ გამომწყვდეულნი იყვნენ  
გავარვარებული ცის ქვეშ, და ბუნდოვნად ისიც  
იგრძნეს, რომ ეს პატიმრობა უშუალოდ მათ სი-  
ცოცხლეს ემუქრებოდა, ენერგია, საღამოობით  
აგრილებასთან ერთად რომ უბრუნდებოდათ,  
მთლად თავზეხელალებული, სასონარკვეთილი  
საქციელისკენ უბიძგებდათ.

თავდაპირველად – ძნელია იმის თქმა, უბრა-  
ლო დამთხვევის ბრალი იყო თუ არა, – იმ ლირს-

სახსოვარი კვირის შემდეგ ჩვენი მოქალაქენი სა-  
ყოველთაო, ღრმა შიშმა მოიცვა, რაც გვაფიქრე-  
ბინებს, რომ ბოლოს და ბოლოს, თავიანთი მდგო-  
მარეობის ჯეროვანი შეფასება იწყეს. ამ თვალსა-  
ზისით ჩვენს ქალაქში ატმოსფერო ცოტათი შე-  
იცვალა. მაგრამ სინამდვილეში საკითხავია,  
ცვლილება ქალაქში მოხდა თუ ჩვენს გულებში.

ქადაგებიდან რამდენიმე დღეში რიე, რომე-  
ლიც გარეუბნისკენ მიეშურებოდა და გრანს ბო-  
ლო დღეების ამბებზე ესაუბრებოდა, სიბნელეში  
ვიღაც კაცს შეეჩეხა, კაცი ადგილზე ტორტმანებ-  
და და არც ცდილობდა ნაბიჯის წინ ვადადგმას.  
იმავე წუთს ჩვენი ქალაქის ლამპიონები, სულ უფ-  
რო და უფრო გვიან რომ ინთებოდნენ, ერთბაშად  
აკიაფდნენ. მაღალ ბოძზე დაკიდებულმა ფარან-  
მა, რომელიც მათ ზურგს უკან იყო, უცებ გაანა-  
თა კაცი, თვალდახუჭული უხმოდ რომ იცინოდა.  
ფერმკრთალ სახეზე, უსიტყვო მხიარულებას  
რომ დაემანჭა, ოფლი წურნურით ჩამოსდიოდა.  
რიემ და გრანმა გზა უტიეს.

— ვიღაც გიუია, — თქვა გრანმა.

რიემ, რომელმაც მკლავი გამოსდო თანამგ-  
ზავრს, რათა სწრაფად გასცლოდნენ იქაურობას,  
იგრძნო, რომ მოხელე ნერვიულობისგან კანკა-  
ლებდა.

— მალე ჩვენს კედლებში მხოლოდ გიუებიღა  
დარჩებიან, — თქვა რიემ.

რიემ იგრძნო, რომ ყელი გაშრობოდა, ეტყო-  
ბა, დალლილობამ იჩინა თავი.

— დავლიოთ რამე.

პატარა დახუთულ კაფეს, რომელშიც შევიდ-  
ნენ, მხოლოდ დახლზემოთ დაკიდებული ნათუ-

რა ანათებდა წითლად. ხალხი რატომლაც ხმადაბლა ლაპარაკობდა. დახლთან გრანმა, ექიმის გასაოცრად, ერთი არაყი შეუკვეთა, სულმოუთქმელად გადაჰკრა და დააყოლა, მაგარიაო. შემდეგ გავლა მოისურვა. გარეთ რიეს მოეჩვენა, რომ ღამეში ვიღაც გაბმით კვნესოდა. სადღაც, შავ ცაზე, ლამპიონებს ზემოთ გადავლილმა ყრუ სტვენამ შეახსენა უხილავი უბედურება, მალიმალ რომ აპობდა ცხელ ჰაერს.

— კიდევ კარგი, კიდევ კარგი, — გაიძახოდა გრანი.

რიე თავის თავს ეკითხებოდა, რისი თქმა უნდაო.

— კიდევ კარგი, — თქვა გრანმა, — მე ჩემი სამუშაო მაქვს.

— ეგ მართლაც უპირატესობაა, — უთხრა რიემ.

და რომ აღარ გაეგონა სტვენა, გრანს ჰკითხა, კმაყოფილი ხართ თუ არა თქვენი სამუშაოთიო.

— როგორ გითხრათ, ვფიქრობ, რომ სწორ გზას ვადგავარ.

— კიდევ ბევრი დაგრჩათ?

გრანი თითქოს გამოცოცხლა, არყის სიმხურვალე ჩაეღვარა ხმაში:

— არ ვიცი. მაგრამ ეს როდია მთავარი, ექიმო. მთავარი ეს არაა, არა.

სიბნელეში რიე ხვდებოდა, რომ გრანი ხელებს იქნევდა. თითქოს სათქმელს უყრისო თავს და, ბოლოს და ბოლოს, ამოთქვა კიდეც სულმოუთქმელად:

— იცით, რა მინდა, ექიმო? იმ დღეს, როდესაც ჩემი ხელნაწერი გამომცემლის ხელში მოხვდება,

მისი ნაკითხვის შემდეგ გამომცემელი ადგეს და უთხრას თავის თანამშრომლებს: „ქუდი მოიხადეთ მოწინებით, ბატონებო!“

ამ უცარმა განცხადებამ გააოცა რიე. მოეჩვენა, თითქოს მისი თანამგზავრი ქუდის მოშველეპას აპირებდა. მათ თავს ზემოთ უცნაური სტვენა თითქოს უფრო ძლიერად გაისმა.

— დიახ, — განაგრძობდა გრანი, — ნაწერი სრულყოფილი უნდა იყოს.

თუმცა ნაკლებად იცნობდა ლიტერატურულ სამყაროს, რიემ მაინც გაიფიქრა, რომ ყოველივე ასე უბრალოდ ალბათ არ მოხდებოდა და რომ გამომცემლობის თანამშრომლები კაბინეტებში ქუდმოხდილი ისხდებოდნენ. მაგრამ, ვინ იცის, იქნებ ასეც მომხდარიყო, და რიემ გაჩუმება ამჯობინა. თავისდაუნებურად შავი ჭირის იდუმალ ძახილს მიაყურადა. გრანის უბანს უახლოვდებოდნენ და ვინაიდან ეს უბანი ცოტა შემაღლებულზე იყო, მსუბუქი ნიავი მიელამუნათ, რომელმაც ქალაქის ყოველგვარი ხმაური თან გაიყოლა. გრანი კვლავ ლაპარაკს განაგრძობდა, მაგრამ რიეს ყველაფერი როდი ესმოდა მისი ნათქვამიდან. მხოლოდ ის გაიგო, რომ ნაწარმოები უკვე მრავალ გვერდს შეიცავდა, მაგრამ შრომა, რომელიც ავტორს უხდებოდა მისი სრულყოფისთვის, მეტისმეტად მძიმე იყო. „საღამოებს, მთელ კვირებს ვანდომებ ერთ სიტყვას... და ზოგჯერ უბრალო კავშირსაც კი.“ აქ გრანი შეჩერდა და ექიმის პალტოს ღილს დაუწყო წვალება. მისი უკბილო პირიდან სიტყვები ბორძიკით გამოდიოდა.

— კარგად გამიგეთ, ექიმო, კაცმა რომ თქვას, არც ისე ძნელია, არჩევანი გააკეთო მაგრამ-სა და

და-ს შორის. შედარებით უფრო ძნელია, გადაწყვიტო, და-ს უნდა მიანიჭო უპირატესობა თუ შემდეგ-ს. სიძნელე კიდევ უფრო მატულობს, როცა მერე-სა და შემდეგ-ს შორის გიხდება არჩევნის გაკეთება. მაგრამ უეჭველია, ყველაზე ძნელია იმის გადაწყვეტა, საჭიროა თუ არა და-ს დასმა საერთოდ.

— დიახ, მესმის, — თქვა რიემ და გზა განაგრძო. დარცხვენილი გრანი ექიმს წამოენია.

— მაპატიეთ, — ჩაიბურტყუჯნა მან, — არ ვიცი, რა მემართება ამ საღამოს!

რიემ ალერსიანად დაჰკრა მხარზე ხელი და უთხრა, ძალიან მინდა, დაგეხმაროთ, თქვენი ამბავიც მეტად მაინტერესებსო. გრანი თითქოს ცოტა დამშვიდდა და მის სახლს რომ მიაღწიეს, მცირე ყოყმანის შემდეგ სთხოვა ექიმს, ერთი წუთით ჩემთან ამობრძანდითო. რიე დათანხმდა.

სასადილო ოთახში გრანმა სტუმარს შესთავაზა, მისჯდომოდა მაგიდას, რომელიც სავსე იყო ქალალდის ფურცლებით. ყოველი მათგანი მიკროსკოპული ასოებით ნაწერი სიტყვებით იყო აჭრელებული.

— დიახ, ეს არის, — უთხრა ექიმს, რომელიც გაკვირვებული შეჰყურებდა, — რამის დალევას ხომ არ ინებებდით? ცოტა ღვინო მაქვს.

რიემ იუარა. ისევ ფურცლებს დააცქერდა.

— ასე ნუ უყურებთ, — უთხრა გრანმა, — ეს მხოლოდ პირველი წინადადებაა. ძალიან გამანვალა, უჰ, ძალიან.

თვითონაც ათვალიერებდა ამ ფურცლებს და მისი ხელი, თითქოს დაუძლეველი ძალა იზიდავსო, ერთ მათგანს დასწვდა კიდეც, უაბაშურო ნა-

თურასთან მიიტანა. ფურცელი კანკალებდა მის ხელში. რიემ ისიც შენიშნა, რომ მოხელეს შუბლი დაცვარული ჰქონდა.

— დაჯექით და წამიკითხეთ, — სთხოვა მასპინძელს.

გრანმა შეხედა და მადლიერებით გაულიმა.

— დიახ, — თქვა მან, — მგონი, თავადაც ეს მინდა.

ცოტა შეიცადა, თან ფურცელს დასცექროდა, შემდეგ დაჯდა. რიე იმავ დროს უსმენდა ქალაქის ყრუ გუგუნს, თითქოს უბედურების სტვენას რომ ეხმიანებოდა. ახლა უჩვეულოდ მძაფრად აღიქვამდა ქალაქს მის ფერხთით რომ გართხმულიყო და კარჩაკეტილ სამყაროდ ქცეულიყო, და კიდევ — საშინელ მოთქმა-გოდებას, რომლის ჩახშობასაც ქალაქი ლამეში ლამობდა. გრანის ხმა ყრუდ გაისმა: „მაისის მშვენიერ დილით საუცხოო ქურან ცხენზე ამხედრებული კოხტა ამორძალი მიქროდა ბულონის ტყის აყვავებულ ხეივანში.“ ისევ სიჩუმე ჩამოდგა და ტანჯული ქალაქის გაურკვეველი ჩივილიც გაისმა. გრანმა ფურცელი დადო, მაგრამ თვალი არ მოუშორებია. ცოტა ხნის შემდეგ რიეს შეხედა:

— აბა, რას ფიქრობთ ამაზე?

რიემ მიუგო, დასაწყისი ისეთია, სურვილს აღმიძრავს, დანარჩენიც გავიგოო, მაგრამ ავტორმა მკვირცხლად მოუჭრა, ეგ თვალსაზრისი მცდარიაო და ხელი დაჟკრა ფურცელს.

— ეს მხოლოდ მიახლოებითი რამაა. როდესაც შევძლებ სრულყოფილად დავხატო სურათი, ჩემს წარმოსახვაში რომ ცოცხლობს, როდესაც ჩემი წინადაღებაც ისევე ნარნარი იქნება, როგორც ამ

ქურანა ცხენის სვლა, – ერთი-ორი-სამი, ერთი-ორი-სამი, – მაშინ დანარჩენი უფრო გაადვილ-დება. რაც მთავარია, ისეთი ილუზია შეიქმნება თავიდანვე, რომ ნალდად იტყვიან: „ქუდი მოიხა-დეთ მოწინებით, ბატონებო!“

მაგრამ სანამ ამას მიაღწევდა, კიდევ ბევრი უნდა ემუშავა. თავის დღეში არ დათანხმდებო-და, აი, ამგვარი ფრაზის მიცემაზე დასასტამბა-დ, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ მოს-წონდა კიდეც თავისი ნახელავი, იმასაც კარგად გრძნობდა, ნინადადება ჯერ მთლად ვერ გადმოს-ცემდა ნამდვილ სურათს და რაც მთავარია, თა-ვისი მეტისმეტად მსუბუქი კილოთი, დაე, შორე-ულად, მაგრამ მაინც შტამპს მოჰვავდა. დაახლო-ებით ასეთი იყო მისი ნათქვამის აზრი, როდესაც ფანჯრების ქვეშ ერთი სირბილი ატყდა. რიე ნა-მოდგა.

– ნახავთ, რას გამოვადნობ ამისგან, – თქვა გრანმა და ფანჯრისკენ რომ მიბრუნდა, დააყო-ლა, – როდესაც ყოველივე დამთავრდება.

მერე ხელახლა მოისმა აჩქარებული ნაბიჯე-ბის ხმა. რიე სწრაფად გავიდა ქუჩაში. გვერდზე ორმა კაცმა ჩაუარა. ეტყობა, ქალაქის კარიბჭის-კენ მიეშურებოდნენ. როგორც ჩანს, სიცხისგან და შავი ჭირისგან გონდაკარგულმა ჩვენმა თანა-მოქალაქეებმა ძალმომრეობას მიმართეს, მცველთა სიფხიზლის მოდუნება და ქალაქიდან გაპარვა სცადეს.

ზოგ-ზოგები, და მათ რიცხვში რამბერიც, ცდილობდნენ, გაპქცეოდნენ ამ სულ უფრო მზარდი პანიკის ატმოსფეროს, მაგრამ მეტ წარმატებას თუ ვერ აღნევდნენ, უფრო მეტ სიჯიუტესა და მოხერხებულობას მაინც იჩენდნენ. რამბერმა ჯერ ოფიციალურ პირებთან სცადა სიარული. მისთვის რომ გეჟითხათ, მონდომება და დაუინება ადრე თუ გვიან ყველა დაბრკოლებას სძლევდა, თანაც გარკვეული თვალსაზრისით, გამოუვალი მდგომარეობიდან თავის დალწევა ხომ მისი ხელობა იყო. ერთი სიტყვით, მრავალ მოხელეს ენვია, ისეთ პირებს, რომელთა კომპეტენტურობაზეც ჩვეულებრივ არ დავობენ. მაგრამ ახლა ამ კომპეტენტურობამ რამბერს ვერავითარი სამსახური ვერ გაუნია. უმეტეს შემთხვევაში ესენი იყვნენ ადამიანები, რომლებიც საფუძვლიანად დაუფლებოდნენ საბანკო და საექსპორტო საქმეს, ზედმინევნით კარგად ერკვეოდნენ ციტრუსებისა და ღვინით ვაჭრობაში, რომელთაც უდავოდ ღრმა ცოდნა გააჩნდათ სამართლისა და დაზღვევის სფეროში, რომ აღარაფერი ვთქვათ სოლიდურ დიპლომებსა და იმაზე, რომ კეთილად იყვნენ განწყობილნი მთხოვნელის მიმართ. ყველაზე გასაკვირი სწორედ ეს კეთილი ნება იყო მათში. სამაგიეროდ, არაფერი გაეგებოდათ იმისა, რაც შავ ჭირთან იყო დაკავშირებული.

და მაინც, ყოველ მათგანს, როგორც კი შესაძლებლობა მიეცემოდა, რამბერი თავის საქმეს აცნობდა. უმთავრეს საბუთად მუდამ ის მოპყავდა, რომ ამ ქალაქში უცხო იყო და, მაშასადამე, მისი საკითხი საგანგებოდ უნდა განეხილათ. თანამოსაუბრენი საერთოდ ადვილად ეთანხმებოდნენ უურნალისტს ამ პუნქტში. მაგრამ, ჩვეულებრივ, შენიშნავდნენ, თქვენს დღეში სხვაც ბევრია და თქვენი საქმე არც ისეთი განსაკუთრებულია, როგორც წარმოგიდგენიათო. ამაზე რამბერი პასუხობდა, ეს ჩემი აგრუმენტაციის არსს არ ცვლისო, მაგრამ მიუგებდნენ, რომ გარკვეულად მაინც ცვლიდა, რადგან მმართველი წრეები უფრთხოდნენ ვინმესთვის შეღავათის განევას, რასაც შეეძლო შეექმნა ის, უდიდესი ზიზღით პრეცედენტს რომ უნოდებდნენ. იმ კლასიფიკაციის მიხედვით, რომელიც რამბერმა ექიმ რიეს გააცნო, ამგვარად მოაზროვნენი ფორმალისტების კატეგორიას განეკუთვნებოდნენ. მათ გვერდით არსებობდნენ ენადათაფლული მოსაუბრენი, რომლებიც არწმუნებდნენ მთხოვნელს, ყოველივე ამან არ შეიძლება დიდხანს გასტანოსო, და გულუხვად იძლეოდნენ კეთილრჩევას მაშინ, როცა მათგან წყალობას მოელოდნენ. რამბერსაც ანუგეშებდნენ, მალე გაივლის ეს უსიამოვნებანიო. იყვნენ მნიშვნელოვანი ჩინოსნებიც, რომლებიც სთხოვდნენ უურნალისტს, დაგვიტოვეთ ბარათი, სადაც მოკლედ აღწერთ თქვენს მდგომარეობასო, ჰპირდებოდნენ, განვიხილავთ მაგ საქმეს და გადაწყვეტილებას შეგატყობინებთო; იყვნენ მაამებელნიც, რომლებიც მას ბინის ორდერს ან იაფფასიანი

პანსიონატების მისამართებს სთავაზობდნენ; მეთოდურებიც, რომლებიც ავსებინებდნენ ანკეტას და მაშინვე საქმეში აკერებდნენ, იყვნენ უძლურებიც, რომლებიც მაღლა აღაპყრობდნენ ხელებს და გაღიზიანებულებიც, რომლებიც თვალს არიდებდნენ; დაბოლოს, სხვაზე მრავლად იყვნენ ჩვეულების მიმდევარნიც, რომლებიც რამბერს სხვა დაწესებულებაზე მიუთითებდნენ და არიგებდნენ, აბა, ახლა ამ ლონეს მიმართეთო.

უურნალისტი დაიქანცა აქეთ-იქით სიარულით, სამაგიეროდ, ნათელი წარმოდგენა შეექმნა მერიასა და პრეფექტურაზე, სადაც საათობით იჯდა ხოლმე მოლესკინგადაკრულ სკამზე, უზარმაზარი პლაკატების წინ. ზოგი უპროცენტო სახელმწიფო სესხზე ხელის მოწერას მოუწოდებდათ, ზოგიც – კოლონიურ არმიაში შესვლას. თვით კანცელარიაშიც საათობით უხდებოდა ყოფნა, რომლის თანამშრომლების სახეებზე იმაზე მეტს ვერაფერს წაიკითხავდით, ვიდრე საბუთებით გატენილ საქალალდეებსა და ამ საქალალდეებით სავსე თაროებზე. თუმცა ერთი უპირატესობა ჰქონდა რამბერს, რაშიც გულისტკივილით გამოუტყდა რიეს: მთელი ეს ფაციფუცი ჩემ თვალნინ საქმის ჭეშმარიტ ვითარებას ფარავსო. ეპიდემია რომ გაძლიერდა, ეს არსებითად არც კი შეუნიშნავს. თანაც დღეები უფრო ჩქარა გადიოდა. იმ მდგომარებაში კი, რომელშიც მთელი ქალაქი აღმოჩნდა, შეიძლება ითქვას, რომ ყოველი გასული დღე თითოეულ კაცს მისი განსაცდელის დასასრულს უახლოებდა, თუკი იგი დასასრულამდე მიაღწევდა. რიე იძულებული იყო, ეღიარებინა, თქვენი თვალსაზრისი ლოგიკას არაა

მოკლებული, მაგრამ ჭეშმარიტება, რომელსაც ის შეიცავს, მგონი, მეტისმეტად ზოგადი არისო.

ბოლოს, ისეთი წუთიც დადგა, როცა რამბერს იმედი ჩაესახა გულში. მან პრეფექტურიდან მიიღო ანკეტა, რომლის გულდასმით შევსებასაც სთხოვდნენ. აინტერესებდათ მისი ვინაობა, ოჯახური მდგომარეობა, უწინდელი და ახლანდელი შემოსავალი, ერთი სიტყვით, ის, რასაც *curriculum vitae* ეწოდება. თავდაპირველად ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს ეს ანკეტები ისეთ პირებს დაუგზავნეს, რომლებიც, შესაძლოა, თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში დაებრუნებინათ. რამდენიმე ბუნდოვანმა ცნობამ, ერთ დაწესებულებაში რომ მიიღო, ეს შთაბეჭდილება კიდევ უფრო გაუცხოველა. მაგრამ ცოტა რომ მიდგა-მოდგა და მოძებნა ის განყოფილება, რომელმაც ანკეტა გამოუგზავნა, შეიტყო, თურმე ცნობებს „ყოველი შემთხვევისთვის“ აგროვებდნენ.

– რომელი შემთხვევისთვის? – იკითხა რამბერმა.

მაშინ კი გულახდილად უთხრეს, იმ შემთხვევისთვის, თუ შავი ჭირი შეგეყარათ და სიცოცხლეს გამოგასალმათ, რათა, ერთი მხრივ, თქვენს ახლობლებს შევატყობინოთ ეს სამწუხარო ამბავი, ხოლო მეორე მხრივ, ვიცოდეთ, მკურნალობის ხარჯებს ქალაქის ბიუჯეტიდან გაიღებენ, თუ ნათესავები გადაიხდიან. ცხადია, ეს იმას მოწმობდა, რომ იგი სულ მთლად არ იყო მოწყვეტილი იმ ქალს, რომელიც ელოდა, რაკი საზოგადოება დაინტერესებული იყო მათი ბედით. მაგრამ ეს ვერაფერიშვილი ნუგეში იყო. უფრო საგულისხმო ის გახლდათ, და რამბერმაც მყისვე

შენიშნა ეს, რომ ამ გამძვინვარებული უამიანობის დროს რომელიღაც დაწესებულებას შეეძლო ნირშეუცვლელად განეგრძო თავისი საქმე, გამოეჩინა იმგვარი ინიციატივა, უამიანობამდე რომ იჩენდა და თანაც ისე, რომ ზემდგომი ორგანოებისთვის არაფერი შეეტყობინებინა, მხოლოდ იმიტომ, რომ ამგვარი საქმიანობისთვის იყო შექმნილი.

შემდგომი პერიოდი რამბერისთვის ერთსა და იმავე დროს ყველაზე უფრო იოლიც იყო და ყველაზე უფრო რთულიც. მთლად გაოგნდა. მოიარა ყველა დაწესებულება, ყველა ლონე იღონა, მაგრამ გამოსავალი ჯერჯერობით ვერ იპოვა. მაშინ კაფედან კაფეში დაიწყო ხეტიალი. დილით რომელიმე კაფეს ტერასაზე ჯდებოდა, თბილი ლუდის კათხას მოიდგამდა და კითხულობდა გაზეთს იმ იმედით, რომ იქ სენის დასრულების რამე ნიშანს ამოიკითხავდა, გამვლელებს ათვალიერებდა, ზიზღით იბრუნებდა პირს მათი დადარდიანებული სახეების შემხედვარე, უკვე მეასედ კითხულობდა მის მოპირდაპირე მხარეს მაღაზიების ფირნიშებს, რეკლამას განთქმული აპერიტივებისა, რომლებსაც აღარ ამზადებდნენ, მერე დგებოდა და უაზროდ დაეხეტებოდა ქალაქის ყვითელ ქუჩებში. კენტად დადიოდა კაფედან კაფეში, მერე რესტორანში და ასე აღწევდა მიმწუხრამდე. რიემ შეამჩნია იგი ერთ საღამოს, სწორედ ერთ-ერთი კაფეს კარებთან მდგარი. ეტყობოდა, ყოყმანობდა, ვერ გადაეწყვიტა შესვლა. მერე, როგორც ჩანს, მაინც გაბედა და დარბაზის სილრმისკენ გაემართა დასაჯდომად. ის საათი იყო, როდესაც კაფეებში, ზემოდან გაცემნილი.

მული ბრძანების თანახმად, რამდენადაც კი შე-  
ეძლოთ აყოვნებდნენ სინათლის ჩართვას. მნუხ-  
რი ნაცრისფერი წყალივით ავსებდა დარბაზს, ჩა-  
მავალი მზის ვარდისფერი სხივები ირეკლებოდა  
ფანჯრის მინებში, მარმარილოს მაგიდები  
მერთალად ბზინავდნენ ჩამონილილ ბინდში. ცა-  
რიელი დარბაზის შუაგულში მჯდარი რამბერი  
გზააბნეულ აჩრდილს ჰერაკლი და რიემ იფიქრა,  
დაუდგა ის წუთი, როცა თავს ეულად გრძნობსო;  
თუმცა ამ ხურვებიანი ქალაქის ყველა პატიმარს  
ჰქონდა წუთები, როცა საკუთარ სიმარტოვეს  
გრძნობდა, და ცდილობდა, რამე ეღონა გათავი-  
სუფლების უამის მოსაახლოებლად.

რამბერი საგდურშიც დიდ დროს ატარებდა.  
ბაქანზე გასვლა აკრძალული იყო, მაგრამ მოსაც-  
დელი დარბაზები, რომლებსაც მოედნიდან ჰქონ-  
დათ შესასვლელი, ლია გახლდათ და ზოგჯერ მათ-  
ხოვრები აფარებდნენ თავს ცხელ დღეებში, რად-  
გან იქ ჩრდილსა და სიგრილეს ჰპოვებდნენ. რამ-  
ბერი აქ მოდიოდა ძველი განრივების, რკინიგზის  
მილიცის განაწესისა და იმ წარწერების წასაკით-  
ხად, რომლებიც იატაკზე დაფურთხებას კრძა-  
ლავდნენ. შემდეგ სადმე კუთხეში მიჯდებოდა.  
დარბაზში ბნელოდა. ძველი თუჯის ლუმელი უკ-  
ვე მერამდენე თვე იყო, უქმად იდგა სადეზინ-  
ფექციო სითხისგან სულ მთლად აჭრელებული.  
კედელზე გაკრული რამდენიმე პლაკატი ბან-  
დოლში ან კანში ეპატიუფებოდა დამსვენებლებს  
და იქ ბედნიერ და თავისუფალ ცხოვრებას ჰპირ-  
დებოდა. რამბერს აქ მოეძალებოდა ხოლმე თავ-  
ზარდამცემი თავისუფლების შეგრძნება, რომე-  
ლიც სასონარკვეთილ ადამიანს უჩნდება. მისთ-

ვის ყველაზე მძიმე ასატანი მაშინ პარიზის ხე-  
დების გახსენება იყო, თუ იმისდა მიხედვით ვიმ-  
სჯელებთ, რასაც რიეს ეუბნებოდა. ნაცნობი პე-  
იზაუები – ძველი ქვები და მდინარე, პალე რუა-  
ალის მტრედები, ჩრდილოეთის ვაგზალი, უკაცუ-  
რი კვარტალები პანთეონის ახლომახლო და პა-  
რიზის კიდევ რამდენიმე კუთხე-კუნჭული, – რო-  
მელთა შესახებ მანამ არც კი უწყოდა, ასე თუ  
უყვარდა, მუდამ თან სდევდნენ და მოქმედების  
ყოველგვარ სურვილს უხშობდნენ. რიემ მხოლოდ  
ის გაიფიქრა, უურნალისტი ამ სურათებს უბრა-  
ლოდ თავის სიყვარულთან აიგივებსო. და იმ  
დღეს, როცა რამბერმა უთხრა, მიყვარს დილის  
ოთხ საათზე გაღვიძება და ჩემს მშობლიურ ქა-  
ლაქზე ფიქრიო, ექიმს არ გასძნელებია ამ სიტყ-  
ვების ახსნა საკუთარი გამოცდილებით, რომელ-  
საც არავის უმხელდა, – თვითონაც სიამოვნებას  
ანიჭებდა შორს მყოფი ცოლის გახსენება სწორედ  
ამ წუთებში. მართლაც, ეს ის უამი გახლდათ, რო-  
დესაც ნათლად ხედავდა მის ხატს. ჩვეულებრივ,  
დილის ოთხ საათამდე არაფერს აკეთებენ და ძი-  
ნავთ, თუნდაც ის ღამე ღალატის ღამე იყოს. დი-  
ახ, ამ საათებში ძინავთ და კიდევ კარგი, რომ ძი-  
ნავთ, რადგან განანამებ გულს ყველაზე მეტად  
ის სწადია, გამუდმებით ფლობდეს საყვარელ არ-  
სებას, ან არადა შეძლოს, განშორების უამის უსიზ-  
მრო ძილში დანთქას იგი და არ გააღვიძოს, სანამ  
მათი შეყრის უამი არ ჩამორეკეს.

ქადაგებიდან ცოტა ხნის შემდეგ დიდი სიცხე-ები დაიჭირა. ივნისის ბოლო ახლოვდებოდა. ნაგვიანები წვიმების მერე, ქადაგების კვირას რომ დაემთხვა, ზაფხულმა იმძლავრა და ერთბაშად დაიუფლა ცა და გარემო. ამოიჭრა ხორშაკი ქარი, ერთ დღეს იქროლა და კედლები მთლად გამოაშრო. მზე მაგრად აჭერდა. მთელი დღის განმავლობაში სიცხისა და სინათლის ნაკადი ქალაქს განუწყვეტილი თავს დასდიოდა. თაღიანი ქუჩებისა და ბინების გარდა ქალაქში თითქოს ადგილი აღარ მოიძევებოდა, სადაც დამაბრმავებელი შუქით შენუხებულ ადამიანს შეეძლო თავი შეეფარებინა. მზე ყველაზე მივარდნილ ქუჩაბანდებშიც არ ანებებდა თავს ჩვენს თანამოქალაქეებს და წამითაც რომ შეჩერებულიყვნენ, მზის დაკვრას იღებდნენ. რაკი ეს პირველი სიცხეები მსხვერპლთა რაოდენობის მკვეთრ ზრდას დაემთხვა – კვირაში უკვე შვიდასი კაცი იღუპებოდა, – ქალაქი სასონარკვეთილებამ მოიცვა. გარეუბნებში, სადაც სწორ ქუჩებში ტერასიანი სახლები იდგა, სიცოცხლე ჩაკვდა, იმ უბანში, სადაც ხალხი მუდამ კარის ზღურბლზე ცხოვრობდა, ყველა კარი და დარაბა ჩაერაზათ, ვერ გაიგებდით, შავი ჭირისგან ფიქრობდნენ ასე თავის დაცვას თუ მზისგან. თუმცა ზოგიერთი სახლიდან კვნესა ისმოდა. ადრე, როდესაც ასეთი რამ ხდებოდა, ხშირად ნახავდით ცნობისმოყვარეებს,

რომლებიც ქუჩაში იდგნენ და აყურადებდნენ. მაგრამ ამ დაუსრულებელი განგაშის შემდეგ ყველას თითქოს გული გაუქვავდა და კვნესა-ჩივილს გვერდით ისე ჩაუვლიდნენ, თითქოს იგი ადამიანთა ბუნებრივი ენა ყოფილიყოს.

ქალაქის კარებთან შეტაკებებმა, რომელთა დროსაც უანდარმები იძულებულები იყვნენ, იარაღისთვის მიემართათ, ხალხში ყრუ დრტვინვა გამოიწვია. დაჭრილები უთუოდ იყვნენ, მაგრამ ქალაქში, სადაც სიცხისა და შიშის შედეგად ყველაფერს აზვიადებდნენ, გაიძახოდნენ, ზოგი კიდევაც შემოაკვდათო. ასეა თუ ისე, უკმაყოფილება სულ უფრო და უფრო მატულობდა და ჩვენი მთავრობაც უარესის მოლოდინში სერიოზულად ფიქრობდა ზომებზე, რომლებიც უნდა მიელოთ იმ შემთხვევაში, თუ მოსახლეობა, ახლა უბედურებისთვის ქედი რომ მოედრიკა, უცბად აჯანყდებოდა. გაზეთებმა გამოაქვეყნეს ბრძანებები, რომლებიც კვლავ კრძალავდნენ ქალაქიდან გასვლას და დაპატიმრებით ემუქრებოდნენ ყველას, ვინც ურჩობას გაბედავდა. ქალაქში პატრულებმა იწყეს სიარული. ხშირად უკაცურსა და მზით გავარვარებულ ქუჩებში ფილაქანზე ფლოქვების ცემის ხმა ჩაგესმოდათ და მყის ცხენოსან მცველებსაც მოჰკრავდით თვალს, მაგრად ჩარაზული ფანჯრების მწკრივს შორის რომ ჩაივლიდნენ. პატრული რომ ჩაივლიდა, კვლავ მძიმე, დაძაბული სიჩუმე ჩამონვებოდა ხოლმე ტანჯულ ქალაქში. შორიდან დროდადრო სროლის ხმაც ისმოდა. ისროდნენ საგანგებო რაზმები, რომელთაც ახალი ბრძანებით ევალებოდათ დაეხოცათ უპატრონო ძალლები და კატები და ამით რწყილების გავრ-

ცელება აღეკვეთათ. გასროლის ეს მჭახე ხმები ქალაქს საბოლოოდ ძირავდნენ განგაშის ატმოსფეროში.

სიცხესა და სიჩუმეში ჩვენი თანამოქალაქეების შეძრნუნებულ გულებში ყველაფერი, კაცმა რომ თქვას, უფრო დიდ მნიშვნელობას იძენდა. ორანელებმა თავიანთ სიცოცხლეში პირველად დაინახეს ცის ფერი და იგრძნეს მიწის განსაკუთრებული სურნელი, რომელიც ნელინადის დროთა ცვლის მაუწყებელია. ყველა შიშით ფიქრობდა, სიცხე ეპიდემიას ხელს შეუწყობსო, და იმავე დროს ხედავდა, რომ ზაფხული მოდიოდა. ნამგალების ჭყივილი სულ უფრო საამოდ გაისმოდა ქალაქის თავზე, მაგრამ მაინც ვერ ავსებდა სივრცეს, რადგან ივნისის ბინდი ჩვენს მხარეში შორს სწევს ჰორიზონტს. ბაზრებში უკვე კოკრები კი არ გამოჰქონდათ, არამედ გაფურჩქნული ყვავილები და დილის ვაჭრობის შემდეგ ყვავილთა ფურცლები უხვად ეყარა მტვრიან ტროტუარზე, აშკარად ჩანდა, რომ გაზაფხული მიინურა, განიქარდა ათასობით ბრდლვიალა ყვავილში და დაჭკნა შავი ჭირისა და სიცხის ორმაგი ტვირთის ქვეშ მოქცეული, რომელიც სულს უხუთავდა. ყველა ჩვენი თანამოქალაქისთვის ზაფხულის ეს ნათელი ცა, ეს მტვერნაყრილი, გაფერმკრთალებული და მოწყენილობით დაღდასმული ქუჩები ისეთივე ავისმომასნავებელი ნიშანი იყო, როგორც ასობით ადამიანის სიკვდილი, ქალაქს დღეცისმარე მძიმე ტვირთად რომ აწვებოდა. და თუმცა მზის სხივები თავს ღვარად დასდიოდათ, ეს საათები, ძილისა და მოსვენებისკენ რომ უბიძგებდნენ, უნინდებურად აღარ უხმობდნენ წყლისა და სხე-

ულის დღესასწაულზე. პირიქით, ისინი ყრუდ გუ-  
გუნებდნენ ჩაკეტილსა და დადუმებულ ქალაქ-  
ში, დაჰკარგოდათ ნლის ამ ბედნიერი დროისთ-  
ვის დამახასიათებელი სპილენძისფერი ელვარე-  
ბა. უამიანობის მზე აქრობდა ყოველგვარ ფერსა  
და ახშობდა ყოველგვარ სიხარულს.

სწორედ ეს გახლდათ უდიდესი გადატრიალე-  
ბა, რომელიც უამიანობამ გამოიწვია. ჩვენი თა-  
ნამოქალაქენი ჩვეულებრივ სიხარულით ეგებე-  
ბოდნენ ზაფხულს. მაშინ ქალაქი ზღვისკენ იხს-  
ნებოდა და ახალგაზრდობა პლაჟებზე გამოეფი-  
ნებოდა ხოლმე. ამ ზაფხულს კი, პირიქით, იქვე,  
ორ ნაბიჯზე განოლილი ზღვა აკრძალული იყო  
და სხეულსაც წაერთვა სიხარულის უფლება. რა  
უნდა აკეთო ასეთ პირობებში? იმდროინდელი  
ჩვენი ყოფის მართალ სურათს კვლავ ტარუ გვი-  
ხატავს. იგი, რა თქმა უნდა, თვალს ადევნებდა შა-  
ვი ჭირის წინსვლას და სამართლიანად მიიჩნია  
ეპიდემიის შემდგომ ეტაპად ის გარემოება, რომ  
რადიო უკვე იმას კი აღარ აცხადებდა, თუ რამ-  
დენი ასეული ადამიანი გარდაიცვალა კვირის გან-  
მავლობაში, არამედ მოპყავდა ერთი დღის მონა-  
ცემები – გარდაიცვალა ოთხმოცდათორმეტი  
ადამიანი, ას შვიდი, ას ოცი... „გაზეთები და მთავ-  
რობა ცდილობენ, შავ ჭირს ჭკუით აჯობონ. ასე  
ჰგონიათ, ქულებს ართმევენ, რაკი ას ოცდაათი  
ბევრად ნაკლებია, ვიდრე ცხრას ათი.“ იგი ალ-  
ნიშნავდა ეპიდემიის პათეტიკურ, სანახაობით  
მხარეებსაც, ჰყვებოდა, მაგალითად, რომ ერთ-  
ხელ, როდესაც უკაცურ ქუჩაში მიაბიჯებდა, სა-  
დაც ყველა დარაბა ჩარაზული იყო, უეცრად, მის  
თავს ზემოთ ვიღაც ქალმა ფანჯარა გამოაღო,

ორჯერ საზარლად შეჰქივლა და კვლავ შეიკეტა ოთახის მრუმე სიბნელეში. სხვაგან კი შენიშნავდა, პიტნის აბები სულ გაქრა აფთიაქებიდან, რადგან ბევრი წუწნის მას, ჰეონიათ, სენის გადადებისგან გვიხსნისო.

ტარუ მისთვის გამორჩეულ პირებზედაც განაგრძობდა დაკვირვებას. მისი ნაწერებიდან ვგებულობთ, რომ იმ მოხუცსაც, რომელიც კატებს აფურთხებდა, თავისი ტრაგედია გაუჩნდა. ერთ დიღას, გაისმა სროლის ხმა და ტყვიის რამდენიმე ნაფურთხმა კატების უმრავლესობა სიცოცხლეს გამოასალმა, დანარჩენები კი დააფრთხო და დაატოვებინა ქუჩა. იმავე დღეს ჩია მოხუცი ჩვეულებრივ დროს აივანზე გამოვიდა, გაოცებით მიმოიხედა, მოაჯირზე გადაიხარა, ქუჩა კარგად მოათვალიერა და გადაწყვიტა, მოეცადა. თითებს აივნის რიკულებზე ათამაშებდა. ერთხანს იცადა, დააქუცმაცა ცოტა ქალალდი და ქუჩაში გადაყარა. მერე შინ შევიდა, კვლავ გამოვიდა, იდგა ცოტა ხანს და, უეცრად, გაქრა, თან ბრაზიანად მიიხურა შემინული კარი. მომდევნო დღეებში იგივე სცენა განმეორდა, მაგრამ ჩია მოხუცის სახეზე ნალველს და სულ უფრო აშკარა დაბნეულობას ამოიკითხავდით. ერთი კვირის შემდეგ ტარუმ ამაოდ უცადა მოხუცის გამოჩენას, ფანჯრები საგულდაგულოდ იყო დაგმანული, მათ მიღმა კი ფრიად გასავებ ვარამს დაესადგურებინა. „უამიანობისას კატებისთვის მიფურთხება აკრძალულია“, – ასეთი გახლდათ უბის ნიგნაკის დასკვნა.

სამაგიეროდ, როცა ტარუ საღამოობით შინ ბრუნდებოდა, დარწმუნებული იყო, რომ ჰოლში შეხვდებოდა მოღუშულ ღამის დარაჯს. დარაჯი

ბოლთას სცემდა და ყველას განურჩევლად ეუბნებოდა, მე წინასწარ ვხვდებოდი, რაც მოხდებოდა. ტარუს, რომელიც ეუბნებოდა, მახსოვს, უბედურებას რომ წინასწარმეტყველებდით, მაგრამ, ვგონებ, მიწისძვრას ელოდითო, მოხუცი დარაჯი პასუხობდა: „ა! მიწისძვრა რომ ყოფილიყო! ერთს შეგვატორტმანებდა და მორჩა... დაითვლიდნენ მკვდრებს, ცოცხლებს და სეირიც ამით დამთავრდებოდა. ამ საზიზლარ სენთან კი რას გინდა, გახდე! ისინიც კი, ვინც ავად არ არიან, სენს გულით დაატარებენ.“

დირექტორიც არანაკლებ დამწუხრებული იყო. თავდაპირველად მოგზაურები, რომელთაც აეკრძალათ ქალაქიდან გასვლა, ქალაქის დახურვის გამო სასტუმროში დარჩნენ. მაგრამ თანდათან, რაკი ეპიდემია გრძელდებოდა, ბევრმა ამჯობინა, მეგობრებთან დაბინავებულიყო. ასე რომ, იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც სასტუმრო უნინ სულ სავსე იყო, ახლა დაცარიელდა – ახალი მოგზაურები ჩვენს ქალაქში აღარ ჩამოდიოდნენ. ტარუ ერთ-ერთი იმ იშვიათ მდგმურთაგანი იყო, რომელიც სასტუმროში რჩებოდა და დირექტორი არასდროს გაუშვებდა შემთხვევას, რომ არ ეთქვა მისთვის, უკანასკნელი კლიენტების ხარი მაქვს, თორემ დიდი ხანია დავხურავდი ამ ჩემს სასტუმროსო. იგი ხშირად ეკითხებოდა ტარუს, როგორ ფიქრობთ, ეპიდემია რამდენ ხანს გასტანსო. „ამბობენ, – მიუგებდა ხოლმე ტარუ, – რომ სიცივე აფრთხობს ამდაგვარ ავადმყოფობას.“ დირექტორი გიუდებოდა: „ეჱ, აქ ნამდვილი სიცივე არასოდეს იცის, ბატონო. ყოველ შემთხვევაში, ეს ამბავი კიდევ რამდენიმე თვეს გასტანს.“

ესეც არ იყოს, იგი დარწმუნებული იყო, რომ მოგზაურები უამიანობის შემდეგაც კიდევ დიდხანს აუხვევდნენ გვერდს ამ ქალაქს. შავი ჭირი ტურიზმს ნირვას გამოუყვანდა.

რესტორანში ცოტა ხნის შემდეგ კვლავ გამოჩნდა ბ-ნი ოტონი, ადამიანი-ბუ, მაგრამ მას მხოლოდ ორი განვრთნილი გოშია მოჰყვებოდა. როგორც გამოირკვა, მისმა ცოლმა დაასაფლავა დედა, რომელსაც ავადმყოფობისას თავს ადგა და ამჟამად კარანტინში იმყოფებოდა.

— მე ეს არ მომწონს, — უთხრა დირექტორმა ტარუს, — კარანტინს გამოივლის თუ არა, ეს ქალი მაინც საეჭვოა და, მაშასადამე, მისიანებიც.

ტარუმ შენიშნა, მაგ თვალსაზრისით ყველა საეჭვოაო. მაგრამ დირექტორი მაინც ჯიუტად ადგა თავის აზრს, ეტყობოდა, ამ საკითხზე კარგად ჩამოყალიბებული თვალსაზრისი ჰქონდა:

— არა, ბატონო, არც თქვენ და არც მე საეჭვონი არ ვართ. ისინი კი არიან.

მაგრამ ბ-ნი ოტონი ისეთი მცირე რამის გამო, როგორიც შავი ჭირია, ნირს არ იცვლიდა და შავი ჭირიც ამჯერად ხახამშრალი რჩებოდა. გამომძიებელი წინანდებურად შედიოდა რესტორნის დარბაზში, ჯდებოდა შვილებზე აღრე და მათ მუდამ ნატიფი და მტრული სიტყვებით მიმართავდა. მხოლოდ პატარა ბიჭი შეიცვალა. თავის დასავით შავებში ჩაცმული, როგორლაც მოიკუნტა და მამამისის პატარა ჩრდილს დაემსგავსა. ლამის დარაჯმა, რომელსაც არ უყვარდა ბ-ნი ოტონი, ტარუს უთხრა:

— აჲ, ეს კაცი მორთულ-მოკაზმული მოკვდება! ისე რომ, გაპატიოსნება არ დასჭირდება. პირ-

დაპირ გაემგზავრება საიქიოს.

უბის წიგნაკში პანელუს ქადაგებაზეც იყო ორიოდე სიტყვა თქმული, ოღონდ შემდეგი კომენტარით: „მესმის ეს გზნება. უბედურების დასაწყისში და დასასრულს მუდამ ცოტად თუ ბევრად რიტორიკას მიმართავენ ხოლმე. პირველ შემთხვევაში ჩვეულება ჯერ არ დაკარგულა, ხოლო მეორეში – უკვე მოასწრო დაბრუნება. სწორედ ტანჯვაში ეჩვევა ადამიანი სიმართლეს ე.ი. დუმილს. დავიცადოთ.“

დაბოლოს, ტარუ წერდა, რომ მას გრძელი საუბარი ჰქონდა ექიმ რიესთან, და შენიშნავდა, საუბარს სასურველი შედეგი მოჰყვაო. იქვე დასძენდა, ექიმის დედას, ქ-ნ რიეს, თაფლისფერი თვალები აქვს, თან ახირებულად ამტკიცებდა, ამ თვალებიდან ისეთი სიკეთე გამოკრთის, რომელიც შავ ჭირს უთუოდ სძლევსო. ბოლოს, ვრცელ პასაჟებს უძლვნიდა ასთმიან ბერიკაცს, რიე რომ მკურნალობდა.

როგორლაც ამ მოხუცის სანახავად გაპყოლოდა ექიმს მათი საუბრის შემდეგ. მოხუცი ხითხითითა და ხელების ფშვნეტით შეხვდა ტარუს. ლოგინში ინვა ბალიშზე მისვენებული, წინ ბარდის ორი თასი ედგა. „აჸ! კიდევ ერთი მოვიდა, – თქვა მან ტარუს დანახვისას, – ქვეყანა აირ-დაირია, ველარაფერს გაიგებ კაცი, ექიმები მეტია, ვიდრე ავადმყოფები. ახლა სწრაფად მიდის საქმე, არა? პანელუ მართალია, დამსახურებულად მოგვივლინა ღმერთმა სასჯელი.“ მეორე დღეს ტარუ ხელახლა მიადგა გაუფრთხილებლად.

მის უბის წიგნაკებს თუ დავუჯერებთ, ეს მოხუცი გალანტერიით მოვაჭრე იყო. ორმოცდაა-

თი წლის რომ შეიქნა, იფიქრა, საკმარისია, რაც უიშრომეო. მას აქეთ დაწვა და აღარც ამდგარა, თუმცა ფეხზე მყოფს ასთმა თითქმის არ აწუხებდა. პატარა რენტის წყალობით აგერ სამოცდათუთმეტ წლამდე მოელნია და ყოჩალადაც გამოიყურებოდა. საათის დანახვას ვერ იტანდა და არც ერთს არ აჭაჭანებდა თავის სახლში. „საათი, – ამბობდა იგი, – ძვირი და თან სულელური ნივთია.“ დროს, და განსაკუთრებით, ჭამის დროს, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მისთვის, ორი თასის მიხედვით ანგარიშობდა. მათგან ერთი მუდამ სავსე იყო ბარდით მისი გაღვიძებისას, მეორეს კი თვითონ ავსებდა მარცვალ-მარცვალ, ბეჯითი და გამოზომილი მოძრაობით. ეს ორი თასი იყო მისთვის დროის ორიენტირი. „ყოველი მეხუთე ჯამის შემდეგ ნავიხემსებ ხოლმე“, – ამბობდა იგი.

მის ცოლს თუ დავუჯერებთ, ახალგაზრდობაშივე ემჩნეოდა უცნაურობანი. არასოდეს არაფერი აინტერესებდა, არც სამსახური, არც მეგობრები, არც კაფე, არც მუსიკა; არც ქალები, არც სეირნობა. არასოდეს გასულა თავის ქალაქიდან, გარდა იმ ერთი დღისა, როდესაც იძულებული გახდა, ალუირში გამგზავრებულიყო საოჯახო საქმეებისთვის და მაშინაც ორანიდან ყველაზე ახლომდებარე სადგურზე დარჩა, გზის გაგრძელება ვეღარ შეძლო და შინ დაბრუნდა პირველივე მატარებლით.

ტარუს, რომელიც გაკვირვებული ჩანდა, ასეთ კარჩაკეტილ ცხოვრებას როგორ ეწევითო, მან აუხსნა, რელიგიის მიხედვით ადამიანის ცხოვრების პირველი ნახევარი აღმავლობაა, ხოლო მეო-

რე ნახევარი – დაღმა სვლა, დაღმა სვლაში კაცს მისი დღეები აღარ ეკუთვნის, ისინი შეიძლება ყოველ წუთს ნაართვან, ამას არაფერი ეშველება, ამიტომ უმჯობესია, არაფერი აკეთოსო. თუმც ასეთი მდგომარეობის ულოგიკობა სულაც არ აშფოთებდა, რადგან ცოტა ხნის შემდეგ ისიც უთხრა ტარუს, უთუოდ ღმერთი არ არსებობს, თორემ მღვდლები საჭირონი აღარ იქნებოდნენ. მისი შემდგომი მსჯელობიდან ტარუ მიხვდა, რომ ეს ფილოსოფია მჭიდროდ იყო დაკავშირებული იმ უკმაყოფილებასთან, რომელსაც მოხუცში შემონირულებათა ხშირი აკრეფა იწვევდა. მაგრამ მოხუცის პორტრეტი დასრულებული არ იქნება, თუ არ გაგიმხელთ მის სურვილს, ნიშანდობლივი რომაა და მრავალჯერაც გამოუთქვამს თავის თანამოსაუბრესთან: ვიმედოვნებ, ღრმა სიბერემდე მივაღწიოთ.

„ნმინდანია?“ – ეკითხებოდა თავის თავს ტარუ და პასუხობდა: „დიახ, თუ ნმინდანობა ჩვეულებათა ერთობლიობაა.“

მაგრამ იმავე დროს ტარუ საკმაოდ დეტალურად აგვინერს უამიანი ქალაქის ერთ დღეს და სწორ ნარმოდგენას იძლევა ჩვენი თანამოქალაქეების საქმიანობასა და ცხოვრებაზე: „არავინ იცინის, მთვრალების გარდა, – წერს ტარუ, – ესენი კი ზომაზე მეტს იცინიან.“ შემდეგ უშუალოდ აღნერაზე გადადის:

„სისხამ დილით მსუბუქი ქროლვა გადაუვლის თავს ჯერ კიდევ უკაცურ ქალაქს. ღამით ვინც დაიხოცა, დაიხოცა, დღეს ვის მოუნევს სიკვდილი, არავინ უნყის და გეჩვენება, რომ შავმა ჭირმა ნამით შენყვიტა თავის გულმოდგინება, და-

მაშვრალი სულს ითქვამს. ჯერ ყველა დუქანი დახურულია. მაგრამ ზოგიერთზე გაკრულია წარწერა: „დაკეტილია უამიანობის გამო“, რაც იმას მოწმობს, რომ ესენი არც თავის დროზე გაიღებიან. ჯერ კი-დევ ძილგამოყოლილი გაზეთის გამყიდველები გაჰყვირიან ახალ ამბებს, ზურგით მიყრდნობიან ე-დელს ქუჩის კუთხეში და თავიანთ საქონელს მთვარეულებივით სთავაზობენ ქუჩის ფარნებს. მაგრამ სულ მალე, პირველი ტრამვაის ზარის წკრიალით გამოფხიზლებულნი, მთელ ქალაქს მოედებიან, განვდილ ხელებში გაზეთის ფურცლებით, რომლებზე-დაც სიტყვები „შავი ჭირი“ ელვარებს. „უამიანობა შემოდგომამდე გასტანს?“ პროფესორი ბ... პასუხობს: „არა“. „ას ოცდაათი მკვდარი. ასეთია ჯამი უამიანობის ოთხმოცდამეთხუთმეტე დღისა.“

მიუხედავად ქალალდის კრიზისისა, სულ უფრო და უფრო მწვავე რომ ხდება და აიძულა ზოგიერთი პერიოდული ორგანო თავისი გვერდების რაოდენობა შეემცირებინა, გამოვიდა ახალი გაზეთი: „ეპიდემიის მაცნე“, რომელიც მიზნად ისახავს, ჩვენს თანამოქალაქეებს ზედმინევნითი ობიექტურობით აცნობოს სენის ნინსვლისა და უკანდახევის ამბავი, მისცეს მათ ყველაზე სარწმუნო ინფორმაცია ეპიდემიის მსვლელობაზე; თავისი სვეტები დაუთმოს ყველას, ცნობილ თუ უცნობ ადამიანს, ვისაც უბედურებასთან ბრძოლა განუზრახავს; საკუთარ მოვალეობად თვლის მოსახლეობის გამხნევებას, მთავრობის განკარგულებების გამოქვეყნებას, ერთი სიტყვით, ყველა კეთილი ნების ადამიანის შეკავშირებას, „რათა წარმატებით ვებრძოლოთ თავს დამტყდარ უბედურებას“. სინამდვილეში გაზეთი სულ მალე შემოიზღუდა იმ ახალი პრო-

ფილაქტიკური საშუალებების სიის გამოქვეყნებით, რომლებიც თითქოს უებარი წამალი იყო შავი ჭირის თავიდან ასაცილებლად.

დილის ექვსი საათისთვის იწყება გაზეთების გაყიდვა მაღაზიებში, რომლის წინაც ერთი საათით ადრე დგებიან ადამიანები რიგში, შემდეგ ტრამვაიებშიც იყიდება, გატენილები რომ მოდიან გარეუბნებიდან. ტრამვაი ერთადერთი ტრანსპორტი დარჩა, მისი ბაქნები და საფეხურები ხალხითაა დახუნძლული, ამიტომ ძლივს მიინევს წინ. მაგრამ აյ სასეირო ის არის, რომ ყველა მგზავრი, შეძლებისამებრ, ზურგს უბრუნებს სხვას, რათა სენი არ გადაედოს. გაჩერებაზე ტრამვაი კაცებისა და ქალების ტვირთს ჩამოცლის. მათ ერთი სული აქვთ, რომ ერთმანეთს მოსცილდნენ და მარტონი დარჩნენ. ხშირად იმართება აყალმაყალი, რომლის გამომწვევი მხოლოდ და მხოლოდ ცუდი გუნებაა, ქრონიკული რომ ხდება.

პირველი ტრამვაიების ჩავლის შემდეგ ქალაქი თანდათან იღვიძებს, ლუდხანები აღებენ კარებს და მოჩანს დახლები, რომელთა თავზედაც მრავლად გაუკრავთ წარწერები: „ყავა აღარ არის“, „თან იქონიეთ შაქარი“ და სხვ. მერე იღება დუქნები, ცოცხლდება ქუჩები, მზის შუქი უხვად იღვრება ქალაქში და სიცხე ტყვიასავით ამძიმებს ივლისის ზეცას. ეს ის საათია, როცა ისინი, ვინც არაფერს აკეთებს, ბულვარებზე გავლას ბედავენ. უმრავლესობას თითქოს მიზნად დაუსახავს, თავისი სიმდიდრის გამოფენით მოულბოს გული შავ ჭირს. ყოველდღე, თერთმეტი საათისთვის, მთავარ ქუჩებში იმართება ახალგაზრდა ქალვაჟთა პარადი, რომელშიც იგრძნობა სიცოცხლის

ის წყურვილი, დიდ-დიდი უბედურების ფამს რომ იზრდება ხოლმე. თუ ეპიდემია გავრცელდა, მო-რალის ჩარჩოებიც გაფართოვდება. მაშინ კვლავ ვნახავთ მილანურ სატურნალიებს, გამართულს გათხრილი სამარის პირას.

შუადღისას რესტორნები თვალის ერთ დახამ-ხამებაში ივსება. უკვე რამდენიმე წუთის შემდეგ შესასვლელთან ჯგუფ-ჯდუფად დგანან ადამია-ნები, რომელთაც ადგილი ვერ იშოვეს. ცას შუქი აკლდება მეტისმეტი სიცხისგან. ვეება საჩრდი-ლობლებს შეფარებული სადილობის მსურველე-ბი თავიანთ რიგს ელოდებიან ხვატისგან ლამის არის გალლობილი ქუჩის ჩაყოლებით. რესტორნებს ხალხი იმიტომ აწყდება, რომ ეს საგრძნობლად აი-ოლებს კვების პრობლემას. მაგრამ სენის გადა-დების შიშს კი ვერ ამცირებს. კლიენტები დიდ-ხანს, მოთმინებით წმენდენ დანა-ჩანგალსა და თეფშებს. ცოტა ხნის ნინათ ზოგიერთი რესტო-რანი ასეთ განცხადებებს აკრავდა: „ჭურჭელს აქ მდუღარეში ვავლებთ“. მაგრამ მალე უარი თქვეს ყოველგვარ რეკლამაზე, რადგან ხალხი ისედაც მოდიოდა, ხარჯვითაც ხელგაშლით ხარჯავდა. სა-უცხოო ან საუცხოოდ მიჩნეული ღვინოები, ძვირ-ფასი საუზმეული – ეს მხოლოდ დასაწყისია თა-ვაწყვეტილი ღრეობისა. იმასაც ამბობენ, ერთ რესტორანში პანიკა ატყდა, რადგან ვიღაც კლი-ენტი ცუდად შეიქნა, გაფითრებული ნამოდგა და ბარბაც-ბარბაცით მიაშურა კარებსო.

დაახლოებით ორი საათისთვის ქალაქი თან-დათან ცარიელდება და დგება დუმილის ფამი; მტვერი, მზე და შავი ჭირი ერთმანეთს ხვდება ქუჩაში. დიდი, ნაცრისფერი სახლების გასწვრივ

მდორედ მიიზღაზნება სიცხე. ეს გრძელზე გრძელი საათებია, პატიმრობის საათები, რომელთაც მოსდევთ ალმურიანი საღამოები, ხალხმრავალ, აყაყანებულ ქალაქს თავს რომ აცხრება. როცა სიცხეები დაიჭირა, პირველ დღეებში, კაცმა არ იცის რატომ, ზოგჯერ ვერვის დაღანდავდით ქუჩაში. მაგრამ ამჟამად ღამის სიგრილეს იმედი თუ არა, მცირე შვება მაინც მოაქვს, ყველანი ქუჩაში გამოდიან, საუბრით იბრუებენ თავს, კამათობენ ანდა ნდომით უცქერიან ერთმანეთს ვნებით ატანილნი, და ივლისის წითელი ცის ქვეშ შეყუული ქალაქი თავისი შეყვარებული წყვილებითა და ბრძოს ბუნებით ტაატით მიინევს შეხუთული ღამისკენ. ბულვარებზე ამაოდ გამოდის ფეტრის-ქუდიანი ზეშთაგონებული მოხუცი, ჰალსტუხი დიდ ბაფთად რომ გამოუნასკვავს და ამაოდ უმეორებს გამვლელ-გამომვლელს: „უფალი დიდია, მას მიეახლენით!“ მაგრამ პირიქითაა, ყველა იმას მიესწრაფვის, რაც, კაცმა რომ თქვას, ცუდად უნყის ან რაც უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნია, ვიდრე უფალი. თავდაპირველად, როდესაც ეგონათ, ეს ისეთივე სენია, როგორიც სხვებიო, რელიგიას ჯერ კიდევ პქონდა თავისი ადგილი. მაგრამ რა დაინახეს, სერიოზულად იყო საქმე, სიტკბორება მოაგონდათ. წუხილი და შიში, დღის განმავლობაში ადამიანთა სახეებზე რომ აღბეჭდილა, მცხუნვარე და მტვრიან ბინდბუნდში ველურ ალტკინებად, მოუხეშავ თავისუფლებად გადაიქცევა, რომელიც მთელ ქალაქს აღავზნებს.

მეც მათსავით ვარ. მაგრამ რა! სიკვდილი არა-ფერია ჩემისთანა ადამიანებისთვის. ეს უბრალოდ მოვლენაა, რომელიც ჩვენს სიმართლეს ცხადყოფს.

ტარუმ შეხვედრა სთხოვა ექიმს (ამ შეხვედრას ახსენებს თავის უბის წიგნაკეშიც). იმ საღამოს, ტარუს მოლოდინში ექიმი შესცეკეროდა სასადილო ოთახის კუთხეში სკამზე ჩამომჯდარ დედას, რომელიც აქ ატარებდა დროს, საოჯახო საქმეებისგან რომ მოიცლიდა. ხელებს მუცელზე დაიწყობდა ხოლმე და ელოდა. რიე მთლად არც იყო დარწმუნებული, რომ დედა სწორედ მას ელოდა, მაგრამ როდესაც ოთახში შემოდიოდა, დედას სახე ეცვლებოდა. ცხოვრების ჭაპანწყვეტისგან დადუმებული გრძნობები თითქოს ერთბაშად იღვიძებდა მის არსებაში. შემდეგ ქალი კვლავ დუმილში ინთქმებოდა. იმ საღამოს დედა ფანჯრიდან გასცეკეროდა უკვე დაცარიელებულ ქუჩას. ლამის განათება ორი მესამედით შეემცირებინათ, შორიშორს მდგარი სუსტი ნათურები უძლურად ბჟუტავდნენ და ოდნავ კიაფობდნენ ქალაქის ბუნდბუნდში.

— ამ უამიანობის დროს სულ ცუდი განათება გვექნება? — იკითხა ქალბატონმა რიემ.

— უთუოდ.

— ოღონდ ზამთრამდე არ გასტანოს, თორემ მეტად გულის შემაღლონებელი იქნება.

— ჰო, — გამოეხმაურა რიე.

მან თვალი შეასწორ, დედა მის შუბლს აკვირდებოდა. თვითონაც იცოდა, რომ ბოლო დღეების ჯავრმა და დაღლილობამ სახე დაუღარა.

— დღეს საქმე კარგად არ იყო? — ჰეთხა ქ-ნმა რიემ.

— ჩვეულებრივ.

ჩვეულებრივ! ეს იმას ნიშნავდა, რომ პარიზიდან გამოგზავნილი ახალი შრატი პირველად მოსულზე ნაკლებ ქმედითი ჩანდა, სიკვდილიანობა მატულობდა. კვლავინდებურად არ იყო საშუალება, პროფილაქტიკური აცრა ჩაეტარებინათ იმ ოჯახებში, სადაც სენს ჯერ არ შეეღწია. საყოველთაო აცრისთვის ბევრი შრატი იყო საჭირო. სიმსივნეები აღარ სკდებოდა, რატომლაც გამაგრებულიყო და ანამებდა ავადმყოფებს. წუხანდელს აქეთ ქალაქში ეპიდემიის ახალი ფორმის ორმა შემთხვევამ იჩინა თავი. შავი ჭირი ახლა ფილტვებზე გადასულიყო. მაშინვე შეიკრიბნენ ქანცგანყვეტილი ექიმები და თავგზააბნეულ პრეფექტს მოსთხოვეს — და დაითანხმეს კიდეც — რომ ახალი ზომები მიეღოთ ფილტვის ჭირის თავიდან ასაცილებლად, რომელიც სუნთქვით ვრცელდებოდა. კვლავინდებურად არავის არაფერი გაეგებოდა.

რიემ დედას შეხედა. თაფლისფერ თვალთა მშვენიერმა გამოხედვამ ნარსული წლების სითბო და სიყვარული გაუღვიძა.

— ხომ არ გეშინია, დედი?

— ჩემი ხნის ადამიანს, აბა, რისი უნდა ეშინოდეს?

— დღე გრძელია, მე კი თითქმის არასოდეს ვარ შინ.

— მოლოდინი არაფერია, თუკი ვიცი, რომ მოხვალ. აქ რომ არ ხარ, იმას ვფიქრობ, ახლა რას აკეთებს-მეთქი. ახალი ამბავი თუა რამე?

— ბოლო დეპეშას თუ დავუჯერებთ, კარგი ამბავია. მაგრამ ვიცი, ჩემს დასამშვიდებლად მნერს.

კართან ზარის ხმა გაისმა. ექიმმა გაუღიმა დედას და კარის გასაღებად გაემართა. კიბის ბაქანზე ნახევრად ბნელოდა და ტარუ ნაცრისფერ დიდ დათვს ჰეგავდა. რიემ სტუმარი საწერი მაგიდის ნინდასვა, თვითონ კი თავისი სავარძლის უკან დადგა. მხოლოდ მაგიდის ნათურა აშორებდათ ერთმანეთს. ოთახში სხვა შუქი არ იყო ჩართული.

— ვიცი, რომ შემიძლია გულწრფელად დაგელაპარაკოთ, — შესავლის გარეშე დაიწყო ტარუმ.

რიემ ხმისამოუღებლად დაუქნია თავი.

— ორ კვირასა ან ერთ თვეში თქვენ აქ სრულიად არაფრის მაქნისი იქნებით. მოვლენები ნინგისწრებთ.

— მართალი ბრძანდებით, — დაეთანხმა რიე.

— სანიტარული უწყება ცუდადაა ორგანიზებული, არც დრო გყოფნით და არც ხალხი.

რიემ კვლავ დაუდასტურა ნათქვამის სისწორე.

— გავიგე, რომ პრეფექტურას განზრახული აქვს, რაღაც სავალდებულო სამოქალაქო სამსახური შექმნას, რათა ჯანსაღი მამაკაცები აიძულოს მონაწილეობა მიიღონ საყოველთაო ხსნის საქმეში.

— სწორი ბრძანებაა, მაგრამ პრეფექტი მერყეობს, ისედაც დიდი უკმაყოფილებაა ქალაქში.

— რატომ მოხალისეებს არ მიმართავენ?

— სცადეს, მაგრამ ბევრს ვერაფერს გახდნენ.

— იმიტომ, რომ ოფიციალურ გზას მიმართეს და წარმატების იმედი დიდად არც ჰქონიათ. მაგათ წარმოსახვა ღალატობთ, ვერ გაუთვალისწინებიათ უბედურების სიგრძე-სიგანე. ჩვენ ამდაგვარი ხერხით მხოლოდ სურდოს თუ შევებრძოლებით. თუ ნებას მივუშვით, თვითონაც დაიღუ-

პებიან და ჩვენც დაგვლუპავენ.

— შესაძლებელია, — მიუგო რიემ, — ოლონდ უნდა მოგახსენოთ, რომ ისიც კი იფიქრეს, პატიმრები გამოეყვანათ მძიმე სამუშაოებზე.

— მე თავისუფალ ადამიანს ვამჯობინებდი.

— მეც, მაგრამ კაცმა რომ თქვას, რატომ?

— სიკედილის განაჩენი ზიზღს მგვრის.

ექიმმა შეხედა ტარუს:

— მერე?

— მერე ის, რომ მე მოხალისეთა სანიტარული რაზმების ჩამოყალიბების გეგმა მაქვს. ნება მიბოძეთ, მოვკიდო ამ საქმეს ხელი, ოლონდ ადმინისტრაციას ნუ ჩავრევთ. მათ ისედაც თავზე საყრელად აქვთ საქმე. მე ყველგან მეგობრები მყავს — მათგან პირველი ბირთვი შეიკვრება. ცხადია, მეც მონანილეობას მივიღებ.

— რა თქმა უნდა, — უპასუხა რიემ, — ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ სიხარულით დაგთანხმდებით. კაცს მუდამ სჭირდება დახმარება, განსაკუთრებით ჩვენს ხელობაში. მე შევეცდები, პრეფექტურა დავიყოლიო. მათ სხვა არჩევანი არც აქვთ, მაგრამ... — რიე დაფიქრდა, — მაგრამ მაგ სამუშაოში შეიძლება ხალხი შეინიროს. თუმცა თქვენ კარგად იცით ეს, მე მაინც ვალდებული ვარ, გაგაფრთხილოთ. კარგად დაფიქრდით?

ტარუმ მშვიდად მიაპყრო ნაცრისფერი თვალები.

— ექიმო, რას ფიქრობთ მამა პანელუს ქადაგებაზე?

კითხვა ბუნებრივი კილოთი იყო დასმული და რიემაც ასევე უპასუხა:

— ცხოვრების დიდი ნაწილი საავადმყოფოში

გამიტარებია და ამიტომ ვერ მოვიწონებდი კოლექტიური დასჯის იდეას. მაგრამ, მოგეხსენებათ, ქრისტიანები ზოგჯერ ასე ლაპარაკობენ, თუმცა სინამდვილეში არასოდეს ფიქრობენ ასე. ისინი უკეთესები არიან, ვიდრე ჩანან.

– მაგრამ, პანელუს მსგავსად, თქვენც ფიქრობთ, რომ უამიანობასაც თავისი სიკეთე ახლავს, იგი თვალს უხელს ადამიანებს, აიძულებს, რომ იფიქრონ?

ექიმმა მოუთმენლად გაიქნია თავი:

– ისევე, როგორც ყველა სენს ამქვეყნად. ის, რაც მართებულია ყველა ამქვეყნიური სნეულების მიმართ, მართებულია შავი ჭირის მიმართაც. მან შეიძლება ზოგი აამაღლოს კიდეც. მაგრამ როდესაც ხედავ მწუხარებასა და ტანჯვას, რომელიც მას მოაქვს, გიუი, ბრმა ან ლაჩარი უნდა იყო, რომ შავ ჭირს შეურიგდე.

რიემ ოდნავ თუ აუნია ხმას, მაგრამ ტარუმ ხელი აიქნია, თითქოს ამშვიდებდა, თანაც გაულიმა.

რიემ მხრები აიჩეჩა:

– ასეა, მაგრამ პასუხი არ მოგიციათ. კარგად დაფიქრდით?

ტარუ მოხერხებულად მოეწყო სავარძელში და შუქისკენ გადმოიხარა:

– ღმერთი თუ გნამთ, ექიმო?

ეს შეკითხვაც ბუნებრივი იყო, მაგრამ ამჯერად რიე შეყოყმანდა.

– არა, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს? მე წყვდიადში ვარ და რამის დანახვას ვცდილობ. უკვე დიდი ხანია, ამაში ვერაფერს ვხედავ ორიგინალურს.

– ეს ხომ არ გაშორებთ პანელუს?

– არა მგონია. პანელუ წიგნის კაცია. მას ერ-

თი-ორჯერ თუ უნახავს სიკვდილი და ამიტომაც არის, რომ ჭეშმარიტების სახელით ლალადებს. მაგრამ ყოველი სოფლის მღვდელი, ვისაც თავისი მრევლი უზიარებია და მომაკვდავის უკანასკნელი ამოსუნთქვა მოუსმენია, ჩემსავით ფიქრობს. იგი ამჯობინებდა, ემკურნალა სნეულთათვის, ხოლო შემდეგ განეზრახა ამ სენის სასიკეთო თვისებების დამტკიცება.

რიე წამოდგა. მისი სახე ახლა ჩრდილში იყო.

— დავანებოთ ამას თავი, რადგან არ გსურთ, მიპასუხოთ.

ტარუს გაელიმა. არ ამდგარა, ისე ჰეითხა:

— შემიძლია შეკითხვითვე გიპასუხოთ?

ახლა ექიმს გაელიმა.

— იდუმალება გყვარებიათ. მიდით, მკითხეთ!

— მაშ, თავად რისთვის იჩენთ ასეთ თავდადებას, თუკი ღმერთი არ გნამო? თქვენმა პასუხმა იქნებ მეც მიშველოს პასუხის გაცემაში.

ექიმი კვლავ ჩრდილში იდგა, ისე მიუგო, მე უკვე გავეცი პასუხი ამ კითხვას და ყოვლისშემძლისა რომ მნამდეს, აღარ ვუმკურნალებდი ადამიანებს, უფალს დავუტოვებდი ამ საზრუნავსო. მერე დააყოლა: მთელ ქვეყანაზე არავის, თვით პანელუსაც კი (თუმცა კი ჰელიონია, ასე მნამსო), არ სწამს ღმერთი იმდენად, რომ მთლიანად მიანდოს თავი მის ნება-სურვილს, ამიტომ მიმაჩნია, რომ ჭეშმარიტ გზას ვადგავარ, როდესაც ვებრძვი სინამდვილეს, რომელიც არსებობსო.

— მაშ, ასე წარმოგიდგენიათ თქვენი ხელობა?

— შეეკითხა ტარუ.

— დაახლოებით, — მიუგო ექიმმა და სინათლეზე გამოვიდა.

ტარუს ხმადაბლა სტვენაზე ექიმი მიტრიალდა:

— დიახ, თქვენ ფიქრობთ, რომ ჩემს ხელობას სიამაყე შვენის, მაგრამ დამერწმუნეთ, მე მხოლოდ იმდენი სიამაყე გამაჩინია, რამდენიც საჭიროა. არ ვიცი, რა მომელის, ან რა მოხდება ყოველივე ამის შემდეგ, ახლა კი — არიან ავადმყოფები და მათ შველა უნდათ. დღეს ფიქრის დრო არ არის. შემდეგში, როდესაც განიკურნებიან, ისინიც დაფიქრდებიან და მეც... მე ვიცავ მათ შეძლების-დაგვარად. ესაა და ეს.

— ვისგან იცავთ?

რიე ფანჯრისკენ მიბრუნდა. შორს, საითაც ჩამუქებული ჰორიზონტი იყო, ზღვა ეგულებოდა. უფრო და უფრო მოეძალა დაღლილობა და ამავე დროს ებრძოდა უეცრად მონოლილ უაზრო სურვილს, გადაეშალა გული ამ უცნაური კაცისთვის, რომელთანაც რაღაც ნათესაურ კავშირს გრძნობდა.

— გეფიცებით, ტარუ, ამის მეტი არაფერი ვიცი. ამ ხელობას როგორლაც განყენებულად ვეზიარე; მჭირდებოდა, ვინაიდან ისეთსავე მდგომარეობას მანიჭებდა, როგორსაც ყველა სხვა ხელობა, რომლისკენაც ახალგაზრდობა მიისწრაფვის. იქნებ იმიტომაც ვარჩიე, რომ მუშის შვილისთვის ეს განსაკუთრებით ძნელი იყო. შემდეგში ვნახე, როგორ კვდებიან ადამიანები. იცით თუ არა, რომ ისეთი ადამიანებიც არსებობენ, რომლებიც უარს ამბობენ სიკვდილზე? გსმენიათ მომაკვდავი ქალის უკანასკნელი ამოძახილი: „არა-სოდეს!“ მე მსმენია. თავიდანვე ვიგრძენი, რომ ამას ვერ შევეგუებოდი. ყმაწვილი ვიყავი და მთელი ჩემი სიძულვილი სამყაროს კანონზომიერებაზე გადავიტანე. დრო რომ გავიდა, უფრო თავ-

მდაბალი გავხდი. ოლონდ ჯერაც ვერ შევეჩივიე  
მომაკვდავი ადამიანის ყურებას. მეტი არაფერი  
ვიცი, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს...

რიე გაჩუმდა და დაჯდა. გრძნობდა, რომ პი-  
რი გაუშრა.

— რა, ბოლოს და ბოლოს? — ხმადაბლა შეეკით-  
ხა ტარუ.

— ბოლოს და ბოლოს... — განაგრძო ექიმმა, მაგ-  
რამ ისევ შეყოყმანდა და ყურადღებით დააცქერ-  
და ტარუს, — ეს ისეთი რამაა, რასაც თქვენნაირი  
კაცი უთუოდ გამიგებს. რადგან სამყაროს წესს  
სიკვდილი განსაზღვრავს, იქნებ ღმერთისთვის  
ჯობდეს, რომ იგი არ იწამონ, მთელი ძალ-ლონე  
სიკვდილთან ბრძოლას მოახმარონ და აღარ აღაპ-  
ყონ თვალები ზეცისკენ, სადაც იგი დუმს.

— დიახ, — კვერი დაუკრა ტარუმ, — შემიძლია,  
გაგიგოთ, მაგრამ თქვენი გამარჯვება მუდამ  
დროებითი იქნება, ესაა და ეს.

რიე მოიქუთრა:

— ვიცი, რომ მუდამ ასე იქნება, მაგრამ ეგ  
ბრძოლის შეწყვეტის საბაბად არ გამოდგება.

— არა, არ გამოდგება და თუ ასეა, წარმომიდ-  
გენია, რა უნდა იყოს თქვენთვის ეს უამიანობა.

— დიახ, — გამოეპასუხა რიე, — დაუსრულებე-  
ლი მარცხი.

ტარუ ერთხანს თვალებში შეაცქერდა ექიმს,  
შემდეგ ადგა და მძიმედ გაემართა კარისკენ. რიე  
უკან გაჰყვა. ტარუ შეჩერდა, თავი ჩაღუნა და  
ექიმს ჰკითხა:

— ვინ გასწავლათ ყოველივე ეს, ექიმო?

პასუხს არ დაუყოვნებია:

— გაჭირვებამ.

რიემ გააღო კაბინეტის კარი და დერეფანში რომ გავიდნენ, ტარუს უთხრა, გარეუბანში ერთი ავადმყოფი მყავს სანახავიო. ტარუმ შესთავაზა, გამოგყვებითო. ექიმი დათანხმდა.

დერეფნის ბოლოს ქ-ნი რიე დაუხვდათ. ექიმმა მას ტარუ გააცნო. მეგობარიაო, ასე უთხრა დედას.

— ო! ბედნიერი ვარ, რომ გაგიცანით, — თქვა ქალმა.

ტარუმ თვალი გაადევნა. კიბის ბაქანზე ექიმი ამაოდ ეცადა შუქის ანთებას. კიბე სიბნელით იყო მოცული. რიემ იფიქრა, ალბათ ეკონომიას ეწევიანო. ეს ერთი ხანი იყო, ქალაქში ყველაფერი მოიშალა, იქნებ იმიტომ, რომ კარისკაცები და სახლის ბინადრები აღარაფერს უფრთხილდებოდნენ. ექიმი ამ ფიქრში იყო, როცა უკან მომავალი ტარუს ხმა გაიგონა:

— კიდევ ერთი სიტყვა, ექიმო, თუნდაც სასაცილოდაც ჩათვალოთ: თქვენ სრულიად მართალი ბრძანდებით.

სიბნელეში რიემ თავისთვის თუ აიჩეჩა მხრები.

— მერნმუნეთ, მე თვითონაც არ ვიცი ეგ. თქვენ, თქვენ კი იცით?

— ო, — აუდელვებლად უპასუხა ტარუმ, — მე რაღა არ ვიცი!

ექიმი შედგა. უკან მომავალ ტარუს საფეხურზე ფეხი დაუცდა და რიეს მხარს მოეჭიდა.

— თქვენ ფიქრობთ, რომ ყველაფერი გაგეგებათ ამ ცხოვრების? — ჰკითხა ექიმმა.

სიბნელეში პასუხი ისევ მშვიდმა ხმამ გასცა:

— დიახ.

ქუჩაში რომ გამოვიდნენ, დაინახეს, საკმაოდ გვიანი იყო, თერთმეტი საათი იქნებოდა. ქალაქი

დადუმებულიყო, მხოლოდ რაღაც შარიშური ის-  
მოდა სიბნელეში. ძალიან შორიდან სასწრაფო  
დახმარების მანქანის ხმა მოისმა. ექიმის მანქა-  
ნაში ჩასხდნენ და რიემ ძრავა ჩართო.

— ხვალ საავადმყოფოში უნდა მოხვიდეთ, —  
უთხრა ექიმმა ტარუს, — პროფილაქტიკური აცრა  
უნდა ჩაგიტაროთ. სანამ საქმეს შევუდგებოდეთ,  
ესლა დამრჩენია სათქმელი: გახსოვდეთ, რომ სა-  
მიდან ერთი შანსი გაქვთ უვნებლად დარჩენისა.

— მაგ ვარაუდებს აზრი არ აქვს, ექიმო, ეს  
თქვენ ჩემზე კარგად უწყით. ასი წლის წინათ შავი  
ჭირის ეპიდემიამ შეიინირა სპარსეთის ერთი ქალა-  
ქის მთელი მოსახლეობა, მხოლოდ გვამების გან-  
მბანელი დარჩა ცოცხალი, თუმცა კი თავისი საქ-  
მიანობა არ შეუწყვეტია.

— მას სწორედ მესამე შანსი ხვდა წილად, — უპა-  
სუხა რიემ რატომღაც მოგუდული ხმით, — თუმცა  
ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენ ჯერ არაფერი ვიცით.

გარეუბანში შედიოდნენ. დაცარიელებულ ქუ-  
ჩებს მათი მანქანის ფარები ანათებდა. მანქანი-  
დან გადმოსული ექიმი შეეკითხა ტარუს, ავადმ-  
ყოფთან ხომ არ შემომყვებითო. პასუხად დას-  
ტური მიიღო, ცის ათინათი უნათებდათ სახეებს.  
უცებ, რიემ კეთილად გაიცინა.

— ერთი ეს მითხარით, ტარუ, რა გაიძულებთ,  
ამ საქმეში რომ ერევით?

— არ ვიცი. უთუოდ ჩემი შეგნება.

— სახელდობრ?

— გაგების უნარი.

ტარუ მიტრიალდა სახლისკენ და რიეს მისი  
სახე აღარ დაუნახავს, სანამ ასთმიან მოხუცთან  
არ შევიდნენ.

მეორე დღიდანვე ტარუ მუშაობას შეუდგა და შეკრიბა მოხალისეთა პირველი ჯგუფი, რომელ-საც მალე სხვა მრავალი მოჰყვებოდა.

მთხოვობელს არ აქვს განზრახული, ამ სანი-ტარულ რაზმებს იმაზე მეტი მნიშვნელობა მია-ნიჭოს, ვიდრე სინამდვილეში ჰქონდა. თუმცა, მის ადგილზე რომ ყოფილიყო, მრავალ ჩვენს თანა-მოქალაქეს გული არ მოუთმენდა და ამ რაზმე-ბის როლს გააზვიადებდა. მაგრამ მთხოვობელი სხვაგვარად ფიქრობს: თუ კეთილ საქმეს მეტის-მეტად გავაზვიადებთ, ამით ჩვენდაუნებურად ხოტბას შევასხამთ ბოროტებას. საქმე ისაა, რომ ფიქრობენ, კეთილი საქმე ესოდენ ფასობს მხო-ლოდ იმიტომ, რადგან იგი იშვიათია და ადამიან-თა მამოძრავებელი ძალა უფრო ხშირად სიბორო-ტე და გულგრილობაა. მთხოვობელი კი არ იზია-რებს ამ აზრს, ქვეყნად არსებული ბოროტება თითქმის ყოველთვის უვიცობითაა გამოწვეული და კეთილ ნებას თითქმის ისეთივე ზიანის მოტა-ნა შეუძლია, რაც ბოროტებას, თუკი მას ცოდნის შექი არ ეფინება. ადამიანები უფრო კეთილნი არიან, ვიდრე ბოროტნი, მაგრამ სიმართლე თუ გნებავთ, თავი და თავი ეს როდია. ადამიანები მეტ-ნაკლებად უვიცები არიან და სწორედ ამას უნდებენ სათნოებას ან მანქს, ხოლო ყველაზე საშინელი მანქი უცოდინარობაა, რომელსაც თა-

ვი ყოვლისმცოდნე ჰეგონია და თავს მკვლელობის უფლებას აძლევს. მკვლელის სული ბრმაა და ხილვის სრული სიცხადის გარეშე არც ჭეშმარიტი სიკეთე არსებობს და არც მშვენიერი სიყვარული.

ამიტომ არის, რომ როცა ტარუს ნყალობით შექმნილ ჩვენს სანიტარულ რაზმებს ვაქებთ, ობიექტურება უნდა შევინარჩუნოთ. ამის ბრალია, რომ მთხოვნელი მეტისმეტი მჭევრმეტყველებით არ შეასხამს ხოტბას ამ ნებისყოფასა თუ გმირობას, თუმცა საკადრისს კი მიაგებს. მაგრამ იგი კვლავ დარჩება დაფლეთილი და შეურიგებელი გულების მემატიანედ, რამეთუ შავმა ჭირმა გვაქცია ასეთებად.

ერთი სიტყვით, იმ ადამიანებს, ვინც სანიტარულ რაზმებში ერთგულად შრომობდა, არც ისეთი დიდი დამსახურება ჰქონდათ, რადგან იცოდნენ, სხვა არაფერი დარჩენოდათ და ასე რომ არ მოქცეულიყვნენ, დაუჯერებელი სწორედ ის იქნებოდა. ეს რაზმები დაეხმარნენ ჩვენს თანამოქალაქეებს, უფრო კარგად გარკვეულიყვნენ შავ ჭირში და ნანილობრივ კიდევაც დაარწმუნეს იმაში, რომ რადგან სენი წინ გადაეღობათ, მასთან ბრძოლისას უნდა გაეკეთებინათ ყოველივე ის, რისი გაკეთებაც იყო საჭირო. ასე და ამრიგად, იმის გამო, რომ შავი ჭირი ზოგიერთის მოვალეობად იქცა, იგი ჭეშმარიტი სახით გამოჩნდა – ყველას საქმედ, იმად, რაც სინამდვილეში იყო.

კეთილი და პატიოსანი. მაგრამ აზრადაც არავის მოუვა, მასწავლებელი იმის გამო შეაქოს, რომ ასწავლის, ორჯერ ორი ოთხიაო. იგი, შეიძლება, იმის გამო შეაქონ, რომ მშვენიერი ხელობა აირ-

ჩია. შეიძლება ითქვას, რომ ქების ღირსნი არიან ტარუ და ყველა ისინი, ვინც ამტკიცებენ, ორჯერ ორი ოთხიაო და არა პირიქით, მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ეს კეთილი ნება მათ ანათესავებს იმ მასწავლებელთან და საერთოდ ყველასთან, ვისაც ამ მასწავლებელივით გული აქვს. ასეთები კი, ადამიანის სასახელოდ, უფრო მრავალრიცხოვანნი არიან, ვიდრე პგონიათ ხოლმე, ყოველ შემთხვევაში, მთხოვობელს ღრმად სწამს ეს. იგი იმასაც ხვდება, რომ შეიძლება შეედავონ, ეს ხალხი ხომ საფრთხეში აგდებდა საკუთარ სიცოცხლესო. მაგრამ ისტორიაში მუდამ დგება უამი, როდესაც მას, ვინც იმის მტკიცებას გაბედავს, რომ ორჯერ ორი ოთხია, სიკვდილით სჯიან. მასწავლებელმა ეს კარგად იცის. და ის კი არ გახლავთ საკითხავი, რა ჯილდო ან სასჯელი მოელის ასეთ მსჯელობას, საკითხავი ისაა, მართლა ოთხია ორჯერ ორი თუ არა. ჩვენს თანამოქალაქეებს, ვინც მაშინ სიცოცხლეს სწირავდა, უნდა გადაეწყვიტათ, დაატყდათ თუ არა თავს შავი ჭირი და უნდა ებრძოლათ თუ არა მის წინააღმდეგ.

ჩვენს ქალაქში მაშინ მრავალი ახალგამომცხვარი მორალისტი დადიოდა და ქადაგებდა: რაც უნდა ვიღონოთ, ვერას გავხდებით და სხვა გზა არ გვაქვს, მუხლებზე უნდა დავიჩოქოთო. ხოლო ტარუ, რიე და მათი მეგობრები ისე პასუხობდნენ ამაზე, როგორც შეეძლოთ, მაგრამ დასკვნა კი მუდამ ერთი გახლდათ: რაც ძალი და ღონე გვაქვს, უნდა ვიბრძოლოთ, მუხლებზე კი არ უნდა დავემხოთო. საქმე ის იყო, რაც შეიძლება მეტი ადამიანი ეხსნათ სიკვდილისა და სამუდამო

განშორებისგან. ამისთვის კი მხოლოდ ერთი გზა იყო – შავი ჭირის ნინააღმდეგ ბრძოლა. თავის-თავად ეს ჭეშმარიტება აღტაცებას არ იწვევდა, უბრალოდ, ლოგიკური იყო.

ამიტომაც ბუნებრივი გახლდათ, რომ მოხუ-ცი კასტელი მთელი რწმენითა და ენერგიით ად-გილზევე შეუდგა შრატის დამზადებას იმ მასა-ლისგან, რაც ხელთ ჰქონდა. ის და რიე იმედოვ-ნებდნენ, რომ ქალაქში მოდებული მიკრობის სა-ფუძველზე დამზადებული შრატი უფრო ქმედი-თი იქნებოდა, ვიდრე გარედან შემოტანილი, რად-გან ეს მიკრობი ოდნავ განსხვავდებოდა შავი ჭი-რის ბაცილისგან, უფრო სწორად მისი კლასიკუ-რი აღწერილობისგან. კასტელს იმედი ჰქონდა, რომ ძალიან მალე მიიღებდა შრატს.

ბუნებრივი იყო ისიც, რომ გრანმა, რომელსაც გმირისა არაფერი ეცხო, სანიტარული რაზმების მდივნის მოვალეობა იკისრა. ტარუს მიერ ჩამო-ყალიბებული ზოგიერთი რაზმი მჭიდროდ დასახ-ლებულ უბნებში წინასწარ ზომებს იღებდა, რომ მოსახლეობა დაეცვა შავი ჭირისგან. ცდილობდ-ნენ, სიბინძურე აღმოეფხვრათ, აღრიცხავდნენ ყველა სხვენსა და სარდაფს, სადაც დეზინფექ-ცია არ ჩაეტარებინათ. სხვა რაზმები უშუალოდ ექიმებს ეხმარებოდნენ – მათთან ერთად მიდი-ოდნენ ავადმყოფებთან, ჭირშეყრილები გადაჰ-ყავდათ, ხოლო შემდეგში, რაღვანაც კვალიფი-ცირებული პერსონალი აკლდათ, თვითონ სხდე-ბოდნენ სასწრაფო მანქანის საჭესთან, რომ ავად-მყოფები და მიცვალებულები გადაეყვანათ. ყო-ველივე ეს სტატისტიკურ აღნუსხვას საჭიროებ-და და გრანმაც იკისრა ეს საქმე.

მთხოვობელს მიაჩნია, რომ გარკვეული თვალ-საზრისით, რიესა და ტარუზე მეტად გრანი იყო განსახიერება იმ იშვიათი სათნოებისა, სანიტა-რულ რაზმებს რომ შთააგონებდა. მან მისთვის ჩვეული კეთილი ნებით, უყოფმანოდ თქვა ჰომ-ბა. სურდა, მცირე სამუშაოთი მაინც მოეტანა სარგებლობა. სხვა რამისთვის მეტისმეტად ხან-დაზმული იყო. მას შეეძლო ემუშავა თვრამეტი საათიდან ოც საათამდე და როდესაც რიემ მხურვალე მადლობა გადაუხადა, გრანს გაუკ-ვირდა: „ეს როდია ყველაზე ძნელი. შავ ჭირს ვერსად გავექცევით, ცხადია, უნდა ვებრძო-ლოთ. ეპ! ყველაფერი ასე მარტივი რომ იყოს!..“ და იგი კვლავ თავის დაუმთავრებელ ნინადადე-ბას უბრუნდებოდა. ზოგჯერ, საღამოობით, რი-ცა სტატისტიკური მონაცემების შეჯამებას შორდებოდნენ, რიე გრანს ესაუბრებოდა. ბო-ლოს, ტარუც ჩაითრიეს თავიანთ საუბარში და გრანი სულ უფრო და უფრო აშეარა სიამოვნე-ბით უშლიდა ხოლმე გულს თავის ორ მეგობარს. ისინიც ინტერესით ადევნებდნენ თვალს მის მუ-შაობას, რასაც იგი უამიანობის დროსაც არ წყვეტდა. საბოლოო ჯამში, ამაში ჰპოვებდნენ ერთგვარ შვებას.

„როგორ არის ამორძალი?“ – ხშირად ჰკითხავ-და ტარუ, გრანი კი მუდამ ამას მიუგებდა ტან-ჯული ლიმილით: „მიაჭენებს თავის ცხენს, მია-ჭენებს!“ ერთ საღამოს გრანმა თქვა, საბოლოოდ ავიღე ხელი ზედსართავზე „კოხტა“, ამორძალს რომ განსაზღვრავდა და ამიერიდან „ტანკენარს“ ვუნოდებო. „ეს უფრო ზუსტია“, – დაურთო მან. მეორე დღეს მან ნაუკითხა თავის მსმენელებს

შემდეგნაირად გადაკეთებული პირველი წინადაღება: „მაისის მშვენიერ დილას საუცხოო ქურან ცხენზე ამხედრებული ტანკენარი ამორძალი ბულონის ტყის აყვავებულ ხეივნებს მიუყვებოდა.“

— ასე ხომ უკეთ ხედავთ? — ამბობდა გრანი, — თანაც მე ვამჯობინე „მაისის დილას“, რადგან „მაისის თვე“ ცხენის ჭენებას ოდნავ გაჭიანურებულს ხდიდა.

შემდეგში ძალიან ბევრი საფიქრალი გაუჩინა ზედსართავმა „საუცხოო“. გრანის აზრით, ეს სიტყვა არაფრის მთქმელი იყო, ის კი ისეთ სიტყვას ეძებდა, რომელსაც შეეძლო მის წარმოსახვაში არსებული დიდებული ცხენი ფოტოგრაფიული სიზუსტით დაეხატა. „ნასუქი“ არ ვარგოდა, ზუსტი კი იყო, მაგრამ ოდნავ დამამცირებელი. ერთხანს „ნაპატივებმა“ მიიზიდა იგი, მაგრამ ეს სიტყვა წინადაღების რიტმში ვერ ჯდებოდა. ერთ სალამოს მოხუცმა გამარჯვებული იერით აცნობა თანამოსაუბრეთ, ვიპოვე: „ამლაყი ქურანი“, ასე დავწერო. მისი აზრით, ეს სიტყვები ყოველგვარი ხაზგასმის გარეშე, ცხენის სიკონტავეზე მიუთითებდა.

— ეგ შეუძლებელია, — უთხრა რიემ.

— რატომ?

— ამლაყი ჯიშს კი არა, ფერს მიუთითებს.

— რომელ ფერს?

— ყოველ შემთხვევაში, ამლაყი და ქურანი ერთი და იგივე არაა.

გრანი ძალიან დანაღვლიანებული ჩანდა.

— გმადლობთ, — თქვა მან, — საბედნიეროდ, თქვენ მყავხართ გვერდით. ხომ ხედავთ, რა ძნელია წერა.

— „დიდებულზე“ რას იტყოდით? — ჰეითხა ტა-  
რუმ.

გრანმა შეხედა. დაფიქრდა:

— დიახ, — თქვა მან ბოლოს, — ზედგამოჭრილი  
სიტყვაა.

თანდათან ლიმილიც კი დაუბრუნდა.

რამდენიმე დღის შემდეგ აღიარა, სიტყვა „აყ-  
ვავებული“ მეჩოთირებაო. ვინაიდან ორანსა და  
მონტელიმარს არასოდეს დასცილებოდა, თავის  
მეგობრებს გამოჰკითხა, რანაირად ყვავისო ბუ-  
ლონის ტყის ხეივნები. კაცმა რომ თქვას, რიესა  
და ტარუს არასოდეს დარჩენიათ შთაბეჭდილე-  
ბა, თითქოს ეს ხეივნები ჰყვაოდა, მაგრამ მოხე-  
ლის რწმენამ ისინიც დააეჭვა. მოხუცს კი მათი  
ორჭოფობა ანცვიფრებდა. „მხოლოდ მხატვრის  
თვალს ძალუძს დანახვა!“ მაგრამ ერთხელ ძალ-  
ზედ აგზნებული დაუხვდა ექიმს. სიტყვა „აყვა-  
ვებული“ „ყვავილებით დაბურულით“ შეცვალა.  
ხელებს იფშვნეტდა. „როგორც იქნა, მათი დანახ-  
ვა, შეგრძნება შეიძლება. ქუდი მოიხადეთ მონი-  
ნებით, ბატონებო!“ მერე გამარჯვებული იერით  
ნაიკითხა წინადადება: „მაისის მშვენიერ დილით  
დიდებულ ქურანზე ამხედრებული ტანკენარი  
ამორძალი ბულონის ტყის ყვავილებით დაბუ-  
რულ ხეივნებს მიუყვებოდა.“ მაგრამ ხმამაღლა  
კითხვის დროს წინადადების ბოლოს თავშეყრი-  
ლი, მიჯრით მიწყობილი არსებითი სახელები  
ყურს ეხამუშებოდა და გრანსაც ენა წაუბორდი-  
და. დამწუხრებული ჩამოჯდა. შემდეგ ექიმს ნას-  
ვლის ნებართვა სთხოვა, უნდა დავფიქრდეო.

როგორც შემდგომში გამოირკვა, სწორედ იმ-  
ხანად დაეტყო სამსახურში დაბნეულობის ნიშ-

ნები, ეს კი სავალალო იყო ისეთ მომენტში, როცა  
მერია შემცირებული პერსონალით მძიმე ვალდე-  
ბულებებს უნდა გამკლავებოდა. ამან უარყოფი-  
თად იმოქმედა მის სამსახურობრივ საქმიანო-  
ბაზე და კანტორის უფროსმა მკაცრადაც უსაყ-  
ვედურა, ფულს იმისთვის იღებთ, რომ შეასრუ-  
ლოთ სამუშაო, რომელსაც არსებითად არ ასრუ-  
ლებთო. „თურმე მოხალისედ მუშაობთ სანიტა-  
რულ რაზმებში, – უთხრა კანტორის უფროსმა, –  
ეს მე არ მეხება. ერთადერთი, რაც მაინტერე-  
სებს, თქვენი სამსახურია. ამ საშინელ ვითარე-  
ბაში სარგებლობის მოტანა თუ გსურთ, პირველ  
რიგში თქვენი სამუშაო უნდა შეასრულოთ კე-  
თილსინდისერად. თუ არადა, სხვა დანარჩენი  
არაფრის მაქნისია...“

- იგი მართალია, – უთხრა გრანმა რიეს.
- დიახ, მართალია, – დაუდასტურა ექიმმაც.
- მაგრამ მე დაბნეული ვარ, რაკი არ ვიცი, თა-  
ვი როგორ გავართვა ჩემი წინადადების დასას-  
რულს.

მას აზრად მოსევლია, ამოელო სიტყვა „ბულო-  
ნის“, რადგან მიაჩნდა, რომ ისედაც გასაგები იქ-  
ნებოდა ყველაფერი. მაგრამ მაშინ წინადადება-  
ში თითქოს „ყვავილებს“ უკავშირდებოდა ის, რაც  
სინამდვილეში „ხეივნებს“ ეხებოდა. ისიც უფიქ-  
რია, დაენერა: „ხეივნებს ტყისას, სავსეს ყვავი-  
ლებით“, მაგრამ „ტყისგან“ ხელოვნურად გათი-  
შული არსებითი სახელი და განსაზღვრება ეჩო-  
თირა. მართალი თუ გნებავთ, ზოგიერთ საღამოს  
იგი რიეზე გაცილებით უფრო დალლილი ჩანდა.

დიახ, მას ქანცს აცლიდა საჭირო სიტყვის ძი-  
ება, სულ მთლად რომ შთანთქავდა მის არსებას,

მაგრამ მაინც განაგრძობდა მონაცემების შეჯამებას და სტატისტიკურად აღრიცხვას, რაც სანიტარული რაზმებისთვის იყო საჭირო. ყოველ სალამოს მოთმინებით უკირკიტებდა სააღრიცხვო ბარათებს, მონაცემებს აჯერებდა და ცდილობდა, რაც შეიძლება ზუსტი სურათი შეექმნა. საკმაოდ ხშირად აკითხავდა რიეს საავადმყოფოში და თავისუფალ მაგიდას სთხოვდა. თავისი ქალალდებით მიუჯდებოდა ამ მაგიდას, ზუსტად ისევე, როგორც მერიაში და სადეზინფექციო ნამლისა და ავადმყოფთა ამონასუნთქით დამძიმებულ ჰაერში ქალალდის ფურცლებს აფრიალებდა, რათა მელანი გაეშრო. მაშინ იგი პატიოსნად ცდილობდა, თავის ამორძალზე აღარ ეფიქრა და მხოლოდ ის ეკეთებინა, რაც ევალებოდა.

დიახ, თუკი მართალია, რომ ადამიანებს სჭირდებათ მისაბაძი მაგალითები და სანიმუშო პიროვნებები, რომლებსაც ისინი გმირებს უნდებენ, და თუკი აუცილებელია, რომ ერთი გმირი ამ მოთხოვნაშიც იყოს, მთხოვნელი სწორედ ამ უმნიშვნელო და ჩრდილში მყოფ ადამიანს გთავაზობთ, ვისაც სიკეთისა და იდეალის გარდა არაფერი გააჩნია – იდეალისა, ერთი შეხედვით სასაცილო რომ ჩანს. ეს დაუბრუნებს ჭეშმარიტებას მის კუთვნილს – ორჯერ ორი რომ ოთხია, ხოლო გმირობას – ოდითგანვე მიკუთვნებულ მეორეხარისხოვან ადგილს, რომელიც წინ კი არ უსწორებს, არამედ სწორედ თან სდევს საყოველთაო ბედნიერების მოთხოვნილებას. ჩვენს ქრონიკასაც ეს ანიჭებს სრულიად გარკვეულ ხასიათს, როგორიც უნდა ჰქონდეს ნამდვილ ფაქტებზე აგებულ მოთხოვნას, რაშიც სიკეთეა ჩაქსოვილი, ისეთი

სიკეთე, რომელიც არ ყვირის, არ არის ეგზალტი-რებული ამ სიტყვის უარყოფითი თეატრალური გაგებით.

ყოველ შემთხვევაში, ასეთი გახლდათ ექიმის აზრი, როდესაც გაზეთებში კითხულობდა ანდა რადიოში უსმენდა მიმართვებსა და გამხნევებას, გარე სამყარო რომ უგზავნიდა შავი ჭირით მოცულ ქალაქს. ამიერიდან განმარტოებულ ქალაქს ყოველ საღამოს ჰაერითა თუ ხმელეთის გზით გამოგზავნილ დახმარებასთან ერთად ან-ვიმდა რადიოტალღებიდან თუ პრესის ფურცლებიდან სიბრალულისა და აღფრთოვანების სიტყვები. და ამ სიტყვების ეპიკურსა თუ რიტორიკულ ტონს მუდამ მოთმინებიდან გამოჰყავდა ექიმი. ცხადია, ხვდებოდა, რომ ეს თანაგრძნობა არ იყო მოჩვენებითი, მაგრამ იგი მხოლოდ იმ პირობითი ენით შეიძლებოდა გამოხატულიყო, რომლითაც ადამიანები ცდილობენ, გამოთქვან ის, რაც მათ კაცობრიობასთან აკავშირებს. მაგრამ ეს ენა არ შეეფარდება თუნდაც იგივე გრანის ყოველდღიურ ძალისხმევას, რადგან ვერ გადმოსცემს იმას, თუ რას წარმოადგენდა გრანი მძვინვარე ეპიდემიისას.

ზოგჯერ, შუაღამისას, უკაცრიელ ქალაქში ჩამოვარდნილ დიდ სიჩუმეში, ვიდრე ხანმოკლე ძილისთვის საწოლს მიაშურებდა, ექიმი რადიომიმღებს რთავდა. და ქვეყნის ყოველი კიდიდან, ათასობით კილომეტრის გამოვლით, უცნობი და ძმური ხმები მოუქნელად ცდილობდნენ გამოეთქვათ თავიანთი თანადგომა და გამოთქვამდნენ კიდეც, მაგრამ ამავე დროს იმ საშინელ უძლურებასაც ადასტურებდნენ, ადამიანს რომ მოიცავს ხოლ-

მე, როდესაც უნდა, გულით გაიზიაროს ის ტკი-ვილი, რომლის დანახვაც არ შეუძლია. „ორანი! ორანი!“ ამაოდ გადმოივლიდა ხოლმე ზღვებს ეს მომართვა, ამაოდ უსმენდა რიე გაფაციცებით, მყისვე იმძლავრებდა მჭევრმეტყველება და კი-დევ უფრო ხაზს უსვამდა იმ არსებით განსხვავებას, რომლის გამოც გრანი და ის რადიოთი მოლაპარაკე ერთმანეთისთვის უცხონი იყვნენ. „ორანი! ორანი!“ „არა, – ფიქრობდა ექიმი, – სხვა გზა არ არსებობს, უნდა გიყვარდეს, ან მოკვდე სხვებთან ერთად. ისინი კი მეტისმეტად შორს არიან.“

ვიდრე შავი ჭირის კულმინაციაზე მოგითხობდეთ, როდესაც მან მთელი თავისი ძალ-ღონე მოიკრიბა, რათა ქალაქისთვის თავს დაეტეხა და საბოლოოდ ხელთ ეგდო იგი, ისღა დაგვრჩენია გიამბოთ, თუ რა ხანგრძლივ, უსასოო და ერთფეროვან ღონისძიებებს მიმართავდნენ ზოგ-ზოგიერთები, რომელთაც, რამბერისა არ იყოს, სურდათ, საკუთარი ბედნიერება დაებრუნებინათ და შავი ჭირისთვის წაეგლიჯათ თავიანთი არსების ის ნაწილი, ყოველგვარი ხელყოფისგან რომ იცავდნენ. ასე ამბობდნენ ისინი უარს მონობაზე, რომელიც ემუქრებოდათ და თუმცა ეს უარი ერთი შეხედვით იმ სხვა უარივით ქმედითი არ ჩანდა, მთხობელის აზრით, მას გამართლება ჰქონდა და მიუხედავად იმისა, რომ უნაყოფო და წინააღმდეგობებით აღსავსე იყო, მაინც მონმობდა, რომ ჩვენში ენთო სიამაყის ნაპერნკალი.

რამბერი იბრძოდა იმისთვის, რომ შავ ჭირს არ წაელეკა იგი. რაკი დარწმუნდა, კანონიერი გზით ქალაქიდან ვერ გავალო, გადაწყვიტა სხვა ხერხი ეხმარა. ასედაც უთხრა რიეს. უურნალისტმა ჯერ კაფეების ოფიციანტებს დაუწყო გამოკითხვა. კაფეს ოფიციანტმა ყოველთვის ყველაფერი იცის. მაგრამ პირველივე ოფიციანტმა, რომელსაც მიაკითხა, უპირველეს ყოვლისა, ის იცოდა, თუ რა მკაცრი სასჯელი იყო გათვალისწინებული ამგ-

ვარი ცდებისთვის. ერთხელ პროვოკატორიც კი ეგონათ. საქმემ ოდნავ წინ წაინია მას შემდეგ, რაც კოტარს შეხვდა რიესთან. იმ დღეს რიემ და კოტარმა კვლავ ილაპარაკეს უურნალისტზე, თქვეს, ტყუილუბრალოდ დაატარებენ ადმინისტრაციულ დაწესებულებებში. რამდენიმე დღის შემდეგ კოტარი ქუჩაში შეხვდა რამბერს და ისე თავაზიანად შეეგება, როგორც ეს ერთი ხანობა იყო, დასჩემებოდა:

— კვლავ არაფერია? — ჰკითხა უურნალისტს.

— არა, არაფერი.

— მოხელეების იმედი ნუ გექნებათ. იმისთვის კი არ სხედან კანცელარიებში, რომ ადამიანებს გაუგონ.

— მართალია. მაგრამ მე სხვა გზას ვეძებ, ეს კი ძალიან ძნელია.

— აჰა! — უთხრა კოტარმა, — მესმის.

მერე დააყოლა, არაპირდაპირი გზები ვიციო და როცა რამბერმა ეს გაიკვირვა, აუხსნა, უკვე დიდი ხანია, ორანის კაფეებში დავდივარ, იქ მე-გობრები მყავს და ვიცი ერთი ორგანიზაციის არ-სებობა, რომელიც ამგვარ საქმეებს აგვარებსო. სიმართლე კი ის გახლდათ, რომ კოტარმა, ამ ბოლო დროს მეტს რომ ხარჯავდა, ვიდრე ლებულობდა, ხელი მოჰკიდა დეფიციტური პროდუქტების კონტრაბანდით შემოზიდვის საქმეს. ერთი სიტყვით, ყიდდა სიგარეტსა და უხარისხო არაყს, რომელთა ფასიც განუწყვეტლივ იზრდებოდა და საიმდროოდ პატარა სიმდიდრეც მოიხვეჭა:

— სავსებით დარწმუნებული ხართ ამაში? — ჰკითხა რამბერმა.

- დიახ. მე თვითონაც შემომთავაზეს.
- და თქვენ ამ შემთხვევით არ ისაგებლეთ?
- ეჭვის თვალით ნუ კი მიყურებთ, - უთხრა კოტარმა გულეკეთილად, - მე მხოლოდ იმიტომ არ ვისარგებლე, რომ წასვლის სურვილი არ მქონდა. მე საამისო მიზეზი მაქვს.

ცოტა ხნის დუმილის შემდეგ მან განავრძო:

- მიზეზს არ მეკითხებით?
- ვფიქრობ ეს მე არ მეხება, - მიუგო რამბერმა.

- ერთი მხრივ, ეს თქვენ მართლაც არ გეხებათ, მაგრამ მეორე მხრივ... ერთი სიტყვით, აშკარაა, მე აქ გაცილებით უკეთ ვგრძნობ თავს მას აქეთ, რაც შავი ჭირი გაჩნდა.

რამბერმა სიტყვა გააწყვეტინა:

- როგორ დავუკავშირდე იმ ორგანიზაციას?
- ო! ეგ ადვილი როდია, - უთხრა კოტარმა, - მე გამომყევით.

დღის ოთხი საათი სრულდებოდა. მძიმე ცის ქვეშ დატანებული ქალაქი ნელა იხარშებოდა. ყველა მაღაზიის ვიტრინას ფარდა ჰქონდა ჩამოფარებული. ქუჩები უკაცრიელი იყო. კოტარი და რამბერი თაღებიან ქუჩას გაჰყვნენ, დიდხანს მიდიოდნენ უსიტყვოდ. ეს ის უამი გახლდათ, როცა შავი ჭირი უხილავი ხდებოდა. ეს დუმილი, ფერთა და მოძრაობათა კვდომა შეიძლებოდა ზაფხულის ნიშანიც ყოფილიყო და შავი ჭირისაც. ვერ გაიგებდი, მუქარა ამძიმებდა ჰაერს თუ მტვერი და ბული. ადამიანს რომ გაეგო, რა იყო შავი ჭირი, უნდა დაკვირვებოდა, უნდა დაფიქრებულიყო. იგი მხოლოდ უარყოფითი ნიშნებით თუ ამჟღავნებდა თავს. კოტარმა, რომელსაც ერთგვარი კავში-

რი პქონდა შავ ჭირთან, რამბერის ყურადღება მიაქცია იმ ამბავს, რომ ძალლები არსად ჩანდნენ. ჩვეულებრივ ვითარებაში სიგრილის ამაოდ მძებნელთ, აქოშინებულებსა და გვერდზე გაწოლილებს ვნახავდით დერეფნის ზღურბლთან.

პალმების ხეივანს გაჰყვნენ, გადაკვეთეს საჭურვლის მოედანი და საზღვაო ფლოტის უბნისკენ დაეშვნენ. მარცხნივ, მწვანედ შეღებილ კაფეს შეეფარებინა თავი ყვითელი ტილოს ირიბად დაქანებული საჩრდილობლის ქვეშ. შესვლისთანავე რამბერმა და კოტარმა შუბლი მოიწმინდეს. მერე ბალის დასაკეც სკამებზე ჩამოსხდნენ მწვანე თუნუქეგადაკრულ მაგიდასთან. დარბაზში არავინ იყო. ჰაერში ბუზების ბზუილი ისმოდა. დახლზე გადმოდგმულ ყვითელ გალიაში ბუმბულგაცვენილი თუთიყუში თავის ქანდარაზე ასკუპებულიყო. კედელზე ჩამოკიდებული ძველი სურათები, სამხედრო სცენებს რომ ასახავდნენ, ჭუჭყითა და ობობას ხშირი ქსელით იყო დაფარული. ყველა თუნუქეგადაკრულ მაგიდაზე და თვით რამბერის ნინაც ქათმის გამხმარი სკინტლი ეყარა. აქ საიდან უნდა გაჩენილიყო, ვერ გაეგო რამბერს, სანამ ჩაბნელებული კუთხიდან ქოთქოთითა და ხტუნვით არ გამოვიდა ერთი მშვენიერი მამალი.

ამასობაში კიდევ უფრო ჩამოცხა. კოტარმა პიჯაკი გაიხადა და მაგიდას ხელი დასცხო. გრძელ, ლურჯ წინსაფარში ჩაკარგული კაცუნა დარბაზის სიღრმიდან გამოვიდა, შორიდანვე მიესალმა კოტარს და მისკენ გამოეშურა, წიხლის ძლიერი დარტყმით მოიშორა მამალი და მის კრიახ-კრიახში ჰკითხა მოსულებს, რას ინებებთო. კოტარმა თეთრი ღვინო მოითხოვა და ვინმე გარ-

სიას ამბავიც იკითხა. ქონდრისკაცის თქმით, უკვე რამდენი დღე იყო, რაც გარსიას ფეხი არ დაედგა კაფეში.

- თქვენ ფიქრობთ, რომ ამ საღამოს მოვა?
- რას გაიგებ? - უთხრა ჯუჯამ, - თქვენ ხომ იცით, რა დროს სჩვევია მოსვლა?
- დიახ. მაგრამ არა უშავს, საჩქარო არაფერია. მინდოდა, ეს ჩემი მეგობარი გამეცნო მისთვის.

ოფიციანტი გაოფლილ ხელებს იმშრალებდა წინსაფარზე.

- როგორ, ეს ბატონიც საქმეშია გარეული?
- დიახ, - უთხრა კოტარმა.
- ჯუჯამ წაიქსუტუნა.
- მაში, ამ საღამოს მობრძანდით, ბიჭს გავუგზავნი და მოვა.

ქუჩაში რომ გამოვიდნენ, რამბერმა იკითხა, რომელ საქმეზეაო საუბარი.

- ცხადია, კონტრაბანდაზე. ეგენი საქონელს აპარებენ ქალაქის კარიბჭეში და მაღალ ფასებში ჰყიდიან.

- კეთილი, - ჩაილაპარაკა რამბერმა, - თანამოზიარენი თუ ჰყავთ?

- დიახაც რომ ჰყავთ.

საღამოს საჩრდილობელი ანეული დახვდათ. თუთიყუში თავის გალიაში ტკრციალებდა, თუნუქვადაკრულ მაგიდებს კი გარს შემოსხდომოდნენ სახელოებაკაპინებული კაცები. ერთი მათგანი, გულმერდგადაღელილი, თეთრპერანგა კაცი, პირზე გამომწვარი თიხის ფერი რომ ედო და თავზე უკან გადაწეული ჩალის ქუდი ეხურა, კოტარის შემოსვლისთანავე წამოდგა. სწორნაკვთე-

ბიანი სახე ჰქონდა, მზეზე გარუჯული, კბილები – თეთრი, თითებზე ორი თუ სამი ბეჭედი ეკეთა. ასე, ოცდაათი წლის ჩანდა.

– გამარჯობა, – მიესალმა კოტარს, – დახლ-თან დავლიოთ.

სამ-სამი ჭიქა გადაკრეს ხმაამოულებლად.

– გარეთ ხომ არ გავსულიყავით? – თქვა მერე გარსიამ.

ნავსადგურისკენ დაეშვნენ და გარსიამ იკითხა, რა გინდოდათო. კოტარმა უთხრა, მაინცდა-მაინც ჩვენს საქმეზე კი არ მიხმიხარ, მინდოდა, ეს კაცი გამეცნო შენთვის, რამბერი ჰქვია და „გასვლა“ სწადიაო. თანამგზავრებისკენ არც იხე-დებოდა, ისე მიდიოდა გარსია და თან აბოლებდა. რაღაცები გამოჰკითხა კოტარს, რამბერის თანდასწრებით მასზე „ისო“, ამბობდა, თითქოს-და ვერც ამჩნევდა, რომ უურნალისტი იქ იყო.

– რისთვის? – შეეკითხა კოტარს.

– ცოლი ჰყავს საფრანგეთში.

– არა!

და ცოტა დუმილის შემდეგ:

– რა ხელობისაა?

– უურნალისტი გახლავთ.

– მაგ ხელობის ხალხი ენას კბილს ვერ აჭერს...

რამბერი დუმდა.

– მეგობარი კაცია, – თქვა კოტარმა.

ერთხანს მდუმარედ მიდიოდნენ. სანაპირომ-დე მიაღწიეს, სადაც აკრძალული იყო გასვლა და ამიტომ ალაყაფის კარი ჩაეკეტათ. მათ პატარა ფარდულს მიაშურეს, სადაც შემწვარი სარდინები იყიდებოდა. შემწვრის სუნი პირდაპირ სახეში სცემდათ.

— ასეა თუ ისე, — დაასკვნა გარსიამ, — ეგ საქ-  
მე მე კი არა, რაულს ეხება. მისი მონახვაა საჭი-  
რო. ეს კი ადვილი არ გახლავთ.

— აჟ! — შესძახა კოტარმა და გამოცოცხლება  
დაეტყო, — იმაღლება?

გარსიამ არაფერი უპასუხა. ფარდულთან შე-  
ჩერდა და პირველად შეხედა რამბერს სახეში.

— ზეგ თერთმეტ საათზე საბაჟოს ყაზარმის  
კუთხესთან დამელოდეთ, ზემოუბანში.

მან თითქოს წასვლა დააპირა, მაგრამ ისევ მო-  
უბრუნდა რამბერს და კოტარს.

— ხარჯი იქნება გასაწევი, — თქვა მან, მაგრამ  
ეს თავისთავად იგულისხმებოდა.

— რა თქმა უნდა, — შეაგება რამბერმა.

კოტა მოგვიანებით უურნალისტმა მადლობა  
გადაუხადა კოტარს.

— რისი მადლობა, — უთხრა ამ უკანასკნელმა  
მხიარულად, — მე მსიამოვნებს, სამსახური გაგი-  
ნიოთ. ამას გარდა, თქვენ უურნალისტი ხართ და  
ადრე თუ გვიან სამაგიეროს გადამიხდით.

ორი დღის შემდეგ რამბერი და კოტარი დიდ,  
უჩრდილო ქუჩებს შეუყვნენ, რომლებიც ჩვენი ქა-  
ლაქის ზემო უბნისკენ მიდიოდა. საბაჟოს ყაზარ-  
მის ერთი ფრთა საავადმყოფოდ გადაექციათ და  
დიდი კარების წინ ხალხი იდგა. ზოგი იმედოვნებ-  
და, შემიშვებენო, თუმცა ეს არ იყო ნებადართუ-  
ლი. ზოგს კი ავადმყოფის ამბის გაგება უნდოდა,  
მაგრამ ავინყდებოდა, რომ ცნობები ყოველთვის  
იგვიანებდა. ასეა თუ ისე, ამ ხალხმრავლობაში შე-  
იძლებოდა ისე გაძრომ-გამოძრომა, რომ ყურად-  
ღება არავის მიექცია და ეტყობა, გარსიამაც ამ  
მოსაზრებით დაუნიშნა რამბერს აქ პაემანი.

— საკუირველია, რომ წასვლა ასე დაგიუინებით, — უთხრა კოტარმა, — ახლა ხომ ქალაქში საინტერესო ამბები ხდება!

— ჩემთვის არ არის საინტერესო, — მიუგო რამბერმა.

— ო, რა თქმა უნდა, ვინც ქალაქში ვრჩებით, ერთგვარად საფრთხეში ვიგდებთ თავს. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ყამიანობამდეც იყო საფრთხე. განა საფრთხე არ გველის, როცა გზაჯვარედინზე გადავდივართ?

ამ დროს მათ გვერდით რიეს მანქანა გაჩერდა. საჭესთან ტარუ იჯდა, რიე კი თვლემდა. თვალი გაახილა, რათა ერთმანეთისთვის გაეცნო ტარუ და უურნალისტი.

— ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს, — თქვა ტარუმ,  
— ერთსა და იმავე სასტუმროში ვცხოვრობთ.

მან შესთავაზა რამბერს, ქალაქში გაგიყვანთო.

— არა, ჩვენ აქ პაემანი გვაქვს დანიშნული.

რიემ რამბერს შეხედა.

— დიახ, — თავი დაუქნია ამ უკანასკნელმა.

— ოჟო! — გაოცდა კოტარი, — მაშ, ექიმი საქმის კურსშია?

— აი, გამომძიებელიც მოდის, — თქვა ტარუმ და კოტარს შეხედა.

კოტარს სახე შეეცვალა. ბატონი ოტონი მართლაც მათკენ მოდიოდა. ძლიერი, მაგრამ გამოზომილი ნაბიჯით. შეკრებილთ რომ გაუსწორდა, ქუდი მოიხადა.

— გამარჯობათ, ბატონო გამომძიებელო! — უთხრა ტარუმ.

გამომძიებელმა სალმითვე უპასუხა მანქანაში მსხდომთ, მერე შორიახლოს მდგომ კოტარსა

და რამბერს და მათაც დიდის ამბით დაუქნია თავი. ტარუმ მას რანტიე და უურნალისტი გააცნო. გამომძიებელმა ცას ახედა, ერთი ამოიოხრა და თქვა, ძალზე მჭმუნვარე დღეები დაგვიდგაო.

— მე მითხრეს, ბატონო ტარუ, რომ თქვენ პროფილაქტიკური ზომების გატარებას მოჰკიდეთ ხელი. სულითა და გულით გიჭერთ მხარს. როგორ ფიქრობთ, ექიმო, სენი კიდევ უფრო გავრცელდება?

რიემ მიუგო, უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ არაო, და გამომძიებელმაც გაიმეორა, კაცმა იმედი არ უნდა მოიშალოს, რამეთუ განგების ზრახვანი მიუწვდომელიაო. ტარუმ პკითხა მას, ამ ბოლოდროინდელმა ამბებმა საქმე ხომ არ გავიორმაგათო.

— პირიქით, იმ საქმეთა რაოდენობამ, რომელ-საც ჩვენ სისხლის სამართლისას ვეძახით, კიდევაც იკლო. ამჯერად მე მხოლოდ მათი საქმეების განხილვა მევალება, ვინც ახალ განკარგულებებს გადავა. ძველი კანონები არასდროს დაუცავთ ასე გულმოდგინედ.

— საქმე ისაა, — თქვა ტარუმ, — რომ ძველი კანონები უნებლიერ უკეთესი ჩანს.

გამომძიებელმა ერთბაშად მოიცილა მეოცნებე იერი, ცას მოსწყვიტა მზერა და ცივად აათვალიერა ტარუ:

— მერედარა? კანონი კი არ არის მთავარი, არამედ — სასჯელი. გამოძიება აქ არაფერ შუაშია.

— აი, ეს კაცი, — თქვა კოტარმა, როდესაც გამომძიებელი წავიდა, — ჩვენი პირველი მტერია.

მანქანა დაიძრა.

ცოტა მოგვიანებით რამბერმა და კოტარმა მათკენ მომავალი გარსია დაინახეს. გარსია არც

მისალმებია დამხდურთ, ისე თქვა, უნდა დავიცადოთო.

მათ გარშემო ბრბო იდგა, სადაც ქალები ჭარბობდნენ და სრულ დუმილში რაღაცას ელოდებოდნენ. თითქმის ყველა ქალს კალათა ეჭირა ხელში, იმის იმედით, რომ სწორები შეძლებდნენ მათი მოსაკითხით პირის ჩაგემრიელებას. კარებს დარაჯობდნენ შეიარაღებული გუშაგები. დროდადრო უცნაური ყვირილი ისმოდა ეზოდან, რომელიც ყაზარმის შენობას ქუჩისგან ჰყოფდა. იქ მყოფნი მყისვე საავადმყოფოსკენ მიატრიალებდნენ ხოლმე შეცებუნებულ სახეებს.

სამი კაცი მდუმარედ უცქერდა სანახაობას, როდესაც მათ ზურგს უკან ვიღაცამ მეაფიოდ და დინჯად თქვა: „გამარჯობა“. სამთავე შებრუნდა. სიცხისდა მიუხედავად რაული ისე იყო ჩაცმული, თითქოს წვეულებაზე მიდისო. მაღალსა და მხარბეჭიანს ტანთ მუქი ფერის ორბორტიანი კოსტიუმი ეცვა და თავზე ფარფლებგრეხილი ფეტრის ქუდი ეხურა. სახე საკმაოდ ფერმერთალი ჰქონდა, ტუჩები – მოკუმული, თვალები – თაფლის-ფერი. სწორად და საქმიანად ლაპარაკობდა.

– ქალაქისკენ წავიდეთ, – თქვა მან, – გარსია, შენ შეგიძლია დაგვცილდე.

გარსია ადგილიდან არ დაძრულა, სიგარეტს მოუკიდა. კოტარი და რამბერი სწრაფად მიაბიჯებდნენ, ცდილობდნენ, ფეხი აენყოთ რაულის-თვის, რომელიც მათ შორის ჩამდგარიყო.

– გარსიამ ყველაფერი მითხრა, – თქვა მან, – მოგვარდება ეგ საქმე. მოკლედ, თქვენ ეგ საქმე ათი ათასი ფრანგი დაგიჯდებათ.

რამბერმა თანხმობა უთხრა.

– ჩემთან ისაუზმეთ ხვალ საზღვაო ფლოტის ესპანურ რესტორანში.

რამბერმა თავი დაუქნია, შევთანხმდითო. რაულმა ხელი ჩამოართვა და პირველად გაულიმა. მისი წასვლის შემდეგ კოტარმა მოიბოდიშა, ხვალ დაკავებული ვარ და თანაც ალარ გჭირდებითო.

როცა მეორე დღეს უურნალისტი ესპანურ რესტორანში შევიდა, ყველამ გააყოლა მზერა. ამ ჩაბნელებულ სარდაფს, რომელიც ყვითელი, მზისგან გადაბუგული პატარა ქუჩის პირას გაეჭრათ, ძირითადად მხოლოდ ესპანური ტიპის მამაკაცები ეტანებოდნენ. მაგრამ, როგორც კი სილრმეში, მაგიდასთან მჯდარმა რაულმა ხელი დაუქნია უურნალისტს და რამბერიც მისკენ გაემართა, იქ მყოფთ ცნობისმოყვარეობა გაუნელდათ და თავთავიანთ კერძს მიუბრუნდნენ. რაულს გვერდით ეჯდა მაღალ-მაღალი, გამხდარი და წვერგაუპარსავი კაცი, რომელსაც უზომოდ განიერი ბეჭები, ცხენის სახე და შეთხელებული თმა ჰქონდა. პერანგის აკაპინებული სახელოებიდან გრძელი, გამხდარი და შავი ბალნით დაფარული მკლავები მოუჩანდა. რამბერი რომ წარუდგინეს, სამჯერ დაიქნია თავი. მისი სახელი რამბერისთვის არ უთქვამთ, რაული საუბარში ასე ეძახდა – ჩვენი მეგობარიო.

– ჩვენი მეგობარი ფიქრობს, რომ შეუძლია თქვენი დახმარება. ის თქვენ...

რაული შეჩერდა, რადგან რამბერს ოფიციანტი ქალი წამოადგა თავს და ჰკითხა, რას ინებებთო.

– იგი თქვენ გაგაცნობთ ორ ჩვენს მეგობარს, ისინი კი დაგაკავშირებენ გუშაგებთან, რომლებსაც ჩვენ ვენდობით. მაგრამ ამით ყოველივე რო-

დი დამთავრდება. თვით გუშაგებმა უნდა შეარჩიონ ხელსაყრელი მომენტი. უმჯობესი იქნებოდა, რამდენიმე ღამე ერთ-ერთ მათგანთან გაგეთიათ, იმასთან, რომელიც კარიბჭესთან ახლოს ცხოვრობს. ჩვენი მეგობარი წინასწარ დაგაკავშირებთ ამ ხალხთან. როდესაც ყოველივე მოგვარდება, სწორედ მას მისცემთ ფულს.

„ჩვენმა მეგობარმა“ კიდევ ერთხელ დააქნია ცხენის თავი ისე, რომ პამიდვრისა და ტკბილი წინაკის ღეჭვა არ შეუწყვეტია. შემდეგ ოდნავ შესამჩნევი ესპანური კილოთი დაინტყო ლაპარაკი. მან რამბერს შესთავაზა, პაემანი ორი დღის შემდეგ დავნიშნოთ, დილის რვა საათზე, ტაძრის კარიბჭესთან.

— კიდევ ორი დღე, — ჩაიბუზღუნა რამბერმა.

— საქმე ისაა, რომ ამის გაკეთება არც ისე იოლია, — შენიშნა რაულმა, — ხალხი ხომ უნდა გამოვძებნოთ.

ცხენმა კიდევ ერთხელ გაიქნია თავი და რამბერიც უხალისოდ დათანხმდა. საუბარი ვერაფრით გააძეს, რადგან არ იცოდნენ, რაზე ელაპარაკათ. მაგრამ, როცა რამბერმა შეიტყო, ცხენი ფეხბურთელი ყოფილაო, საქმე გაიოლდა. თვითონაც ბევრი უთამაშია ფეხბურთი. მაშინვე საფრანგეთის პირველობაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ინგლისური პროფესიული გუნდების ავ-კარგიანობაზე და W-სებური ტაქტიკის<sup>\*</sup> შესახებ. საუბ-

\* W-სებური ტაქტიკა — ერთგვარი ტაქტიკა ფეხბურთის თამაშში, სადაც მოთამაშები W-ს მსგავსად განლაგდებიან. თანამედროვე ფეხბურთში ამ ტექნიკას აღარ იყენებენ (გამომც. შენ.).

რის ბოლოს ცხენი მთლად გაუშინაურდა და უკვე შენობით მიმართავდა რამბერს, თან არნმუნებდა, გუნდში ნახევარმცველის ადგილი ყველას სჯობსო. „ხომ გესმის, — გაიძახოდა იგი, — ნახევარმცველი თამაშის მსვლელობას განსაზღვრავს, ფეხბურთში კი ეს არის მთავარი!“ რამბერიც ამავე აზრის იყო, თუმცა მუდამ ცენტრალურ თავდამსხმელად თამაშობდა. კამათი რადიომიმღებმა შეაწყვეტინათ, რომელმაც სენტიმენტალური მელოდიების შემდეგ დამსწრეთ აუნყა, გუშინ შავმა ჭირმა ას ოცდაჩვიდმეტი ადამიანი იმსხვერპლაო. დამსწრეთა შორის არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია ამ ამბავს. ცხენისთავა კაცმა მხრები აიჩეჩა და ადგა. რაულმა და რამბერმა მის მაგალითს მიჰპაძეს. ნასვლისას ნახევარმცველმა ენერგიულად ჩამოართვა ხელი რამბერს და უთხრა:

— მე გონსალესი მქვია.

ეს ორი დღე უსასრულო ეჩვენა რამბერს. რიესთან მივიდა და დაწვრილებით უამბო თავისი ამბავი. შემდეგ თან გაჰყვა ექიმს და ერთი სახლის კართან დაემშვიდობა, სადაც, ეტყობა, საეჭვო ავადმყოფი ელოდა. დერეფანში ერთი შერბენა-გამორბენა ჰქონდათ, გაისმოდა ხმამაღალი ძახილი: მეზობლები ატყობინებდნენ ავადმყოფის ოჯახს, ექიმი მოვიდაო.

— იმედი მაქვს, ტარუ არ დაიგვიანებს, — ნაიჩურჩულა რიემ.

დალლილი ჩანდა.

— ეპიდემია მეტისმეტად სწრაფად ვითარდება? — ჰკიოთხა რამბერმა.

რიემ უთხრა, თავი და თავი ეგ როდია, ავადმყოფთა რიცხვი არც ისე სწრაფად მატულობს,

მაგრამ შავი ჭირის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებები მაინცდამაინც ბევრი არ მოგვეპოვება.

— ჩვენ მასალა გვაკლია, — განაგრძობდა იგი, — მსოფლიოს ყველა არმიაში მასალის უქონლობას ადამიანებით ანაზღაურებენ. მაგრამ ჩვენ ადამიანებიც გვაკლია.

— გარედან ხომ მოგვივიდნენ ექიმები და სანიტარული პერსონალი.

— დიახ, ათი ექიმი და ასიოდე სანიტარი. ერთი შეხედვით არც ისე ცოტაა. მაგრამ დღესდღეისობით კიდევაც რომ გვეყოს, სენი თუ გავრცელდა, საქმეს ვერ გასწვდებიან.

რიემსახლიდან გამოსულ ხმაურს მიაყურა, მერე გაულიმა რამბერს.

— დიახ, თქვენ უნდა აჩქარდეთ, თუკი გსურთ სანადელს მიაღწიოთ.

რამბერს სახეზე ჩრდილმა გადაურბინა:

— თქვენ ხომ იცით, — თქვა მან მოგუდული ხმით, — რომ სანიტარულ რაზმში მუშაობას არ გავურბივარ. ეგ არ არის ჩემი აჩქარების მიზეზი.

რიემ უპასუხა, ვიციო, მაგრამ რამბერი თავისას განაგრძობდა:

— მე მგონი, ლაჩარი არ უნდა ვიყო, ყოველ შემთხვევაში, საკმაოდ მქონდა ამის გამოცდის შემთხვევა. ოლონდ არის ისეთი აზრები, რომელთა ატანაც ჩემს ძალ-ლონეს აღემატება.

ექიმმა სახეში შეხედა და უთხრა:

— თქვენ კვლავ შეხვდებით ერთმანეთს.

— შესაძლოა, მაგრამ მე ვერ ამიტანია აზრი, რომ განშორება გაგვიგრძელდება და ქალი ამასობაში დაბერდება. ოცდაათ წელს მიღწეული ადამიანი დაბერებას იწყებს და ამიტომ წუთი არ

უნდა დაკარგოს. არ ვიცი, შეგიძლიათ თუ არა ამის  
გაგება.

რიემ ჩაიბურტყუნა, ვგონებ, მესმისო, და სწო-  
რედ ამ დროს სახეგაბრნყინებული ტარუც წამო-  
ადგათ თავს.

— ეს-ეს არის პანელუს ვთხოვე, შემოგვიერთ-  
დეს.

— მერე რაო? — ჰკითხა ექიმმა.

— იფიქრა, იფიქრა და დამთანხმდა.

— მოხარული ვარ, — თქვა ექიმმა, — მოხარუ-  
ლი ვარ, რომ იგი თავის ქადაგებაზე უკეთესი აღ-  
მოჩნდა.

— ყველა ასეა, — უთხრა ტარუმ, — ოლონდ შემ-  
თხვევა უნდა მიეცეს ადამიანს.

მან გაილიმა და რიეს თვალი ჩაუკრა:

— ეტყობა, ჩემი ხელობაა — ადამიანებს შესა-  
ფერისი შემთხვევა მივცე.

— მაპატიეთ, — თქვა რამბერმა, — მაგრამ უნ-  
და წავიდე.

ხუთშაბათს, როგორც დათქმული ჰქონდათ,  
რვას რომ ხუთი წუთი აკლდა, რამბერი ტაძრის კა-  
რიბჭესთან მივიდა. ჰაერი ჯერ საკმაოდ გრილი  
იყო. ცაზე მიცურავდნენ პატარა, თეთრი და  
მრგვალი ღრუბლები, რომელთაც მალე ხვატი  
შთანთქავდა. სიოს დროდადრო ნოტიო სურნელი  
მოპქონდა სიცხისგან გადამწვარი გაზონებიდან.  
აღმოსავლეთით სახლებს მოფარებული მზე მხო-  
ლოდ მოედანზე აღმართულ, ერთიანად მოოქრულ  
უანა დ'არკის მუზარადს ათბობდა. კედლის საათ-  
მა რვა ჩამოკრა. რამბერი ბოლთის ცემას მოპყვა  
კარიბჭესთან. შიგნიდან ბუნდოვნად მოისმოდა  
გალობის ხმები და ძველი სარდაფისა და საკმევ-

ლის სუნთან ერთად აღნევდა უურნალისტამდე. უცებ, გალობა შეწყდა. ათიოდე პატარა, შავით მოსილი ფიგურა გამოვიდა ეკლესიიდან და ქალაქისკენ გაემართა. რამბერს მოუთმენლობა დაუუფლა. სხვა შავი ფიგურები კიბეზე ადიოდნენ და კარიბჭისკენ მიეშურებოდნენ. რამბერმა სიგარეტს მოუკიდა, შემდეგ იაზრა, ასეთ ადგილას ეს შეიძლება არც იყოს მიზანშენონილი.

ცხრის თხუთმეტ წუთზე ორგანის ყრუ ხმა გაისმა. რამბერი ჩაბნელებული თაღის ქვეშ შევიდა. ცოტა ხნის შემდეგ ნეფში, ნელან რომ ჩაუარეს, ის შავი აჩრდილები შეამჩნია. მათ ერთ კუთხეში მოეყარათ თავი სახელდახელოდ მოწყობილი საკურთხევლის წინ, სადაც წმინდა როკის გამოსახულება მოეთავსებინათ, სასწრაფოდ რომ დაამზადეს ჩვენი ქალაქის ერთ-ერთ საამქროში. მუხლმოყრილი ფიგურები თითქოს მთლად მოკუნტულიყვნენ ტაძრის ნაცრისფერ შუქში ჩაკარგულნი, თითქოს შენივთებული ბინდის პატარა გუნდები არიანო, ოღონდ ოდნავ უფრო მკვრივი და მოძრავი მათ შთანთქმულ ბურუსზე.

როდესაც რამბერი გარეთ გავიდა, გონსალესი უკვე კიბეზე ჩადიოდა და ქალაქისკენ მიემართებოდა.

— მე მეგონა, უკვე წახვედი, — უთხრა მან უურნალისტს, — ეს ბუნებრივიც იქნებოდა.

მერე აუხსნა, რვას თხუთმეტი წუთი რომ დააკლდებოდა, ჩემს მეგობრებს უნდა შევხვედროდი აქვე ახლოს, მაგრამ ოც წუთს ამაოდ ველოდეო.

— უთუოდ რაღაცამ შეუშალათ ხელი. ჩვენს სამუშაოს ათასი ხიფათი სდევს ხოლმე.

მერე ხელმეორე პაემანი შესთავაზა, ხვალ ისევ ამ დროს ომში დაღუპულთა ძეგლთან მოდიო. რამბერმა ამოიოხრა და თავის ფეტრის ქუდი კეფაზე გადაიგდო.

— არაფერია, — სიცილით უთხრა გონისალესმა, — გაიხსენე, თუნდაც რამდენი კომბინაცია, ფინტი და გადაცემაა საჭირო, ვიდრე კარში ბურთს შეაგდებდე.

— რა თქმა უნდა, — დაუდასტურა რამბერმა, — მაგრამ მატჩი მხოლოდ საათ-ნახევარს გრძელდება.

ომში დაღუპულთა ძეგლი ორანში იმ ერთა-დერთ ადგილასაა აღმართული, საიდანაც ზღვის დანახვა შეიძლება. ეს გახლავთ ერთგვარი ბულვარი, რომელიც საკმაოდ მოკლე მანძილზე ჩასდევს პორტის გასწვრივ აღმართულ ციცაბო ნაპირს. მეორე დღეს რამბერი პირველი მივიდა პა-ემანზე და გულმოდგინედ შეუდგა ბრძოლის ველზე დაღუპულთა სიის კითხვას. რამდენიმე ნუთის შემდეგ ორი კაცი მიუახლოვდა, რამბერი გულგრილად შეათვალიერეს და ბულვარის მოაჯირს იდაყვებით დაეყყრდნენ. გეგონებოდათ, მთელი გულისყურით ათვალიერებდნენ უკაცურ სანაპიროს. ორთავე ერთი სიმაღლისა იყო, ორივეს ლურჯი შარვალი და მეზღვაურის მოკლესა-ხელოიანი მაისური ეცვა. უურნალისტი ძეგლს მოშორდა, სკამზე ჩამოჯდა და უსაქმურობისგან მათ დაუწყო ცქერა. მაშინდა შენიშნა, რომ არც ერთი არ იქნებოდა ოც ნელზე მეტი ხნის. წამიც და დაინახა გონისალესი, რომელიც მოდიოდა და თან ბოდიშს იხდიდა დაგვიანებისთვის.

— აი, ჩვენი მეგობრები, — თქვა მან და უურნა-

ლისტი ორ ახალგაზრდასთან მიიყვანა. როცა აც-ნობდა, უთხრა, მარსელი და ლუი ჰქვიათო. სახით ერთმანეთს ჰგავდნენ და რამბერმა იფიქრა, ღვიძლი ძმები იქნებიან.

— ესეც ასე, — თქვა გონისალესმა, — ახლა თქვენ უკვე იცნობთ ერთმანეთს. ისლა დაგვრჩენია, საქმეზე მოვილაპარაკოთ.

მაშინ მარსელმა თუ ლუიმ თქვა, საგუშაგოზე ჩვენი გასვლის ჯერი ორ დღეში დადგება, ერთ კვირას გასტანს და ყველაზე მარჯვე დღე უნდა შევარჩიოთო. დასავლეთის კარს ოთხნი დარაჯობდნენ, ორი კადრის ჯარისკაცი იყო, ისე რომ, საქმეში მათ გაყვანაზე ფიქრიც კი ზედმეტი იქნებოდა. მათი ნდობა არ შეიძლებოდა და, ესეც არ იყოს, ეს ხარჯებსაც გაზრდიდა. მაგრამ ზოგჯერ ეს ჯარისკაცები ლამის ნაწილს ნაცნობი ბარის უკანა დარბაზში ატარებდნენ. ისე რომ, მარსელმა თუ ლუიმ შესთავაზეს რამბერს, ჩვენთან დაბინავდით, ქალაქის კარიბჭესთან ახლოს და დაგველოდეთ, სანამ თქვენს ნასაყვანად მოვალთო. მაშინ გაპარვა სულ ადვილი იქნებოდა. მაგრამ აჩქარება მართებდათ, რადგან ამ ბოლო დროს ხმა დაირხა, ქალაქის გაღმა მხარეს დამატებითი საგუშაგოების მოწყობას აპირებენო.

რამბერმა თანხმობა თქვა და სიგარეტის უკანასკნელი ღერები შესთავაზა ძმებს. ორიდან იმან, რომელსაც ჯერ ხმა არ ამოელო, ჰკითხა გონისალესს, საზღაურის საქმე თუ მოაგვარეთ და შეიძლება თუ არა ავანსის მიღებაო.

— არა, — მიუგო გონისალესმა, — არაა საჭირო. ეს მეგობარია. ანგარიშს ნასვლისას გაგისწორებს.

ახალი პაემანი დათქვეს. გონისალესმა შესთა-

ვაზა, ზეგ ესპანურ რესტორანში ვისადილოთო. იქიდან გუშაგების სახლში შეიძლებოდა წასვლა.

— პირველ ლამეს, თუ გინდა, მეც შენთან ერთად გავათევ, — უთხრა მან რამბერს.

მეორე დღეს, თავის ოთახში რომ ადიოდა, რამბერი სასტუმროს კიბეზე ტარუს შეხვდა.

— რიესთან მივდივარ, — უთხრა ტარუმ, — ხომ არ წამომყვებოდით?

— არასოდეს ვარ დარწმუნებული იმაში, რომ არ შევაწუხებ, — თქვა რამბერმა ცოტა ყოყმანის შემდეგ.

— არა მგონია, იგი ბევრს მელაპარაკება ხოლმე თქვენზე.

უურნალისტი დაფიქრდა:

— იცით რა, — უთხრა ბოლოს, — თუკი ნასადილევს თავისუფალი დრო გექნებათ, გვიანაც რომ იყოს, სასტუმროს ბარში მობრძანდით ორივე.

— ეს მასზე და შავ ჭირზეა დამოკიდებული, — მიუგო ტარუმ.

მაგრამ სალამოს თერთმეტ საათზე რიე და ტარუ პატარა და ვინრო ბარში შევიდნენ. იქ ტევა არ იყო, რადგან ოცდაათამდე კაცს მოეყარა თავი და ძალიან ხმამალლა ლაპარაკობდნენ. შავი ჭირით მოცული ქალაქიდან მოსული ორი ადამიანი ოდნავ გაოგნებული შეჩერდა. მაგრამ მალე მიხვდნენ გამოცოცხლების მიზეზს, როცა დაინახეს, რომ ალკოჰოლიანი სასმელები მოჰქონდათ ოფიციანტებს. რამბერმა, დახლის ბოლოს რომ იჯდა მაღალ ტაბურეტზე, ხელი დაუქნია მათ. რიე და ტარუ წამში აქეთ-იქით ამოუდგნენ. ტარუმ მშვიდად გასწია განზე მეზობლად მდგარი ერთი ხმაურიანი კაცი.

— ალექოპოლი ხომ არ გაშინებთ?

— არა, პირიქით, — მიუვო ტარუშ.

რიემ თავის ჭიქიდან მნარე ბალახების სუნი შეიყნოსა. ძნელი იყო ლაპარაკი ამ ლრიანცელში, თანაც რამბერს თითქოს სმის მეტი არც არაფერი აინტერესებდა. ექიმს ვერ გაევო, მთვრალი იყო იგი თუ არა. ამ ვინრო ოთახში, სადაც ისინი იყვნენ, ორად ორი მაგიდა იდგა და ერთ-ერთ მათგანთან საზღვაო ფლოტის ოფიცერი, რომელსაც ორივე მხრიდან ქალები ესხდნენ, სახეაჭარხლებულ, მსუქან თანამოინახეს კაიროში ტიფის ეპიდემიის ამბავს უყვებოდა: „ადგილობრივი მოსახლეობისთვის ბანაკები გამართეს, სადაც სნეულთათვის კარვები დადგეს, ირგვლივ გუშაგებმა შემოარტყეს ალყა და ავადმყოფთა ოჯახის წევრებს ცეცხლს უშენდნენ, როცა ისინი ცდილობდნენ, თავისიანებისთვის ფარულად ექიმბაშის ნამლები მიენოდებინათ. მეაცრი, მაგრამ სამართლიანი ლონისძიება იყო.“ მეორე მაგიდასთან ელეგანტურად ჩაცმული ახალგაზრდები ისხდნენ. შეუძლებელი იყო იმის გაგება, რაზე საუბრობდნენ. თანამეინახთა ხმები იკარგებოდა „Saint James Infirmary“-ის ჰანგებში, რომელსაც მაღლა მიმაგრებული ადაპტერი აფრქვევდა.

— კმაყოფილი ხართ? — ხმამაღლა ჰკითხა რიემ უურნალისტს.

— დიდხანს აღარ მომინევს ლოდინი, — უთხრა რამბერმა, — შესაძლოა, ამ კვირაშიც ვენიო სანადელს.

---

• „Saint James Infirmary“ — ამერიკელი ჯაზმენის, ლუი ამსტრონგის სიმღერა (გამომც. შენ.).

— აფსუს! — შესძახა ტარუმ.

— რატომ?

ტარუმ რიეს გადახედა:

— ო, — თქვა ამ უკანასკნელმა, — ტარუ ამას იმიტომ ამბობს, რომ ჰეონია, თქვენ აქ სარგებლის მოტანა შეგეძლოთ. მაგრამ მე მშვენივრად მესმის თქვენი წასვლის სურვილი.

ტარუმ კიდევ მოითხოვა სასმელი. რამბერი თავისი ტაბურეტიდან ჩამოხტა და პირველად შეხედა მას პირდაპირ თვალებში.

— რაში შეიძლებოდა გამოგდგომოდით?

— თუნდაც ჩვენს სანიტარულ რაზმებში, — უთხრა ტარუმ და აუჩქარებლად დასწვდა ჭიქას.

რამბერი კვლავ მისთვის ჩვეულ, დაუინებულ ფიქრს მიეცა და ისევ თავის ტაბურეტზე შემოჯდა.

— განა ეს რაზმები თქვენ სასარგებლოდ არ მიგაჩნიათ? — ჰკითხა ტარუმ, რომელმაც გამოცლილი ჭიქა დადგა და ყურადღებით შეაცერდა რამბერს თვალებში.

— ძალიან სასარგებლო არიან, — თქვა უურნალისტმა და დალია.

რიემ შენიშნა, რომ მას ხელი უკანკალებდა და იფიქრა, თქმა არ უნდა, ნამდვილად მთვრალიაო.

მეორე დღეს, როდესაც რამბერმა კვლავ მიაშურა ესპანურ რესტორანს, პირდაპირ ქუჩაში, შესასვლელის ნინ მდგარ სკამებს შორის მოუხდა გზის გაკვლევა. სკამები რესტორნის მუშტრებს გამოეტანათ, რათა მოოქროსფრო-მომწვანო საღამოთი დამტკიბარიყვნენ, რომელსაც ისის იყო სიგრილე შეპარვოდა. ირგვლივ თუთუნის მძაფრი სუნი იდგა. თვით რესტორანი თითქ-

მის ცარიელი იყო. რამბერი ჩამოჯდა იმ მაგიდას-თან, სადაც პირველ მოსვლაზე გონისალესს შეხ-ვდა. ოფიციანტი ქალს უთხრა, მეგობარს ველო-დები, შეკვეთას მოგვიანებით მოგცემთო. საღა-მოს რვის ნახევარი იყო. თანდათან გარეთ მყოფ-ნი დარბაზში დაბრუნდნენ და მაგიდებს მიუსხ-დნენ. ოფიციანტი ქალებს კერძები დაჰქონდათ და დარბაზის დაბალი თაღები ჭურჭლის ხმაური-თა და ჩახშული საუბრის ხმებით აივსო. რვა საა-თი გახდა და რამბერი ისევ იცდიდა. შუქი აანთეს. მის მაგიდას ახალი კლიენტები მიუსხდნენ. რამ-ბერმაც შეუკვეთა სადილი. ცხრის ნახევარზე სა-დილსაც მორჩა, მაგრამ არც გონისალესი და არც ის ორი ახალგაზრდა არ დაულანდავს. სიგარეტი მონია. დარბაზი ნელ-ნელა დაიცალა. გარეთ კი სწრაფად ეშვებოდა ლამე.

ზღვიდან მონაბერი თბილი ნიავი კარ-ფანჯა-რაზე ოდნავ არხევდა ფარდებს. ცხრა საათი რომ გახდა, რამბერმა შენიშნა, დარბაზი მთლად და-ცარიელებულიყო და ოფიციანტი ქალი გაკვირ-ვებით მისჩერებოდა. ანგარიში გაასწორა და გა-ვიდა. რესტორნის პირდაპირ ერთი კაფე იყო ღია. რამბერი დახლთან ჩამოჯდა და რესტორნის კარს დაუწყო თვალთვალი. ათის ნახევარზე თავისი სასტუმროსკენ გაეშურა, თან თავს იმტვრევდა იმაზე ფიქრით, როგორ უნდა ენახა გონისალესი, რომლის მისამართიც არ იცოდა. გულს ნაღველი ედებოდა, როდესაც ფიქრობდა, რომ ყველაფე-რი თავიდან ჰქონდა დასაწყები.

სწორედ იმწუთას, ღამის სიბნელეში, რომელ-საც ხშირ-ხშირად სერავდა სანიტარული მანქა-ნის ფარების შუქი, რამბერი მიხვდა და რიესაც

გაანდო შემდეგში, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში, რაც გაშმაგებული ეძებდა გასაძრომს ქალაქის ყრუ კედლებში, ერთხელაც არ გახსენებია ცოლი, რომელსაც ეს კედლები აშორებდა. მაგრამ სწორედ ამავე წუთს, როდესაც ყველა გზა გადალობილი დაუხვდა, მან კვლავ ჰპოვა ცოლი თავისი სურვილის ნიაღში და ისეთმა ტკივილმა დაუარა, რომ თავქუდმოგლეჯილმა მიაშურა სასტუმროს, რათა ხელიდან დასხლტომოდა ამ ულმობელ მნველ გრძნობას, რომელიც თავს აღარ ანებებდა და რომლისგანაც საფეხქლები უხურდა.

მეორე დღეს დილაადრიანად მაინც მივიდა რიესთან, რათა ეკითხა მისთვის, კოტარის ნახვა სად შეიძლებაო.

— ისლა დამრჩენია, კვლავ შევუდგე ამ გოლგოთას, — უთხრა ექიმს.

— ხვალ საღამოს გამომიარეთ. ტარუმ, არ ვიცი რატომ, მთხოვა, კოტარი დამეპატიუებინა. ათ საათზე უნდა მოვიდეს, თქვენ კი თერთმეტის ნახევარზე მოდით.

მეორე დღეს, როდესაც კოტარი ექიმთან მივიდა, ტარუ და რიე მოულოდნელ განკურნებაზე ლაპარაკობდნენ, რომელსაც ექიმის პრაქტიკაში ჰქონდა ადგილი.

— ათიდან ერთი შემთხვევაა. ბედმა გაულიმა, — ამბობდა ტარუ.

— მაშ, შავი ჭირი არ ყოფილა, — თქვა კოტარმა.

მას უთხრეს, სწორედაც შავ ჭირზეაო საუბარი.

— ეგ შეუძლებელია, თუკი კაცი გადარჩა. თქვენ ჩემზე უკეთ იცით, რომ შავი ჭირი ულმობელია.

— საერთოდ ეგრეა, — უთხრა რიემ, — მაგრამ თუკი ძალიან შევუტევთ, შეიძლება მოულოდნელობებიც მოხდეს.

კოტარს გაეცინა:

— ეგ კიდევ საკითხავია. საღამოს უკანასკნელი ცნობები თუ მოისმინეთ?

ტარუმ, რომელიც კეთილმოსურნედ უყურებდა რანტიეს, თქვა, ცნობები კი მოვისმინე, მდგომარეობა სერიოზულია, მაგრამ განა ეს რისი მოქმედია? ეს მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ საჭიროა მეტი განსაკუთრებული ზომის მიღებაო.

— ეჲ! თქვენ ხომ უკვე მიიღეთ ეგ ზომები.

— დიახ, მაგრამ საჭიროა თითოეულმა მიიღოს პირადად.

კოტარი ტარუს უყურებდა, მისი კი არ ესმოდა. ტარუმ უთხრა, ბევრი ადამიანი უმოქმედოდაა, ეპიდემია კი ყველას საქმეა და ყველამ უნდა მოიხადოს თავისი ვალი, მოხალისეთა რაზმებში ყველას შეუძლია შესვლაო.

— კარგი აზრია, მაგრამ საქმეს ვერ უშველის, — შეესიტყვა კოტარი, — შავი ჭირი ძალზე ძლიერია.

— ამის თქმას მაშინ შევძლებთ, — მოთმინებით უთხრა ტარუმ, — როცა ყველა ღონეს მოვსინჯავთ.

ამასობაში რიე საწერ მაგიდასთან ბარათებს ავსებდა. ტარუ კვლავ რანტიეს უყურებდა, თავის სკამზე რომ ცქმუტავდა.

— რატომ ჩვენ არ შემოგვიერთდებით, ბატონ კოტარ?

კოტარი შეურაცხყოფილი წამოდგა, ხელში აიღო თავისი მრგვალი ქუდი:

— ეგჩემი ხელობა არ არის, — და გამომწვევი კილოთი განაგრძო, — ამას გარდა, მე არხეინად ვგრძნობ თავს უამიანობისას და რად უნდა ვეცა-დო მის შეწყვეტას?

ტარუმ შუბლზე იტკიცა ხელი, თითქოს ჭეშ-მარიტებამ გონება გაუნათაო:

— ჰო! მართლა, სულ დამავიწყდა: უამიანობა რომ არა, თქვენ ხომ დაგიჭერდნენ.

კოტარს გააურუოლა და ხელი სკამს ჩასჭიდა, თითქოს სადაცაა უნდა დაეცესო. რიემ წერა შეწყვიტა და ყურადღებით დააცექერდა მას.

— ვინ მოგახსენათ? — ნამოიყვირა რანტიერმ.

ტარუს გაოცება დაეტყო.

— ვინ და თქვენ თვითონ. ყოველ შემთხვევაში ექიმმა და მე ასე გაგიგეთ.

კოტარს ერთბაშად საშინელი ბრაზი მოერია, რაღაც გაუგებარი სიტყვების ლულლულს მოჰყვა.

— ნუ ნერვიულობთ, — სცადა მისი დამშვიდება ტარუმ, — არც ექიმი და არც მე არ გაგცემთ. თქვენი ამბავი ჩვენ არ გვეხება. ესეც არ იყოს, პოლიცია არასდროს მყვარებია. მაშ, ჩამოჯექით.

რანტიერმ თავის სკამს დახედა და ცოტა ყოყმანის შემდეგ დაჯდა. ერთხანს დუმდა, შემდეგ კი ამოიოხრა.

— ეს ძველი ამბავია, — აღიარა მან, — და ისევ გამომიჩნიოკეს. მე მევონა, უკვე დავიწყებას მიეცა ყველაფერი, მაგრამ ერთმა გამთქვა. გამომიძახეს და მითხვეს, ქალაქიდან არ გახვიდეთ, ვიდრე გამოძიებას არ დავამთავრებთო. მე მივხვდი, რომ ბოლოს და ბოლოს, დამატუსაღებენ.

— რამე სერიოზულია? — ჰკითხა ტარუმ.

— გააჩნია რას გულისხმობთ „სერიოზულში“. ყოველ შემთხვევაში, მკვლელობა არაა.  
— ციხეს მოგისჯიან თუ კატორლას?  
კოტარი ძალზე დაღვრემილი ჩანდა:  
— თუ გამიმართლებს, ციხეს... — თქვა და მცი-  
რე ხნის დუმილის შემდეგ მღელვარედ განაგრძო,

— შეცდომა იყო. შეცდომა კი ყველას მოსდის და  
მე ვერ შევრიგებივარ ფიქრს, რომ ამის გამო უნ-  
და წამიყვანონ, სახლს მომაშორონ, მომწყვიტონ  
ჩემს ჩვეულებებს, ჩემს ნაცნობებს.

— ა, — თქვა ტარუმ, — მაშ, ამისთვის განიზრა-  
ხეთ თავის ჩამოხრჩობა?

— დიახ, ამისთვის. ცხადია, სისულელეა.

რიემ პირველად ამოილო ხმა და უთხრა კო-  
ტარს, მესმის თქვენი გულის წუხილი, მაგრამ იმე-  
დი უნდა ვიქონიოთ, რომ ყოველივე მოგვარდე-  
ბაო.

— ო! ჯერჯერობით ვიცი, რომ ჩემთვის საშიში  
არაფერია.

— როგორც ვხედავ, — უთხრა ტარუმ, — ჩვენს  
რაზმელებში არ შემოხვალთ.

კოტარი ხელში ქუდს ატრიალებდა, მერე თა-  
ვი ასწია და ტარუს მიაპყრო შემკრთალი მზერა:

— ნუ კი მიწყენთ.

— ცხადია, არა. მაგრამ ეცადეთ მაინც, რომ  
განზრახ არ გაავრცელოთ მიკრობი, — ღიმილით  
მიუგო ტარუმ.

კოტარმა თქვა, შავი ჭირი მე არ მიხმია, ეპი-  
დემია თავისით მოგვადგა კარს და რა ჩემი ბრა-  
ლია, თუკი ეს გარემოება დროებით ხელს მაძლევ-  
სო, ხოლო როდესაც რამბერი გამოჩნდა ზღურბ-  
ლზე, რანტიერ რიხით დასძინა:

— თანაც, დარწმუნებული ვარ, ვერაფერს გა-  
ანუობთ.

რამბერმა შეიტყო, რომ კოტარმა არ იცოდა  
გონისალესის მისამართი, მაგრამ ისევ იმ პატარა  
კაფეში შეიძლებოდა ესპანელის დაჭერა. პაემანი  
მეორე დღისთვის დანიშნეს. და ვინაიდან რიემ  
სურვილი გამოთქვა, შემატყობინეთ, რითი დამ-  
თავრდება მოლაპარაკებაო, რამბერმა ის და ტა-  
რუ კვირის ბოლოს სასტუმროში მიინვია, ღამის  
ნებისმიერ საათზე შეგიძლიათ მომაკითხოთო.

დილით კოტარი და რამბერი პატარა კაფეში  
მივიდნენ და გარსიას დაუტოვეს ამბავი, რომ სა-  
ლამოს გონისალესს იქ დაელოდებოდნენ, ხოლო  
თუ მას რამე დააბრკოლებდა, მეორე დღეს მია-  
კითხავდნენ. მთელი სალამო ამაოდ ელოდნენ. სა-  
მაგიეროდ, მეორე დღეს გარსია მოვიდა. მან არ  
იცოდა, რა მოხდა, მაგრამ გაგონილი ჰქონდა,  
რომ ოცდაოთხი საათით რამდენიმე უბნისთვის  
ალყა შემოერტყათ, რათა სახლები გაეჩხრიკათ.  
შესაძლო იყო, გონისალესსა და ორ ახალგაზრდას  
ვერ გაერლვიათ ალყა. ერთადერთი, რისი გაკე-  
თებაც მას შეეძლო, ის იყო, რომ კვლავ დაეკავ-  
შირებინა რამბერი რაულთან. ცხადია, ორ დღე-  
ზე ადრე ეს ვერ მოხერხდებოდა.

— როგორც ვხედავ, — თქვა რამბერმა, — ყვე-  
ლაფრის თავიდან დაწყება მომიხდება.

ორი დღის შემდეგ, რამბერი ერთ-ერთი ქუ-  
ჩის კუთხეში შეხვდა რაულს, რომელმაც გარსი-  
ას ვარაუდი დაადასტურა: ქვედა უბნებისთვის  
მართლაც ალყა შემოერტყათ. საჭირო იყო კვლავ  
გონისალესთან შეხვედრა. კიდევ ორი დღე და რამ-

ბერი ფეხბურთელთან ერთად საუზმობდა.

— სულელურად მოგვივიდა, — უთხრა გონისალესმა, — ყოველი შემთხვევისთვის, უნდა შევთანხმებულიყავით, როგორ გვეპოვა ერთმანეთი.

რამბერიც ამ აზრის იყო.

— ხვალ დილით ბიჭებს მივაკითხოთ, ვეცადოთ, გავახერხოთ რამე.

მეორე დღეს ბიჭები შინ არ დაუხვდნენ. რამბერმა და გონისალესმა ბარათი დაუტოვეს, მეორე დღისთვის უნიშნავდნენ პაემანს ლიცეუმის მოედანზე. რამბერი შინ დაბრუნდა. სახეზე ისეთი გამომეტყველება აღბეჭდოდა, რომ ტარუ გაოცდა, როცა ისინი ნაშუადლევს შეხვდნენ ერთმანეთს.

— კარგად ვერაა საქმე? — ჰეითხა ტარუმ.

— ეჰ, თავიდან დასაწყები შემექნა ყველაფერი, — მიუგო რამბერმა და კვლავ მიიპატიუა ტარუ და ექიმი, — ამ საღამოს მობრძანდით.

საღამოს, როდესაც რიე და ტარუ რამბერის ოთახში შევიდნენ, უურნალისტი ნამონოლილი დაუხვდათ. მაგრამ იგი მაშინვე ნამოდგა და ნინასწარ მომზადებული ჭიქები შეავსო. რიემ თავისი ჭიქა აიღო და ჰეითხა მასპინძელს, საქმე თუ გვარდებაო. რამბერმა მიუგო, ხელახლა გავიარე მთელი წრე, ახლა იმავე წერტილს მივადექი, სადამდეც ადრე ვიყავი მისული და მალე ჩემი უკანასკნელი პაემანიც შედგებაო. მერე მოსვა და დასძინა:

— ცხადია, კვლავაც არ მოვლენ.

— იმ ერთ შემთხვევას ნუ კი განაზოგადებთ, — უპასუხა ტარუმ.

— თქვენ ჯერ ვერ გაგიგიათ, — უპასუხა რამბერმა და მხრები აიჩინა.

— მაინც რა?

— რა არის შავი ჭირი.

— ა! — თქვა რიებ.

— არა, თქვენ ვერ გაგიგიათ, რომ მისი არსი განმეორებაში მდგომარეობს.

რამბერი ოთახის ერთ კუთხეში მივიდა და პატარა პატეფონი გახსნა.

— ეს რა ფირფიტა? — იკითხა ტარუმ, — რაღაც მეცნობა.

რამბერმა მიუგო, „Saint James Infirmary“ არისო.

ფირფიტა ისევ უკრავდა, როცა შორიდან ორი გასროლის ხმა მოისმა.

— ან ძალლს ესვრიან, ანდა გაქცეულებს, — თქვა ტარუმ.

მალე პატეფონი გაჩუმდა და ახლა მკაფიოდ გაისმა სასწრაფო დახმარების საყვირის ხმა, თანდათან იმძლავრა, სასტუმროს ოთახის ფანჯრებ-ქვეშ ჩაიქროლა, მერე იკლო და, ბოლოს, მთლად მიყუჩდა.

— მაინცდამაინც სამხიარულო ფირფიტა არაა, — თქვა რამბერმა, — თანაც დღეს უკვე მეათედ მაინც ვუსმენ.

— ასე მოგწონთ?

— არა, მაგრამ სხვა არ მაქვს, — და დუმილის შემდეგ დასძინა, — აკი გეუბნებოდით, მისი არსი განმეორებაა-მეთქი.

მერე ჰკითხა რიეს, სანიტარული რაზმელების საქმე როგორ მიღისო. სამუშაოს უკვე ხუთი ბრიგადა შესდგომოდა. იმედი ჰქონდათ, კიდევ რამდენიმე ბრიგადას ჩამოაყალიბებდნენ. უურნალისტი საწოლის კიდეზე ჩამოჯდა და დიდი გულის-

ყურით დაუწყო თვალიერება თავის ფრჩხილებს. რიე მის ჩაფსკვნილ, ღონიერ სხეულს აკვირდებოდა. უცებ, რამბერის მზერა დაიჭირა.

— იცით, ექიმო, — უთხრა მან, — მე ბევრი ვიფიქრე თქვენს წამოწყებაზე და თუკი თქვენთან არ ვარ, საამისოდ ჩემი მოსაზრებები მაქვს. საერთოდ კი, ვფიქრობ, ჯერ კიდევ ძალმიძს თავის განირვა. ესპანეთის ომი ხომ გამოვლილი მაქვს.

— ვის მხარეზე იბრძოდით? — ჰკითხა ტარუმ.

— დამარცხებულთა მხარეზე. მაგრამ მას აქეთ, ცოტა არ იყოს, ვიფიქრე.

— რაზე? — კვლავ ჩაეკითხა ტარუმ.

— ვაუკაცობაზე. ახლა ვიცი, რომ ადამიანს ყველაფრის უნარი შესწევს, მაგრამ თუკი დიდი გრძნობა არ გააჩნია, არ მაინტერესებს.

— თითქოს ყველაფერი შეუძლია, — თქვა ტარუმ.

— არა, მას არ ძალუძს დიდხანს იტანჯოს ან დიდხანს იყოს ბედნიერი, ამიტომ არც რამე ღირსეულის გაკეთება შეუძლია.

რამბერმა სტუმრებს გადახედა და განაგრძო:

— ერთი ეს მიბრძანეთ, ტარუმ, თქვენ შეგიძლიათ სიყვარულისთვის მოკვდეთ?

— არ ვიცი, მაგრამ ამჟამად მგონია, რომ არა.

— აი, ხომ ხედავთ. იდეისთვის კი მზად ხართ, თავი გასწიროთ, ეს შეუიარაღებელი თვალითაც მოჩანს. ხოლო მე თუ მკითხავთ, იდეისთვის თავდადებული ხალხი მომბეზრდა. გმირობის არ მჯერა, ვიცი, რომ ადვილია და ისიც შევიგნე, რომ ახლა თავს წაგავებინებს. ერთადერთი, რაც ფასობს ჩემთვის, არის სიცოცხლე და სიკვდილი იმისთვის, რაც მიყვარს.

რიემ ყურადღებით მოუსმინა უურნალისტს, ისე, რომ თვალიც არ მოუშორებია, მერე ალერ-სიანად უთხრა:

— ადამიანი იდეა არ არის, რამბერ.

რამბერი ლოგინიდან წამოხტა მღელვარების-გან სახეანთებული:

— დიახ, იდეაა, თანაც ფეხმოკლე იდეა, იმ წუ-  
თიდან, როდესაც სიყვარულს ზურგს უბრუნებს.  
ჩვენ კი სწორედ სიყვარულის უნარი დავკარგეთ.  
ბედს დავმორჩილდით, ექიმო. დაველოდოთ, სანამ  
უნარი დაგვიძრუნდება და თუკი ეს არ გვიწერია,  
გმირობანას თამაშს მოვეშვათ და საერთო ხსნას  
ვუცადოთ. მე პირადად ამაზე შორს არ მივდივარ.

რიე წამოდგა, სახეზე უცებ დაქანცულობა  
დაეტყო:

— მართალი ბრძანდებით, რამბერ, სავსებით  
მართალი, და არაფრის დიდებით არ მინდა, გა-  
დაგათქმევინოთ ის, რისი გაკეთებაც განგიზრა-  
ხავთ, და რაც მეც სამართლიანად მეჩვენება,  
მაგრამ ერთი რამ უნდა გითხრათ: მთელ ამ ამ-  
ბავში გმირობა არაფერ შუაშია. საქმე პატიოსნე-  
ბას ეხება. ჩემმა ნათქვამმა შეიძლება სიცილი გა-  
მოიწვიოს, მაგრამ შავი ჭირის წინააღმდეგ ბრძო-  
ლის ერთადერთი საშუალება პატიოსნებაა.

— რა არის პატიოსნება? — იკითხა რამბერმა  
ახლა უკვე დადინჯებულად.

— საერთოდ რა არის, მე არ ვიცი, მაგრამ ჩემს  
მდგომარეობაში, ვიცი, რომ იგი ჩემი ხელობის ალ-  
სრულებაა.

— ა! — თქვა რამბერმა გაშმაგებით, — მე კი არ  
ვიცი, რომელია ჩემი ხელობა. იქნებ, მართლაც  
ვცდები, სიყვარულს რომ ვარჩევ.

რიე ახლო მივიდა მასთან:

— არა, — უთხრა დამაჯერებლად, — თქვენ არ  
ცდებით.

რამბერმა დაფიქრებით შეხედა:

— თქვენ ორს, ჩემი ვარაუდით, ამ ამბავში და-  
საკარგი არაფერი გაქვთ. ასე ადვილია სწორი არ-  
ჩევნის გაკეთება.

რიემ ჭიქა დაცალა.

— წავიდეთ, საქმე გველოდება, — უთხრა ტა-  
რუს და გავიდა.

ტარუც მიპყვა, მაგრამ ზღურბლზე შეჩერდა,  
ეტყობა, რაღაც გაახსენდა, უურნალისტს მიუბ-  
რუნდა და უთხრა:

— თუ იცით, რომ რიეს ცოლი აქედან რამდენი-  
მე ასეული კილომეტრით დაშორებულ კლინიკა-  
შია სამკურნალოდ?

რამბერმა გაოცებით გაშალა ხელები, მაგრამ  
ტარუ უკვე წასულიყო.

მეორე დღეს, რამბერმა დილაადრიან დაურე-  
კა ექიმს:

— თანახმა იქნებოდით, რომ თქვენთან მემუ-  
შავა, ვიდრე ქალაქიდან გასვლა მომიხერხდება?

ყურმილში ერთხანს დუმილი სუფევდა, შემ-  
დეგ გაისმა:

— დიახ, რამბერ. გმადლობთ.

### III

ერთი სიტყვით, მრავალი კვირის განმავლობაში შავი ჭირის ტუსაღები თავს როგორც კი შეეძლოთ, ისე იცავდნენ. ზოგიერთმა მათგანმა, რამბერისა არ იყოს, კიდეც ირწმუნა, ჯერ კიდევ თავისუფალი ადამიანებივით ვირჯებით, ჯერ კიდევ შეგვიძლია არჩევნის მოხდენაო. მაგრამ სინამდვილეში აგვისტოს შუა რიცხვებისთვის თამამად შეიძლებოდა გვეთქვა, რომ უამიანობამ მოიცვა ყოველი. იმხანად უკვე აღარ არსებობდა ვინმეს კერძო ბედი, იყო მხოლოდ საყოველთაო უბედურება – უამიანობა და გრძნობები, ყველა თანაბრად რომ დაეზაფრა. ყველაზე საშინელი განშორება და გადასახლება გახლდათ და მით გამოწვეული შიში და გულისწყრომა. ამიტომაცაა, რომ სიცხისა და სენის ამ არნახული ზედმოსევის უამს მთხორობელს საჭიროდ მიაჩნია, სხვებისთვის სამაგალითოდ აღწეროს საერთო ვითარება: ჩვენი ცოცხლად დარჩენილი მოქალაქეების მდვინვარება, დახოცილთა დამარხვა და გაყრილ მიჯნურთა ტანჯვა.

სწორედ ამ წელს, შუა ზაფხულში, ქარი ამოვარდა და რამდენიმე დღეს ჭირით დასხეულებულ ქალაქში ზუზუნი გაპქონდა. ორანის მკვიდრთ ქარის განსაკუთრებით ეშინიათ, რადგან მას არავითარი ბუნებრივი ჯებირი არ ეღობება, აკი ქალაქი ტრიალ ველზეა აგებული და ქა-

რიც თავისუფლად დათარეშობს ქუჩებში. იმ გრძელი თვეების შემდეგ, რაც ცვარი წვიმაც არ დასცემია ქალაქს, მას რუხი ფერის გარსი გადა-ეკრა, რომელიც ახლა მთლად აქერცლა ქარის ქროლვამ. ქარი მტვერს აყენებდა და ქალალდს აფრიალებდა, შეთხელებულ გამვლელებს ფე-ხებში რომ ედებოდა. ქალი და კაცი წინ გადახრი-ლი, აჩქარებული მიდიოდა, პირზე ხელი ან ცხვირსახოცი ჰქონდა აფარებული. სალამოობით ჯგროდ აღარ გამოეფინებოდნენ ხოლმე ქუჩებ-ში, აღარ ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტად გა-ეხანგრძლივებინათ დღეები, რომელთაგანაც ყო-ველი შეიძლებოდა უკანასკნელი გამხდარიყო. ახ-ლა პატარ-პატარა ჯგუფებსლა ნახავდით, შინი-სკენ, ანდა კაფეებში რომ მიეჩქარებოდათ და მნუხრისას, იმ დროს, როცა ქალაქში ჩვეულებ-რივზე ადრე წვებოდა ბინდი, ქუჩები უკაცურ-დებოდა და მხოლოდ ქარის გაბმული კვნესალა ისმოდა ირგვლივ. მფრთონავი და თვალით უჩი-ნარი ზღვიდან წყალმცენარეებისა და მარილის სუნი მოდიოდა. ეს გაუკაცურებული, მტვრისგან გადათეთრებული და ზღვის სუნით გაუდენთილი ქალაქი, სადაც ქარის კივილი ისმოდა, ისე კვნე-სოდა, როგორც ჯვარცმული კუნძული.

აქამდე ჭირმა გაცილებით მეტი ხალხი იმსხ-ვერპლა გარეუბნებში, რომლებიც ბევრად უფრო მჭიდროდ იყო დასახლებული და ნაკლებ კეთილ-მოწყობილიც გახლდათ, ვიდრე ქალაქის ცენტრი. მაგრამ სენი მალე საქმოსანთა კვარტალებში შე-იპარა და კიდევაც მოიკალათა. იქაური მცხოვრებ-ნი ყველაფერში ქარს სდებდნენ ბრალს, მას შე-მოაქვსო ჭირის ბაცილები. დავთრები აგვირიაო,

ამბობდა სასტუმროს დირექტორი, მაგრამ, ასე იყო თუ ისე, ცენტრში მცხოვრებლებმა იცოდნენ, რომ მათი ჯერიც დამდგარიყო, რაკი მათგან სულ ახლოს, ღამის სიჩუმეში, უფრო და უფრო ხშირად გაისმოდა სანიტარული მანქანების საყვირთა ხმა, მათი ფანჯრების ქვეშაც რეკლა შავი ჭირის პირქუში და უგრძნობელი ზარი.

ხელისუფალთ აზრად მოუვიდათ, გაემიჯნათ ქალაქის განსაკუთრებით დაზარალებული რაიონები და იქიდან გამოსვლის უფლება მხოლოდ იმ პირთათვის მიეცათ, რომელთა გარეშეც ფონს ვერ გავიდოდნენ. იმათ, ვინც იქ ცხოვრობდა, ეს ღონისძიება საგანგებოთ მათ წინააღმდეგ მიმართულად მიიჩნიეს და ერთობ საწყენადაც დაურჩათ: სხვა უბნების ბინადრებზე ისე ფიქრობდნენ, როგორც თავისუფალ ხალხზე. სამაგიეროდ, ეს უკანასკნელნი, როცა სასოწარკვეთა დარევდათ ხელს, ნუგეშს იმაში ჰპოვებდნენ, რომ სხვები უარეს დღეში იყვნენ ჩაცვენილნი. „ჩემზე მეტად ხელფეხშეერულებიც არიანო“ – აი, ამ სიტყვებში ისხამდა ხორცს ერთადერთი შესაძლო იმედი.

დაახლოებით იმავე ხანებში საშინლად გახშირდა ხანძრები, მეტადრე უწინდელ გართობათა ადგილას, ქალაქის დასავლეთ კარიბჭესთან. გამოიძიეს და აღმოჩნდა, რომ ამ საქმის მოქმედნი კარანტინიდან დაბრუნებული ადამიანები იყვნენ: მახლობელთა გლოვითა და უბედურებით გაგიუებულნი ცეცხლს აძლევდნენ თავიანთ სახლებს იმ იმედით, შიგ შავ ჭირსაც ჩავნვავთო. ძალიან გაძნელდა ბრძოლა ამ ბოროტებასთან. ხანძრები ისე გახშირდა, რომ მთელ კვარტალებს

დღენიადაგ გადაბუგვას უქადდა, რაკი ძლიერი ქარი ქროდა ხოლმე. ცდილობდნენ, დაერწმუნებინათ ეს უბედურები, მთავრობის მიერ ჩატარებული დეზინფექცია სრულიად საკმარისია ჭირის ბაცილების მოსასპობადო, მაგრამ ვერაფერს გახდნენ; მერე სხვა ლონე იხმარეს – მკაცრი სასჯელი დაუწესეს ამ უდანაშაულო ცეცხლისნამეიდებლებს. და, ცხადია, ციხის შიშს როდი დაუფრთხია ხალხი, იმის შეეშინდათ, რომ პატიმრობა სასიკვდილო განაჩენს უდრიდა, რაკი ყველას ეს ეკერა პირზე, ქალაქის ციხეში განსაკუთრებით დიდი სიკვდილიანობა არისო. რა თქმა უნდა, ეს მითქმა-მოთქმა საფუძველს მოქლებული არ ყოფილა. ცხადზე ცხადი მიზეზების გამო შავი ჭირი ყველაზე მეტად, ეტყობა, იმათ დაერია, ვისაც ერთად ცხოვრება ხვდა წილად: ჯარისკაცებს, ბერ-მონაზვნებსა და პატიმრებს. ციხე, თუმც კი ზოგი პატიმარი იქ იზოლირებულია, მაინც კომუნას წარმოადგენს, რასაც ის გარემოებაც მოწმობს, რომ მუნიციპალურ საპატიმროში შავ ჭირს დარაჯები ხარჯს პატიმართა თანაბრად უხდიდნენ. შავი ჭირის უზენაესი ნებით ყველანი – დირექტორიდან მოყოლებული უკანასკნელ პატიმრამდე – განწირულნი იყვნენ და ეგების პირველად ციხეში აბსოლუტური სამართლიანობა დამყარებულიყო.

მთავრობა ამაოდ ცდილობდა იერარქია დაემყარებინა ამ თანასწორობაში, როცა განიზრახა ციხის იმ დარაჯთა დაჯილდოება, თავიანთი მოვალეობის აღსრულებას რომ შეენირნენ. რაკი საალყო მდგომარეობა გამოცხადდა და ციხის დარაჯებიც, კაცმა რომ თქვას, მობილიზებულნი იყ-

ვნენ, მათ სამხედრო მედლებით აჯილდოებდნენ სიკვდილის შემდეგ. მაგრამ თუ პატიმრებს ხმა არ აუმაღლებიათ ამგვარი გადაწყვეტილების წინააღმდეგ, სამხედრო წრეებმა მეტად ინყინეს; დაიჩინეს, ხალხში შეიძლება ამ ამბავმა სამწუხარო გაუგებრობა შეიტანოსო და მართალნიც იყვნენ. მთავრობამ მათი თხოვნა შეინყნარა და გადაწყვიტა, ყველაფერს აჯობებს, თუ დახოცილ მცველებს ეპიდემიის მედლებით დავაჯილდოვებთო. მაგრამ უკვე დაჯილდოებულებს რაღას უზამდნენ, მედლებს უკან ხომ ვერ წაართმევდნენ? სამხედრო წრეებიც ისევ ჯიუტად იდგნენ თავიანთ აზრზე. სხვა მხრივ, ეპიდემიის მედალს ის ნაელი ჰქონდა, რომ იმგვარ კმაყოფილებას ვერ ჰგვრიდა დახოცილთა ჭირისუფალთ, როგორსაც სამხედრო ორდენი, რადგან ეპიდემიის დროს ამგვარი მედლის მიღება ვის გააკვირვებდა? ერთი სიტყვით, ყველა უკმაყოფილო დარჩა.

თანაც ციხის გამგებელთ არ შეეძლოთ ისე ემოქმედათ, როგორც ეკლესიის მესვეურთ ანდა სამხედრო ხელისუფალთ. ქალაქის ორად-ორი მონასტრის ბერები დაქსაქსეს და დროებით ღვთისმოსავ ოჯახებში გახიზნეს. როცა კი მოუხერხდებოდათ, პატარ-პატარა რაზმები გამოჰყავდათ ყაზარმებიდან და სკოლებში ან სხვა რომელიმე სახელმწიფო დაწესებულებაში აყენებდნენ. ასე რომ, სენი, რომელსაც ქალაქის მცხოვრებლები ალყა-შემორტყმულთა დარად სოლიდარობის გრძნობით უნდა გაემსჭვალა, პირიქით, ტრადიციულ კავშირ-დაჯგუფებებს ამსხვრევდა და ყოველ კაცს სიმარტოვის მსხვერპლად აქცევდა. ეს კი ყველას თავგზას ურევდა.

შეიძლება ითქვას, რომ ამ გარემოებათ, ქარის ქროლვისა არ იყოს, ხანძარი გააჩაღეს მავანთა და მავანთა გონებაშიც. ლამით ისევ შეუტიეს ქალაქის კარებს, თანაც რამდენჯერმე, ამჯერად უკვე შეიარაღებულმა პატარა რაზმებმა. სროლაც იყო; ზოგი დაიჭრა, ზოგმა მაინც მოახერხა გაქცევა, მაგრამ საგუშავო პოსტები გაამაგრეს და შემდგომში მათ თავს აღარავინ დასხმია. ოღონდ ამან ქალაქში ამბოხების სული გააძლიერა და ვიღაც-ვიღაცებმა ერთი-ორჯერ ძალმომრეობასაც მიმართეს: ძარცვავდნენ ცეცხლმოდებულ ანდა სანიტარული მოსაზრებით დაკეტილ სახლებს. კაცმა რომ თქვას, ძნელია მტკიცება იმისა, რომ ეს ძარცვა-გლეჯა წინასწარ იყო განზრახული. უმეტესწილად უეცარ შემთხვევას მიჰყავდა აქამდე პატივისცემის ღირსი ხალხი საძრახ საქმემდე, უმაღვერომ იქცა მიბაძვის საგნად. ისეთებიც გამოჩნდნენ, მწუხარებისგან გამოთაყვანებული პატრონების თვალწინ, ჯერ აღმოდებულ სახლში რომ შერბოდნენ ნივთების ნასაღებად. რაკი სახლის პატრონი ხმას არ იღებდა, პირველთ სეირის მაყურებელთაგანაც ბევრი ემატებოდა და ჩაბნელებულ ქუჩაში, ხანძრის შუქზე მოჩანდა, აქეთ-იქით როგორ გარბოდნენ ზურგზე ნამოკიდებული დგამ-ავეჯით ფორმადამახინჯებული აჩრდილები. სწორედ ამის გამო იყო, მთავრობამ ჭირიანობა საალყო მდგომარეობას რომ გაუთანაბრა და შესაბამისი კანონებიც შემოილო. ორი ქურდი მიახვრიტეს, მაგრამ საეჭვოა, ამას სხვებზე მოეხდინა შთაბეჭდილება, რადგან ამდენ მკვდრებში ეს ორი დახვრეტილი არც არავის შეუნიშნავს: ეს წვეთი გახლდათ ზღვაში და სიმარ-

თლე თუ გნებავთ, მსგავსი ამბები მერეც განმეორდა და მთავრობამაც განზრახ მოიყრუა ყური, ხელი აღარ გამოუღია. ერთადერთი ლონისძიება, რომელმაც ქალაქის ყველა მცხოვრებზე მოახდინა შთაბეჭდილება, საკომენდანტო საათის შემოლება იყო. თერთმეტი საათის შემდეგ წყვდიადში ჩაფლული ქალაქი გაქვავებულს წაგავდა.

მთვარიან ლამეში იგი თავის მოთეთრო კედლებსა და ლარივით გაჭიმულ ქუჩებს აჩენდა, რომელთაც არასოდეს ადგებოდა ხეების ჩრდილი, მყუდროებას არ ურღვევდა არც გამვლელთა ხმა და არც ძალლის ყეფა. დიდი, მდუმარე ქალაქი მაშინ მარტოოდენ მასიური და უძრავი კუბების გროვას წარმოადგენდა, რომელთა შორისაც მხოლოდ მივინყებულ ქველმოქმედთა და გარდასულ დროთა დიდ-დიდი ადამიანების ბრინჯაოში ჩაკირული უტყვი გამოსახულებანი ცდილობდნენ, თავიანთი ქვისა თუ ლითონის ყალბი სახეებით მიახლოებით მაინც გაეხსენებინათ აქაურ მკვიდრთათვის, უნინ კაცი რას ერქვა. ეს უხეირო კერპები, უგრძნობი ქვაკაცები ისხდნენ თავიანთ ტახტებზე მოქურუხებული ცის ქვეშ, უკაცურ მოედნებზე, თვალნათლივ წარმოგვიდგენდნენ უძრაობის სამეფოს, რომელშიც ფეხი შევდგით, და გვიჩვენებდნენ მის უზენაეს კანონს – ნეკროპოლის კანონს, სადაც უამიანობას, ქვასა და ლამეს გაეჩუმებინა ყოველგვარი ხმები.

ლამეს დაესადგურებინა ყველას გულშიც და ის მართალი თუ ჭორშესხმული ამბები, რასაც დასაფლავების შესახებ ჰყვებოდნენ, ჩვენს თანამოქალაქეთ როდი ამშვიდებდა. დიახ, დაკრძალ-

ვებზეც უნდა მოგახსენოთ ორიოდე სიტყვა და მთხოვბელი ბოდიშს ითხოვს, თუმცა კი გრძნობს, რა საყვედურითაც აავსებენ ამის გამო. მაგრამ თავი შეუძლია იმით იმართლოს, რომ ხალხს კრძალავდნენ მთელი ამ ხნის განმავლობაში და ისიც ისევე, როგორც ყველა მისი თანამოქალაქე, იძულებული იყო თავი შეეწყებინა დაკრძალვაზე ფიქრით. ისე კი ნუ გამიგებთ, თითქოს მოსწონდეს ამგვარი ცერემონიები; პირიქით, ცოცხალთა თავყრილობები ურჩევნია, მეტადრე – ზღვაში ბანაობა, მაგრამ ზღვაში ბანაობა აიკრძალა, ცოცხლებს კი ეშინოდათ, დღეს-ხვალ მკვდრებმა არ წაგვლეკონო. და არცთუ ტყუილი შიში იყო. ცხადია, შეიძლებოდა თვალები დაგებრმავებინა და არაფერიც არ დაგენახა, მაგრამ ფაქტი ჯიუტია, საშინელი ძალა აქვს და, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერსა სძლევს. ან კი როგორ არ უნდა ირწმუნო დაკრძალვა, როცა იმათ, ვინც გიყვარს, დაკრძალვა სჭირდება?

მაშ, ასე: დაკრძალვის ცერემონიალს თავშიც, ცოტა არ იყოს, აფუჩეჩებდნენ ხოლმე. ყველა ფორმალობა გაემარტივებინათ და სამგლოვიარო პროცესის მთელი ზარ-ზეიმურობა გაეუქმებინათ. ავადმყოფები თავიანთ კერას მოწყვეტილები იხოცებოდნენ, აიკრძალა რიტუალური ლამის თევანი, ისე რომ, ვინც ლამით კვდებოდა, დილამდე უმეთვალყურეოდ რჩებოდა, დღისით დახოცილებს კი მზის ჩასვლამდე მარხავდნენ. ცხადია, ოჯახს კი ატყობინებდნენ, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ოჯახის წევრებს გარეთ გამოსვლის უფლება არ ჰქონდათ, რადგან კარანტინში უნევდათ ყოფნა, თუკი ან გარდაცვლილთან ერთად

ცხოვრობდნენ. იმ შემთხვევაში კი, თუ განსვენებული ცალკე იდგა ბინად, ოჯახი დანიშნულ დროს, ესე იგი, სასაფლაოზე წასვლისას მოდიოდა; მიცვალებული უკვე განბანილი იყო და კუბოში ესვენა.

წარმოვიდგინოთ, რომ ამგვარი ამბები იმ დამხმარე ლაზარეთშიც ხდებოდა, რომელსაც ექიმი რიე მეთვალყურეობდა. სკოლას გასასვლელი კარი ჰქონდა მთავარი შენობის უკან. დერეფანში გამავალ დიდ საწყობში კუბოები ჩაერიგებინათ. თვით დერეფანში ჭირისუფალთ მარტო ერთი, უკვე დაჭედილი კუბო ხვდებოდა. მოიყვანდნენ და მყის მთავარ საქმეზე გადადიოდნენ – ოჯახის თავს საბუთებზე ხელს აწერინებდნენ. მერე კუბოს მანქანაში ჩაუდებდნენ, რომელიც ან მართლა სამგლოვიარო ფურგონი იყო, ან არადა, საგანგებოდ ამისთვის გადაკეთებული სასწრაფო დახმარების მანქანა. ჭირისუფლები ტაქსის იჭერდნენ, ტაქსი ჯერ კიდევ არ იყო აკრძალული, და მანქანები მთელი სიჩქარით მიქროდნენ გარეუბნების ქუჩებით სასაფლაოსკენ. ქალაქის კარიბჭესთან უანდარმები აჩერებდნენ კორტეუს, ბეჭედს არტყამდნენ ოფიციალურ საშვს, ურომლისოდაც ვერ მოიპოვებდით „საუკუნო განსასვენებელს“, როგორც ჩვენი მოქალაქეები ამბობდნენ, მერე მიმავალთ გზას უტევდნენ და მანქანებიც მიადგებოდნენ მიწის ოთხკუთხა ნაკვეთს, სადაც ბევრი გაჭრილი სამარე პატრონს ელოდებოდა. მღვდელი აქ ხვდებოდა მიცვალებულს, რადგან ეკლესიებში პანაშვიდების გადახდა აკრძალეს. სანამ მღვდელი ლოცვას ბუტბუტებდა, კუბო გადმოჰქონდათ მანქანიდან, თოვს აბამდ-

ნენ, თრევა-თრევით მიიტანდნენ ღია სამარის კა-  
რამდე და შიგ უშვებდნენ. ფსკერს რომ დაასკ-  
დებოდა, მღვდელი უსუპს აიქნევდა და მიწის  
პირველი გოროხები უკვე ცვიოდა კუბოს სახუ-  
რავზე. სასწრაფოს მანქანა მაშინვე მიდიოდა სა-  
დეზინფექციოდ და სანამ სველ-სველი გოროხე-  
ბი ყრუდ ეცემოდა ერთიმეორეს, ჭირისუფლებიც  
ტაქსიში შერგავდნენ თავს და თხუთმეტი წუთის  
შემდეგ უკვე შინ იყვნენ.

მოკლედ, ყველაფერი მაქსიმალური სისწრაფი-  
თა და მინიმალური რისკის განევით ხდებოდა. ეჭ-  
ვი არ არის, პირველ ხანებში მაინც, ჭირისუფლო  
ძალიან სტკენდა გულს ეს ამბავი. მაგრამ უამია-  
ნობის დროს ამგვარ რამეს ვინ გაუწევს ანგარიშს:  
ყველაფერი ჭირთან ბრძოლის ეფექტურობას შეს-  
წირეს. თანაც, თუ დასაწყისში წრეგადასული სის-  
წრაფე მოსახლეობის გულისწყრომას იწვევდა, რა-  
კი წესიერად დამარხვის სურვილს უფრო მაგრად  
აქვს გადგმული ფესვი, ვიდრე ზოგს ჰერნია, ცო-  
ტა მოგვიანებით, საბედნიეროდ, სურსათით მო-  
მარაგება გაჭირდა და მოსახლეობამაც უფრო სა-  
ჭირბოროტო საკითხებზე იწყო ფიქრი. სურსათი-  
სთვის რიგში დგომით განაწამებ, ათასი ფორმა-  
ლობითა და დღიური ლუკმისთვის სირბილით და-  
ქანცულ ხალხს იმის საფიქრელად აღარ სცხელო-  
და, როგორ იხოცებოდნენ ირგვლივ, ან თვითონ  
როგორ დაიხოცებოდნენ, როცა მათი უამი დაჰკ-  
რავდა. ასე რომ, ეს მატერიალური სიძნელები ბო-  
როტების ნაცვლად სიკეთედ შემობრუნდა და ყვე-  
ლაფერი უკეთ იქნებოდა, ანაზდად სენს რომ არ  
ემძლავრა და როგორც ვნახავთ, კიდევ მეტად არ  
გავრცელებულიყო.

აქეთ კუბოების გასაჭირი ედგათ, სუდარებისთვის ტილო არ ჰყოფნიდათ, სასაფლაოებზეც ტევა აღარ იყო. რაღაც უნდა ეღონათ. ყველაზე მარტივი და გონივრული დაკრძალვის ცერემონიათა გაერთიანება და, რაკი ეს აუცილებელი შეიქნა, საავადმყოფოსა და სასაფლაოს შორის რეისების გახშირება ჩანდა. რიეს საავადმყოფოში, მაგალითად, ხუთად ხუთი კუბო ჰქონდათ. ხუთივერომ გაივსებოდა, მაშინ დებდნენ მანქანაში. სასაფლაოზე ცლიდნენ, რკინისფერ სხეულებს საკაცებზე დებდნენ და საგანგებოდ გაკეთებულ ფარდულში ასვენებდნენ დროებით. კუბოებს ანტისეპტიკურ ხსნარს ასხურებდნენ, ისევ საავადმყოფოში აბრუნებდნენ და ეს ამბავი დღეში იმდენჯერ მეორდებოდა, რამდენჯერაც საჭიროება მოითხოვდა. საქმე კარგად მოგვარდა და პრეფექტიც კმაყოფილი ჩანდა. რიეს კიდევაც უთხრა, ეს უკეთესი გამოსავალია, ვიდრე ის, რაც ძველ ქრონიკებშია მოთხრობილი, როცა ჭირიანობით გამწყდარ ხალხს ურიკებზე ყრიდნენ და ზანგებს ამარხვინებდნენ.

— დიახ, — მიუგო რიემ, — იმგვარადვე ვმარხავთ, ოღონდ კარტოთეეას ვადგენთ. პროგრესი უდაოა.

ადმინისტრაციის ნარმატებათა მიუხედავად, იმ არასასიამოვნო ხასიათის გამო, დაკრძალვის ცერემონიალმა რომ მიიღო, პრეფექტურა იძულებული გახდა, ჭირისუფლებისთვის დაკრძალვაზე დასწრების ნება აღარ დაერთო. მათ მარტო სასაფლაოს კარიბჭემდე უშვებდნენ, ისიც გამონაკლისის სახით, რადგან უკანასკნელი პატივმისაგები ცოტა შეიცვალა. სასაფლაოს ბოლოს, დანა-

მასტაკით მოფენილ ველზე, ორი უზარმაზარი ორმო გათხარეს. ერთი ქალებისთვის იყო განკუთვნილი, მეორე – კაცებისთვის. ამ თვალსაზრისით ადმინისტრაცია ზნეობას არ ბლალავდა. მხოლოდ გაცილებით მოგვიანებით, გარემოებათა იძულების ძალით ამ უკანასკნელ სირცხვილნამუსის შენახვასაც ვეღარ გასწვდა და ერთიმეორეზე იწყო ქალებისა და კაცების დამარხვა. საბედნიეროდ, ამ უკიდურესმა აღრევამ მხოლოდ უამიანობის ბოლო ხანებში იჩინა თავი. იმ პერიოდში კი, რომელზედაც მოგახსენებთ, საფლავები გამიჯნული იყო და პრეფექტურა ამ წესს არ გადადიოდა. თითოეული ორმოს ძირში ჩაუმქრალი კირი ბოლავდა და თუხთუხებდა. ორმოს კიდეებზეც იგივე კირი დაეხვავებინათ და სუფთა ჰაერზე ბუყბუყი გაჰქონდა. როცა საავადმყოფოს მანქანა მისვლა-მოსვლას მორჩებოდა, ფარდულიდან საკაცეებს გამოიტანდნენ, ორმოსთან ჩაამწერივებდნენ და შიგ ერთიმეორის მიყოლებით ყრიდნენ შიშველ, ოდნავ მოხრილ ფიგურებს. მერე ზედ ასხამდნენ კირს, მინას აყრიდნენ, მაგრამ გამოზომილად, რათა შემდეგ მოსასვლელი სტუმრებისთვისაც დაეტოვებინათ ადგილი. მეორე დღეს ინვევდნენ ჭირისუფლებს. ხელს ანერინებდნენ დავთარში და სულ ეს იყო განსხვავება, რაც დარჩენილიყო ადამიანებსა და, ვთქვათ, ძალლებს შორის, რომელთა სიკვდილიანობის აღნუსხვაც არავის მოუვიდოდა აზრად.

მთელი ამ საქმიანობისთვის მუშახელი იყო საჭირო და შიშობდნენ, სადაცაა, ხალხი დაგვაკლდებაო. ბევრი სანიტარი და მესაფლავე ჭირმა განყვიტა. მერე სახელდახელოდ იწყეს ხალხის

დაქირავება, მაგრამ მათაც იგივე ბედი ენიათ. რაც არ უნდა ელონათ, სენი ბოლოს და ბოლოს მაინც ედებოდათ. მაგრამ თუ კარგად ჩაუფიქრდებოდა კაცი, ყველაზე გასაკვირი ის იყო, მთელი ეპიდემიის მანძილზე ამ საქმისთვის ხალხი არასდროს დაპკლებიათ. კრიტიკული მომენტი იმაზე ცოტა ადრე დადგა, ვიდრე უამიანობა თავის ზენიტს მიაღწევდა და მაშინ ექიმ რიეს შიში გამართლდა. ექიმ-სანიტრების ნაკლებობასაც განიცდიდნენ და, ექიმ რიეს სიტყვებით რომ ვთქვათ, არც „შავი სამუშაოსთვის“ კმაროდა ხალხი. თუმცა, მას აქეთ, რაც უამიანობამ მთელი ქალაქი მოიცვა, მუშახელის მხრივ ხელსაყრელი გარემოებაც შეიქმნა: სენის ბობოქრობამ არევ-დარევა შეიტანა მთელ ეკონომიკურ ცხოვრებაში და უმუშევართა რიცხვი გაიზარდა; მართალია, ამ ჯურის ხალხი სპეციალისტთა მაგივრობას ვერ გასწევდა, მაგრამ შავი საქმისთვის მისწრება იყო. ამ ხნიდან მოყოლებული ყველა მიხვდა, რომ გაჭირვება უფრო ძლიერი იყო, ვიდრე შიში, მით უფრო, რომ სამუშაო რისკის შესაბამისად ნაზღაურდებოდა. სანიტარულ მომსახურებას საშუალება მიეცა, მთხოვნელების სიაც შეედგინა და როგორც კი ადგილი განთავისუფლდებოდა, აცნობებდნენ ხოლმე იმათ, ვინც სიის თავში ენერა და თუკი ამასობაში ისინიც მოუსავლეთში არ გამგზავრებულიყვნენ, მყისვე მოდიოდნენ ამ ძახილზე. ასე და ამგვარად, პრეფექტს, რომელიც დიდხანს ყოყმანობდა, გამოეყენებინა თუ არა ამგვარი სამუშაოებისთვის დროებითი ან მუდმივი პატიმრები, ამ უკიდურესი ზომისთვის მიმართვა აღარ

დასჭირვებია. გადაწყდა, სანამ უმუშევრები გვყავს, საშური არაფერიაო.

ავად თუ კარგად, აგვისტოს შუა რიცხვებამდე ჩვენს თანამოქალაქეებს შეეძლოთ საუკუნო განსასვენებლის ადგილას როგორც ეკადრებოდათ ისე თუ არა, საკმაო წესით და რიგით მაინც მისულიყვნენ და ქალაქის გამგებლობაც თავს ირნმუნებდა, ჩვენს ვალს ვასრულებთო. მაგრამ მოვლენათა შემდგომ მსვლელობას უნდა გავუსწროთ, რომ გიამბოთ, ბოლოს, იძულებით რისი გაკეთება მოუხდათ. აგვისტოს დასაწყისიდან ქალაქში, სადაც შავი ჭირი მძვინვარებდა, იმდენი მსხვერპლი გაჩნდა, რომ ჩვენმა პატარა სასაფლაომ ვეღარ დაიტია. გალავანი გაარღვიეს, მკვდრებს შემოგარენში ადგილი გამოუყვეს, მაგრამ მალე სხვა გამოსავლის პოვნა გახდა საჭირო. ჯერ გადაწყვიტეს, მკვდრები ღამლამობით დაემარხათ, რაც ზოგი თავაზისგან ათავისუფლებდათ და დღითიდლე სულ უფრო მეტ მკვდრებს ახვავებდნენ მანქანაში. შეგვიანებულ გამვლელებს, რომლებიც აკრძალვისდა მიუხედავად საკომენდანტო საათის დაწყების შემდეგაც ქუჩაში იყვნენ (ანდა იმათ, ვისაც ხელობა გარეთ ყოფნას ავალებდა), ზოგჯერ ხვდებოდათ გრძელი, თეთრი სანიტარული მანქანები, მთელი სისწრაფით რომ მიქროდნენ და უკაცრიელ, ღამეულ ქუჩებში ყრუ ხმას გამოსცემდნენ. მკვდრებს სწრაფად ყრიდნენ ორმოებში და ზედ მყისვე ნიჩბებით ჩაუმჯრალ კირს აყრიდნენ. მიცვალებულებს კირი და მინა ეცემოდათ სახეზე და ორმოში ასე უსახელოდ ქრებოდნენ; ორმოებსაც სულ უფრო და უფრო ღრმად თხრიდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ მაინც იძულებული გახდნენ, უფრო თამამი ზომები მიეღოთ და სამოქმედო ასპარეზი გაეფართოებინათ. პრეფექტურის ბრძანებით წვავდნენ ნივთებს, რომლებსაც კი სნეული შეხებოდა; მალე თვით შავი ჭირისგან დახოცილთა გვამების დაწვაც იწყეს. საამისოდ ნავვის საწვავი ღუმელი გამოიყენეს, რომელიც ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობდა, კარიბჭის გარეთ. საგუშავო პოსტები შორს გადაიტანეს, ხოლო მერიის ერთმა მოხელემ მთავრობას საგრძნობლად გაუადვილა საქმე იმით, რომ ურჩია, ტრამვაიები გამოიყენეთ, უნინ ზღვის გასწვრივ მიმავალ გზას რომ ემსახურებოდნენ და ამჟამად უქმად დგანანო. მისაბმელი ვაგონებისა და ელექტრომავლების შიგნით სკამები აყარეს და ტრამვაიები კრემატორიუმის გზას გაუყენეს, რომელიც ამრიგად უკანასკნელ გაჩერებად იქცა.

ზაფხულის მიწურულში და შემოდგომის წვიმებშიც კი, ყოველ შუალამეს, სანაპიროს მთელ გაყოლებაზე, ტრამვაიების უცნაური აღალი მიდიოდა ჯაყჯაყ-ჯაყჯაყით, უმგზავრებოდ. ქალაქის მოსახლეობამ ბოლოს მაინც შეიტყო სიმართლე და თუმცა პატრული ხალხს ახლოს მისვლას არ ანებებდა, ვიღაც-ვიღაცები მაინც ახერხებდნენ კლდეებზე აძრომას და როცა ტრამვაიები ჩაივლიდნენ, ვაგონებს ყვავილებს აყრიდნენ. ზაფხულის ღამეში ვაგონების ხრივინი ისმოდა, მიცვალებულებითა და ყვავილებით დატვირთული ვაგონებისა.

გამთენისას, პირველ დღეებში მაინც, სქელი და გულისამრევი ორთქლი ცურავდა ქალაქის აღმოსავლეთ უბნების თავზე. ეს ანაორთქლი,

თუმც კი უამური იყო, ექიმთა აზრით არავის მოუტანდა ვნებას. მაგრამ იქაური მოსახლეობა იმუქრებოდა, აქედან ავიყრებითო, რაკი დარწმუნებული იყო, ჭირი ზეციდან დაგვატყდება თავსო. ისე რომ, იძულებულები გახდნენ, მოსახლეობის დასამშვიდებლად კვამლის მშთანთქავი რთული სისტემა შეექმნათ. მხოლოდ იმ დღეებში, როცა ძლიერი ქარი ქროდა, აღმოსავლეთიდან მონადენი მქისე სუნი ახსენებდათ, რომ ახალი დროება დაუდგათ და რომ შავი ჭირის ალი ყოველდღე ნთქავდა მათ მოდგმას.

აი, ასეთი საშინელება დაატეხათ თავს ეპიდემიამ. შემდეგში, საბედნიეროდ, სენი მეტად აღარ გამძვინვარებულა, თორემ ჩვენი დაწესებულებები და პრეფექტურა სულ ტყუილად დაშვრებოდნენ და საკრემაციო ღუმელიც საქმეს ვეღარ აუვიდოდა. რიემ იცოდა, რომ ასეთ შემთხვევაში სასონარკვეთილ ზომებს მიმართავდნენ, გვამებს ზღვაში გადაუძახებდნენ და თითქოს თვალნათლივ ხედავდა, ცხედრები საზარელ ქაფად როგორ მოედებოდნენ ცისფერ ტალღებს. იცოდა, თუ სტატისტიკური მონაცემები კვლავ აიწევდა, ვერავითარი ორგანიზაცია, რაგინდ სრულყოფილიც არ უნდა ყოფილიყო იგი, საქმეს ვერ აუვიდოდა, დახოცილი ხალხი ზვინებად ეყრებოდა ქუჩებში და იქვე გაიხრნებოდა, მიუხედავად პრეფექტურის მეცადინეობისა, და ქალაქი იხილავდა, მოედნებზე კანონიერი სიძულვილითა და უგონო იმედით მომაკვდავები ცოცხლებს როგორ მოებლაუჭებოდნენ.

სწორედ ამგვარი სიცხადე თუ შიში გახლდათ, ჩვენს თანამოქალაქეებს განდევნისა და

ახლობლებთან დაშორების გრძნობას რომ უცხო-ველებდა. მთხოვნელს თავადაც მშვენივრად მო-ეხსენება, რა დასანანია, რომ არ ძალუძს იმგვარი რამის მოყოლა, რაც ჭეშმარიტად ღირსსახსოვა-რი იქნებოდა; რომ არ შეუძლია ნუგეშად რომე-ლიმე გმირი დახატოს, ანდა საგმირო ამბავი გიამ-ბოთ, იმათი მსგავსი და დარი, ძველ ქრონიკებში რომ გვხვდება. ეს იმიტომ, რომ არაფერია უამია-ნობაზე ნაკლებ ეფექტური სახილველი და სწო-რედ თავიანთი ხანგრძლივობის წყალობით დიდ-დიდი უბედურებანი მონოტონური ხდება. იმათ მეხსიერებაში, ვინც სენს გადაურჩა, ჭირიანობის საშინელი დღეები ბრწყინვალე და სასტიკ ცეცხ-ლის ვეება ალებად როდი მოჩანდა, ის უფრო გა-მუდმებით ერთი ადგილის ტკეპნას ჰგავდა, ყვე-ლაფერს რომ სრესს, რაც კი მოხვდება ფეხქვეშ.

არა, ჭირს არაფერი ჰქონდა საერთო იმ დიდ, შთამბეჭდავ სურათებთან, ექიმ რიეს რო აჟკვია-ტებოდა ეპიდემიის დასაწყისში. შავი ჭირი, უპირ-ველეს ყოვლისა, ფრთხილი და უზადო ადმინის-ტრაციული მანქანა იყო, ჩინებული მცოდნე თა-ვისი საქმისა. ამგვარად, არაფრისთვის რომ არ ეღალატა და, პირველ რიგში, საკუთარი თავის ერთგული დარჩენილიყო, მთხოვნელმა ობიექ-ტურობა ირჩია. თითქმის არ შეულამაზებია სათ-ქმელი; მხოლოდ ის წვრილმანი ცვლილებები შეი-ტანა, რაც ნაამბობს თავბოლოიანს გახდიდა. სწო-რედ ობიექტურობა უბრძანებს, გითხრათ ახლა, რომ თუ ამ დროს ყველაზე დიდი, ყველაზე ღრმა და საყოველთაო სატანჯველი განშორება იყო, თუკი აუცილებლად მართებს გიჩვენოთ, რა ვი-თარება შეიქნა ჭირიანობის ამ ეტაპზე, ისიც არ

უნდა დარჩეს უთქმელი, რომ თვით ამ სატანჯ-ველსაც იმხანად სიმძაფრე აკლდებოდა.

ორანელები, ყოველ შემთხვევაში ისინი, ვინც ყველაზე მეტად დაიტანჯნენ ამ განშორებით, ხვედრს ხომ არ შეურიგდნენ? მთლად სწორი არ იქნება ამის მტკიცება. უფრო მართებული იქნება იმის თქმა, რომ მორალური და ფიზიკური უილა-ჯობით იტანჯებოდნენ. უამიანობის დასაწყისში ძალიან კარგად ახსოვდათ არსება, რომელსაც და-შორდნენ და ნალვლობდნენ მასზე. მაგრამ რა-გინდ კარგად არ უნდა ხსომებოდათ საყვარელი სახე, სიცილი, ბედნიერი დღეები, უჭირდათ იმის წარმოდგენა, თუ რას აკეთებდა ის ახლა, ამწუთას, მათგან ასე შორს მყოფი. მოკლედ, იმხანად მეხ-სიერება ჯერ კიდევ ჰქონდათ, მაგრამ წარმოსახ-ვის უნარი აღარ შერჩენოდათ. შავი ჭირის მეორე სტადიის დადგომისას კი მეხსიერებაც დაკარგეს. არა, საყვარელი ადამიანის სახე არ დავიწყებიათ, მაგრამ იგი ერთგვარად უხორცო შეიქნა, ვეღარ ჰპოვებდნენ თავიანთი გულის სილრმეში. და მა-შინ, როცა პირველ კვირებში დღენიაგად ჩიოდ-ნენ, მხოლოდ აჩრდილებსლა ვეტრფითო, შემდეგ და შემდეგ შენიშნეს, რომ ეს აჩრდილები კიდევ უფრო განძარცულიყვნენ ხორცისგან და ფერე-ბის ნიშანწყალიც დაეკარგათ, მეხსიერებაში რომ ჰქონდათ შემონახული. ამ ხანგრძლივი განშორე-ბის ბოლოს უკვე ვეღარ წარმოედგინათ გარდა-სულ დღეთა ინტიმურობა, ანდა როგორ ცხოვ-რობდა მათ გვერდით ადამიანი, რომლისთვისაც ყოველ წუთს შეეძლოთ ხელის შეხება.

ამ თვალსაზარისით მათ შავი ჭირის მეუფება-ში შედგეს ფეხი, მით უფრო ძლევამოსილსა და

სასტიკ მეუფებაში, რაც უფრო ულიმლამო და უფერული ჩანდა გარეგნულად. ჩვენში უკვე აღა-რავის გააჩნდა ამაღლებული გრძნობები; ყველა ერთფეროვან გრძნობათა ტყვე გამხდარიყო. დროა, ამას ბოლო მოეღოსო, ამბობდნენ ორანე-ლები, რადგან ასეთი დიდი უბედურების უამს, ბუნებრივია, საყოველთაო ტანჯვის აღსასრული ინატრო კაცმა და, მართლაც, განსაცდელის აღ-სასრულს ნატრობდა ყველა. მაგრამ მათ ნათქვამ-ში აღარ იგრძნობოდა თავდაპირველი აღშფოთე-ბა და სიმწარე, რასაც ჯერ კიდევ გასაგები, მაგ-რამ უკვე ნაკლებდამაჯერებელი მიზეზები ჰქონდა. პირველი კვირების პირქუშ აღტკინებას ქანცმიხდილობა მოჰყვა, რომელიც შეცდომა იქ-ნებოდა, ხვედრის შერიგებად ჩაგვეთვალა, მაგ-რამ დროებითი ქედის მოდრეკა მაინც იყო.

ჩვენმა თანამოქალაქეებმა შავ ჭირს ფეხი აუწყვეს, მოერგნენ, რაკი სხვა გზა აღარ ჰქონ-დათ. ბუნებრივია, ჯერაც უბედურებისა და ტან-ჯვის დაღი ესვათ, მაგრამ მათ სიმწვავეს ვეღარ გრძნობდნენ. ექიმი რიე, მაგალითად, თვლიდა, რომ ეს იყო უბედურება და რომ ჩვევად ქცეული სასონარკვეთილება უარესია, ვიდრე თვით სასო-ნარკვეთა. ნინათ განშორებულთ ჭეშმარიტად უბედურები არ ეთქმოდათ, მათ ტანჯვაში ერთი სხივი მაინც კიაფობდა და ახლა ისიც ჩამქრალი-ყო. სადაც არ უნდა შეხვედროდით მათ, ქუჩის კუთხეებში, კაფეებში თუ მეგობრებთან, უდრ-ტვინველებსა და დაბნეულებს ისეთი მოწყენი-ლი თვალები ჰქონდათ, რომ მათი გამოისობით მთელი ქალაქი მოსაცდელ დარბაზს დამსგავსე-ბოდა. ისინი, ვისაც ხელობა გააჩნდა, თავის ხე-

ლობას ჭირის ფეხის ხმას აყოლილი მისდევდა, თავჩახრითა და უსიცოცხლოდ. ყველა თავმდაბალი გამხდარიყო. პირველად მოხდა, რომ გაყრილ მიჯნურებს აღარ ეთაკილებოდათ იმაზე ლაპარაკი, ვისთანაც განშორება არგუნათ ბედმა, აღარ ეთაკილებოდათ გაცვეთილი სიტყვების ხმა-რება და თავიანთ განშორებას იმ კუთხით უცქერდნენ, როგორც ეპიდემიის სტატისტიკას. თუ აქამდე თავიანთ ტანჯვას ჯიუტად გამორიცხავდნენ საერთო-სახალხო უბედურებისგან, ახლა თანახმა იყვნენ, თავიანთი სატკივარიც მის განუყრელ ნაწილად ეცნოთ. აღარც მეხსიერება შერჩენოდათ, არც იმედი და მხოლოდ აწმყოთილა სულდგმულობდნენ. დიახ, დღეის დღედ ქცეულიყო მათთვის ყოველივე. უნდა ითქვას, რომ შავმა ჭირმა ყველას ნაართვა სიყვარულისა და თვით მეგობრობის ძალა, რადგან სიყვარულს ცოტა მომავალი სჭირდება, ჩვენ კი წუთებილა შემოგვრჩენოდა სასიცოცხლოდ.

ვერ დავიჩემებ, რაც გიამბეთ, სულ ასე იყო-მეთქი. რადგან თუკი მართალია, რომ ყველა განშორებული მიჯნური ამ დღეში ჩავარდა, სამართლიანობა მოითხოვს, დავძინოთ, რომ ყველა ერთბაშად არ მისულა ამ ყოფამდე. და თვით ამ ყოფაში ჩავარდნილთაც ჰქონდათ უეცარი გაცისკროვნება – ნარსულის მოგონება, აზრის ანაზღეული სიმახვილე, უფრო ცხოველსა და მტკივნეულ გრძნობებს რომ აუშლიდათ. მათთვის აუცილებელი იყო ასეთი წუთები, როცა სამომავლო გეგმებს ადგენდნენ, ისე, თითქოს ჭირიანობის აღსასრული დამდგარიყოს. ისიც მადლი იყო, მოულოდნელად თუ დაგესლავდათ უსაგნო ეჭვია-

ნობის ნესტარი. სხვებიც მათსავით გამოდიოდნენ ჩვეული გარინდებიდან და თითქოს ხელახლა იბადებოდნენ კვირის ზოგიერთ დღეებში, უმეტესნილად კვირაობით და კიდევ – შაბათ საღამოს, რადგან ეს დღეები დაკავშირებული იყო რაღაც რიტუალთან, როცა ან განშორებული მიჯნური გვერდით ჰყავდათ. ზოგჯერ, საღამო უამს უეცრად შემონოლილი ნაღველი აფიქრებინებდათ, მეხსიერება კვლავ დაგვიბრუნდებაო, თუმც კი ხშირად გასცრუებიათ იმედი. საღამოს ეს საათი, რომელიც მორნმუნეთათვის სულის ჩხრეკის საათია, მძიმეა პატიმრისა თუ გადასახლებულისთვის, მათ ხომ არაფერი აქვთ გასაჩხრეკი სიცარიელის მეტი. ერთხანს სულის სიმხნევე ემატებოდათ, მერე კვლავ უბრუნდებოდათ აპათია და შავ ჭირში იკეტებოდნენ.

უკვე მიხვდებოდით, რომ ამგვარი ვითარება აიძულებდათ, ხელი აელოთ იმაზე, რაც ყველაზე მეტად პიროვნული გააჩნდათ. და თუკი უამიანობის პირველ ხანებში ანამებდათ უამრავი პატარა წვრილმანი, რომელთაც უზომოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მათთვის, სხვები კი არად აგდებდნენ, და ამგვარად თავიანთი მეობის გადარჩენას ლამობდნენ, ახლა პირიქით, მხოლოდ ის აინტერესებდათ, რაც სხვებს, მხოლოდ საერთო იდეებით სულდგმულობდნენ და მათმა სიყვარულმაც სრულიად განყენებული სახე მიიღო. ჭირს ისე მაგრად ჩაეჭირა ისინი თავის ჭანგებში, რომ მხოლოდ მისგან ბოძებული ძილის იმედილა ჰქონდათ და ხშირად გაუელვებდათ ფიქრი: „ნეტავ, ბუბნებს დამაყრიდეს და ბოლო მოეღებოდეს ყველაფერს.“ მაგრამ მათ ისედაც ეძინათ უკვე და

მთელი ეს ხანი სხვა არა იყო რა, თუ არა ხანგრძლივი ძილი. ქალაქი ზეზულად მძინარე ხალხით იყო მოფენილი, რომლებიც მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში უძვრებოდნენ ხელიდან თავიანთ ხვედრს, როცა ლამით მათი ვითომდა პირშეკრული იარები იხსნებოდა, როდესაც ანაზდეულად გაღვიძებული დაბნეულად ივლებდნენ ხელს გაფიცხებულ ბაგეებზე, და ნამიერად კვლავ სატანჯველი დარევდათ ხელს – უეცრად განახლებული – და მასთან ერთად თვალწინ დაუდგებოდათ თავიანთი სიყვარულის შეძრნუნებული სახე. დილაობით კი ჭირიანობას, ესე იგი რუტინას ემონებოდნენ.

მაგრამ იკითხავთ, როგორ გამოიყურებოდნენ ეს განშორებული მიჯნურნი? კეთილი, პასუხი იოლია, არც როგორ. ანდა თუ გნებავთ, ისე, როგორც ყველა, საერთო მასიდან არაფრით გამოირჩეოდნენ. ისინიც სხვებივით ხან ბალლურ უდრტვინველობასა და ხან ბალლურ მშფოთვარებას ეძლეოდნენ. კრიტიკული ალლო უჩილუნგდებოდათ და უფრო გულგრილი ხდებოდნენ. ნახავდით, მაგალითად, რომ მათგან თვით უჭკვიანესნიც ისე ირჯებოდნენ, თითქოს სხვებივით გაზეთებში ან კიდევ რადიოგადაცემებში დაეძებდნენ საფუძველს იმის საფიქრელად, ჭირიანობას მალე ბოლო მოელებაო და გარეგნულად ქიმერულ იმედებს ინარჩუნებდნენ, ანდა უსაფუძვლო შიშს ეძლეოდნენ იმ მოსაზრებათა კითხვისას, ალალბედზე რომ შეეთხა მოწყენილობისგან მთქნარებაატეხილ მავანსა და მავან უურნალისტს. სხვა მხრივ, თავიანთ ლუდს ნრუპავდნენ ან თავიანთ სნეულებს უვლიდნენ, ზარმაცობდნენ, ან ქანცს

იცლიდნენ, ხსნის შანსებს ითვლიდნენ, ან ფირ-ფიტებს ატრიალებდნენ; მოკლედ, არაფრით გან-სხვავდებოდნენ სხვებისგან. სხვაგვარად რომ ითქვას, უკვე აღარაფერს ირჩევდნენ. ჭირმა წა-რუხოცათ შეფასების უნარი და იმაზედაც ეტყო-ბოდათ ეს, რომ უკვე აღარავინ დაგიდევდათ, ვარგოდა თუ არა საჭმელი ან ნაყიდი ტანსაცმე-ლი.

დასასრულ შეიძლება ითქვას, რომ გაყრილ მიჯნურთ უკვე აღარ ჰქონდათ ის უპირატესობა, თავდაპირველად რომ ითარავდათ. უკვე დაეკარ-გათ სიყვარულის ეგოზმი და მისგან მოძებნილი სიკეთე. ახლა, სამაგიეროდ, სურათი ნათელი იყო, უბედურება ყველას ერთნაირად დაატყდა თავს. ყველა ჩვენგანი, ქალაქის კარიბჭესთან გასრო-ლილ ხმებში, საყვირის კივილში, სიკვდილ-სი-ცოცხლის წუთებს რომ გვითვლიდა, სიკვდილით, ხანძრებით, სააღრიცხვო ბარათებით, შიშითა და ათასგვარი ფორმალურობით შეძრულნი, დამამ-ცირებელი, მაგრამ რეგისტრირებული სიკვდი-ლისთვის განწირულნი, თავზარდამცემ კვამლსა და ლაზარეთების წყნარი ზარების რეკვაში გა-დასახლების ერთ პურს ვჭამდით და ყველანი ქვე-შეუცნობლად ერთსა და იმავე ერთობასა და ამა-ლელვებელ მშვიდობას ველოდით. ჩვენი სიყვა-რული, ცხადია, არ გამქრალა, მაგრამ გამოუსა-დეგარი შეიქნა, ჩვენში უმოქმედოდ შთენილი, სატარებლად მძიმე და უნაყოფო, როგორც და-ნაშაული ან სასჯელი. დარჩა მხოლოდ მოთმინე-ბა ხვალინდელი დღის გარეშე და ჯიუტი მოლო-დინი. ამ მხრივ, ზოგიერთი ჩვენი ქალაქელის ყო-ფა გაგახსენებდათ იმ გრძელ რიგებს, ქალაქის

ოთხსავე კუთხეში რომ შეხვდებოდით სასურსა-თო მაღაზიების ნინ. აქაც და იქაც იგივე ხვედრს შერიგება და მოთმინება იყო, ერთსა და იმავე დროს უსაზღვროცა და ილუზიების მოკლებულიც. ეს გრძნობა გაათასეცებული უნდა წარმოგედ-გინა, გაყრილ მიჯნურთა სულისკვეთებას თუ მი-ვუსადაგებდით, რადგან აქ სხვა შიმშილთან გვქონდა საქმე, რომელიც განადგურებით ემუქ-რებოდა ყველაფერს.

ასეა თუ ისე, თუკი ვივარაუდებთ, რომ მკით-ხველს სურს, ზუსტი წარმოდგენა იქონიოს, თუ რას ფიქრობდნენ გაყრილი მიჯნურები, ხელახ-ლა უნდა შევახსენოთ უხეებო ქალაქში ჩამომდგარი ოქრონაყარი და მტვრიანი საღამო-ები, რომლის დროსაც კაცები და ქალები გამოე-ფინებოდნენ ქუჩებში. ჩვენდა გასაოცრად, რაკი აღარსად ჩანდა მანქანები, რომელთა ხმითაც ჩვეულებრივ ქალაქი მეტყველებს, საღამობით ჯერ კიდევ მზით განათებული ტერასებისკენ მი-იწევდა ნაბიჯების საშინელი ხმაური და ყრუ დრტვინვა, უბედურების სტვენის ხმას აყოლი-ლი ათასობით ლანჩის ნაღვლიანი ტყაპატყუპი დამძიმებული ცის ქვეშ. ეს იყო დაუსრულებელი და სულის შემხუთველი ტკეპნა ერთი ადგილისა, თანდათანობით რომ მოიცავდა ხოლმე მთელ ქა-ლაქსა და დღითიდღე სიჯიუტის უერთგულეს და უმნიშვარეს ხმად იქცეოდა, ბრმა სიჯიუტისა, ჩვენს გულებში სიყვარულის ადგილი რომ დაე-კავებინა.

სექტემბრისა და ოქტომბრის თვეებში შავ ჭირს ისევ თავის ჭანგებში ჰყავდა ქალაქი მოქ-ცეული. რაკი ადგილის ტკეპნაზე მიდგა საქმე, ათასობით კაცი ტკეპნიდა ერთ ადგილს ამ კვი-რების მანძილზე, რომელთაც ბოლო არ უჩანდა. ნისლი, სიცხე და წვიმა ერთმანეთს ენაცვლე-ბოდა. სამხრეთიდან მოფრენილმა შოშიების და შაშვების მდუმარე გუნდებმა ძალიან მაღლა გა-დაიარეს, ქალაქს გვერდი აუქციეს, თითქოსდა პანელუს უამიანობის ოროლი, სტვენით რომ ტრი-ალებდა სახლებს ზემოთ, ძირს დაშვებას არ ანე-ბებდათ. ოქტომბრის დამდეგს კოკისპირულმა წვიმებმა დატბორეს ქუჩები. და მთელი ამ ხნის განმავლობაში ორანელები სულ ერთ ადგილს ტკეპნიდნენ, სხვა რამ მნიშვნელოვანი არ მომხ-დარა.

რიემ და მისმა მეგობრებმა მაშინდა შენიშნეს, თუ რა ზომამდე დაღლილიყვნენ. ველარც სანი-ტარული რაზმების ხალხი ახერხებდა გამკლავე-ბოდა ამ დაქანცულობას. ექიმმა რიემ ეს მაშინ შეამჩნია, როცა დაინახა, მის მეგობრებსა და თვითონ მასაც როგორ დარია ხელი უცნაურმა გულგრილობამ. ასე მაგალითად, იმ ხალხს, ვინც აქამდე ცხოველ ინტერესს იჩენდა ყოველივე იმის მიმართ, რაც შავ ჭირს შეეხებოდა, ახლა სუ-ლაც არაფერი ენაღვლებოდა.

რამბერმა, დროებით ერთ-ერთი საკარანტი-ნო სახლის გამგებლობა რომ ჩააბარეს, რომელიც ის-ის იყო, მის სასტუმროში გაემართათ, შესანიშნავად იცოდა, რამდენი კაცი ჰყავდა მიბარებული. იმ სისტემის ყველა წვრილმანიც იცოდა, იმათი სასწრაფო გადაყვანისთვის რომ იყო დადგენილი, ვისაც უეცრად ავადმყოფობის ნიშნები გამოაჩნდებოდა. კარანტინში მოხვედრილებზე შრატი რა ეფექტს ახდენდა, იმის მონაცემებიც მეხსიერებაში ჰქონდა ამოკვეთილი, მაგრამ იმის თქმა კი არ შეეძლო, კვირაში ჭირი რამდენი ადამიანის სიცოცხლეს იწირავდა. არსებითად ისიც არ იცოდა, მათი რიცხვი მატულობდა თუ კლებულობდა. თვითონაც, ყველაფრისდა მიუხედავად. მალე გაქცევის იმედით სულდგმულობდა.

სხვებიც დღისით და ღამით თავიანთ სამუშაოში იყვნენ ჩაფლულნი, გაზეთებს არ კითხულობდნენ და არც რადიოს უსმენდნენ. თუ შედეგების ამბავს ეტყოდა ვინმე, ისეთ სახეს იღებდნენ, თითქოს აინტერესებდათ, მაგრამ სინამდვილეში გაგონილს იმ დაბნეული გულგრილობით ხვდებოდნენ, რომელიც ხანგრძლივი ომის მონაწილეებს შეიძლება ჰქონდეთ, ქანცი რომ აქვთ გაცლილი, მარტო იმის ცდაში არიან, იმდღევანდელი ვალი აღასრულონ და უკვე აღარც გადამწყვეტი შეტევისა და აღარც ზავის დადების იმედი აღარ აქვთ.

გრანიც, ჭირიანობის სტატისტიკურ ანგარიშს რომ ანარმობდა, უთუოდ ვერ შეძლებდა საერთო შედეგებზე რამის თქმას. რამბერის, ტარუსა და რიესგან განსხვავებით, დაღლა რომ არ ერეოდათ, ჯანი მუდამ სუსტი ჰქონდა. მაინც ერთმანეთს უთავსებდა მერიის მოხელის, რიეს მდივ-

ნის თანამდებობასა და ლამის სამუშაოებს. ამიტომ სულ გამუდმებით ილაჯგანყვეტილს ნახავდით, ძალას მარტო ორი თუ სამი აკვიატებული აზრი მატებდა. ფიქრობდა, ჭირიანობის შემდეგ ერთს გემრიელად დავისვენებ, ერთ კვირას მაინც და გულიანად ვიმუშავებ იმაზე, რაზედაც „ქუდი მოიხადეთ მონიწებით“ – იტყვიანო. უეცრად იცოდა გულს აჩვილება და ასეთ წუთებში სიამოვნებით უყვებოდა რიეს უანაზე, თავს ეკითხებოდა, ნეტავ, ახლა, ამნუთას სად არის და გაზეთებს რომ კითხულობს, თუ ფიქრობს ჩემზე. რიემაც სწორედ მას უამბო ვითომ სასხვათაშორისოდ თავის ცოლზე, რაც აქამდე არავისთან დასცდენია და გაუკვირდა. ცოლის მანუგეშებელ დეპეშებს მაინცდამაინც არ ენდობოდა, გადაწყვიტა, შეკითხვა გაეგზავნა კლინიკის მთავარი ექიმისთვის, სადაც ქალი მკურნალობდა. იქიდან აცნობეს, თქვენს ცოლს ავადმყოფობა გაურთულდაო, თან არწმუნებდნენ, ყოველივეს ვიღონებთ, რომ სენის განვითარებას წინ აღვუდგეთო. ეს ახალი ამბავი არავისთვის გაუნდვია და თუ არ დაღლილობით, სხვაგვარად ვერაფრით აეხსნა, როგორ შეეძლო ამის გამხელა გრანისთვის. მოხელემ, მას შემდეგ, რაც უანაზე ელაპარაკა, გამოკითხვა დაუწყო ცოლზე და რიეც პასუხობდა. „იცით, – უთხრა გრანმა, – ეს სენი ახლა იოლად იკურნება.“ და რიეც დაეთანხმა, ოღონდ დააყოლა, განშორება ერთობ გაგვიგრძელდა, მე იქნებ მოვხმარებოდი ჩემს ცოლს სენის დაჯაპნაში, ახლა კი თავს ალბათ სულ ეულად გრძნობსო. შემდეგ გაჩუმდა და გრანის კითხვებზე პირდაპირ პასუხებს თავს არიდებდა.

დანარჩენებიც ამ დღეში იყვნენ. ტარუს სხვა-ზე უკეთ ეჭირა თავი, მაგრამ მისი უბის წიგნაკები მონმობენ, რომ თუმც მის ცნობისმოყვარეობას სიმძაფრე არ დაჰკლებია, იმდენ საგანს ვეღარ მო-იცავდა. მართლაც, მთელი ამ ხნის განმავლობაში თითქოს კოტარის მეტი არავინ აინტერესებდა. მას შემდეგ, რაც მისი სასტუმრო საკარანტინო სახ-ლად აქციეს, საბოლოოდ რიესთან გადაბარგდა და საღამოობით ცალი ყურით თუ უსმენდა გრანს ან ექიმს, როცა ისინი ეპიდემიის შედეგებზე ესაუბ-რებოდნენ. საუბარი მყისვე ორანის ყოველდღი-ურ წვრილმანებზე გადაჰქონდა, რადგან მათდა-მი ინტერესი არასოდეს განელებია.

ერთ დღეს კასტელი მოვიდა ექიმთან და უთ-ხრა, შრატი უკვე მზად მაქვსო. გადაწყვიტეს, პირველად მისი მოქმედება ბ-ნი ოტონის ბიჭუ-ნაზე ეცადათ, რომელიც ის-ის იყო, საავადმყო-ფოში შემოეყვანათ და რიეს უკვე განწირულად მიაჩნდა. მერე ექიმმა უკანასკნელი სტატისტი-კური მონაცემები აცნობა თავის ძველ მეგობარს, მაგრამ შენიშნა, რომ მის თანამოსაუბრეს ლრმა ძილით ჩასძინებოდა სავარძელში. სახე, რომელ-საც ჩვეულებრივ სინაზე და ირონია მარად ჭაბუ-კურ იერს აძლევდა, ერთბაშად მოშვებულიყო, ხოლო გაპობილ ბაგეზე ნერწყვის ძაფი გადმოჰ-კიდებოდა; აშკარად მოჩანდა კასტელის სიბერე და სიძაბუნე და რიემ იგრძნო, როგორ შეეკუმშა გული.

რიეს ამ სისუსტით შეეძლო განესაზღვრა, რა-ოდენ ძლიერ იყო თვითონაც დაღლილი. მგრძნო-ბიარობაც ღალატობდა. ნიადაგ შებოჭილი, გაუ-ხეშებული და გამოფიტული სულს ღაფავდა და

იმ ემოციათა ანაბარად იყო მიგდებული, რომელ-  
თაც თავად ვეღარ განაგებდა. მისთვის სწორედ  
ეს გახევება იყო ერთადერთი თავშესაფარი;  
გრძნობდა, მაგრამ უნდა შეეკრა ყულფი, სულში  
რომ გასჩენოდა. კარგად უწყოდა, ეს საუკეთესო  
ხერხი იყო საიმისოდ, შემდეგშიც რომ გაეძლო.  
თითქმის აღარ შემორჩენოდა ილუზიები, ხოლო  
რაც შემორჩენოდა, იმასაც დაღლილობა უქარნყ-  
ლებდა, რადგან იცოდა, რომ ამ პერიოდისთვის,  
რომლის ბოლოსაც ვერ სჭვრეტდა, მისი როლი  
სნეულების განკურნებაში აღარ მდგომარეობდა,  
მას აღარაფერი ეკითხებოდა დიაგნოზის დასმის  
მეტი. უნდა მიეკვლია, ენახა, აღენერა, აღენუს-  
ხა, მერე განაჩენი გამოეტანა, ეს იყო მისი საქმე.  
ცოლები მაჯებში სწოდებოდნენ და შეპბლაოდნენ:  
„ექიმო, აჩუქეთ სიცოცხლე!“ მაგრამ ის სიცოცხ-  
ლის საბოძებლად როდი იყო მისული. იმისთვის მი-  
სულიყო, რომ ბრძანება გაეცა, სნეული სხვებს გა-  
ნარიდეთო. მაშ, რა აზრი ჰქონდა სიძულვილს,  
დამხვდურთა სახეებზე რომ კითხულობდა?  
„თქვენ გული არ გქონიათ“, – უთხრეს ერთ დღეს.  
მაგრამ როგორ არა, ჰქონდა გული. ეს გული ატა-  
ნინებდა, დღეში ოც საათს ეცქირა, როგორ იხო-  
ცებოდნენ ადამიანები, სიცოცხლისთვის რომ იყვ-  
ნენ შობილნი. იგი ეხმარებოდა დღეცისმარე თა-  
ვიდან დაეწყო ყველაფერი. დღეიდან მხოლოდ სა-  
ამისოდ შესწევდა გული. მაშ, როგორლა ეყოფო-  
და ეს გული სიცოცხლის საბოძებლადაც?

არა, შემწეობით ვერავის ენეოდა, მარტო ცნო-  
ბებს არიგებდა დღის განმავლობაში. ამას, ცხა-  
დია, კაცის შესაფერისი სამუშაო არ ეთქმოდა.  
მაგრამ საბოლოო ჯამში ამ თავზარდაცემულსა

და განადგურებულ ბრბოში ვის ჰქონდა საამისო  
ნუთისოფელი, თავისი კაცური საქმე ეკეთებინა?  
ეიდევ კარგი, რომ დაღლილობა მაინც არსებობ-  
და. რიე უფრო მოსვენებული რომ ყოფილიყო, ეს  
ყველგან გაბნეული სიკვდილის სუნი უთუოდ  
სენტიმენტალურს გახდიდა. მაგრამ, როცა დღე-  
ში მხოლოდ ოთხ საათს გძინავს, სენტიმენტალუ-  
რი ვერ იქნები; საგნებს ისე აღიქვამ, როგორც  
სინამდვილეში არიან, ესე იგი, სამართლიანობის  
შუქზე. დანარჩენები – განწირულებიც კი  
გრძნობდნენ ამას. უამიანობამდე ისე იღებდნენ  
რიეს, როგორც მხსნელს შეჰვერის. ყველაფერს  
უწამლებდა რაღაც სამიოდე აბითა და შპრიცით  
და ხელს ართმევდნენ, როცა გრძელ დერეფანში  
მიაცილებდნენ. ეს გულს ეამებოდა, მაგრამ სა-  
ხიფათო იყო. ახლა, პირიქით, ჯარისკაცების თან-  
ხლებით მოდიოდა, ჯარისკაცები კონდახებს  
სცემდნენ კარებს, სნეულის ახლობლებს შინ რომ  
შეეშვათ იგი. ბედკრულთ ერჩივნათ, ისიცა და  
მთელი კაცობრიობაც თავიანთთან ერთად სიკვ-  
დილში ჩაეთრიათ. ეჟ! მართალია, ადამიანები უა-  
დამიანებოდ ვერ გაძლებენო; ისიც ისეთივე უმ-  
ნეო იყო, როგორც ეს უბედურები და თავადაც  
იმსახურებდა იმ სიბრალულის თრთოლვას, რო-  
მელსაც მხოლოდ მაშინ მინებდებოდა, როცა ამ  
ბედკრულთა თვალს მიეფარებოდა.

მოკლედ რომ მოვჭრათ, ამ დაუსრულებელი  
კვირების მანძილზე ასეთ აზრებს უტრიალებდა  
ექიმ რიეს გონება განშორებულ ცოლზე ფიქრ-  
თან ერთად. ეს ის ფიქრები გახლდათ, რომელთა  
ანარეკლსაც თავისი მეგობრების სახეებზე კით-  
ხულობდა. მაგრამ ყველაზე უფრო სახიფათო შე-

დევი ამ დაქანცულობისა, თანდათან რომ რევდა ხელს იმათ, ვინც ჭირთან ბრძოლას აგრძელებდა, ამ ამბებისა და სხვათა ემოციებისადმი გულ-გრილ დამოკიდებულებაში კი არ მდგომარეობდა, არამედ დაუდევრობაში, რომელსაც ამ ბოლო დროს თავი დაუდეს; რადგან მაშინ ყველა გამეცადინებული გახდა, საკუთარი უსაფრთხოებისთვისაც კი ხელი არ გაენძრია, თუ ეს აუცილებელი არ იყო, რაკი ფიქრობდნენ, ყოველი ზედმეტი მოძრაობა ჩვენს ძალ-ლონეს აღემატებაო. ამ ადამიანებმა თანდათან დაივინყეს ჰიგიენის წესები, რომლებიც თავადვე შემოიღეს; დაივინყეს, თუ რამ პირადი დეზინფექცია ჰქონდათ ჩასატარებელი. ხანდახან ფილტვის ჭირით შეპყრობილ ავადმყოფთან ისე გარბოდნენ, არავითარ ლონეს არ ხმარობდნენ საიმისოდ, სენი რომ არ გადასდებოდათ, რაკი ბოლო წუთებში თუ შეიტყობდნენ, იმ სახლში მოგვინევს ნასვლა, სადაც ჭირმა იჩინა თავიო, იმის არაქათი აღარ შესწევდათ, სადმე სამედიცინო პუნქტში შეევლოთ შრატის შესაშხაპუნებლად. ეს იყო ჭეშმარიტი საფრთხე, რადგან თვით ჭირთან ბრძოლა მათ ჭირისთვის ყველაზე იოლ ლუკმად აქცევდა; მოკლედ, შემთხვევაზე ამყარებდნენ იმედს, შემთხვევა კი კაცს სულ ადვილად გიმტყუნებს.

მაგრამ ქალაქში მაინც იყო ადამიანი, ვინც არც გადაქანცული ჩანდა, არც იმედნარხოცილი და კმაყოფილების ცოცხალ განსახიერებად რჩებოდა. ეს კოტარი გახლდათ. კვლავ განმარტოებით იყო, მაგრამ ხალხს უნინდებურად არ გაურბოდა. მაინც ამჯობინებდა, ყველაზე ხშირად ტარუსთან ევლო, როცა კი ამ უკანასკნელს სამუშაო მი-

სი მასპინძლობის წებას აძლევდა. ეს იმიტომ, რომ ტარუშ ძალიან კარგად იცოდა მისი მდგომარეობა და წვრილ რანტიეს მუდამ გულითადად იღებდა. ეს მუდმივი სასწაული იყო, მაგრამ მიუხედავად უამრავი საქმისა, მხრებზე რომ აწვა, ტარუშ მუდამ ყურადღებიანი და კეთილმოსურნე რჩებოდა. მაშინაც კი, როცა დალლილობა საღამოობით ილაჯს აცლიდა, მეორე დღეს ახალი ენერგიით ილვიძებდა. „მასთან საუბარი შეიძლება, – უთხრა კოტარმა რამბერს, – იმიტომ, რომ მუდამ გაგიგებს; ნალდი კაცია.“

ამიტომაა, რომ ამ ხანებში ტარუს ჩანაწერებში კოტარის სახელი სულ უფრო და უფრო ხშირად გვხვდება. ტარუშ შეეცადა, მოეცა კოტარის ქცევისა და აზრთა მდინარების სურათი, იმგვარი, როგორიც კოტარის ნაამბობის მიხედვით ესახებოდა. ცალკე თავიც კი გამოუყო: „კოტარისა და შავი ჭირის ანგარიშები.“ ამ თავს უბის წიგნაკის რამდენიმე გვერდი უჭირავს და მთხრობელს მიზანშენონილად მიაჩნია იქიდან ზოგი ამონაწერის მოხმობა. ტარუს საერთო შეხედულება წვრილ რანტიეზე ამ დასკვნაში გამოიხატებოდა: „ესაა კაცი, რომელიც იზრდება.“ უკეთ რომ ითქვას, ხალისი ემატებოდა. უკმაყოფილო როდი გახლდათ იმით, საქმემ ასეთი მიმართულება რომ მიიღო. ხანდახან თავის ამ იდუმალ ფიქრს ტარუს უმხელდა: „ცხადია, საქმე მაინცდამაინც ვერაა რიგზე, მაგრამ ასეა თუ ისე, ყველანი ერთ ტაფაში ვინვით.“

„რასაკვირველია, – დასძენდა ტარუ, – მასაც სხვებსავით მოელის საფრთხე, მაგრამ სწორედ რომ სხვებსავით. თანაც დარწმუნებული ვარ, სე-

რიოზულად არც სჯერა, რომ მასაც შეიძლება ჭირი შეეყაროს. ისეთი სახე აქვს, თითქოს იმ ფიქრით სულდგმულობს, მთლად სულელურიც რომ არ უნდა იყოს: კაცს, რომელიც მძიმე სენს ან დიდ მნუხარებას დაუთანგავს, სხვა სწეულებანი ვერაფერს დააკლებსო. „შეგინიშნავთ თუ არა, – მითხვა ერთხელ, – რომ არ შეიძლება რამდენიმე სენი ერთად აგევიდოთ? წარმოიდგინეთ, სერიოზული სენი გაქვთ, მამალი კიბო, ანდა გვარიანი ტუბერკულიოზი, თავის დღეში არ შეგეყრებათ ჭირი ან ტიფი, ეს შეუძლებელია. მეტსაც გეტყვით: თავის დღეში ვერ ნახავთ, კიბოიანი კაცი მანქანას გაეტანოს.“ მცდარია თუ მართალი, ეს აზრი კოტარს სიმხნევეს მატებს. ერთადერთი რამ, რასაც ნატრობს, ისაა, სხვებისგან მოწყვეტილი ნუ ვიქნებით. ურჩევნია, ყველასთან ერთად იყოს ალყაში მოქცეული, ვიდრე საპყრობილები მარტოკა იჯდეს. უამიანობის დროს ვიღას სცალია საიდუმლო ანკეტებისთვის, საკატალოგო ბარათებისთვის, საიდუმლო მითითებებისა და დაპატიმრებისთვის. კაცმა რომ თქვას, აღარ არის პოლიცია, არც ძველი და ახალი დანაშაულებანი, აღარც დამნაშავენი, მხოლოდ მსჯავრდადებულები დარჩნენ, პოლიციელების ჩათვლით, და ყველანი უზენაეს წყალობას ელიან.“ ამგვარად, კოტარი, ისევ და ისევ ტარუს მტკიცებით, მიდრეკილი იყო, შემწყნარებლური და გამგებიანი კმაყოფილებით ეცექირა იმ მნუხარებისა და დაბნეულობისთვის, ჩვენი თანამოქალაქენი რომ დაეზაფრა და ეს კმაყოფილება გამოიხატებოდა შემდეგი სიტყვებით: „რაც გინდათ, თქვით, მე კი ყოველივე ეს თქვენზე ადრე გამოვცადე.“

„ამაოდ ვუჩიჩინებდი, ერთადერთი გზა, სხვებს არ დაშორდე, ისაა, სუფთა სინდისი გქონდეს-მეთქი. ბოროტად შემომხედა და მითხრა: „მაშ, მაგ ანგარიშით სუყველა მარტოსულია.“ შემდეგ კი დასძინა: „რაც გინდათ, ის თქვით, მე კი ასე მნამს: ერთადერთი გზა ხალხის გასაერთიანებლად მათთვის შავი ჭირის მოვლენა იყო. აბა, მიმოიხედეთ ირგვლივ!“ და მართლაც, კარგად მესმის, რისი თქმა უნდოდა და ჩვენი დღევანდელი ყოფა რა ხელსაყრელად უნდა ეჩვენებოდეს. ძალიან კარგად იცნობს იმ სულისკვეთებას, უწინ მარტო მისი ხვედრი რომ იყო: თითოეული ჩვენგანის წადილს, ყველა თავისკენ გადაიბიროს. ამის წყალობაა თავაზიანობა, რომელსაც გზააბნეული კაცისადმი ვიჩენთ, თუმცა სხვა დროს თავს არ ავიტკივებდით მისთვის. ამის ბრალია, ხალხი მდიდრულ რესტორნებს რომ აწყდება, რომ სიამოვნებს იქ ყოფნა და დროსტარება; ამიტომ დგას ზღვა ხალხი რიგში კინოთეატრების წინ დღეცისმარე, სანახაობათა დარბაზებს და საცეკვაო მოედნებს ავსებს, ფაფარაყრილ ზღვასავით აწყდება ყველა თავშეყრის ადგილს. ცალკერდ ყოველგვარი კონტაქტის შიშია და ცალკერდ – ადამიანური სითბოს წყურვილი, ადამიანებს მაინც ერთიმეორისკენ, მკლავს მკლავისკენ და სქესს სქესისკენ რომ უბიძგებს. კოტარმა, თქმა არ უნდა, სხვებზე აღრე გაიგო ეს. ცხადია, ქალების ამბავს კი არ ვგულისხმობ, რადგან მისნაირი კაცისთვის... ვფიქრობ, ალბათ ბევრჯერ დააპირა კახპებთან წასვლა, მაგრამ გადაიფიქრა, სახელი არ შემებლალოს და შემდეგ სანანებლად არ დამრჩესო.

მოკლედ, უამიანობა ძალიან წაადგა. შავმა ჭირმა ეს ეული კაცი თავის თანამზრახველად აქცია. თანაც, ცხადია, კოტარი დიდ სიტკბოებას პპოვებს ამ თანამზრახველობაში. თანამონაწილედ გაუხდა ყოველივე იმას, რასაც ხედავს – ცრურნმენებს, უგონო ძრნოლას, შეშფოთებული სულების წრეგადასულ მგრძნობიარობას. მასაც სხვებსავით იპყრობს მანია, რაც შეიძლება ნაკლები ილაპარაკოს შავ ჭირზე და მაინც მუდამ უამიანობა აკერია პირზე. სხვებისა არ იყოს, თავი ოდნავ თუ წამოსტყივდა, გიუდება, ფერი მისდის, რაკი იცის, რომ სენი ამ სიმპტომით იწყება. მასაც დასჩემდა გულფიცხობა, ზედმეტად მგრძნობიარე და ფხუკიანი გახდა, უბრალო გულმავინყობას შეურაცხყოფად რომ მიიჩნევს და სასონარკუვეთას ეძლევა, თუკი შარვლის ღილი დაეკარგა.“

ზოგჯერ ტარუს საღამოობით კოტართან ერთად უხდებოდა გავლა. მერე თავის უბის წიგნაკში ჰყვებოდა, მხარდამხარ მავალნი როგორ ინთექმებოდნენ მნუხრის ან ღამეულ პირქუშ ბრბოში, როგორ ამოტივტივდებოდნენ ამ თეთრსა და შავ მასაში, რომელსაც აქა-იქ თუ ფლეთდა ფარნების შუქი და როგორ მისდევდნენ ხალხის ბრბოს იმ ადგილებისკენ, სადაც ეძლეოდნენ მწველ სიამოვნებებს, ჩვენს თანამოქალაქეებს შავი ჭირის სუსხისგან რომ იცავდა. ფუფუნებასა და ხელგაშლილ ცხოვრებას, ამ რამდენიმე თვის წინ კოტარი ამაოდ რომ დაეძებდა თავშეყრის ადგილებში, ახლა მთელი ქალაქი ეტანებოდა, ლაგამანყვეტილი სიამოვნებებისკენ მიიღტვოდა სუყველა. თუმცა, ყველაფრის ფასი განუხრელად მატულობდა, ამდენი ფული არასოდეს გაუფლან-

გავთ, და მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობას აუცილებელიც კი აკლდა, ასე არხეინად თავის დღეში არ გაუტანებიათ ქონება ქარისთვის. უსაქმურობის აზარტული თამაშობანი გამრავლდა, თუმცა უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, უმუშევრობის-მეთქი. ტარუ და კოტარი ხანდახან საათობით უთვალთვალებდნენ ერთ ქალვაუს, რომლებიც ნინათ ცდილობდნენ, დაემალათ, რა აკავშირებდათ ერთმანეთთან, ახლა კი ერთიმეორეს მიკრულნი ჯიუტად მიაბიჯებდნენ ქალაქში და ვერც კი ამჩნევდნენ ბრძოს, გარს რომ ერტყათ; მხოლოდ დიდ სიყვარულს სჩვევია ამგვარი უგულისყურობა. კოტარს გული უჩვილდებოდა, დახე ამათო, იტყვიდა თავის ქნევით. ხმამაღლა ლაპარაკობდა, ხარობდა საყოველთაო ციებ-ცხელებით გარემოცული, მეფური გასამრჯელოების შემყურე, უხვად რომ არიგებდნენ ირგვლივ, და ინტრიგების მომსწრე, ყველას თვალწინ რომ ინასკვებოდა.

ტარუს მაინც მიაჩნდა, რომ კოტარის საქციელში დიდი ბოროტება არ ერია. მისი „მე ეს მათზე ადრე გამოვიარე“ უბედურების ძახილი უფრო იყო, ვიდრე ნიშნის მოგება. „მე ვფიქრობ, – ნერდა ტარუ, – თანდათან უყვარდება ამ ცასა და მშობლიური ქალაქის კედლებს შორის დატყვევებული ხალხი. სიამოვნებით აუხსნიდა კიდეც მათ, რომ შეეძლოს, ასე საშიში არა არისო. „ხომ გესმით, – მითხრა, – როგორ ამბობენ, ჭირიანობის შემდეგ ამას ვიზამ, ჭირიანობის შემდეგ იმას ვიზამო... დღეს ინამლავენ, ნაცვლად იმისა, მშვიდად მინებდნენ ბედს. თანაც ვერ ხვდებიან, რა უპირატესობა მოუვლინათ განვებამ. განა, მე შე-

მეძლო მეთქვა, რომ დამიჭერენ, ამას და იმას ვიზამ-მეთქი? დაპატიმრება დასაწყისია, დასასრული კი არა. ჭირი კი... გინდათ ჩემი აზრი? ისინი უბედურები არიან, რაკი ჭირს თავს არ უდებენ. მე კარგად ვუწყი, რასაც მოგახსენებთ.“

მართლაც იცის, რასაც ამბობს, – დასძენდა ტარუ, – კარგად სწვდება იმ წინააღმდეგობათა არსს, ორანელთა გულები რომ მოუცავს. თუმც კი ღრმად გრძნობენ იმ სითბოს საჭიროებას, მათ ერთანეთთან რომ აახლოებს, არ ძალუდთ, აჰყვნენ გულის კარნახს, რაკი ერთმანეთს არ ენდობიან. ვინ არ უწყის, რომ მეზობლის ნდობა არ იქნება, რომ მას შეუძლია ჭირი შეგყაროთ ანაზდეულად, ისარგებლოს თქვენი ნდობით და ბაცილები გადმოგდოთ. როცა ამდენ ხანს კოტარივით დამსმენები გელანდება იმათ შორის, ვისკენაც მაინც მიგინევს გული, შეიძლება გაიგო ეს გრძნობა. ძალიან კარგადაც შეიძლება უთანაგრძო ხალხს, რომელსაც არ ასვენებს აზრი, შავ ჭირს ყოველდღე შეუძლია ხელი დაგვადოს მხარზე და იქნებ ემზადება კიდეც საამისოდ ახლა, ამნუთას, როცა ვნეტარებთ, ვხარობთ, რომ ჯერ კიდევ საღ-სალამათნი ვართო. რამდენადაც წარმოსადგენია ამ საყოველთაო ძრწოლის ჟამს, თავს ხალვათად გრძნობს. მაგრამ რაკი ყოველივე ეს მათზე ადრე იწვნია, ვფიქრობ, აღარ შეუძლია განიცადოს მთლად მათთან ერთად ამ ორჭოფული მდგომარეობის მთელი სისასტიკე. მოკლედ, ჩვენზე, ჭირისგან ჯერ არდახოცილებზე ნაკლები როდი უწყის, რომ მის თავისუფლებას და მის სიცოცხლეს დღეცისმარე დაღუპვა ელის. მაგრამ რაკი თვითონ უცხოვრია შიშით დაზაფრულს, სა-

მართლიანად მიაჩნია, რომ ამიერიდან სხვებმაც იწვნიონ ეს შიში. უფრო ზუსტად, შიშის ზაფრა მას ნაკლებად მძიმე ეჩვენება, ვიდრე მაშინ, მარტო რომ იყო. სწორედ ამაში ცდება და უფრო ძნელი გასაგები გახლავთ, ვიდრე სხვები. მაგრამ ბოლოს და ბოლოს, სწორედ ამით იმსხურებს სხვებზე მეტად, რომ შეეცადონ და გაუგონ.“

ტარუს ჩანაწერები თავდება ამბით, რომელიც შუქს ჰუკენს იმ უცნაურ გუნება-განწყობილებას, კოტარიცა და ჭირიანებიც რომ მოეცვა. ეს ნაამბობი დაახლოებით აღადგენს იმჟამინდელ მძიმე ატმოსფეროს და მთხრობელიც ამიტომ ანიჭებს დიდ მნიშვნელობას.

ერთხელ, ოპერაში ნავიდნენ, სადაც „ორფეოსი და ევრიდიკე“ იდგმებოდა. კოტარმა დაპატიჟა ტარუ. გამოდიოდა დასი, ჭირიანობის დამდეგ გაზაფხულს რომ ჩამოსულიყო ჩვენს ქალაქ-ში საგასტროლოდ. უამიანობის გამო ქალაქში გამომწყვდეული დასის წევრები იძულებულნი გახდნენ, ჩვენი თეატრის მესვეურთ შეთანხმებოდნენ და კვირაში ერთხელ ეთამაშათ თავიანთი სპექტაკლი. ასე რომ, თვეების მანძილზე, ყოველ პარასკევს, ქალაქის თეატრს ორფეოსის მელოდიური ჩივილი და ევრიდიკეს უმწეო ძახილი ავსებდა. სპექტაკლი მაინც მაყურებლის მოწონებით სარგებლობდა და დიდი შემოსავალიც მოჰქონდა მსახიობებისთვის. ყველაზე ძვირიან ადგილებზე გამოჭიმული კოტარი და ტარუ საუქმოდ გამოწყობილი ორანელებით გაჭედილ პარტერს გადასცეკეროდნენ. ახლად შემოსულთ ცხადად ეტყობოდათ, ცდილობდნენ, დარბაზში მყოფთ მათი შემოსვლა არ დარჩენოდათ შეუნიშ-

ნავი. რამპის დამაბრმავებელ შუქზე, სანამ მუ-  
სიკოსები ფრთხილად აწყობდნენ თავიანთ საკ-  
რავებს, მაყურებელთა სილუეტები ცხადლივ გა-  
მოიკვეთებოდა. რიგთა შორის მოდიოდნენ და  
მოხდენილად ესალმებოდნენ ერთმანეთს. დარ-  
ბაისლურ საუბარში კაცებს უბრუნდებოდათ  
თავდაჯერებულობა, ასე რომ აკლდათ რამდენი-  
მე საათის წინ, ქალაქის ბნელ ქუჩებში. ფრაკს შა-  
ვი ჭირი გაეძევებინა.

მთელი პირველი აქტის განმავლობაში ორფე-  
ოსი მოხდენილად ჩიოდა, რამდენიმე ტუნიკიანი  
ქალი გრაციოზულად უკეთებდა კომენტარს მის  
უბედურებას და ასე მღეროდნენ სიყვარულს არი-  
ებად. დარბაზმა გულთბილად, თავშეკავებით და-  
უკრა ტაში. ლამის არც შეუნიშნავთ, რომ ორფე-  
ოსმა მეორე მოქმედების არიაში გაუთვალისწი-  
ნებელი თრთოლვა გაურია და ცოტა არ იყოს, გა-  
დამეტებული პათეტიკით სთხოვდა სულეთის გამ-  
გებელს, გული მოლბობოდა მის ტირილზე. მისი  
მეყსეული ჟესტები მცოდნებმა სტილიზაციის  
შედეგად მიიჩნიეს, მომღერლის ინტერპრეტაცი-  
ას რომ ამდიდრებდა.

მაგრამ მესამე აქტში ორფეოსისა და ევრი-  
დიკეს დიდი დუეტი რომ დაიწყო (როცა ევრიდიკე  
ხელიდან ეცლება თავის მეუღლეს), დარბაზი ცო-  
ტა არ იყოს, გაკვირვებამ შეიძყრო. და თითქოს  
მომღერალმა, ორფეოსის როლს რომ  
ასრულებდა, დარბაზის ეს სულისკვეთება შენიშ-  
ნაო, ან უფრო უკეთ, თითქოს პარტერიდან მო-  
ნადენმა ხმებმა დაარწმუნეს იმაში, რაც მის თავს  
ხდებოდა, ეს დრო შეარჩია, თავის ანტიკურ  
სამოსელში უცნაურად ხელფეხგაჩაჩიხული წინ,

რამპისკენ წავიდა და ძირს მოადინა ზღართანი დეკორაციის ყვავილ-რტოებს შორის, თავიდან-ვე ანაქრონულობის დაღი რომ ესვა, მაგრამ მა-ყურებელთა თვალში ახლალა იქცა საშინელ ანაქ-რონიზმად. იმავ წამს ორკესტრი დადუმდა, პარ-ტერში მჯდომი ხალხი ზე წამოიჭრა და ნელ-ნე-ლა, მდუმარედ იწყო გასვლა დარბაზიდან ისე, როგორც ეკლესიიდან გადიან ხოლმე, ღვთისმსა-ხურება რომ მორჩება, ან როგორც მიცვალებუ-ლის ოთახიდან გაიღალებიან ხოლმე; ქალებს კა-ბის კალთები წამოეკრიფათ და თავდახრილნი მი-იპარებოდნენ კარებისკენ, კაცები თავიანთ თა-ნამგზავრებს იდაყვებით უკაფავდნენ გზას და სკამის საზურგებებს არიდებდნენ. მერე შეჩოჩ-ქოლდნენ, ჩურჩული ყვირილად იქცა და ბრძო გა-სასვლელებს მიაწყდა, იქ შეტბორდა, შეხლა-შემოხლა გამართა და, ბოლოს, წივილ-კივილიც ატყდა. კოტარი და ტარუც წამოდგნენ, მაგრამ დარბაზიდან არ გასულან. ისინი მარტონი აღმოჩ-ნდნენ იმუამინდელი ჩვენი ცხოვრების ერთ-ერ-თი სურათის პირისპირ: შავი ჭირი სცენაზე იდგა კრუნჩხვაატებილი მსახიობის სახით, დარბაზში კი მთელი ეს უსარგებლოდ შთენილი, სავარძლე-ბის წითელ ხავერდზე დავიწყებული მარაოები და აქა-იქ დარჩენილი მაქმანებილა მოჩანდა.

სექტემბრის პირველ დღეებში რამბერი თავ-დაუზოგავად მუშაობდა რიეს მხარდამხარ. მარტო ერთი დღის შვებულება მოითხოვა, როცა ვაჟ-თა ლიცეუმის წინ გონისალესსა და იმ ორ ახალ-გაზრდას უნდა შეხვედროდა.

ამ დღეს, თორმეტ საათზე, გონისალესმა და უურნალისტმა შორიდანვე დაინახეს, როგორ მო-დიოდნენ ბიჭები სიცილ-სიცილით. თქვეს, მაშინ ბედმა არ გავიღიმა, მაგრამ ასედაც იყო მოსა-ლოდნელი. თან დააყოლეს, ჯერჯერობით ვერც ვერაფერს გავაწყობთ, ახლა ჩვენი გუშაგობის კვირა არ არისო. შემდეგ კვირამდე უნდა მოეთ-მინათ. მაშინ ხელახლა ვცდითო ბედს. რამბერი დაყაბულდა. გონისალესმა მომავალ ორშაბათს დაუნიშნა პაემანი. ოღონდ მაშინ უკვე რამბერი მარსელსა და ლუისთან უნდა დასახლებულიყო. „მხოლოდ მე და შენ შევხვდებით. თუ ვერ მოვე-დი, პირდაპირ იმათთან მიხვალ; ახლავე აგიხსნი, სად ცხოვრობენ“. მაგრამ ამ დროს მარსელმა თუ ლუიმ თქვა, ყველაფერს აჯობებს, ეს ამხანაგი ჩვენს სახლში ახლავე წავიყვანოთო. თუ ერთობ წუნია არ არის, კიდევაც ვასადილებთ, საჭმელი ოთხივესთვის მოიძებნება; თან სახლსაც ნახავ-სო. გონისალესმა შესძახა, ჩინებული აზრიაო და ოთხივე ნავსადგურისკენ მიმავალ გზას გაუყვა.

მარსელი და ლუი საფლოტო უბნის ბოლოში ცხოვრობდნენ, იმ კარიბჭის მახლობლად,

ზღვისპირა გზაზე რომ გადიოდა. პატარა, ესპანური სტილის სახლი ჰქონდათ, სქელკედლებიანი, ხის შეღებილი დარაბებით და თითქმის ცარიელი, გრილი ოთახებით. ბიჭების დედამ, მოლიმარე და სახედანაოჭებულმა ქალმა ბრინჯი გამოუტანა სტუმრებს. გონისალესს გაუკვირდა, რადგან ქალაქში ბრინჯი უკვე გამწყდარიყო. კარიბჭესთან ვშოულობთო, გაიცინა მარსელმა. სუფრაზე გონისალესი გაიძახოდა, რამბერი ჩვენი კაციაო, უურნალისტი კი მხოლოდ იმ კვირაზე ფიქრობდა, აქ რომ უნდა დახანებულიყო.

სინამდვილეში ორი კვირა მოუხდათ ლოდინი, რადგან გუშაგთა მორიგეობა ორ კვირამდე გაზარდეს, მორიგე რაზმების რიცხვი რომ შეემცირებინათ. მთელი ამ თხუთმეტი დღის მანძილზე რამბერი თავდაუზოგავად, შეუსვენებლივ მუშაობდა ალიონიდან დაღამებამდე და ვერაფერს ამჩნევდა ირგვლივ. გვიან ლამით წვებოდა და მკვდარივით იძინებდა. უეცარმა გადასვლამ უსაქმობიდან ქანცგამცლელ მუშაობაზე თითქმის უსიზმროდ დატოვა და ძალა წაართვა. ცოტას ლაპარაკობდა თავის მომავალ გაქცევაზე. ლირსშესანიშნავი მხოლოდ ის იყო, რაც ექიმს გაანდო ერთი კვირის თავზე: მთელი ამ ხნის განმავლობაში გუშინ პირველად დავთვერიო. ბარიდან გამოსულს ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ საზარდული შესიებოდა და იღლიებშიც ისე სტეხდა, ხელის განძრევა უჭირდა. გაიფიქრა, უთუოდ ჭირი შემეყარაო, და თუმც კი შემდეგ გამოუტყდა რიეს, უგუნურობა იყოო, სხვა რომ ვეღარაფერი მოიფიქრა, ქალაქის ყველაზე შემაღლებულ ადგილს მიაშურა და იქ, პატარა მოედნიდან, საიდანაც ზღვას ვერ უნვდენ-

დით თვალს, მაგრამ ცოტა მეტი ცა ჩანდა, თავის ცოლს დაუძახა ხმამალლა, ყვირილით, ქალაქის კედლებს გადაღმა. შინ რომ დაბრუნდა და თავს სენის ვერანაირი ნიშანი ვერ შეატყო, შერცხვა ამ უეცარი სისუსტისა. რიემ უთხრა, ძალიან კარგად მესმის თქვენი, ამგვარი საქციელი, ჩემი აზრით, სავსებით ბუნებრივიაო.

— ბატონი ოტონი მელაპარაკა თქვენზე ამ დილით, — დასძინა რიემ იმ დროს, როცა რამბერი ემშვიდობებოდა, — მკითხა, თუ იცნობთო. დამავალა, ურჩიეთ, კონტრაბანდისტებში ნუ ტრიალებს, შენიშნულია უკვეო.

— მაგით რისი თქმა გნებავთ?  
— იმისა, რომ უნდა იჩქაროთ.  
— გმადლობთ, — უთხრა რამბერმა ექიმს და ხელი ჩამოართვა.

ზღურბლთან უეცრად შემობრუნდა. რიემ შენიშნა, რომ ჭირიანობის აქეთ პირველად იღიმებოდა:

— რატომ არ მიშლით ხელს წასვლაში? ხომ გაქვთ ამის საშუალება?

რიემ თავი გააქნია, როგორც სჩვეოდა ხოლმე, და უთხრა, ეს თქვენი საქმეა, ბედნიერება ირჩიეთ და მე, რიე, ვერავითარ საბუთს ვერ დაგიპირისპირებთ; სად ძალმიძს განვსაჯო ამ საქმეში რაა კეთილი და რა ბოროტიო.

— მაშ, რატომდა მაჩქარებთ?  
ახლა რიესაც მოერია ღიმილი:  
— იქნებ იმიტომ, რომ მეც მსურს, ბედნიერებისთვის რაღაც გავაკეთო.

მეორე დღეს ამბებზე აღარ ულაპარაკიათ, უხმოდ მუშაობდნენ. მომდევნო კვირას რამბე-

რი, როგორც იქნა, გადაბარგდა პატარა ესპანურ სახლში. საწოლი საერთო ოთახში დაუდგეს. რაյი ბიჭები სადილად შინ არ ბრუნდებოდნენ და რამ-ბერსაც სთხოვეს, რაც შეიძლება, იშვიათად გა-დით გარეთო, სულ მარტო იყო, ანდა, დრო რომ მოეკლა, მოხუც ქალს ესაუბრებოდა. ქალი სულ ფუსფუსებდა. ხმელ-ხმელი იყო, შავით მოსილი, დანაოჭებული, შავგვრემანი სახე და თეთრი, სპე-ტაკი თმა ჰქონდა. სიტყვას ძვირად თუ იტყოდა, მარტო თვალებით იღიმებოდა, როცა რამბერს უცქერდა.

ხანდახან ჰკითხავდა, არ გეშინიათ, ცოლს შა-ვი ჭირი რომ შეჰყაროთ? რამბერი მიუგებდა, ეგ მოხდება თუ არა, არავინ უნყის, ჩემი ამ ქალაქში დარჩენით კი შეიძლება სამუდამოდ დავცილდეთ ერთმანეთსო.

— ეშხიანია? — ეკითხებოდა მოხუცი ლიმილით.  
— ძალიან.  
— ლამაზია?  
— მე მგონი.  
— აჲა, კიდევაც მაგიტომ მიისწრაფვით, — ამ-ბობდა ქალი.

რამბერი ჩაფიქრდა. უთუოდ ამიტომაც მიეჩ-ქარებოდა შინისკენ, მაგრამ შეუძლებელი იყო, მხოლოდ ეს ყოფილიყო მიზეზი.

— ღმერთი არ გნამთ? — ეკითხებოდა ქალი, თვითონ ყოველ დილით წირვაზე რომ დადიოდა.

რამბერი გამოუტყდა, არაო და მოხუცმა ქალ-მა გაიმეორა, კიდევაც მაგიტომ მიისწრაფვითო.

— მაშინ სწორად იქცევით; გაემგზავრეთ მას-თან, თორემ რაღა დაგრჩენიათ?

რამბერი მთელი დღეები შიშველ და კირით შე-

ფეთქილ კედლებშუა ტრიალებდა; ხელით ეა-ლერსებოდა ტიხრებზე მიჭედებულ მარაოებს, ანდა ითვლიდა, სუფრას ირგვლივ რამდენი ფოჩი ჰქონდა შემოვლებული. საღამოს ახალგაზრდები ბრუნდებოდნენ. ბევრს არც ისინი ლაპარაკობდნენ, მარტო იმას თუ ეტყოდნენ, ჯერ ადრეაო. ნასადილევს მარსელი გიტარაზე უკრავდა და ანი-სულის ლიქიორს სვამდნენ. რამბერს ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს რაღაც საფიქრალი გასჩენიაო.

ოთხშაბათს, მარსელი რომ დაბრუნდა, უთხრა: „ხვალ, შუალამისთვის მოემზადე!“ იმ ორი კაციდან, ვინც მათთან ყარაულობდა, ერთს ჭირი შეჰყუროდა, მეორე კი – ვინც იმასთან ერთად ცხოვრობდა ოთახში, კარანტინში მოეთავსებინათ. ასე რომ, ორი-სამი დღე მარსელი და ლუი მარტო იდგებოდნენ საგუშაგოზე. ლამის განმავლობაში გაქცევის თადარიგს დაიჭერდნენ. მეორე დღეს შესაძლებელი იქნებოდა გაქცევა. რამბერმა მადლობა გადაუხადა. „კმაყოფილი ხართ?“ – ჰკითხა მოხუცმა ქალმა. რამბერმა თავი დაუქნია, მაგრამ ფიქრით სულ სხვაგან იყო.

მეორე დღეს მძიმედ ჩამონილი ცის ქვეშ ნესტიანი და სულის შემხუთველი სიცხე იღვა. უკანასკნელი ცნობები სანუგეშო ვერ იყო. მოხუცი ესპანელი ქალი მაინც უშფოთველი ჩანდა. „ქვეყნად ცოდვა გამრავლდა, ამის ბრალია ყველაფერი“, – ამბობდა იგი. მარსელისა და ლუისა არ იყოს, რამბერიც წელამდე შიშველი იყო, მაგრამ რაც არ უნდა ექნა, ოფლი მაინც ნურწურით ჩამოსდიოდა ბეჭებშუა და მკერდზე. დარაბებჩარაზული სახლის ბინდბუნდში სხეულები ყავის-ფრად მოჩანდა, თითქოს ლაქი გადაუსვიათო.

რამბერი უსიტყვოდ სცემდა ბოლთას. უეცრად, ნაშუადღევის ოთხი საათისთვის, ჩაიცვა და ძმებს დაუბარა, გავდივარო.

— ოღონდ შუალამისას აქ იყავი, — უთხრა მარ-სელმა, — ყველაფერი მზადაა უკვე.

რამბერი ექიმს ეწვია. რიეს დედამ უთხრა, სა-ავადმყოფოში არისო. საგუშავო პოსტთან ისევ ბრძო ირეოდა. „მოსცილდით აქაურობას!“ — გაჰ-ყვიროდა თვალებგადმოკარკლული სერუანტი. ხალხი მაინც არ იშლებოდა. „ტყუილად რას დგახართ?“ — სჭექდა სერუანტი, ოფლს გამოე-უონა მის პერანგზე. ყველა ხვდებოდა, რომ ტყუ-ილად იდგა, მაგრამ მიუხედავად გამთანგავი სიც-ხისა, არავინ იძროდა ადგილიდან. რამბერმა თა-ვისი საშვი უჩვენა სერუანტს, მანაც ტარუს კაბი-ნეტი მიასწავლა. კაბინეტის კარი ეზოში გამოდი-ოდა. გზად რამბერი მამა პანელუს გადაეყარა, რომელიც ის-ის იყო, გამოსულიყო კაბინეტიდან.

პატარა, თეთრად შეფერქილ, ჩაბინძურებულ ოთახში, სადაც წამლებისა და ნესტიანი თეთრე-ულის სუნი იდგა, შავი ხის საწერ მაგიდასთან მიმ-ჯდარი, სახელოებაკაპინებული ტარუ ცხვირსა-ხოცით იმშრალებდა ოფლს მაჯებზე.

— ისევ აქ ხართ? — შეაგება მოსულს კითხვა.

— დიახ, რიესთან მინდა ლაპარაკი.

— პალატაშია, მაგრამ თუ უიმისოდ გახვალთ ფონს, უმჯობესი იქნება.

— რატომ?

— ძალზე გადაქანცულია და ვცდილობ, რაც კი შემიძლია, საქმე ავარიდო.

რამბერი ტარუს დააცქერდა. ტარუ გამხდარი-ყო. დაღლილობამ თვალები აუმღვრია, ნაკვთები

დაუგრძელა. ღონიერი ბეჭები მოსდრეკოდა. კარზე დააკაკუნეს. ოთახში ნილაბაფარებული სანიტარი შემოვიდა, ტარუს მაგიდაზე ბარათების დასტა დააწყო და თუმცა ხმას პირზე აფარებული ნილაბი უხშობდა, გარკვევით თქვა, ექვსიო, და გავიდა. ტარუმ შეხედა უურნალისტს და ბარათები მარაოსავით აუფრიალა თვალწინ.

— მშვენიერი ბარათებია, არა? მკვდრებისაა, ნუხელ დახოცილების.

შუბლი შეჭმუხნა. ბარათების დასტა გადაკეცა.

— ერთადერთი ისლა დაგვრჩენია, რომ აღვნუსხოთ და ანგარიში ვაწარმოოთ.

ტარუ წამოდგა, მაგიდას დაეყრდნო.

— მალე გაემგზავრებით?

— ამალამ. შუალამით.

ტარუმ უთხრა, მოხარული ვარო, და დააყოლა, თავს გაუფრთხილდითო.

— ამას გულწრფელად მეუბნებით?

ტარუმ მხრები აიჩეჩა:

— ჩემს ხანში კაცი, უნდა თუ არ უნდა, გულწრფელია. სიცრუე ძალზე დამლლელია.

— ტარუ, — უთხრა უურნალისტმა, — ექიმის ნახვა მინდა. მაპატიეთ.

— ვიცი. ის ჩემზე უფრო ადამიანურია. წავიდეთ მასთან.

— მაგიტომ როდი ვამბობ, — გაჭირვებით თქვა რამბერმა და შედგა.

ტარუმ მოხედა და უცებ გაულიმა.

მერე გაუყვნენ ვინრო დერეფანს, რომლის კედლებიც სალათისფრად იყო შეღებილი. შიგ, როგორც აკვარიუმში, ისეთი სინათლე იდგა. სა-

ნამ ზედ მიადგებოდნენ ორმაგშუშიან კარს, რომლის უკანაც ჩრდილებს გაცხოველებული მოძრაობა ჰქონდათ, ტარუმ რამბერი ერთ პატარა ოთახში შეიყვანა, სადაც კედლებში თახჩები იყო დატანებული. ტარუმ ერთი მატგანი გამოაღო, სტერილიზატორიდან ორი ჰიგროსკოპული ნილაბი გამოიღო, ერთი რამბერს გაუწოდა და უთხრა, გაიკეთეთო. უურნალისტმა ჰკითხა, თუ შველის რამესო, ტარუმ მიუგო, არა, მაგრამ რომ გიკეთია, გული მაინც საგულეს გაქვსო.

შემინული კარი შეაღეს. უზარმაზარი ოთახი იყო: საგულდაგულოდ დაეხშოთ ფანჯრები, თუმცი კი ზაფხული იდგა. კედლებზე, ზედ ჭერქვეშ თახთახებდნენ ჰაერის გამწმენდი აპარატები. მათი მოღუნული ფრთები ასუფთავებდნენ დახუთულსა და გადახურებულ ჰაერს ნაცრისფერ საწოლთა ორ მნკრივს ზემოთ. ყოველი მხრიდან კვნესა ისმოდა: ხან ყრუ, ხან მჭახე და ერთ საერთო, მონოტონურ ჩივილად ერწყმოდა ერთმანეთს. თეთრით მოსილი ადამიანები ნელა მოძრაობდნენ თვალისმომჭრელ სინათლეში, რომელიც ცხაურებით შეჭედილი მაღალი კამერებიდან იღვრებოდა. რამბერმა ცუდად იგრძნო თავი ამ საშინელ სიცხეში და ძლივსღა იცნო რიე, მკვნესარე სხეულზე რომ დახრილიყო. ექიმი საზარდულს უსერავდა ფეხებგაჩაჩხულ ავადმყოფს, მოწყალების დებს აქეთიქიდან რომ გაეკავებინათ. საქმეს რომ მორჩა, ნამოდგა, ხელსაწყოები დაყარა ლანგარზე, ექთანმა რომ შეაგება და ერთხანს უძრავად დაპყურებდა კაცს, რომელსაც განასერს უხვევდნენ.

— რა არის ახალი? — ჰკითხა მან თავს ნამომდგარ ტარუს.

— პანელუ თანახმაა, შეცვალოს რამბერი სა-  
კარანტინო სახლში... უკვე ბევრი რამ გააკეთა.  
მესამე საინსპექციო რაზმის თავიდან შექმნა  
მოგვიწევს, ურამბეროდ.

რიემ თავი დაუქნია.

— კასტელს უკვე მზად აქვს პირველი პრეპა-  
რატები. გვეუბნება, გამოცადეთო.

— ოჰო! — თქვა რიემ, — ეს კარგია.

— კიდევ ის, რომ რამბერი აქაა.

რიე შემობრუნდა. თვალებმოჭუტულმა შეხე-  
და უურნალისტს ნილბის ზემოდან.

— აქ რას აკეთებთ? — ჰკითხა რამბერს, — ახლა  
ხომ სხვაგან უნდა იყოთ.

ტარუმ უთხრა, ამაღამ, თორმეტ საათზე წა-  
ვაო. რამბერმა კი დასძინა:

— ჰო, თეორიულად.

ყოველთვის, როცა რომელიმე მათგანი ლაპა-  
რაკობდა, ნილაბი იბერებოდა და იქ, სადაც პირი  
იყო, ნესტიანდებოდა. ეს საუბარს ცოტა ირეა-  
ლურს ხდიდა, როგორც ქანდაკებათა დიალოგს.

— თქვენთან ლაპარაკი მნადია, — უთხრა რამ-  
ბერმა ექიმს.

— თუ გნებავთ, ერთად წავიდეთ. ტარუს კაბი-  
ნეტში დამელოდეთ.

რამდენიმე წუთის შემდეგ რამბერი და რიე  
ექიმის მანქანის უკანა სავარძლებზე ისხდნენ.  
საჭეს ტარუ უჯდა.

— ბენზინი გველევა, — თქვა მან, მანქანა რომ  
დაიძრა, — ხვალ ფეხით მოგვიწევს სიარული.

— ექიმო, — უთხრა რამბერმა, — მე არსადაც არ  
წავალ, თქვენთან მსურს დარჩენა.

ტარუს წარბიც არ შეუხრია, ისე მიჰყავდა მან-

ქანა. რიეს თითქოს ვერ ამოეყვინთა დაღლილობიდან.

— კი მაგრამ, თქვენი ცოლი? — ჰქითხა ყრუდ.

რამბერმა უთხრა, კიდევ ვიფიქრე, ისევ იმ აზრზე ვდგავარ, მაგრამ რომ წავიდე, სირცხვილი გამტანჯავს და ხელს შემიშლის ქალის სიყვარულშიო. მაშინ რიე წელში გასწორდა და მტკიცე ხმით უთხრა, ეს სისულელეა და სულაც არაა სირცხვილი, ბედნიერება ამჯობინოთო.

— დიახ, — მიუგო რამბერმა, — მაგრამ შეიძლება შერცხვეს კაცს, მარტო შენ თუ იქნები ბედნიერი.

ტარუ აქამდე დუმდა, ახლა კი მათკენ თავის შემოუბრუნებლად შენიშნა, თუ რამბერს სურს კაცთა უბედურება გაინანილოს, ბედნიერებისთვის თავის დღეში დრო არ გადაურჩება, ან ერთი უნდა აირჩიოს, ან მეორეო.

— საქმე ეგ როდია, — შეაწყვეტინა რამბერმა, — მე მუდამ ვფიქრობდი, რომ უცხო ვიყავი ამ ქალაქისთვის და თქვენთან არაფერი მესაქმებოდა. მაგრამ ახლა, როცა ყველაფერი ეს ჩემი თვალით ვნახე, ვიცი, რომ აქაური ვარ, მინდა თუ არ მინდა. მივხვდი იმასაც, რომ ჭირიანობა ყველას გვეხება.

არავინ გამოპასუხებია და რამბერს მოუთმენლობა დაეტყო:

— ეს თქვენც კარგად უნყით! თორემ რა გესაქმებათ ამ ლაზარეთში? განა არჩევანი მოახდინეთ და უარი თქვით ბედნიერებაზე?

ტარუს და რიეს ამჯერადაც არ გაულიათ ხმა. დუმილმა დიდხანს გასტანა, მანამ, სანამ ექიმის სახლს არ მიუახლოვდნენ. რამბერმა ისევ დაუს-

ვა მათ თავისი შეკითხვა, უფრო დაუინებითაც. მხოლოდ რიგ შებრუნდა მისკენ ძლივ-ძლივობით:

— მაპატიეთ, რამბერ, მაგრამ არ ვიცი. დარჩით ჩვენთან, რაკი ასე მოგისურვებიათ.

მანქანამ უეცრად მოუხვია და ექიმს სიტყვა გააწყვეტინა. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ რიემ მაინც გააგრძელა სათქმელი, ოღონდ რამბერს არ უცქერდა, ნინ იყურებოდა:

— ქვეყნად არაფერი ღირს იმად, რომ ზურგი აქციო, რაც გიყვარს. მაგრამ მაინც ზურგს ვაქცევ, თუმცა კი არ ვიცი, რატომ, — თქვა ეს და ისევ უკან გადაესვენა, — მე მხოლოდ იმას ვამბობ, რაც სინამდვილეში ხდება, — დასძინა დალლილი ხმით, — ყურად ვიღოთ და სათანადო დასკვნები გამოვიტანოთ.

— რა დასკვნები? — ჰეითხა რამბერმა.

— ეჸ, რამბერ! არ შეიძლება ერთსა და იმავე დროს წამლობდე და იცოდე კიდეც, — თქვა რიემ, — მაშ, რაც შეიძლება ჩქარა ვუნამლოთ. ეს უფრო საშური საქმეა.

შუალამისას ტარუ და რიე რამბერს იმ უბნის გეგმას უხაზავდნენ, რომლისთვისაც თვალყური უნდა ედევნებინა. უცბად, ტარუმ საათს დახედა. თავი რომ ასწია, რამბერის მზერას შეხვდა.

— თუ გააფრთხილეთ მაინც?

უურნალისტმა თვალი მოარიდა:

— ბარათი გავუგზავნე, — თქვა მძიმედ, — სანამ თქვენთან გამოვეშურებოდი.

კასტელის შრატი ოქტომბრის მიწურულს გამოსცადეს. არსებითად ეს რიეს უკანასკნელი იმედი იყო. თუ კვლავ განბილდებოდნენ, ექიმი ხვდებოდა, რომ ქალაქი სენის ჭირვეულობის ანაბარა იქნებოდა მიგდებული. ეპიდემია თუ მოისურვებდა, მეტად გამძვინვარდებოდა და თვეების განმავლობაში იბობოქრებდა, ან თუ მოეგუნებებოდა, უმიზეზოდ ჩაცხრებოდა.

იმ დღის ნინა საღამოს, როცა კასტელი ეწვია რიეს, ბ-ნ ოტონის ვაჟი ავად გახდა და მთელმა ოჯახმა იძულებით კარანტინში ამოჰყო თავი. დედა, ამ ცოტა ხნის ნინათ რომ გამოსულიყო კარანტინიდან, უკვე მეორედ ჩავარდა ამ დღეში. გამომძიებელმა, ვინც ხელისუფალთაგან დაწესებულ კანონებს არასდიდებით არ გადაუხვევდა, მაშინვე უხმო ექიმს, როგორც კი ბავშვის ტანზე ავადმყოფობის ნიშნები შენიშნა. რიე რომ მივიდა, დედ-მამა სანოლის ფერხთით იდგა. პატარა გოგონა უკვე გაეხიზნათ. ბიჭი კი მთლად დაუძლურებულიყო და უდრტვინველად მინებდა ექიმს. როცა ექიმმა თავი ასწია, გამომძიებლის მზერას შეხვდა და მის უკან დედის გაფითრებული სახეც დალანდა. ქალს პირზე ცხვირსახოცი აეფარებინა და გაფართოებული თვალებით მისჩერებოდა ექიმის ყოველ მოძრაობას.

— ისაა, არა? — ჰერთხა გამომძიებელმა პირქუშად.

— დიახ, — მიუგო რიემ, თან ისევ ბავშვს დაპუურებდა.

დედას უფრო გაუფართოვდა თვალები, მაგრამ ხმას მაინც არ იღებდა. გამომძიებელიც დუმდა, მერე უფრო ხმადაბლა თქვა:

— მაშ, ისე უნდა მოვიქცეთ, როგორც წესია.

რიე ცდილობდა, არ შეეხედა დედისთვის, ცხვირსახოცს რომ არ იშორებდა პირიდან.

— ყველაფერი მალე მოგვარდება, — თქვა ყოყმანით, — თუ დარეკვა მოვახერხე.

ბ-ნმა ოტონმა უთხრა, მე გიჩვენებთო ტელეფონს, მაგრამ ექიმი მის ცოლს მიუბრუნდა:

— ძალიან ვწუხვარ... მაგრამ ცოტა რამ ბარგი უნდა შეკრათ, თავად მოგეხსენებათ.

ქალბატონი ოტონი გაოგნებული ჩანდა. იატაკს არ აცილებდა მზერას.

— დიახ, ახლავე გავაკეთებ ყველაფერს, — უთხრა თავის ქნევით რიეს.

სანამ ოტონებს გამოეთხოვებოდა, რიე თავს ვერ მოერია და ჰქითხა დიასახლისს, რამე ხომ არ გჭირდებათო. ქალი კვლავ მდუმარედ შემოჰყურებდა. გამომძიებელმაც თვალი აარიდა.

— არა, — უთხრა ბოლოს, მერე ნერწყვი დაგაყლაპა და დააყოლა, — ოლონდ ბავშვი გადამირჩინეთ.

კარანტინი, თავდაპირველად უბრალო ფორმალობას რომ ნარმოადგენდა, რიემ და რამბერმა მეტად მკაცრად მოაწყვეს. კერძოდ, მოითხოვეს, რომ ერთი და იგივე ოჯახის წევრებიც იზოლირებულნი ყოფილიყვნენ ერთმანეთისგან; თუ ოჯახის რომელიმე წევრს სენი გამოაჩნდებოდა, სხვა მაინც დაზღვეული უნდა ყოფილიყო. რიემ ეს მოსაზრებანი გააცნო გამომძიებელს და მანაც

გონივრულად მიიჩნია, მაგრამ ცოლ-ქმარმა ისეთი თვალებით გადახედა ერთმანეთს, რომ ექიმმა ივ-რძნო, ეს განშორება რარიგ უკვეთდათ სასოს. ქნი ოტონის და მისი პატარა გოგონას მოთავსება რამ-ბერის საკარანტინო სახლში მოხერხდა. გამომძი-ებლისთვის კი იქ ადგილი არ აღმოჩნდა და ის საი-ზოლაციო ბანაკში გაამწესეს. ეს ბანაკი პრეფექ-ტურამ დაარსა ქალაქის სტადიონზე საგზაო უნ-ყებისგან ნათხოვარი კარვებით. რიე ბოდიშობდა, მაგრამ ბ-ნმა ოტონმა უთხრა, კანონი ყველასთვის ერთია და მას ყველა უნდა დავემორჩილოთო.

თვითონ ბავშვი კი დამხმარე ლაზარეთში გა-დაიყვანეს, ყოფილ საკლასო ოთახში, სადაც ათი საწოლი იდგა. ოციოდე საათის შემდეგ რიემ უკ-ვე იცოდა, რომ სააქეთო პირი აღარ უჩანდა. პა-ტარა სხეული სენს თავს მორჩილად აჭმევინებ-და, არ კი ერკინებოდა. მომცრო, მაგრამ მტკივ-ნეული ბუბონები ერთი ბენო, გამხდარ ხელ-ფეხს უბორკავდა. წინასწარვე წაგებული ჰქონდა ბრძოლა. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა რიემ, მას-ზე გამოეცადა კასტელის შრატი. შრატი იმავე სა-ლამოს გაუკეთეს, ნასადილევს, მაგრამ ბავშვს არავითარი რეაქცია არ ჰქონია. მეორე დღეს, ალიონზე, ყველამ პატარა ავადმყოფის საწოლ-თან მოიყარა თავი, რათა ამ გადამწყვეტი ცდის შედეგები შეემოწმებინათ.

ბავშვი გარინდებიდან გამორკვეულიყო და საბანქვეშ იკრუნჩებოდა. ექიმი, კასტელი და ტარუ დილის ოთხი საათიდან თავს დასტრიალებ-დნენ, ნაბიჯ-ნაბიჯ ადევნებდნენ თვალს სენის შემოტევასა და უკან დახევას. სასთუმალთან ნელში ოდნავ მოხრილი ტარუ იდგა. საწოლის

ფერხთით კასტელი ჩამომჯდარიყო და რაღაც ძველ შრომას კითხულობდა ისე, რომ გარეგნულად მღელვარების ნიშანწყალიც არ ეტყობოდა. რიე გვერდით ედგა. თანდათანობით, სინათლე რომ მატულობდა სკოლის ყოფილ საკლასო ოთახში, სხვებიც მოდიოდნენ. ჯერ პანელუ მოვიდა და საწოლის მეორე მხარეს დადგა, ტარუს პირის პირ, ზურგით კედელს მიყრდნობილი. სახეზე საშინელი ტანჯვა აღბეჭდოდა, მთლად დაღაროდა ალენილი შუბლი. მერე იყო და, უოზეფ გრანიც მოვიდა. უკვე შვიდმა საათმა ჩამოკრა და მოხელემ ბოდიში მოიხადა, ცოტა შემაგვიანდაო. მხოლოდ ერთი წუთით შემოერბინა, იქნებ გარკვეული რამ იცოდნენო. რიემ უსიტყვოდ მიუთითა ბავშვზე, თვალები რომ დაეხუჭა, სახე შეშლოდა, კრიჭა შეეკრა და გასავათებულს თავი ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ უვარდებოდა ბალიშზე. როცა საკმაოდ ინათა, იმდენად, რომ ოთახის სიღრმეში, ადგილზე დარჩენილ საკლასო დაფაზე შესაძლებელი შეიქნა ძველი განტოლებების ამოკითხვა, რამბერიც მოვიდა. მეზობელი საწოლის ზურგს მიეყუდა და სიგარეტის კოლოფი ამოილო ჯიბიდან. მაგრამ ბავშვს ჰქიდა თუ არა თვალი, კოლოფი ისევ ჯიბეში დამალა.

კასტელი კვლავ იჯდა და რიეს შესცეკროდა სათვალის ზემოდან.

— მამისა არაფერი შეგიტყვიათ?

— არა, — უთხრა რიემ, — საიზოლაციო ბანაკშია.

ბავშვი კვნესოდა. ექიმი ღონივრად უჭერდა ხელს საწოლის საზურგეს, თან თვალს არ აცილებდა პატარა ავადმყოფს, რომელიც უეცრად გახევდა, კრიჭაშეეკრულმა მუცელი შესწია, მერე

ნელ-ნელა გაშალა ხელ-ფეხი. ჯარისკაცული საბნის ქვეშ განოლილ პატარა, შიშველ სხეულს მატყლისა და მჭახე ოფლის სუნი უდიოდა. ბავშვი თანდათან მოეშვა, ხელ-ფეხი შემოიკრიბა და ისევ დაბრმავებულმა და დამუნჯებულმა თითქოს უფრო ჩქარა დაიწყო სუნთქვა. რიემ ტარუს მზერა დაიჭირა, ტარუმ წამსვე აარიდა თვალი.

მათ უკვე ენახათ, როგორ იხოცებოდნენ ბავშვები, რადგან სენი, ეს რამდენიმე თვე რომ მძვინვარებდა, არავის ინდობდა, მაგრამ თავის დღეში არ ენახათ წუთიდან წუთს მათი ტანჯვა, როგორც ამ დილით. ცხადია, ამ უცოდველთა თავს დამტყდარი სატანჯველი მუდამ იმად ეჩვენებოდათ, რაც სინამდვილეში იყო – აღმაშფოთებელ ამბად, მაგრამ აქამდე მათი აღშფოთება, ცოტა არ იყოს, განყენებული გახლდათ, რადგან უცოდველი ყრმის სულის ამოხდომისთვის ასე დიდხანს პირისპირ არასოდეს უცქერიათ.

სწორედ ამ დროს ბალლი ისევ მოიკრუნჩხა, თითქოს მუცელზე რაღაცამ უკბინაო და სუსტად აკვნესდა. რამდენიმე გრძელ წამს ასე მოკრუნჩული დარჩა, კონვულსიურად თრთოდა და ცახცახებდა, თითქოსდა შავი ჭირის მძვინვარე ქარის შემობერვისას მისი სუსტი სხეული იდრიკებოდა და სიცხის ყოველი შემოტევისგან ძვლებს ჭრიალი გაჰქონდა. როცა ქარაშოტმა გადაიარა, ბავშვი ცოტა მოეშვა, სიცხემ თითქოს უკლო, უკუიქცა, დატოვა თავისი მსხვერპლი აქოშინებული, სველსა და მიკრობებით მონამლულ სარეცელზე, სადაც მოსვენება უკვე სიკვდილს ჰგავდა. როცა ალმური მესამედ შემოეგზნო და ოდნავ წამოსნია, ბავშვი მოიკრუნჩხა, საწოლის სილრმეში მი-

იკუნტა იმ ცეცხლით გათანგული, შიგნეულს რომ უნვავდა. თავს შეთივით აქნევდა აქეთ-იქით, საბანს იძრობდა. მსხვილი კურცხლები გადმოსცვივდა ალმოდებული ქუთუთოებიდან, ტყვიისფერ ლოყებზე ჩამოუგორდა. კრიზისი რომ დასრულდა, ქანცგანყვეტილმა ბავშვმა გაძვალტყავებული ხელ-ფეხი, ორ დღე-ლამეში მთლად რომ დასდნობოდა, გაფარჩიხა და აძლილ საწოლში რაღაც უცნაური ჯვარცმულის პოზაში გაქვავდა.

ტარუ დაიხარა და თავისი მძიმე ხელით ცრემლითა და ოფლით სველი სახე შეუმშრალა პატარას. კასტელმაც დახურა თავისი ნიგნი და ავადმყოფს დააცქერდა. ერთი ნინადადება წამოიწყო, მაგრამ იძულებული გახდა, ჩაეხველებინა სათქმელის დასამთავრებლად, რადგან მისი ხმა ყალბად გაისმა:

— დილით უკეთესობა არ დასტყობია, არა, რიე?

რიემ უთხრა, არა, მაგრამ ბავშვი უფრო დიდ-ხანს ეურჩება სენს, ვიდრე ჩვეულებრივ ხდებაო. მაშინ პანელუმ, კედელს რომ მიჰყრდნობოდა, მოწყვეტით, ყრუდ ჩაიდუდუნა:

— თუ სასიკვდილოა, მეტი ტანჯვა მოუწევს.

რიე უეცრად შებრუნდა მისკენ და პირი გააღო რაღაცის სათქმელად, მაგრამ გაჩუმდა, თავს აშკარად ძალა დაატანა, რომ პირს მომდგარი სიტყვა უკან ჩაებრუნებინა და მზერა ისევ ბავშვზე გადაიტანა.

სინათლე მატულობდა ოთახში. დანარჩენ ხუთ საწოლზე რაღაც უფორმო სხეულები ფუთფუთებდნენ და კვნესოდნენ, მაგრამ ისეთი სიფრთხილით, თითქოს ერთმანეთში პირი შეუკრავთო. დროდადრო მხოლოდ პალატის ბოლოდან მოისმოდა ყვირილი და ისიც გაკვირვებას უფრო გა-

მოხატავდა, ვიდრე ტკივილს. კაცს ეგონებოდა, ავადმყოფებიც შეეგუვნენ თავიანთ ყოფას და ისეთი თავზარი აღარ ეცემათ, როგორც დასაწყისში. სენს ისე მინებებულიყვნენ, თითქოს ნებაყოფლობით ეტვირთათ. მარტო ბავშვი იბრძოდა, რაც ძალი და ლონე შესწევდა. რიე დროდადრო მაჯას უსინჯავდა ბიჭს, თუმცა ეს აუცილებლობას არ წარმოადგენდა; უფრო იმიტომ, რომ თავი დაელწია უილაჯო უმოქმედობისგან, რომელშიც იყო ჩავარდნილი. თვალს რომ დახუჭავდა, გრძნობდა, სნეულის თრთოლვა მისი სისხლის ფეთქვას როგორ ერწყმოდა. თვითონაც ერწყმოდა გატანჯულ ბავშვს და ცდილობდა, შეწეოდა თავისი ჯერ კიდევ მოუსრავი ძალ-ლონით. მაგრამ მათი ორი გულის წამით შეხმატკებილებული პულსაცია ირღვეოდა, ბავშვი ხელიდან უსხლტებოდა და რიეს მთელი მცდელობა წყალში ვარდებოდა. მაშინ ექიმი ხელს უშვებდა ბიჭის გალეულ მაჯას და თავის ადგილს უბრუნდებოდა.

კირით შეფეთქილი კედლების გასწვრივ ვარდისფრად აჭიატებული სინათლე ყვითელში გადაიზარდა. ფანჯრის მიღმა ხვატიანი დილა იწყებდა ტკრციალს. გრანი პალატიდან გავიდა და დაიბარა, დავბრუნდებიო, მაგრამ მისი წასვლა თითქმის არც არავის შეუნიშნავს. ყველა მოლოდინად იყო ქცეული. ბავშვს დახუჭული ჰქონდა თვალები და თითქოს ცოტათი დამშვიდებულიყო. მისი ხელები ბრჭყალებს დამსგავსებოდნენ და სანოლის კიდეს გამალებით ფხორჭნიდნენ. მერე ხელები ზევით ამოცოცდნენ, საბანი მოფხოჭნეს მუხლებთან. უეცრად, ბავშვმა ფეხები მოკრუნჩხა, მუცელთან მიიტანა და გაშეშდა. მაშინ პირ-

ველად გაახილა თვალები და შეხედა რიეს, რომელიც მის წინ იდგა. ნაცრისფერ, თიხის ნიღაბად გაქვავებულ სახეზე ბავე გაიპო და თითქმის მაშინვე გაისმა გაბმული კივილი, სუნთქვა ოდნავ რომ ათრთოლებდა და ოთახი აავსო მონოტონური, ხრინნიანი ჩივილით, რომელშიც ისე ცოტა იყო ადამიანური, თითქოს ყველა ადამიანს ერთად აღმოხდაო. რიე კბილს კბილზე აჭერდა, ტარუმ პირი იბრუნა. რამბერი მიუახლოვდა საწოლს და კასტელს ამოუდგა გვერდით, რომელმაც მყისვე დახურა წიგნი, მუხლზე გადაშლილი რომ ედო. პანელუმ შეხედა ავადმყოფობისგან დადალულ ბავშვურ პირს, ყველა ასაკის კაცთა კივილით რომ იყო დამანჭული, მერე ანგარიშმიუცემლად ჩაიჩოქა და ამ ანონიმური კვნესის ფონზე ყველას ბუნებრივად მოეჩვენა მისი ოდნავ მოგუდული ხმით, მაგრამ მეაფიოდ ნათქვამი: „ღმერთო, გადაარჩინე ეს ბავშვი!“

მაგრამ ბავშვი გამუდმებით ყვიროდა და ირგვლივ სხვა ავადმყოფებიც შეჩინჩქოლდნენ. იმან კი, ოთახის ბოლოში რომ იწვა და ხანგამოშვებით კიოდა, ჩივილს მოუხშირა, მთელი ხმით იწყო ბლავილი, სხვებმაც მოუმატეს კვნესას. ბლავილი ზღვასავით მოასკდა ოთახს, ჩაახშო პანელუს ლოცვა და საწლის თავს ჩაფრენილმა რიემ თვალები დახუჭა, თითქოს დათვრაო დალლილობისა და ზიზღისგან.

თვალი რომ გაახილა, ნახა, ტარუ გვერდში ამოსდგომოდა.

— უნდა წავიდე, — უთხრა რიემ, — აღარ შემიძლია ამისი ატანა.

მაგრამ, უეცრად, სხვა ავადმყოფები დაჩუმდნენ. ექიმმა მაშინდა შენიშნა, რომ ისე ხმამალ-

ლა აღარ ყვიროდა ბავშვი, თანდათან კიდევ უფრო მისუსტდა მისი ძახილი და, ბოლოს, მიწყდა კიდეც. მის ირგვლივ განახლდა კვნესა, მაგრამ ისე ყრუდ გაისმოდა, როგორც შორეული ექო ბრძოლისა, რომელმაც, ის იყო, გადაიხმაურა. მართლაც მიმწყდარიყო ბრძოლა. კასტელი სანოლის თავთან გადავიდა და თქვა, გათავდაო. პირლია, მაგრამ დადუმებული ბავშვი უმოძრაოდ ინვა აშლილ ლოგინში; უეცრად დალეულიყო, ცრემლის კურცხლები თვალებზე შეჰყინვოდა.

პანელუ სანოლს მიუახლოვდა და ბავშვს ჯვარი გადასახა. მერე ანაფორის კალთები აიკრიფა და კარისკენ გაემართა.

— ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყოთ? — ჰეითხა ტარუმ კასტელს. მოხუცმა ექიმმა თავი დააქნია.

— უთუოდ, — თქვა ნაძალადევი ლიმილით, — მაინც დიდხანს ეურჩა სიკედილს.

მაგრამ რიე უკვე გადიოდა ოთახიდან. ისეთი ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა, ისეთი უცნაური სახე ჰქონდა, რომ, როცა პანელუს გაუსწრო, ამ უკანასკნელმა ხელი წაავლო და შეაჩერა:

— დამშვიდდით, — უთხრა მღვდელმა.

რიე ფიცხლად შემობრუნდა და ბრაზით, ლამის ყვირილით მიუგო:

— ო, ეს ბალლი ხომ უცოდველი იყო, თქვენც კარგად უწყით!

მერე მიტრიალდა, პანელუს გაუსწრო და სკოლის ეზოში გავარდა. იქ, მტვრიან ხეებს შორის მერხზე ჩამოჯდა და ოფლი შეიმშრალა, უკვე თვალებშიც რომ ჩასდიოდა. უნდოდა, კიდევ ეყვირა, რომ, ბოლოს და ბოლოს, გადაეგდო გულს დაწოლილი

მძიმე ლოდი. სიცხე ნელ-ნელა ატანდა ფიკუსის ტოტებს შორის. დილის ლაუვარდი ცა სწრაფად იფარებოდა მოთეთრო ლიბრით, რომელიც ჰაერს უფრო სულის შემხუთველს ხდიდა. რიე სკამზე გახევდა. შესცქეროდა ტოტებს, ცას, ნელა ითქვამდა სულს, თავს აღნევდა დალლილობას.

— ასეთი ნყრომით რად მელაპარაკებით? — გაისმა მის უკან, — ეს სანახაობა ჩემთვისაც აუტანელი იყო.

რიე პანელუსკენ შემობრუნდა:

— თქვენ მართალი ხართ, შემინდეთ. დალლილობამ დამრია ხელი. მაგრამ არის წუთები, ამ ქალაქში ჯანყისათვის რომ განგანყობა.

— მესმის, — წაიჩურჩულა პანელუმ, — ჯანყისთვის განგვანყობს, რაკი ყოველგვარი წვდომის ზღვარს სცილდება. მაგრამ იქნებ გვმართებს იმისი სიყვარული, რასაც ჩვენი გონება ვერ მისწვდენია.

რიე ერთბაშად გაიმართა ნელში. ჯიქურ შეაცქერდა პანელუს, ამ მზერაში ჩააქსოვა, რაც კი რამ ვნება და ძალა შესწევდა და თავი გაიქნია:

— არა, მამაო, მე სხვაგვარად მესმის სიყვარული, და სანამ სული მიდგას პირში, უარს ვიტყვი, მიყვარდეს ამიერსოფელი, სადაც ბავშვებს სტანჯავენ.

პანელუს სახეზე შეშფოთების ჩრდილმა გადაუარა:

— აჲ, ექიმო, — უთხრა მწუხარედ, — მე ახლა გავიგე, მადლი რა ყოფილა.

მაგრამ რიე კვლავ მერხის საზურგეს მიესვენა. დალლილობამ ისევ დარია ხელი და პანელუს უფრო ტკბილად უთხრა:

— მე მოკლებული ვარ მაგ მადლს, ვიცი. მაგ-

რამ არ მსურს ამაზე თქვენთან კამათი. ჩვენ ვიღ-  
ნვით იმისთვის, რაც ლვთის გმობასა და ლოცვებ-  
ზე მაღლა დგას და რამაც შეგვაერთა. მხოლოდ  
ამას აქვს ფასი.

პანელუ რიეს მიუჯდა გვერდით. აღელვებუ-  
ლი ჩანდა.

— დიახ, — უთხრა მან, — თქვენც კაცის ხნისთ-  
ვის იღწვით.

რიემ ნაძალადევად გაუღიმა:

— კაცის ხსნა ერთობ ხმამაღლა ნათქვამია ჩემ-  
თვის. მე ასე შორს არ მივდივარ. მე მისი ჯანმრთე-  
ლობა მაინტერესებს, პირველ რიგში მისი ჯანმ-  
რთელობა.

პანელუს ყოყმანი დაეტყო.

— ექიმო, — ნამოინყო, მაგრამ შეჩერდა. მასაც  
შუბლზე ლვარად სდიოდა ოფლი. მერე ნაიჩურ-  
ჩულა: „ნახვამდის“. რომ ნამოდგა, თვალები უე-  
ლავდა. უკვე ნასვლას აპირებდა, რომ რიე ფიქ-  
რებიდან გამოერკვა, ნამოიმართა და ნაბიჯი გა-  
დადგა მისკენ:

— ამ ერთხელაც შემინდეთ, — უთხრა პანელუს,  
— დამიჯერეთ, ასე აღარასოდეს განვრისხდები.

პანელუმ ხელი გაუწოდა და მნუხარედ უთხრა:

— და მაინც, ვერაფრით გადაგარნმუნეთ!

— რა მნიშვნელობა აქვს? — უთხრა რიემ, —  
თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რომ ყველაზე  
მეტად სიკვდილი და ბოროტება მეჯავრება. და,  
გნებავთ თუ არა, ბედმა ერთად შეგვყარა, რათა  
ვიტანჯოთ და ვებრძოლოთ სიავეს.

რიეს ხელში ეჭირა პანელუს ხელი.

— ხედავთ, — უთხრა, თან თვალს არიდებდა, —  
თვით ღმერთსაც კი არ შეუძლია ახლა ჩვენი გაყრა.

მას შემდეგ, რაც სანიტარულ რაზმში შევიდა, პანელუ არ მოშორებია ჰოსპიტალებსა და უბნებს, სადაც შავი ჭირი ბობოქრობდა. მშველელთა რაზმში ის ადგილი დაიჭირა, რომელიც თავის კუთვნილად მიაჩნდა, ესე იყი, პირველი. სიკვდილი მრავალჯერ უნახავს და თუმცა თავად თითქოსდა შრატი იცავდა, საკუთარი სიკვდილის შიში უცხო როდი იყო მისთვის. გარეგნულად მაინც სულ მშვიდი ჩანდა. მაგრამ იმ დღიდან მოყოლებული, რაც დიდხანს უცქირა ბავშვის სულთახდომას, შეიცვალა. სულ ერთთავად დაძაბულობა ეტყობოდა სახეზე. და იმ დღეს, როცა ღიმილით უთხრა რიეს, მოკლე ტრაქტატს ვამზადებ თემაზე: სამლელელო პირს შეუძლია თუ არა, მიმართოს გაჭირვებისას ექიმსო, რიეს ისეთი შეგრძნება დაეუფლა, რომ უფრო სერიოზულ რამეს ეხებოდა საქმე, ვიდრე თვითონ პანელუ ამბობდა. რაკი ექიმმა სურვილი გამოთქვა, გასცნობოდა მის შრომას, პანელუმ ამცნო, მალე ქადაგებას წავიკითხავ მამაკაცთათვის წირვაზე და იქ მოკლედ გადმოვცემ ჩემს მოსაზრებათაგან უმთავრესსო. მერე დააყოლა:

— მინდა, თქვენც მოხვიდეთ, ექიმო. საკითხი, ვფიქრობ, დაგაინტერესებთ.

მამა პანელუმ თავისი მეორე ქადაგება ერთ ქარიან დღეს წაიკითხა. სიმართლე თუ ვნებავთ, დამსწრეთა რიგები უფრო შეთხელებული იყო, ვიდრე პირველი ქადაგებისას. ეს იმის ბრალი გახ-

ლდათ, რომ ამგვარ სანახაობას სიახლის მომხიბ-ვლელობა აღარ ჰქონდა ჩვენი ქალაქის მცხოვ-რებთათვის. იმ მძიმე ვითარებაში, რომელშიც ქა-ლაქი აღმოჩნდა, თვით სიტყვა „სიახლემაც“ და-კარგა აზრი. თანაც ხალხის უმეტესობა, მაშინაც კი, თუ მთლად არ აეღო ხელი თავის რელიგიურ მოვალეობებზე, ან არ შეერწყა ისინი თავის უაღ-რესად უზნეო ცხოვრებისთვის, ნირვაზე სია-რულს მაინც გულუბრყვილო ცრუმორნმუნეობას ამჯობინებდა. ნირვის მოსმენას სენისგან დამც-ველი მედალიონებისა და ნმინდა როქის ავგარო-ზების ტარება ერჩივნათ.

მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ის გარემო-ება, რომ იმხანად ჩვენი ქალაქის მკვიდრნი ზედ-მეტად იყვნენ გატაცებულნი ნინასნარმეტყველე-ბით. გაზაფხულზე წუთი წუთს ველოდით უამია-ნობის აღსასრულს და არავის მოსვლია აზრად, სხვისთვის ეკითხა, ეპიდემია მაინც როდის დას-რულდებაო, რაკი ყველა დარნმუნებული იყო, რომ სენს დიდი დღე არ ენერა. მაგრამ რაც დრო გადი-ოდა, ყველა შიშმა შეიპყრო, ამ უბედურებას ბო-ლო არ ექნებაო, და ეპიდემიის აღსასრულზე მე-ტად სანატრელი აღარაფერი დაურჩათ. ასე გადა-დიოდა ხელიდან ხელში მოგვებისა თუ კათოლი-კური ეკლესის ნმინდანების ნინასნარმეტყველე-ბანი. ორანელმა გამომცემლებმა მყისვე იაზრეს, რა სარფა შეეძლოთ მიეღოთ ამ საყოველთაო გა-ტაცებიდან და მრავალ ეგზემპლარად დაბეჭდეს ტექსტები, რომელთაც დიდი გასავალი ჰქონდა ხალხში. რაკი შენიშნეს, ხალხის ცნობისმოყვარე-ობას საზღვარი არ აქვსო, ქალაქის ბიბლიოთეკებ-ში იწყეს ძებნა, ამ სახის ყველა საბუთი მოქექეს,

რაც მატიანეებში მოიძევებოდა, და ქალაქში გა-  
ავრცელეს. მერე კი, როცა მატიანეს წინასწარ-  
მეტყველებანი შემოაკლდათ, უურნალისტებს მის-  
ცეს შეკვეთა და ამ დარგში ისინიც ისეთივე კომ-  
პეტენტურები აღმოჩნდნენ, როგორც გარდასულ  
საუკუნეებში მცხოვრები მათი წინამორბედნი.

ზოგი წინასწარმეტყველება გაგრძელებებით  
ქვეყნდებოდა გაზეთში და ხალხიც ნაკლები სი-  
ხარბით როდი ენაფებოდა, ვიდრე იმ სენტიმენ-  
ტალურ ამბებს, უნინ, ჭირიანობის დამდეგამდე  
რომ ქვეყნდებოდა ასეთი გზით. ზოგი წინასწარ-  
მეტყველება უცნაურ გამოთვლას ეყრდნობოდა,  
სადაც აუცილებლად ჩართული იყო ციფრი ათა-  
სი, გარდაცვლილთა რიცხვი და უამიანობის  
უღელქვეშ ჩავლილ თვეთა რაოდენობა. სხვები  
პარალელს ავლებდნენ ისტორიის დიდ-დიდ უა-  
მიანობებთან, გამოჰყოფდნენ მსგავსებათ, რო-  
მელთაც წინასწარმეტყველებანი „საერთოს“  
უნდებნენ და არანაკლებ უცნაურ გამოთვლა-  
თა გზით იმედოვნებდნენ, ძველზე დაყრდნობით  
დღევანდელ განსაცდელზედაც შეეტყოთ რამე.  
მაგრამ საზოგადოება უპირატესობას იმ წინას-  
წარმეტყველებათ ანიჭებდა, რომლებიც აპოკა-  
ლიფსური ტონით ამცნობდნენ ხალხს იმ მოვლე-  
ნათა შესახებ, ჩვენი ქალაქის იმუამინდელ ყოფას  
რომ შეესატყვისებოდა და ისეთი ჩახლართული  
იყო, კაცს შეიძლებოდა ყველანაირად აეხსნა. ყო-  
ველდღე იქექებოდნენ ნოსტრადამუსისა\* და

\* მიშელ დე ნოტრდამი, იგივე ნოსტრადამუსი (1503-1566) – ფრანგი ასტროლოგი და ექიმი, წინასწარმეტყველება-  
თა წიგნის ავტორი (გამომც. შენ.).

ნმინდა ოდილის<sup>\*</sup> ნაწერებში და ბევრსაც პოულობდნენ საგულისხმოს. ამ წინასწარმეტყველებათ ის ჰქონდათ საერთო, რომ საბოლოო ჯამში ყველა მათგანი შვების მომგვრელი იყო, რასაც შავ ჭირზე ვერ იტყოდა კაცი.

ერთი სიტყვით, ეს ცრურნმენანი რელიგიის მაგივრობას უწევდნენ ჩვენს თანამოქალაქებს, ამიტომაც მოხდა, რომ მამა პანელუს ქადაგების დროს ეკლესია ნახევრად ცარიელი იყო. როცა ქადაგების საღამოს რიე ტაძარში შევიდა, ქარი თავისუფლად ატანდა შემოსასვლელ კარში და ლალად დანავარდობდა მსმენელებს შორის. სწორედ ამ ცივსა და მდუმარე ეკლესიაში, სულ მამაკაცებისგან შემდგარ მრევლს შორის დაიჭირა რიემ ადგილი და დაინახა, როგორ ავიდა მღვდელი კათედრაზე. ამჯერად უფრო ტკბილად და დინჯად ილაპარაკა, ვიდრე პირველად და დამსწრეთ შენიშნეს, რომ ბევრჯერ ყოყმანიც დაეტყო. კიდევ ის იყო უცნაური, რომ უკვე „თქვენო“ კი არ ამბობდა, არამედ – „ჩვენო“.

და მაინც, მის ხმას თანდათან მიეცა ძალა. ჯერ იყო და შეახსენა მრევლს, აგერ რამდენიმე თვეა, ჭირი მოკალათებულა ჩვენ შორის, ახლა უკეთ ვიცნობთ მას, რაკი ბევრჯერ ჩვენს ტაბლას მოსჯდომია ან იმათ სასტუმალთან ჩამომჯ-

\* წმინდა ოდილი (დაახლ. 660-720) – ალზასელი მონაზონი, მოღვაწეობდა ვოუის ერთ-ერთი მთის თავზე მდებარე მონასტერში. ეს მთა დღეს მისი სახელობისაა – სენტ-ოდილის მთა (Mont Sainte Odile). ნმ. ოდილი იყო ბრმა და სასწაულებრივად აეხილა თვალები. მას ჰქონდა წინასწარმეტყველების ნიჭი (გამომც. შენ.).

დარა, ვინც გვიყვარდა, ჩვენ გვერდით უვლია, დაგვლოდებია სამსახურში, მაშ, ახლა იქნებ უკეთ შევისმინოთ, რასაც ჩაგვძახის ყურში და რაც პირველი გაოცების უამს კარგად ვერ გავი- გონეთო. ის, რაც უნინ გიქადაგეთ, სრული სიმარ- თლეა, მე არ შემიცვლია მრნამსი, მაგრამ იქნებ, რაც ვთქვი, იმაში მოყვასისადმი თანადგომა ცო- ტა იყო, და ამას დღეს ცოდვად მივითვლიო. სი- მართლე გახლდათ ისიც, რომ კაცს ყველაფერში შეუძლია ნახოს ჭკუის სასწავლო რამ. ყველაზე ძნელი გამოცდაც კი სიკეთედ მობრუნდება ქრის- ტიანისთვის. ქრისტიანს კი სწორედაც მართებს, ეძიოს ეს სიკეთე, ჩახვდეს, რა არის მისი არსი და როგორ იპოვოსო იგი.

როცა პანელუ ამ სიტყვებს ამბობდა, რიეს ირ- გვლივ მსხდომი ხალხი რაც შეიძლება მოხერხე- ბულად მოქალათდა სკამებზე. ამ დროს ტაძრის კარი ნელა გაიღო და ჯახუნი გაისმა. ვიღაც ად- გა და კარის დაკეტვა სცადა. ამ გარემოებამ გო- ნება გაუფანტა რიეს და ძლივსლა უგდებდა ყურს პანელუს ქადაგებას. მღვდელი კი დაახლოებით ამას ამბობდა, ტყუილად ვეცდებით, ავხსნათ შა- ვი ჭირის ეს შემოსევა, მარტო იმის ცდაში უნდა ვიყოთ, ვისწავლოთ ის, რისი სწავლაც მისით შე- იძლებაო, და კიდევ მრავალი, რისი ახსნაც არ იქ- ნებაო. ცხადია, არსებობდა კეთილი და ბოროტი და ყველა ხვდებოდა, რა მიჯნავდა მათ ერთმანე- თისგან. მაგრამ ბოროტის ბოროტისგან გამიჯვ- ნა კი ჭირდა. იყო, მაგალითად, ბოროტება, გარეგ- ნულად აუცილებელი, და ბოროტება, გარეგნუ- ლად უსარგებლო რომ ჩანდა. იყო ჯოჯოხეთში დანთქმული დონ უუანი და ბავშვის სიკვდილი.

და თუ ყველას სამართლიანად მიაჩნია, რომ მრუშს თავს დაატყველეს ღვთის რისხვა, არავინ უწყის, ბავშვს რად მოუვლინა ღმერთმა სატან-ჯველი. მართლაც არაფერია ყრმის ტანჯვაზე მნიშვნელოვანი, არც იმ თავზარზე, ეს ტანჯვა რომ ინვევს, და არც იმ მიზეზებზე, რომელთა მიგნებაც აუცილებელია. სხვა დანარჩენში უფა-ლი გვიადვილებს ყველაფერს და ჩვენი რწმენაც დიდ დამსახურებად არ ჩაგვეთვლება. ახლა კი, პირიქით, უფალმა კედელს მიგვაყენა. მოკლედ, შავი ჭირის კედლებში ვართ მომწყვდეულნი და მათ მსახვრალ ჩრდილში უნდა ვიპოვოთ ჩვენი სიკეთე. მამა პანელუს არ სურს ის შეღავათები, კედელზე გადაძრომის საშუალებას რომ მისცემ-და. მას სულ იოლად ძალუძს თქვას, მარადიული ნეტარება, ბალლს რომ მოელის, გამოისყიდის მის ტანჯვასო, მაგრამ დანამდვილებით რომ არა უწ-ყის? მართლაც, ვის ძალუძს დაბეჯითებით თქვას, რომ მარადიულ ნეტარებას შეუძლია გა-მოისყიდოს ადამიანის ტანჯვის თუნდაც ერთი ნუთი? ცხადია, ამის მთქმელი არ იქნება ქრის-ტიანი, რამეთუ მაცხოვარი იგვემა ხორცითაც და სულითაც. არა, პანელუ დარჩება კედლის ძირას, ბავშვის ტანჯვის პირისპირ, ერთგული იმ ნამებისა, რომლის სიმბოლოც ჯვარია და უშიშ-რად ეტყვის მათ, ვინც დღეს უსმენს: „უამმა დაჲ-კრა, ძმებო! ან ყველაფერი უნდა ინამოთ, ან უნ-და უარყოთ ყველაფერი... მაგრამ თქვენ შორის ვინ გაბედავს ყველაფერის უარყოფას?“

რიეს ნამით ფიქრმა გაუელვა: მღვდელი ახ-ლა კი ერესში ვარდებაო, მაგრამ პანელუ თავ-გამოდებით შეუდგა მტკიცებას, ეს განაწესი, ეს

ნმინდა მოთხოვნა ქრისტიანისთვის დიდად მარგია, ეს მისი სათნოებაცააო. მღვდელმა ისიც თქვა: „ეს წრეგადასული სათნოება, რომელზე-დაც ახლა ვლაპარაკობ, ბევრს განაცვიფრებს, რაკი ისინი მიჩვეულნი არიან უფრო ლმობიერსა და ტრადიციულ მორალს. მაგრამ უამიანობის დროინდელი რელიგია ჩვეულებრივი რელიგია ვერ იქნება და თუკი ღმერთს შეუძლია დაუშვას და ისურვოს კიდეც, რომ სული ისვენებდეს და ნეტარებდეს ბედნიერების უამს, არც უბედობის უამს უნდა შეუდრკეს კაცი თავს დამტყდარ განსაცდელს. დღეს უფალმა მისგან სულდგმულთ წყალობა მოუვლინა და ჩაყარა ისინი ისეთ განსაცდელში, რომ მორნმუნეთ ხელახლა უნდა ჰპოვონ და იტვირთონ ყველაზე დიდი სათნოება – ან ყველაფერი იწამონ, ანდა საერთოდ უარი თქვან რნმენაზე.

გასულ საუკუნეში ერთი ერისკაცი ტრაბახობდა, ამოვხსენიო ეკლესიის საიდუმლოება და ამტკიცებდა, განსანმენდელი არ არსებობს. ამით იმის თქმა სურდა, სანახევრო ზომები არ არსებობს, არის მხოლოდ სამოთხე და ჯოჯოხეთი, ესე იგი, ან გადარჩები, ან წაწყმდები, იმისდა მიხედვით, რას აირჩევო. პანელუსთვის რომ გეკითხათ, ეს იყო ერესი, რომლის მსგავსიც შეიძლებოდა შობილიყო მხოლოდ თავაშვებული კაცის სულის ნიაღში: „რამეთუ განსანმენდელი არსებობს. მაგრამ თქმა არ უნდა, არის ეპოქები, როცა ამ განსანმენდლის მაინცდამაინც დიდი იმედი არ აქვთ, არის ეპოქები, როცა არ შეიძლება ლაპარაკი მისატევებელ ცოდვაზე. ყველა ცოდვა მომაკვდინებელია და ყოველგვარი გულ-

გრილობა – დანაშაული. ან ყველაფერი, ან არა-და, სულ არაფერი.“

პანელუ შეჩერდა და რიემ უკეთ გაიგონა კა-რიდან შემოჭრილი ქარის კვნესა, გარეთ ერთიო-რად რომ ემძლავრა. მღვდელმა კვლავ განაგრძო: ყოვლისმომთმენ სათნოებას იმ ვიწრო გაგებით როდი ვხმარობ, ჩვეულებრივ რომ სჩვევიათ, საქ-მე ეხება არა ბანალურ მორჩილებას, არც უფრო მძიმე, მონურ მორჩილებას, არამედ დამცირებას, მაგრამ რომლის დროსაც ადამიანი თავად იმდაბლებს თავს. ცხადია, ბავშვის ტანჯვა დამამ-ცირებელია გულისთვისაც და გონებისთვისაც. სწორედ ამიტომ უნდა განვიცადოთ ეს. სწორედ ამიტომ (აյ პანელუმ დაარწმუნა თავისი მსმენე-ლები, რასაც ვიტყვი, ადვილი სათქმელი არ არი-სო ჩემთვის) უნდა ვისურვოთ ეს ტანჯვა, რაკი თავად უფალმა მოგვივლინა. ქრისტიანი მხოლოდ ასე არ დაზოგავს არაფერს და რაკი ყველა გზა დახშული ექნება, უმთავრეს არჩევანამდე მივა, იგი აირჩევს ყველაფრის რწმენას, ყველაფრის უარყოფა რომ არ მოუხდესო. და იმ ქველი ქალე-ბისა არ იყოს, რომლებიც ბუბონების მოვლენას შესთხოვენ უფალს, რაკი შეიტყვეს, რომ სხეული სწორედ მათი შემწეობით დევნის სნეულებას, ქრისტიანიც უნდა მინებდეს ლვთაებრივ ნებას, თუნდაც იგი მისთვის მიუწვდომელი იყოსო. არ შე-იძლება ითქვას: „ეს მესმის, ეს კი ჩემთვის მიუღ-ბელია.“ ამ მიუღებლის გულისგულს უნდა ჩავხვ-დეთ, რაკი მიუღებელი გვებოძა სწორედ იმიტომ, რომ არჩევანი მოვახდინოთ. ბავშვის ტანჯვა ჩვე-ნი მნარე პურია, მაგრამ უამპუროდ სული ჩვენი სულიერი შიმშილით დაიღუპებოდაო.

აქ ყრუ ჩოჩქოლმა, რომელიც თან ახლდა მამა  
პანელუს ქადაგების ყოველ პაუზას, იმძლავრა,  
მაგრამ მქადაგებელმა რიხიანად განაგრძო, თით-  
ქოსდა თავის მსმენელთა მაგივრად კითხულობ-  
და, ბოლოს და ბოლოს, როგორ უნდა მოვიქცეო.  
ისიც დააყოლა, დარწმუნებული ვარ, რომ ფატა-  
ლიზმს, ამ საზარელ სიტყვას წარმოთქვამთო. კე-  
თილი, მეც არ დავიხევ ამ სიტყვის წინაშე, თუკი  
ნებას დამრთავთ, მას ზედსართავი „ქმედითი“  
დავუმატოო. ცხადია, კვლავაც გეტყვით, რომ არ  
უნდა მიჰპაძოთ აბისინიელ ქრისტიანებს, რომელ-  
თა შესახებაც უკვე გიამბეთ. არც იმ სპარს ჭირი-  
ანებს უნდა დავემსგავსოთ, თავიანთ კონკებს  
რომ ესროდნენ ქრისტიანულ სანიტარულ რაზ-  
მებს და ხმამაღლა შესთხოვდნენ ცაში ალაპს, ჭი-  
რი შეჰყარე ამ ღვთის გარეგანთ, რომელთაც  
სურთ უფლის მიერ გამოგზავნილ სასჯელს წინ  
ალუდგნენო. მაგრამ კაიროელ ბერებსაც არ უნ-  
და მივბაძოთ, რომლებიც გასული საუკუნის ეპი-  
დემიის დროს სეფისკვერს პინცეტით იღებდნენ,  
ზიარებისას რომ არ შეჰებოდნენ სველსა და  
ცხელ ბაგეს, სადაც სენს დაედო ბინა. სპარსი ჭი-  
რიანებიცა და კაიროელი ბერებიც თანაბრად  
სცოდავდნენ, რადგან პირველთ არაფრად  
მიაჩნდათ ბავშვის ტანჯვა, მეორეთ კი, პირიქით,  
ტანჯვის სრულიად ადამიანურმა შიშმა ყველა-  
ფერი გადავინყათ. ორთავე შემთხვევაში პრობ-  
ლემას გვერდი აუარეს: არც პირველთ და არც მე-  
ორეთ ხმა უფლისა ყურად არ იღესო. მაგრამ სხვა  
მაგალითებიც იყო, რომელთა მოხმობაც სურდა  
პანელუს. „თუ მარსელის დიდი უამიანობის მემა-  
ტიანეს დავუჯერებთ, მერსის მონასტრის ოთხ-

მოცდაათი ბერიდან მხოლოდ ოთხი გადაურჩა ავ-  
ბედით ცხელებას. ამ ოთხიდანაც სამი გაიქცა. ასე  
მოგვითხოვთ მემატიანე და მას მეტის თქმა არც  
მოეთხოვება. მაგრამ ამას რომ ვეითხულობდი,  
მთელი ჩემი ფიქრი და გონიერი იმ ერთს უტრია-  
ლებდა, რომელიც მარტო დარჩა, თუმცა გარს  
სამცოდაჩვიდმეტი გვამი ერტყა და, რაც მთავა-  
რია, თვალწინ იმ სამი, თავდალნეული ძმის მაგა-  
ლითი ჰქონდა.“ აქ მამა პანელუმ მაგრად დასც-  
ხო მუშტი კათედრის კიდეს და შეჰყვირა: „ძმან-  
ნო ჩემნო, უნდა მივბაძოთ იმას, ვინც დარჩა!“

მერე დააყოლა: „უარი როდი უნდა ვთქვათ სიფ-  
ხიზღეზე, გონივრულ ზომებზე, საზოგადოებას  
მსხნელად რომ ესახება ამ დიდი უბედურების მი-  
ერ მოტანილ უწესრიგობაში. ყური არ უნდა ვუგ-  
დოთ იმ მორალისტებს, რომლებიც ქადაგებენ,  
მუხლი მოვიდრიკოთ და ხელი არ გამოვილოთ.  
პირიქით, ხელის ცეცებით უნდა გავიკვლიოთ გზა  
წყვდიადში და ვეცადოთ, ვთესოთ სიკეთე. სხვა  
მხრივ კი, უნდა ყველაფერი ღმერთს მივანდოთ,  
თვით ბავშვის სიკვდილიც და საკუთარი თავის  
სახსნელად საფარველს ძებნა არ დავუწყოთ.“

აქ მამა პანელუმ მსმენელთ უამბო ეპისკო-  
პოს ბელზენსის ამბავი მარსელის დიდი ჟამიანო-  
ბის დროს: „ეპიდემიის ბოლოსთვის ეპისკოპოს-  
მა, ყველაფერი რომ იღონა, რაც ვალად ედო და  
იფიქრა, ხალხს სხვით ვერაფრით ვუშველიო,  
საჭმელ-სასმელი მოიმარავა და თავის სახლში ჩა-  
იკეტა, სახლის ირგვლივ კი გალავანი  
შემოავლებინა. მარსელელებს, ეპისკოპოსს თა-  
ვიანთ კერპად რომ სთვლიდნენ, მყის წყრომით  
აევსოთ გული. გრძნობის ასეთ უეცარ ცვალება-

დობას ვხვდებით ხოლმე უდიდესი განსაცდელის უამს. ეპისკოპოსსაც გაურისხდნენ, მისი სახლის ირგვლივ ცხედრები დაახვავეს, რომ მასაც სენი შეჰყუროდა. ის კი არადა, ცხედრები გალავანს იქითაც გადაუყარეს, რომ სიკვდილს ვერსად წასვლოდა. ერთი სიტყვით, ეპისკოპოსმა ისულმცირა, იფიქრა, განვერიდები სიკვდილის სამეფოსო და მკვდრების წვიმა კი დაატყდა ციდან. ჩვენც გულისხმაში უნდა ჩავვარდეთ და ვირწმუნოთ, რომ ჭირიანობის დროს კუნძული არ არსებობს. საშუალო არ არსებობს. უნდა ვიტვირთოთ ეს სირცხვილი, რათა ავირჩიოთ, შევიძულოთ ღმერთი თუ შევიყვაროთ. ღმერთის სიძულვილს კი, აბა, ვინ ირჩევს?“

„დმანო ჩემნო, — ისეთი კილოთი თქვა ბოლოს პანელუმ, რომ იქ მყოფნი მიხვდნენ, ქადაგებას ამთავრებსო, — ღვთის სიყვარული ერთობ ძნელი სიყვარულია. იგი საკუთარი თავის დავინუებასა და დამდაბლებას მოითხოვს. მაგრამ მხოლოდ მას ძალუძს, განაქარვოს ბავშვების ტანჯვა და სიკვდილი, მხოლოდ მას ძალუძს, ეს საშინელება აუცილებლობად აქციოს, რამეთუ კაცს არ შეუძლია ამის გაგება, მას მარტო იმის უნარი შესწევს, ეს ამბავი გულით ინდომოს. აი, ის ძნელი გაკვეთილი, თქვენთან ერთად მეც რომ უნდა ვიტვირთო. აი, რწმენა, ადამიანთა თვალში სასტიკი რომ მოჩანს, ღვთის თვალში კი — დიდად ღირებული, ღვთისა, რომელსაც უნდა მივუახლოვდეთ. ამ საშინელი სახილველის წინაშე ჩვენც უნდა გავთანასწორდეთ. ამ მწვერვალზე ყველაფერი შეერწყმება ერთმანეთს და გათანასწორდება, ჭეშმარიტება აღმოჩეფს მოჩვენებითი უსამართლო-

ბიდან. ამიტომაა, რომ სამხრეთ საფრანგეთის ბევრ ეკლესიაში ჭირით დახოცილები კლიროსის ფილებქვეშ განისვენებენ, მღვდლები მათი საფლავების თავზე ქადაგებენ და ჭეშმარიტება, ისინი რომ თესენ, ამობრწყინდება ამ ფერფლიდან, რომელშიც, ვაგლახ, ყრმათა ფერფლიც აზელილა.“

რიე რომ გარეთ გავიდა, გაღებული კარიდან ძლიერი ქარი შემოიჭრა და მორწმუნეთ სახეში ეცა. ქარმა ეკლესიაში შემოიტანა წვიმის სურნელი, სველი ქვაფენილის სუნი, მანამ რომ ამცნობდათ, რა სახილველი დახვდებოდათ ქალაქში, სანამ გარეთ გავიდოდნენ. ექიმ რიეს წინ ერთი მოხუცებული მღვდელი და ჭაბუკი დიაკვანი მიდიოდნენ და ქარს რომ არ წაერთმია, ხელით იმაგრებდნენ ქუდებს. უფრო ხნიერი გამალებით მსჯელობდა პანელუს ქადაგებაზე. უქებდა მჭევრმეტყველებას, მაგრამ აზრის სითამამეს უკიუინებდა. მისთვის რომ გეკითხათ, ეს ქადაგება შეშფოთებას მეტს ამჟღავნებდა, ვიდრე ძალას, პანელუს ხნის ღვთისმსახურს კი შეშფოთების უფლება არ ჰქონდა. ჭაბუკ დიაკვანს თავი დაეხარა, ქარს რომ მორიდებოდა და მოხუცს ეუბნებოდა, ხშირად მიხდება მამა პანელუსთან ყოფნა, ვიცი, როგორ გამოიცვალა, მწამს, მისი ტრაქტატი კიდევ უფრო თამამი იქნება და ეჭვი არ არის, დაბეჭდვის უფლებას ვერ ეღირსებაო.

— მაინც რა აქვს გულში ამოჭრილი? — იკითხა მოხუცმა მღვდელმა.

უკვე კარიბჭეს მიაღწიეს, ქარი ლრიალით ეხლებოდათ სახეში და ჭაბუკს სიტყვის თქმას არ

აცლიდა. ცოტა ხნის შემდეგ, როცა ხმის ამოლება მოახერხა, დიაკვანმა მხოლოდ ეს თქვა:

— დაუუინია, თუ მღვდელი ექიმს უხმობს საშველად, წინააღმდეგობაში ჩავარდებაო.

რიემ რომ პანელუს ქადაგება უამბო, ტარუმ თქვა, ერთ მღვდელს ვიცნობ, რომელსაც რწმენა შეერყა, როცა ომიანობის დროს თვალებდათხრილი ჭაბუკი ნახაო.

— პანელუ მართალია, — უთხრა ტარუმ, — როცა უცოდველობას თვალები აქვს დათხრილი, ქრისტიანმა ან რწმენა უნდა დაკარგოს, ან თვითონაც თვალებდათხრილის ხვედრს დამორჩილდეს. პანელუს არ სურს რწმენის დაკარგვა, ამიტომ ბოლომდე წავა. სწორედ ეს უნდოდა, ეთქვა.

ტარუს ეს შენიშვნა შეგვაძლებინებს ცოტათი მაინც შუქი მოვფინოთ იმ ბედშავ მოვლენებს, შემდგომ რომ დატრიალდა და პანელუს საქციელი გაუგებარი გახდა მათთვისაც კი, ვინც გარს ერტყა.

ქადაგებიდან რამდენიმე დღის შემდეგ მამა პანელუმ ბინის შეცვლა განიზრახა. ეს ის დროიყო, როცა სენის გამძვინვარებამ დიდი გადასახლებ-გადმოსახლება გამოიწვია ქალაქში. ისევე, როგორც ტარუ გახდა იძულებული, გახიზნულიყო თავისი სასტუმროდან და რიესთან გადასულიყო საცხოვრებლად, მამა პანელუსაც უნდა დაეტოვებინა სამყოფელი, სადაც მისმა ორდენმა დაუდო ბინა და შეჰქედლებოდა ერთ ლვთისმოსავ დედაბერს, რომელსაც ჭირი ჯერ არ შეჰყუროდა. გადაბარგების დროს მღვდელმა იგრძნო, რაძლიერ იყო დაღლილი და კაეშანიც როგორ მოს-

ძალებოდა. ამ გარემოებამ დიასახლისის პატი-  
ვისცემაც კი დააკარგვინა. მოხუცი ქალი წმინდა  
ოდილის წინასწარმეტყველების ქებას რომ მოჰ-  
ყვა, მღვდელს ცოტა მოუთმენლობა დაეტყო,  
რაც, ცხადია, მისი დალლილობით იყო გამოწვეუ-  
ლი. რა ღონეს არ მიმართა მერე მოხუცი ქალის  
გულის მოსაგებად, მაგრამ არაფერი გამოუვიდა,  
თავიდანვე ისეთი ცუდი შთაბეჭდილება მოახდი-  
ნა, რომ ყოველ საღამოს, სანამ თავის ოთახში გა-  
ვიდოდა, რომელიც ყაისნალით ნაქსოვი მაქმანე-  
ბით იყო სავსე, მისაღებ ოთახში მჯდარი თავისი  
მასპინძლის ზურგისთვის უნდა ეცქირა, ქალი  
ერთს არ მოაბრუნებდა თავს მისკენ. „ლამე მშვი-  
დობისა, მამაო“, – ამ სიტყვებსაც მშრალად მიუ-  
გებდა ხოლმე. ერთ ასეთ საღამოს, დაწოლის წინ,  
მღვდელმა იგრძნო, თავში, მაჯებში, საფეხქ-  
ლებში როგორ დატაკნენ ლაგამაყრილი ტალღე-  
ბი ხურვებისა, ეს რამდენიმე დღე სხეულში რომ  
ატარებდა.

ის, რაც მერე მოხდა, მხოლოდ მისი დიასახ-  
ლისის მონათხრობით გახდა ცნობილი. დილით  
ქალი ადრე ადგა ჩვეულებისამებრ. ცოტა ხნის  
შემდეგ, გაკვირვებულმა იმით, რომ მისი მდგმუ-  
რი ოთახიდან არ გამოდიოდა, სძლია მორცხვო-  
ბას და მღვდელს კარზე მიუკაյუნა. პანელუ ისევ  
საწოლში დაუხვდა. უძილო ღამის შემდეგ სული  
ეხუთებოდა და ჩვეულებრივზე მეტად მოსწო-  
ლოდა სახეზე სისხლი. ქალი მერე ყვებოდა, ვუთ-  
ხარი, ახლავე ექიმს დავუძახებ-მეთქი, მაგრამ  
მღვდელმა ჩემი წინადაღება სამწუხაროდ შორს  
დაიჭირა და მეც რაღა დამრჩენოდა, ავადმყოფს  
გავეცალეო. ცოტა ხნის შემდეგ მამა პანელუმ და-

რეკა და დიასახლისი თავისითან იხმო. ბოდიში მოუხადა, ცოტა ხნის წინ უხეშად მოგეპყარითო და დაყოლა: „ჭირი ნაღდად არ მექნება, არავითარი საამისო ნიშანი არ მაქვს, ეტყობა, დროებითმა დაღლილობამ დამრია ხელი“. მოხუცმა ქალმა ლირსეულად მიუგო, ექიმის მოყვანა რომ გირჩიეთ, შიში როდი მალაპარაკებდა, მე ჩემი თავი არ მედარდება, ჩემი სიცოცხლე ლვთის ხელთაა, მე თქვენი ჯანმრთელობის ამბავი მაფიქრებს, რაკი თქვენი ყურისგდება მეც მეკისრებაო. მაგრამ რადგან მღვდელი კრინტს არ ძრავდა, ქალმა კვლავ შესთავაზა, ექიმს ვუხმოთო. შემდეგ თვითონვე ჰყვებოდა, ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ ჩემი ვალი აღმესრულებინაო. ჰანელუმ ისევ იუარა, თან უარის მიზეზიც აუცხნა, მაგრამ მოხუცმა ქალმა ვერა გაუგო რა. ავადმყოფის ნათქვამიდან მხოლოდ ის აზრი გამოიტანა, რომ მღვდელი იმიტომ ამბობდა უარს ექიმს სჩვენებოდა, რომ რნმენა უკრძალავდა და სწორედ ეს იყო მისთვის გაუგებარი. ქალმა დაასკვნა, სიცხემ ჩემს მდგმურს გონება აურიაო, რაღაც სამკურნალო ნაყენი მოუტანა და სხვა აღარაფერი უღონია.

გულით უნდოდა, სინდისიერად შეესრულებინა მოვალეობანი, გარემოებამ რომ დააკისრა და ყოველ ორ საათში ავადმყოფთან შედიოდა დასახედად. ყველაზე მეტად იმან გააოცა, რომ მღვდელი მთელი დღე გამუდმებით შფოთავდა, საბანს იხდიდა და ისევ იხურავდა, წამდაუნუმ ხელს ისვამდა დაცვარულ შუბლზე, ხშირად წამოიწევდა ხოლმე დასახველებლად. ყრუ ხველა ჰქონდა, სველი და ამავე დროს ხრინნიანი, თითქოს შიგნეულობა ეფლითებაო, თითქოს ვერაფ-

ბო ჩაეღვარა. მერე გაჭირვებით ამოღერდა და ძნელი მისახვედრი იყო, მწუხარებით ამბობდა ამას თუ არა:

— გმადლობთ. ოღონდ სამღვდელო პირებს მე-გობრები არ ჰყავთ. მათ უფალს ანაცვალეს ყო-ველივე.

მერე მოითხოვა ჯვარცმა, საწოლის თავთან რომ ეკიდა და როცა მიაწოდეს, შებრუნდა და ცქერა დაუწყო.

საავადმყოფოში პანელუს კრიჭა არ გაუხსნია. უსულო რამე ნივთივით მინებდა ყველა სახის მკურნალობას, რაც კი დაუნიშნეს, მაგრამ ჯვარცმა არ გაუგდია ხელიდან. მისი მდგომარეობა მა-ინც გაურკვეველი იყო. თითქოს ჭირი სჭირდა და არც სჭირდა, ეს ერთი ხანობა იყო, სენი თითქოს იმით ერთობოდა, რომ თავგზას უბნევდა დიაგ-ნოზის დამსმელთ. მაგრამ მამა პანელუსთვის ამ გაურკვევლობას, როგორც შემდგომ აღმოჩნდა, დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

ავადმყოფს სიცხემ აუნია. ხველა სულ უფრო და უფრო ყივანა გაუხდა და მთელი დღე მოსვე-ნება არ მისცა. ბოლოს, საღამო ხანს, როგორც იქნა, მამა პანელუმ ნახველს ამოაყოლა ბამბის ფთილა, რომელიც ახრჩობდა. იგი წითელი იყო. სიცხით გათანგულ მოხუცს ისევ გულგრილი გა-მოხედვა ჰქონდა. მეორე დღესაც, როცა დილით მკვდარი ნახეს საწოლიდან სანახევროდ გადმო-კიდებული, მისი მზერა არაფერს გამოხატავდა. მის ბარათზე, საეჭვო შემთხვევა იყო, დაწერეს.

იმ წელს ყველანმინდის დღესასწაული წინა წლებისას არაფრით ჰგავდა. ცხადია, ამინდის ბრალიც იყო ეს. ამინდი უეცრად აირია და გაჭიანურებულმა სიცხეებმა ერთბაშად დაუთმო ადგილი სიცივეს. როგორც სხვა წლებში, ახლაც გამუდმებით უბერავდა ცივი ქარი. ცაზე ქულა ლრუბლები მიცურავდნენ და ჩრდილს ჰქონდნენ სახლებს, რომელთაც მათი ჩავლის შემდეგ ეცემოდა ნოემბრის ცის ცივი, ოქროსფერი სინათლე. აქა-იქ გაერთნენ პირველი ლაბადებიც. მალე საოცრად გამრავლდა მბრნყინავი და ბრეზენტის-მაგვარი ქსოვილი. გაზეთებმა საქვეყნოდ გამოაცხადეს, რომ ორასი წლის წინათ, სამხრეთ საფრანგეთში დიდი ჭირიანობის დროს ექიმები თავის გადარჩენის მიზნით გაზეთილ ტანსაცმელს იცვამდნენ. მაღაზიებმა ამით ისარგებლეს და სულ დაასალეს, რაც რამ მოდიდან გამოსული ტანსაცმელი ჰქონდათ, რაჯი მათი წყალობით თითოეული ჩვენი მოქალაქე სენისგან თავის დაღწევას იმედოვნებდა.

მაგრამ შემოდგომის ვერც ერთი ეს ნიშან-თვისება ვერ დაავინყებდა ხალხს, რომ სასაფლაოები მიტოვებული იყო. წინა წლებში ტრამვაიებში ქრიზანთემების სუნი იყო დაგუბებული და ქალთა პროცესია მიემართებოდა იქით, სადაც მათი ახლობლები იყვნენ დაკრძალულნი, რათა ყვავილებით შეემკოთ გარდაცვლილთა საფლავები. ეს

ის დღე გახლდათ, როცა ცდილობდნენ, მიცვა-  
ლებულთათვის სამაგიერო მიეზღოთ იმ დავიწ-  
ყებისა და სიმარტოვისთვის, რომლის ანაბარა-  
დაც ხანგრძლივი თვეების მანძილზე ჰყავდათ  
მიგდებული. მაგრამ წლეულს არავის სურდა,  
მკვდრებზე ეფიქრა. მათზე ისედაც ხომ ბევრი  
ფიქრი უწევდათ და ახლა აღარავის სურდა, სწვე-  
ოდა მათ საფლავებს ცოტა სინანულითა და უზო-  
მო მელანქოლით. ახლა მკვდრები მიტოვებულ-  
ნი როდი იყვნენ, რომელთა წინაშეც სინდისის გა-  
საწმენდად წელიწადში ერთხელ კმაროდა მისვ-  
ლა. ისინი მოძალადენი გამხდარიყვნენ, რომელ-  
თა დავიწყებაც ყველას ენადა. აი, რატომ იყო,  
რომ მიცვალებულთა დღესასწაული ამ წელს რო-  
გორლაც მიაფუჩიეჩეს. კოტარის თქმით, ვისაც ტა-  
რუ სულ უფრო და უფრო მეტ ენამნარობას ამჩ-  
ნევდა, დღეცისმარე მკვდართა დღესასწაული  
იყო.

და მართლაც, შავი ჭირის ფეიერვერკები სულ  
უფრო მხიარულად გიზგიზებდა კრემატორიუმის  
ღუმელში. ყოველდღიური მკვდრების რიცხვი  
აღარ მატულობდა, მაგრამ შავი ჭირი თითქოს არ-  
ხეინად მოკალათებულიყო თავის უმაღლეს წერ-  
ტილზე და ყოველდღიურ ხოცვა-ულეტაში სანი-  
მუშო მოხელის სიზუსტე და სიბეჯითე შეპქონ-  
და. ვისაც დაეჯერებოდა, ამბობდა, კაცმა რომ  
თქვას, საქმეს კარგი პირი უჩანსო. ექიმ რიშარს,  
მაგალითად, მიაჩნდა, შავი ჭირის მრუდი აქამდე  
სულ მაღლა-მაღლა იწევდა, ახლა ერთ ადგილას  
რომ გაიყინა, სასიკეთო ნიშანია. ჩინებული, სა-  
უცხოო დიაგრამააო, ამბობდა იგი. მისთვის რომ  
გეკითხათ, ეპიდემიას უკვე ჭერისთვის მიეღწია

და ირწმუნებოდა, დღეიდან უეჭველად კლები-სკენ უნდა წავიდესო. ამაში რიშარი კასტელის ახალი შრატის დამსახურებას ხედავდა: შრატს მართლაც რამდენიმე მოულოდნელი გამარჯვება ხვდა ნილად. მოხუცი კასტელი არ უარობდა, მაგრამ გაიძახოდა, დანამდვილებით ჯერ ვერა-ფერს ვიტყვით, ჭირიანობის ისტორიაში მრავლად ყოფილა შემთხვევა, რომ სენი უეცრად შემობ-რუნებულაო. პრეფექტურამ, რომელიც მოწადი-ნებული იყო დაეშოშმინებინა საზოგადოება და შავი ჭირი ამის საშუალებას არ აძლევდა, განიზ-რახა, შეეკრიბა ექიმები, რომ მათი მოსაზრებანი შეეტყო, მაგრამ ამ დროს ექიმი რიშარიც მოცე-ლა შავმა ჭირმა, სწორედ მაშინ, როცა სენის მრუ-დი „ჭერზე“ გაქვავებულიყო.

ეს ამბავი, ცხადია, შთამბეჭდავი იყო, თუმცა, კაცმა რომ თქვას, არც არაფერს ამტკიცებდა. მაგრამ ამ ამბის მომსწრე ხელისუფალთ უმაღლ პე-სიმიზმისკენ იბრუნეს პირი. თუმცა ეს პესიმიზ-მიც ისევე გაუმართლებელი იყო, როგორც ოპტი-მიზმი, გულში ამ ცოტა ხნის ნინ რომ ჩანერგვო-დათ. კასტელი მარტო იმასლა ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი შრატი დაემზადებინა და თავაუ-ლებლივ მუშაობდა. ასე იყო თუ ისე, მხოლოდ ერ-თი საზოგადოებრივი ადგილიდა შერჩათ, საავად-მყოფოდ და ლაზარეთად რომ არ გადაეკეთები-ნათ და თუკი ჯერ კიდევ ზოგავლნენ პრეფექ-ტურას, ეს იმიტომ, რომ სხვა გზა არ ჩანდა, ხომ უნდა დაეტოვებინათ ადგილი, სადაც თავშეყრა მოუხერხდებოდათ. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ იმ ხანებში სენის შედარებითი სტაბილურო-ბის ნყალობით რიეს დაარსებული სამკურნალო

ორგანიზაცია საქმეს თავს როგორლაც ართმევდა. ექიმები და მათი თანაშემნეები, ძალ-ლონის დაუზოგავად რომ შრომობდნენ, იმედოვნებდნენ, ამაზე მეტი ქანცის გაცლა არ მოგვიხდება. მათ მხოლოდ მუყაითად უნდა შეესრულებინათ ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ზეადამიანური სამუშაო. ფილტვის ჭირი, აქა-იქ რომ ეჩინა თავი, ახლა ქალაქის ოთხსავე კუთხეს მოედო, თითქოს-და ქარი აღვივებდა და აძლიერებდა ხანძარს ადა-მიანთა მკერდში. სისხლის რწყევისას ავადმყოფები უფრო სწრაფად იხოცებოდნენ. გადადების საშიშროებამაც თითქოს იმატა სენის ამ ახალი ფორმის გაჩენასთან ერთად. თუმცა სპეციალისტები ამ საკითხში არ ეთანხმებოდნენ ერთმანეთს. მაინც, მეტი უსაფრთხოების მიზნით, სანიტარული ინსპექტორი სადეზინფექციო ნივთიერებებით გაუდენთილი ნიღბებით მუშაობდა. ამის შემხედვარე კაცი იფიქრებდა, ეპიდემია უცილოდ გაიზრდება, მაგრამ რაკი ბუბნებიანი ჭირის შემთხვევები შემცირდა, სასწორი განონასწორდა.

ოლონდ ახლა სხვა სახის სიძნელეებმა იჩინა თავი. ქალაქის სურსათით მომარავება დღი-თიდღე სულ უფრო ძნელდებოდა. სპეკულაცია გაჩაღდა და ზღაპრულ ფასებში იყიდებოდა პირველი მოხმარების საგნები, რომელთა შოვნა ჩვეულებრივ ბაზარზე აღარ ხერხდებოდა. ღარიბი ოჯახები მეტად სავალალო ყოფაში ჩაცვიდნენ, მდიდარ ოჯახებს კი თითქმის არაფერი აკლდათ. ასე რომ, შავ ჭირს, რომელსაც ქმედითი მიუკერძოებლობის ძალით ჩვენს ქალაქელთა შორის თანასწორობა უნდა დაემკვიდრებინა, ეგოისტურ

ვნებათა ბუნებრივი თამაშის წყალობით უსამართლობის გრძნობა კიდევ უფრო მნველი გაეხადა კაცთა გულებში. სიკვდილის უზენაესი თანასწორობა კი სუფევდა, მაგრამ მისკენ არავინ მიიღოვოდა. შიმშილით განაწამები შურით ფიქრობდნენ მეზობელ სოფლებსა და ქალაქებზე, სადაც ხალხი თავისუფლად ცხოვრობდა და პური ძვირი არ ღირდა. რაკი ჩვენი გამოკვება არ შეუძლიათ, აქედან წასვლის ნება უნდა დაგვრთონო, ამოიჭრეს გულში. ბოლოს, იქამდე მივიდა საქმე, რომ ლოზუნგიც შეთხზეს და ხანდახან კედლებზე ნახავდით მიწერილს, ხან კი გაიგონებდით, მანქანით ჩავლილ პრეფექტს რომ მისძახოდნენ: „პური ან თავისუფლება!“ ამ ირონიული ლოზუნგით ჩაიარა რამდენიმე დემონსტრაციამ, რომლებიც თავშივე ჩაახშეს, მაგრამ მდგომარეობა რომ სერიოზული იყო, ამას ყველა ხვდებოდა.

გაზეთები, ცხადია, მორჩილებდნენ მიღებულ ბრძანებას და რაც არ უნდა მომხდარიყო, მაინც ოპტიმისტურ სულისკვეთებას ამჟღავნებდნენ. მათთვის რომ გეგდოთ ყური, ქალაქში, სადაც შავი ჭირი ბობოქრობდა, მოსახლეობა „სიმშვიდისა და თავდაჭერილობის მაგალითს“ იძლეოდა. მაგრამ კარჩაკეტილ ქალაქში, სადაც საიდუმლოებით მოცული არაფერი რჩებოდა, ჩვენი საზოგადოების ამ „მაგალითით“ არავინ ტყუვდებოდა. სწორი წარმოდგენა რომ შეგქმნოდათ იმ სიმშვიდესა და თავდაჭერილობაზე, გაზეთებში ხოტბას რომ ასხამდნენ, საკმარისი იყო, საკარანტინო დაწესებულებებში ან საიზოლაციო ბანაკებში შეგხედათ, რომლებიც მთავრობას ჰქონდა მოწყობილი. საქმე ისე აეწყო, რომ მთხოვნელს სულ

სხვაგან უწევდა ყოფნა და ეს ბანაკები არ უნახავს. ამიტომ მხოლოდ ტარუს ნაამბობი შეუძლია დაიმონმოს.

ტარუ თავის უბის ნიგნაკში მართლაც გვიამბობს, როგორ ენვია რამბერთან ერთად ქალაქის სტადიონზე გამართულ ბანაკს. სტადიონი ზედ ქალაქის კარიბჭესთანაა გაშენებული და ცალი მხრით ქუჩას გადაჰყურებს, სადაც ტრამვაიები მიხრივინებენ, მეორე მხრით კი უშენ ადგილებს ემიჯნება, იმ ზეგანის ბოლომდე რომაა გადაჭიმული, რომელზედაც ქალაქია შეფენილი. ირგვლივ ბეტონის კედელი აკრავს და საკმარისია, ოთხივე კარში გუშაგები ჩააყენონ, რომ ძეხორციელი ვერ გამოიპარება იქიდან. თანაც ეს გალავანი გარეთ დარჩენილთა შეურაცხმყოფელი ცნობისმოყვარეობიდან იფარავდა კარანტინში მოხვედრილთ. სამაგიეროდ, საწყლებს მთელი დღეების განმავლობაში მოსვენებას უფრთხობდა ტრამვაიების რახახი. თუმცა კი დანახვით ვერაფერს ხედავდნენ, ამტყდარ ხმაურზე მაინც შეეძლოთ გამოეცნოთ, როდის მიდიოდა ხალხი სამსახურში ან როდის ბრუნდებოდა შინ. ასე რომ, გრძნობდნენ, როგორ გრძელდებოდა მათვან რამდენიმე ნაბიჯზე ცხოვრება, რომლისგანაც თავად მოკვეთილნი იყვნენ და რწმუნდებოდნენ, რომ ბეტონის კედლები ორი სამყაროს ბინადართ ჰყოფდა, რომლებიც უფრო უცხონი იყვნენ ერთმანეთისთვის, ვიდრე სხვადასხვა პლანეტების მკვიდრნი.

ტარუმ და რამბერმა ერთ-ერთი კვირადღე აირჩიეს სტადიონზე მისასვლელად. თან გონსალესიც ახლდათ, ფეხბურთელი, რომელიც რამბერმა მოძებნა და დაითანხმა, სტადიონზე მო-

რიგეობისთვის თვალყური ედევნებინა. რამბერს იგი ბანაკის უფროსებისთვის უნდა წარედგინა. გონსალესმა უთხრა რამბერსა და ტარუს, როცა ერთმანეთს შეხვდნენ, სწორედ ამ დროს, უამიანობამდე, ფორმას ვიცვამდით და მატჩისთვის ვემზადებოდით. ახლა, რაკი სტადიონი ჩამოვართვეს, ამაზე უარი გვეთქვა და თავს სულ უსაქმოდ შთენილად ვგრძნობო. ეს გარეგნულადაც კი ეტყობოდა. აი, ეს გახლდათ ერთ-ერთი იმ მიზეზთაგანი, მეთვალყურეობაზე თანხმობა რომ ათქმევინა, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით დაყაბულდა, მარტო კვირის ბოლოს თუ მამუშავებთო. ცა სანახევროდ მოქუფრულიყო და გონსალესმა სინანულით შენიშნა, ასეთ ამინდს, როცა არც მზეა და არც წვიმს, არაფერი შეედრება ფეხბურთისთვისო. ნეტარებით იხსენებდა შესაზელი საცხის სუნს, გასახდელში რომ იდგა, ხალხით გაჭედილ ტრიბუნებს, ცოცხალი ფერის მაისურებს ხასხასა მდელოზე, პირველი ტაიმის შემდეგ მოწუნილ ლიმონს ანდა ცივ-ცივ ლიმონათს, გამომშრალ სასას უთვალავი გრილი ნემსით რომ ჩხვლეტს. ტარუს ისიც აქვს ჩანიშნული, გზადაგზა, გარეუბნის ნახევრად აყრილ ქუჩებს რომ მივუყვებოდით, ფეხბურთელი წამდაუნუმ ფეხს კრავდა ქვებს, ნინ რომ ხვდებოდა, ცდილობდა, წყალსადენის ღარში შეეგდო და როცა სიგარეტის მოწვას მორჩია, ნამწვი გადააფურთხა და შეეცადა ჰაერშივე დაეჭირა ფეხითო. სტადიონის მისადგომებთან ბავშვებს ფეხბურთი გაეჩალებინათ. თამაშისას აქეთ გამოუგორდათ ბურთი და გონსალესს არ დაზარებია, უკან გამოუდგა დაზუსტი დარტყმით ბავშვებს დაუბრუნა იგი.

ბოლოს, სტადიონზე შევიდნენ. ტრიბუნები ხალხით იყო სავსე, მინდორი კი მოფენილი იყო ასობით წითელი კარვით, რომელთა შიგნითაც შორიდანვე საკაცეები და რაღაც ფუთები მოჩანდა. კარანტინში მყოფნი ტრიბუნებზე სიცხესა და წვიმას აფარებდნენ თავს. მაგრამ ნაბრძანები ჰქონდათ, მზის ჩასვლისთანავე კარვებისთვის მიეშურებინათ. ტრიბუნების ქვეშ იყო შხაპები, რომლებიც საგანგებოდ შეეკეთებინათ, და ფეხბურთელთა ყოფილი გასახდელები, რომლებიც კანცელარიებად და სამედიცინო პუნქტებად გადაეკეთებინათ. კარანტინში მდგომთა უმრავლესობა ტრიბუნებს მოსდებოდა. სხვები საშხაპის თავზე მიმოდიოდნენ. ზოგი თავისი კარვის წინ ჩაცუცქულიყო და გარემოს ავლებდა გაფანტულ მზერას. ტრიბუნებზე მსხდართ თავი მოწყვეტით ჩაეკიდათ, თითქოს რაღაცას ელოდნენ.

— მთელ დღეს რას აკეთებენ? — ჰკითხა ტარუმ რამბერს.

— არაფერს.

მართლაც, თითქმის ყველას მკლავები ჩამოეშვა, ხელშიც არაფერი ეჭირათ. ადამიანთა ეს უზარმაზარი თავყრილობა საოცრად მდუმარე იყო.

— პირველ დღეებში ერთმანეთის ხმა არ ესმოდათ, ისეთი ყაყანი იდგა. მაგრამ რაც ხანი გადის, სულ უფრო და უფრო ნაკლებს ლაპარაკობენ.

მის ჩანანერებს თუ დავუჯერებთ, ტარუს ესმოდა მათი; ხედავდა, პირველ ხანობას როგორ შეყუულიყვნენ თავ-თავიანთ კარვებში, ბუზების ბზუილს უსმენდნენ ან იქექებოდნენ და თავი-

ანთ რისხვასა და შიშს ანთხევდნენ, თუკი ვინმე თანაგრძნობით ყურს მიაპყრობდათ. მაგრამ მას შემდეგ, რაც ბანაკი ხალხით გაიჭედა, ასეთი გულისყურიანი მსმენელის პოვნა სულ უფრო და უფრო გაჭირდა. ისღა დარჩენოდათ, გაჩუმებულიყვნენ და უნდობლობა დასჩემდათ. ის კი არადა, თითქოს რუხი, მაგრამ მაინც სხივოსანი ციდანაც უნდობლობა ჩამოშვავებულიყო და ქვეშ დაეტანა წითლად აელვარებული ბანაკი.

დიახ, ყველას უნდობლობა ენერა სახეზე. რაკი სხვებს მოგვწყვიტეს, უმიზეზოდ არ მოხდებოდაო, ფიქრობდნენ უთუოდ და ისეთი გამომეტყველება ჰქონდათ, თავის მართლების მოწადინე, შიშით დაზაფრულ ხალხს რომ აქვს. ყველას, ვისაც ტარუ აცქერდებოდა, უაზრო გამოხედვა ჰქონდა. ეტყობოდათ, ტანჯავდათ ადრინდელ ცხოვრებასთან განშორება, მაგრამ ისიც აშკარად ჩანდა, რომ ეს განშორება მათ თვალში, სულ უფრო და უფრო განყენებულ სახეს იღებდა. და რაკი არ შეეძლოთ სულ სიკვდილზე ეფიქრათ, არაფერზედაც არ ფიქრობდნენ. თითქოს არდადეგები ჰქონდათ. „მაგრამ ყველაზე უარესი ისაა, — ნერდა ტარუ, — რომ ხვდებიან, დავიწყებულნი ვართო. მათმა ნაცნობებმა ისინი დაივიწყეს, რადგან სხვა რამეზე უნევთ ფიქრი და ეს სავსებით გასაგებია. ვერც იმას იტყვის კაცი, ვისაც ესენი უყვარს, ახსოვს კიდეცო, რაკი სულ მისვლა-მოსვლაში არიან და თავს იმტვრევენ ამაზე ფიქრით, რა გზა ვნახოთ ისეთი, რომ გამოვიხსნათო. ამ დახსნაზე ფიქრით გართულნი, იმათზე აღარ ფიქრობენ, ვისი გამოხსნაც სწადიათ. ესეც ბუნებრივია, ბოლოს და ბოლოს, ამჩნევ, რომ სი-

ნამდვილეში არავის ძალუბს იფიქროს ვინმეზე ასეთი უბედურების ჟამს, რადგან თუ ნამდვილად გინდა ვინმეზე ფიქრი, სულ მასზე უნდა ფიქრობდე, ყოველ წუთს; ამ საფიქრალს არ უნდა გავინყებდეს არც ოჯახზე ზრუნვა, არც ბუზი, თავზე რომ გადაგიფრენს, არც საჭმელ-სასმელი და არც ქავილი. მაგრამ ბუზებსა და ქავილს ვერსად დაემალები. აი, რატომაა ცხოვრება ეგზომ ძნელი. ამათ ეს კარგად უწყიან!“

ადმინისტრატორი წამოვიდა მათკენ და უთხრა, ბ-ნ ოტონს სურს თქვენი ნახვაო. მან გონსალესი თავის კაბინეტში შეიყვანა, მერე კირამბერს და ტარუს იმ ტრიბუნისკენ გაუძლვა, სადაც ბ-ნი ოტონი იჯდა განმარტოებით. გამომძიებელი მოსულთ ფეხზე ადგომით შეხვდა. ისევ უნინდებურად ეცვა და უნინდებურადვე გახამებული საყელო ეკეთა. ტარუმ მხოლოდ ის შენიშნა, რომ თმა საფეხქლებთან ჩვეულებრივზე მეტად ასწენოდა და ფეხზე ერთი თასმა შეხსნოდა. გამომძიებელს დაღლილი გამომეტყველება პქონდა და თანამოსაუბრებისთვის ერთხელაც არ შეუხედავს სახეში. უთხრა კი, ბედნიერი ვარ, რომ გხედავთ და გთხოვთ, ჩემი მადლობა გადასცეთ ექიმის ყველაფრისთვის, რაც გაგვიკეთაო.

სტუმრები დუმდნენ.

— იმედი მაქვს, — თქვა გამომძიებელმა ცოტა ხნის დუმილის შემდეგ, — ფილიპს ბევრი არ უნვალია.

ტარუმ პირველად გაიგონა, როგორ წარმოთქვა გამომძიებელმა თავისი შვილის სახელი და მიხვდა, რომ რაღაც შეცვლილიყო ამ კაცში. მზე პორიზონტისკენ გადახრილიყო, მზის სხივები ღრუ-

ბელთა შორის ირიბად იჭრებოდა ტრიბუნებში და  
მოსაუბრეთა სახეებს ოქროსფრად ეფინებოდა.

— არა, — უთხრა ტარუმ, — არა, სულ არ უწვა-  
ლია.

რომ წამოვიდნენ, გამომძიებელი კვლავ  
თვალმიშტერებით იცქირებოდა იმ მხარისკენ,  
საიდანაც მზის სხივი სცემდა.

მერე გონისალესთან მივიდნენ გამოსამშვიდო-  
ბებლად. თავს რომ წაადგნენ, მორიგეობის გან-  
რიგს ამონმებდა. ფეხბურთელმა სიცილით ჩამო-  
ართვა ორთავეს ხელი.

— გასახდელები მაინც ვნახე, — თქვა მან, —  
ამაზედაც მადლობელი ვარ.

ცოტა ხნის შემდეგ ადმინისტრატორმა გამო-  
აცილა ტარუ და რამბერი. გასასვლელამდე არც  
იქნებოდნენ მისული, რომ რაღაც საშინელი ხმა-  
ური შემოესმათ ტრიბუნებიდან. წამიც და, რეპ-  
როდუქტორებმა, რომლებიც უკეთეს დროს მატ-  
ჩის შედეგებს ანდა გუნდების შემადგენლობას  
ამცნობდნენ დამსწრეთ, დუდლუნით გამოუცხა-  
დეს ბანაჯში მყოფთ, ახლავე კარვებს მიაშურეთ,  
ვახშამია ჩამოსარიგებელიო. ადამიანები ნელ-ნე-  
ლა წამოიშალნენ ტრიბუნებიდან და ფეხათრე-  
ვით გაემართნენ თავ-თავიანთი კარვებისკენ.  
როცა ყველამ თავისი ადგილი დაიკავა, ორმა პა-  
ტიარა ელექტრომანქანამ, სადგურებზე რომ ხმა-  
რობენ ბარგის გადასაზიდად, კარვებს შორის გა-  
იარა და ვეება ქვაბები ჩამოატარა. ხალხი ხელს  
იწვდიდა, ორი ჩამჩა ჩაყვინთავდა ორ ქვაბში და  
კერძს ორ ჯამში ასხამდა. ამის მერე მანქანა თა-  
ვის გზას აგრძელებდა, მომდევნო კარავთან ისევ  
დგებოდა და ისევ ივსებოდა წვნიანით ჯამები.

- საქმე მეცნიერულ დონეზე გაგიმართავთ,
  - უტხრა ტარუმ ადმინისტრატორს.
- დიახ, — მიუგო მანაც კმაყოფილებით, თან ხელს ართმევდა სტუმრებს, — სწორედ რომ მეცნიერულ დონეზე.

მწუხრი წვებოდა და ცაზე ერთი ფთილა ღრუბელიც არ ჩანდა. ნაზი და გრილი სინათლე ეფინებოდა ბანაკს. საღამოს სიმშვიდეში კოვზებისა და თეფშების ხმაური გაისმოდა ყოველი მხრიდან. ღამურებმა თავზე გადაუქროლეს კარვებს და მყისვე თვალს მიეფარნენ, ტრამვაის ხრიგინი ისმოდა გზის გასაყართან, კედლის იქითა მხარეს.

— საწყალი გამომძიებელი, — წაიჩურჩულა ტარუმ, როცა სტადიონიდან გამოვიდნენ. რაღაც უნდა გაგვეკეთებინა მისთვის, მაგრამ გამომძიებელს, აბა, როგორ უნდა დაეხმარო კაცი?

ქალაქში ბევრი სხვა ბანაკიც იყო, რომელთა  
შესახებაც მთხოვბელი არას ამბობს, რაკი მას  
ზუსტი ცნობები არ გააჩნია და დუმილს არჩევს.  
მაგრამ ის კი შეუძლია გითხრათ, რომ თვით ამ  
ბანაკთა არსებობა, ადამიანთა სენი, მათგან რომ  
ქროდა, მწუხრში აბლავლებული რეპროდუქტორ-  
თა ხმა, კედელთა საიდუმლო და შიში, ეს დან-  
ყევლილი ადგილები რომ ინვევდა, მძიმედ ანვა  
ქალაქელთა სინდისს და კიდევ უფრო ზრდიდა  
საყოველთაო თავგზააბნეულობასა და სიმძიმეს.  
გახშირდა შეტაკებები და კონფლიქტი ადმინის-  
ტრაციასთან.

ნოემბრის მიწურულს დილდილობით სუსხი  
დაიჭირა. ნიაღვრებად მომსკდარი კოკისპირული  
წვიმები რეცხდა ქვაფენილებს, ცაზე ღრუბლის  
ფთილაც აღარ რჩებოდა და მას სულ კრიალი გაჰ-  
ქონდა წვიმისგან მბზინვარე ქუჩების თავზე. ძა-  
ლაგამოლეული მზე ყოველ დილით ქალაქს უგ-  
ზავნიდა გაყინულსა და კაშკაშა სინათლეს. სა-  
ლამო ხანს, პირიქით, ჰაერი ისევ თბებოდა. სწო-  
რედ ასეთი სალამო შეარჩია ტარუმ ექიმ რიეს-  
თან გულის გადასახსნელად.

ათი საათი იქნებოდა, ხანგრძლივი და მომქან-  
ცველი დღის შემდეგ, ტარუ გაჰყვა რიეს, რომე-  
ლიც ჩვეულებისამებრ ასთმით სნეულ მოხუცთან  
მიდიოდა. ცა ნაზად ბრწყინავდა ძველი უბნის სა-  
ხურავებს ზემოთ. სუსტი ქარი უხმაუროდ ქრო-

და ბნელ შუკებში. მშვიდი ქუჩიდან შემოსულთ მოხუცი ლაყბობით მიეგება: ზოგ-ზოგები ჩივი-ან, მაძლარი ლუკმა ისევ იმათ აქვთ, ვისაც ჰქონ-და, მაგრამ ერთხელაც იქნება, კოკა წყალზე გატ-ყდებაო; მერე ხელები მოიფშვნიტა და დააყოლა, თქმა არ უნდა, ერთი მაგარი ჩხუბი ატყდებაო. ექიმი სანამ სინჯავდა, სულ ბოლოდროინდელ ამ-ბებზე მსჯელობდა.

ამ დროს მათ თავს ზემოთ ნაბიჯების ხმა გა-ისმა. მოხუცის ცოლმა შენიშნა, რომ ტარუს ცნო-ბისმოყვარეობა აღებეჭდა სახეზე და აუხსნა, მე-ზობლის ქალები ტერასაზე დადიან, ზევიდან კარგი ხედია, აქაური სახლები ერთმანეთს ებჯი-ნება და უბნის ქალებს შეუძლიათ ისე ენვიონ ერ-თმანეთს, ქუჩაში ფეხი არ გადგანო.

— აბა, — თქვა მოხუცმა, — თქვენც აბრძანდით. ზევით საუცხოო ჰაერია.

ტერასა ცარიელი დაუხვდათ, სამი სკამი კი იდგა ზედ. ცალ მხარეს, სადამდეც კი კაცის თვა-ლი სწვდებოდა, სულ ბანები მოჩანდა, რომლე-ბიც ბოლოს ერთ ბნელ და ქვიან მასას ებჯინე-ბოდნენ. კარგად რომ დააკვირდნენ ამ მასას, სა-ნაპიროს პირველი ფრთა შეიცნეს. მეორე მხარეს, რამდენიმე ქუჩის და თვალისთვის უხილავი ნავ-სადგურის იქით, მზერა იძირებოდა ჰორიზონტ-ში, სადაც ცა და ზღვა იდუმალი თრთოლვით ერ-ნყმოდა ერთიმეორეს. შორეული კლდეების თავ-ზე უამისამ ჩნდებოდა სინათლე, რომლის სათა-ვესაც მზერას ვერ უწვდენდნენ. ეს შუქურას სინათლეები იყო, გაზაფხულს აქეთ რომ ბრუნავ-დნენ ხომალდებისთვის, რომლებიც სხვა ნავსად-გურებისკენ იღებდნენ გეზს. ქარისგან მოწმენ-

დილ-მოკრიალებულ ცაზე ვარსკვლავები კაშკა-  
შებდნენ და შუქურას შორეული სინათლეც დრო-  
დადრო შეაფრქვევდა ხოლმე მათ თავის ცრიატ  
სინათლეს. ზღვიდან მონაბერ ნიავს მოპქონდა  
სუნელ-სანელებლისა და ქვის სუნი. ირგვლივ ჩა-  
მიჩუმი არ ისმოდა.

— რა კარგია, — თქვა რიემ და ჩაიმუხლა, — თით-  
ქოს ჭირს თავის დღეში არ ამოელნიოს აქამდე.

ტარუს ზურგი შეექცია მისთვის და ზღვას  
გაჰყურებდა.

— ჰო, — თქვა მან ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ,  
— აქ კარგია.

მერე ექიმს მიუჯდა გვერდით და ყურადღე-  
ბით დააცქერდა. ცაში სამგზის გაკრთა შუქურას  
სინათლე. მათ ყურამდე მიაღწია ჯამ-ჭურჭლის  
ხმამ ქუჩის სილრმიდან. მეზობელ სახლში კარი  
გაჯახუნდა.

— რიე, — უთხრა ტარუს რაც შეეძლო ბუნებ-  
რივად, — არასდროს მოგსურვებიათ გაგეგოთ, ვინ  
ვარ? მეგობრად თუ მთვლით?

— დიახ, — მიუგო ექიმმა, — მეგობრად კი  
გთვლით, მაგრამ აქამდე საამისოდ დრო არც  
გვქონია.

— ო, ეს მანუგეშებს. გინდათ, ეს ერთი საათი  
ჩვენს მეგობრობას დავუთმოთ?

საპასუხოდ რიემ მხოლოდ გაულიმა.

— მაშ, ყური დამიგდეთ...

რამდენიმე ქუჩის იქით მანქანამ გაისრიალა  
სველ ქვაფენილზე, მერე შორიდან მონადენმა შე-  
ძახილებმა გაკვეთეს ლამეული მდუმარება. შემ-  
დეგ ორთავეს მთელი სიმძიმით კვლავ დააწვა  
თავს ცა და ვარსკვლავები. ტარუს ნამოდგა, რომ

ტერასის მოაჯირს დაჰყურდნობოდა, რიე კი ისევ თავის სკამზე იჯდა და მეგობარს შესცექეროდა. ცის ფონზე ტარუს ვეება სილუეტი მოჩანდა, მან დიდხანს ილაპარაკა. აი, დაახლოებით მისი ნაუბარი:

„ბევრი რომ არ გავაგრძელო, რიე, მე შავი ჭირისგან ვიტანჯებოდი მანამ, სანამ ამ ქალაქში მოვხვდებოდი და ეპიდემია დაგვრევდა ხელს. საკმარისია ითქვას, რომ მეც ისეთი ვარ, როგორიც სხვები. მაგრამ ზოგ-ზოგებმა არ იციან, რა დღე ადგათ, ზოგი კი უბრალოდ შეეგუა ასეთ ყოფას, ზოგსაც შეგნებული აქვს ყოველივე და სურს, დაალწიოს თავი, მე მუდამ თავის დაღნევა მენადა.

სანამ ახალგაზრდა ვიყავი, ჩემი უცოდველობის რწმენა მასულდგმულებდა, ტვინის ჭყლეტა არ მჩვეოდა, ცხოვრებაშიც ნარმატებებით შემოვდგი ფეხი. ყველაფერი კარგად ამენყო, ჭკუა მიჭრიდა, ქალებს მოვწონდი, თუ რამ მოუსვენრობა შემიპყრობდა, უმალვე განქარდებოდა ხოლმე. ერთ დღეს ფიქრი დავიწყე. მაშინ კი...

უნდა გითხრათ, რომ მე თქვენსავით ლარიბი არ ვყოფილვარ. მამაჩემი პროკურორის მოადგილე იყო. ეს კი გვარიანი თანამდებობა გახლავთ. თუმცა ისე ეჭირა თავი, ამას ვერც შეატყობით. ბუნებით კეთილი კაცი იყო. დედაჩემი უბრალო და ყოვლად უჩინარი ქალი გახლდათ. ახლაც უნინდებურად მიყვარს, მაგრამ მირჩევნია, არაფერი ვთქვა მასზე. მამა სიყვარულით მევლებოდა თავზე და მგონი, კიდევაც ცდილობდა, გაეგო ჩემთვის. რაღაც სასიყვარულო ინტრიგები ჰქონდა, ახლა კი ვხვდები, მაგრამ, ღმერთმანი, სულაც არ ვჯავრობ. ამ თავის საქმეებს ისე აგვარებდა, რო-

გორც მოსალოდნელი იყო – სხვებს თვალში არ ეჩირებოდა. მოკლედ რომ გითხრათ, ძალიან ორიგინალური არ იყო და დღეს, როცა უკვე მკვდარია, ვხვდები, რომ თუ წმინდანივით არ უცხოვრია, ცუდი კაცი მაინც არ ეთქმოდა. ასეთი ადამიანები კი ყველაფერში ზომიერებას არჩევენ, გონივრულ სიყვარულს შთააგონებენ გარშემო მყოფთ, თანაც დიდი ხნით.

ერთი ახირებული ჩვევა კი ჰქონდა: შექსის დიდი ცნობარი<sup>\*</sup> მისი სამაგიდო ნიგნი იყო. მოგზაურობით როდი მოგზაურობდა, მხოლოდ შვებულებების დროს ახერხებდა ბრეტანში წასვლას, სადაც პატარა მამული ჰქონდა, მაგრამ შეეძლო ზუსტად ეთქვა პარიზი-ბერლინის მატარებლის გასვლისა და ჩამოდგომის დრო, ან როდის სად უნდა გადამჯდარიყავით, რომ ლიონიდან ვარშავაში ჩასულიყავით, ზუსტად რამდენი კილომეტრი აშორებდა ერთმანეთისგან ნებისმიერ დედაქალაქებს. შეგიძლიათ მითხრათ, როგორ უნდა ჩახვიდეთ ბრიანსონიდან შამონიქსში? სადგურის უფროსსაც კი გაუჭირდება პასუხის გაცემა. მამაჩემი კი გიპასუხებდათ. ყოველ სალამოს იმას ახმარდა, რომ გაემდიდრებინა თავისი ცოდნა ამ დარგში და ამით თავიც მოჰქონდა. ეს ამბავი მეც ჩემდათავად ძალიან მართობდა, ხშირად გამოვკითხავდი და ალფროთოვანება მიპყრობდა, როცა მის პასუხებს შექსში ვამონმებდი და ვრწმუნდებოდი, რომ არაფერი ეშლებოდა. ამ პატარა სავარჯიშოებმა ძალიან დაგვამეგობრა, რადგან მე მადლიერი მსმენელი ვიყავი და მამა ამას მიფასებდა. მე

\* მატარებლების განრიგის ცნობარი (გამომც. შენ.).

კი მტკიცედ მნამდა, რომ რკინიგზის განრიგებში მამაჩემის განსწავლულობა ბევრ სხვა უპირატესობას არ ჩამოუვარდებოდა.

მაგრამ სიტყვა გამიგრძელდა და ვშიშობ, ეს პატიოსანი კაცი ძალიან მნიშვნელოვან ვინმედ დაგიხატეთ. სიმართლე თუ გნებავთ, მას ჩემს პიროვნულ ჩამოყალიბებაზე პირდაპირი გავლენა არც ჰქონია. დიდი-დიდი – ერთი ბიძგი მომცა. როცა ჩვიდმეტი წლის გავხდი, სასამართლოში დამპატიუ, მომისმინეო. დიდი საქმე ირჩეოდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში და ცხადია, იფიქრა, თუ თავის გამოჩენა მინდა, ამაზე უკეთეს დროს სად ვიშოვიო. ვფიქრობ, დიდ იმედს ამყარებდა ამ ცერემონიალზე, რომელსაც შეეძლო განცვიფრებაში მოეყვანა ყმანვილის გონება და იმედოვნებდა, ჩემს ვაჟსაც იმ კარიერისკენ სწრაფვას აღუძრავს გულში, თავად მე რომ ავირჩიეო. მე დავთანხმდი, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მენადა მისთვის მეამებინა, თანაც მინდოდა, მენახა და მომესმინა სხვა როლშიც, მარტო იმის ცქერას აღარ ვკმარობდი, რომელსაც შინ თამაშობდა. სხვაზე არაფერზე ვფიქრობდი. ის, რაც სასამართლოში ხდებოდა, ისეთი ბუნებრივი და გარდაუვალი მეგონა, როგორც 14 ივლისის ზეიმი და სასწავლო ჯილდოების განაწილება. სამართალზე ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა და ეს ამბავი სულაც არ მანუხებდა.

მაგრამ იმ დღიდან მეხსიერებაში მხოლოდ ერთი სახე შემომრჩა – სახე დამნაშავისა. მგონი, მართლაც დამნაშავე იყო, რა მნიშვნელობა აქვს, რა დანაშაული მიუძღვოდა. მაგრამ ეს ოცდაათიოდე წლის ჩია, ნითურთმიანი კაცი იმდენად მო-

წადინებული ჩანდა, ყველაფერი ელიარებინა, ისე გულწრფელად იყო თავზარდაცემული იმით, რაც მისთვის უნდა ექნათ, რომ რამდენიმე წუთის შემდეგ მხოლოდ მან მიიჯაჭვა ჩემი მზერა. მჭახე სინათლით თავტანდაკარგულ ბუს ჰგავდა. ჰალსტუხი გვერზე მოგდებოდა, რატომდაც მარტო ცალი, მარჯვენა ხელის ფრჩხილებს იკვნეტდა... ერთი სიტყვით, აღარ გავაგრძელებ, თავადაც მიხვდებით, ცოცხალი რომ იყო, იმის თქმა მინდა.

მე კი მაშინდა შევნიშნე ეს. აქამდე მის მსგავსთ ჩემთვის მოსახერხებელ კატეგორიას – „ბრალდებულთა“ კატეგორიას მივაწერდი. ვერ გეტყვით, მამაჩემი სულ დამავიწყდა-მეთქი, მაგრამ რაღაც ისე მიჭერდა გულ-გვამში, რომ სხვა რამისთვის ყურადღების მიქცევის თავი აღარ მქონდა. მხოლოდ ბრალდებულს ვერ ვაცილებდი მზერას. თითქმის არაფერს ვუსმენდი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ სურდათ, მოეკლათ ეს ცოცხალი ადამიანი და ტალღასავით მძლავრი ინსტინქტი ბრმა სიჯიუტით მისკენ მიმაქანებდა. მხოლოდ მაშინ გამოვფხიზლდი, როცა მამაჩემმა დაიწყო თავისი საბრალმდებლო სიტყვა.

წითელი მანტიით სახეშეცვლილ მამაჩემს აღარც კეთილი ეთქმოდა და არც მოყვარული. მისი ბაგენი წარმოთქვამდნენ უსაშველო ფრაზებს, რომლებიც გრძლად მოსისინებდნენ გველების დარად. და მე გავიგე, რომ მამაჩემი საზოგადოების სახელით მოითხოვდა, მოეკლათ ეს კაცი, უფრო მეტიც, თავი მოეკვეთათ. თუმცა თქმით მხოლოდ ამას ამბობდა: ეს თავი ძირს უნდა დაგორდესო. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, განსხვავება

ხომ დიდი არ არის, გინდ ასე გითქვამს, გინდ ისე, ბოლოს ხომ მაინც მიიღო ეს თავი, ოღონდ ეგ იყო, თვითონ არ გაუსვრია ხელი. მე კი, ვინც ბოლომ-დე ვადევნებდი თვალყურს ამ საქმის მსვლელობას საბოლოო სიტყვამდე, მივხვდი, რომ ამ უბე-დურთან ისეთი ენით უთქმელი სიახლოვე მაკავ-შირებდა, როგორიც თავის დღეში არ მქონია მა-მასთან, ეს უკანასკნელი კი უნდა დასწრებოდა იმას, რასაც ზრდილობისთვის ბოლო წუთებს უწოდებენ, სინამდვილეში კი სხვა არა არის რა, თუ არა ყველაზე ამაზრზენი მკვლელობა.

ამ დღიდან მოყოლებული შექსის ცნობარს ზიზღით დავუწყე ცქერა. მას შემდეგ ძრნოლით ვადევნებდი თვალს მართლმსაჯულებას, წაუ-კითხავი არ მრჩებოდა სასიკვდილო განაჩენების, სიკვდილით დასჯის ამბები და თმა ყალყზე მიდ-გებოდა, რაკი ვხვდებოდი, რომ მამაჩემი უამრავ-ჯერ დასწრებია მკვლელობას. სწორედ იმ დღე-ებში, როცა უთენია დგებოდა-მეთქი, ვფიქრობ-დი გულში. მახსოვს, ასეთ დროს მაღვიძარას და-აყენებდა ხოლმე. მე ვერ ვძედავდი დედისთვის მეთქვა რამე, მაგრამ უკეთ რომ დავაკვირდი, მივხვდი, რომ ჩემს დედ-მამას აღარაფერი ჰქონ-დათ საერთო და რომ დედაჩემის მთელი ცხოვ-რება საკუთარი თავის მსხვერპლად შენირვა იყო. ეს დამეხმარა, მეპატიებინა მისთვის, როგორც მაშინ ვამბობდი ხოლმე. მოგვიანებით შევიტყვე, რომ არაფერი ჰქონდა საპატიებელი, რადგან გათხოვებამდე სულ სიღატაკეში ეცხოვრა და სი-ღარიბემ ასწავლა ბედისადმი მორჩილება.

თქვენ ალბათ მოელით, რომ გეტყვით, მაშინ-ვე წავედი-მეთქი შინიდან. არა, რამდენიმე თვით

დავრჩი, თითქმის ერთ წელინადს. მაგრამ ლამის გული დამიავადდა. ერთ საღამოს მამამ მაღვიძარა მოიკითხა, მეორე დღეს ადრე იყო ასადგომი. მთელ ლამეს თვალი არ მომიხუჭავს. მეორე დღეს, როცა დაბრუნდა, წასული დავხვდი. რაა დასამალი, მამაჩემმა ჩემი თავი მოაძებნინა, ჩვენ ერთმანეთს შევხვდით, მაგრამ არაფერი ამიხსნია, მშვიდად ვუთხარი, თავს მოვიკლავ, თუ დაბრუნებას მაიძულებ-მეთქი. ბოლოს, დამყაბულდა, რადგან ბუნებით დამყოლი კაცი იყო, დიდხანს კი მიჩიჩინა, სიბრიყვეა, შენით რომ გინდა სწიო ცხოვრების ჭაპანიო (ასე გაიგო ჩემი საქციელი და მეც აღარ მიცდია მისი გადარწმუნება), ათასი რჩევა-დარიგება მომცა და ძლივს შეიკავა გულწრფელი ცრემლები, თვალზე რომ მოსდგომოდა. შემდეგ, თუმცა საკმაოდ მოგვიანებით, დედის სანახავად სიარულს მოვუხშირე და მაშინ მასაც ვხედავდი. ასეთი ურთიერთობა, ვფიქრობ, აკმაყოფილებდა. მე მისდამი მტრობა გულში არ მედო, უბრალოდ, დანაღვლიანებული ვიყავი. როცა მოკვდა, დედა ჩემთან გადმოვიყვანე და დღესაც ჩემთან იქნებოდა, ისიც რომ არ გამომცლოდა ხელიდან.

დიდხანს ვილაპარაკე ამ დასაწყისზე, რადგან თავი და თავი სწორედ ეს გახლდათ. ახლა უფრო ჩქარა ვიტყვი სათქმელს. თვრამეტი წლისამ გავიგე, რაა სიღატაკე, თანაც მას შემდეგ, რაც შეძლებული ცხოვრება ნაგემი მქონდა. ათასი ხელობა გამოვიცვალე, თავი რომ შერჩინა. ვფიქრობ, არცთუ ისე ცუდად წამივიდა საქმე, მაგრამ სასიკვდილო განაჩენი ვერ იქნა და ვერ ამოვიგდე გულიდან. მინდოდა, შური მეძია წითური ჭოტი-

სთვის. ერთი სიტყვით, პოლიტიკურ საქმიანობას მივყავი ხელი, როგორც ამბობენ ხოლმე. არ მინდოდა, მეც ჭირიანი გავმხდარიყავი, ეს იყო ჩემი მთავარი საფიქრალი. მეგონა, საზოგადოება, რომელშიც ვცხოვრობ, სასიკვდილო განაჩენზეა დაფუძნებული და მასთან ბრძოლით მკვლელობას დავამარცხებ-მეთქი. მე ასე მნამდა, სხვებიც ამ აზრზე იდგნენ და, ბოლოს და ბოლოს, კაცმა რომ თქვას, ეს მართალიც იყო. მოკლედ, იმათ მივეკედლე, ვინც მიყვარდა და ახლაც მიყვარს. დიდხანს დავყავი მათთან, ევროპაში ქვეყანა არ დარჩენილა, რომლის ბრძოლებშიც მონაწილეობა არ მომელოს. მაგრამ კმარა ამაზე.

ცხადია, ვიცოდი, რომ თუ საჭიროება მოითხოვდა, ჩვენც სასიკვდილო განაჩენი გამოგვქონდა. მაგრამ მარწმუნებდნენ, ეს რამდენიმე მსხვერპლი აუცილებელია იმისთვის, რომ დამყარდეს საზოგადოება, სადაც არავინ არავის კლავსო. ერთგვარად ეს მართალი იყო, მაგრამ მე, ეტყობა, არ შემნევს უნარი ჩავხვდე ამგვარ ჭეშმარიტებათ. ერთი სიტყვით, ყოყმანი დავიწყე. მაგრამ ის ჭოტი მახსენდებოდა და ვაგრძელებდი ჩემს საქმეს იმ დღემდე, სანამ საკუთარი თვალით არ ვნახე სიკვდილით დასჯა. ეს მოხდა უნგრეთში და იმავე თავზარმა, ყმანვილს რომ დამრია ხელი, მოწიფულ კაცსაც დამიბნელა თვალთახედვა.

ოდესმე თუ გინახავთ, კაცს როგორ ხვრეტენ? არა, ცხადია. თუ საგანგებოდ არ მიგინვიეს, იქ ვერ მოხვდებით და საზოგადოებაც წინდანინაა შერჩეული. შედეგი ამისა ის გახლავთ, რომ ეს-ტამპებსა და წიგნებში აღწერილი სურათების ტყვეობაში ვართ. თვალწინ გვეხატება დოლბან-

დი, ბოძი და მოშორებით მდგარი რამდენიმე ჯა-  
რისკაცი, ნურას უკაცრავად! იცით თუ არა, რომ  
დამსჯელი რაზმი, მსჯავრდადებულთან სულ  
მეტრა-ნახევრის მანძილზე დგება? იცით თუ არა,  
მსჯავრდადებულმა ორი ნაბიჯიც რომ გადმოდ-  
გას წინ, მკერდით მიაწყდება თოფის ლულებს,  
იცით თუ არა, რომ ამ მცირე მანძილიდან მსრო-  
ლელები შიგ გულში უმიზნებენ და ყველანი ერ-  
თად იმოდენა ჭრილობას აჩენენ თავიანთი  
მსხვილყალიბიანი ტყვიებით, რომ კაცის მუშტი  
თავისუფლად შეეტევა? არა, ეს არ იცით, რად-  
გან ეს ის წვრილმანებია, რომელთა შესახებაც არ  
ლაპარაკობენ. ადამიანთა ძილი უფრო წმინდა რა-  
მაა, ვიდრე ამ ჭირიანთა სიცოცხლე. განა  
შეიძლება, კეთილ ხალხს ძილი დავუფრთხოთ?  
ამას უგემოვნობაში ჩამოგვართმევენ, რამეთუ  
გემოვნება მოითხოვს, არავის გაუწყალო გული,  
ეს ყველამ იცის. მე კი ძილი გამიტყდა მას შემ-  
დეგ. ცუდი გემო დამრჩა პირში და ნანახიც ვერ  
იქნა და ვერ ამოვიგდე გულიდან.

გაშინდა მივხვდი, რომ კვლავ ჭირშეყრილი ვი-  
ყავი ამ გრძელზე გრძელი წლების მანძილზე, სა-  
ნამ მთელი არსებით ვფიქრობდი, რომ ვიბრძოდი  
სწორედ ჭირის წინააღმდეგ. გავიგე, რომ უნებუ-  
რად ათასობით კაცის სიკვდილზე მომიწერია ხე-  
ლი, რომ გამოვიწვიე კიდეც ეს სიკვდილი, რაკი  
მხარს ვუჭერდი ამ პრინციპებსა და ქმედებათ,  
რომელთაც ეს მჯელელობა ფატალურად წარმოშ-  
ვეს. სხვებს, ეტყობა, არ ანუხებდათ ეს ამბავი, ასეა  
თუ ისე, ამაზე თავის დღეში არ ლაპარაკობდნენ.  
მე კი თითქოს ყელში მიჭერდნენო ხელს. მათთან  
ერთად ვიყავი და მაინც მარტოობისგან ვიტან-

ჯებოდი. როცა ჩემს სინდისის ქენჯნაზე ჩამოვაგდებდი სიტყვას, მეუბნებოდნენ, უნდა იმაზეც იფიქრო, სასწორზე რაა შეგდებულიო და ათას საბუთს მოუხმობდნენ, რომ გადაყლაპვინებინათ ჩემთვის ის, რის გადაყლაპვასაც ვერ ვახერხებდი. მაგრამ მე მივუგებდი, საბუთები არც დიდ ჭირიანებს აკლიათ, წითელ მანტიებს რომ ისხამენ და თუ მისაღებად მივიჩნევ წვრილ-წვრილი ჭირიანების მიერ მოხმობილ საბუთებს, დიდ-დიდ ჭირიანთა საბუთებსაც ვერ უგულებელვყოფ-მეთქი. ამაზე მეუბნებოდნენ, წითელ-მანტიანთა გამართლებაც სწორედ ისაა, თუკი სცნობ მათ უზენაეს უფლებას – კაცს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანოო. გულში ვფიქრობდი, კაცმა თუ ერთხელ მოაწერა ხელი სასიკვდილო განაჩენს, მერე ვეღარ გაჩერდება-მეთქი და მგონი, ისტორიამ გაამართლა ჩემი ვარაუდი, დღევანდელი დღე იმისია, ვინც მეტს მოკლავს. ყველა მკვლელობის სიშმაგეს შეუპყრია. სხვაგვარად არც ძალუდთ.

მაგრამ მე მსჯელობა როდი მიტაცებდა. მე სულ იმ წითურ ჭოტზე ვფიქრობდი და იმ საზიზდარ ამბავზე, როცა ჭირშეყრილი ბაგეებით გამოუცხადეს ბორკილდადებულ ადამიანს, მოკვდებიო და ყველაფერი იღონეს იმისთვის, რომ მართლაც მომკვდარიყო მრავალი ლამის აგონი-ის შემდეგ, რომელთა განმავლობაშიც თვალლია ელოდა, როდის მოუსწრაფებდნენ სიცოცხლეს. იმ დაცხრილულ მკერდს უტრიალებდა ჩემი ფიქრი და თავს ვეუბნებოდი, სანამ სული მიდგას პირში, ვერ ვირწმუნებ თუნდაც ერთ საბუთს, ამ ამაზრზენ ყასბობას რომ ამართლებს-მეთქი. დი-

ახ, მე ეს კერპი სიბრმავე ვარჩიე, სანამ რამის  
ნათლად დანახვას შევძლებ.

მას შემდეგ არ შევცვლილვარ. უკვე რა ხანია  
მრცხვენია, ლამის მოვკვდე, ისე მრცხვენია, რომ  
შორიდან, თუნდაც უნებურად, კარგის მდომელი  
მეც მკვლელობას ჩავდიოდი. დროთა განმავლო-  
ბაშ შევნიშნე, რომ ჩვენ შორის საუკეთესოებსაც  
კი არ ძალუდთ, არ მოკლან, ან მკვლელობას არ  
შეუწყონ ხელი, რადგან ასეთია მათი ცხოვრების  
ლოგიკა და ამქვეყნად ხელს ვერ გავანძრევთ ისე,  
თუ ვინმეს სიცოცხლე არ მოვუსწრაფეთ. დიახ,  
სირცხვილით ვიწვოდი, მივხვდი, რომ ყველას ჭი-  
რიანობამ დაგვრია ხელი და სულის სიმშვიდე  
დავკარგე. ახლაც მას დავეძებ, ვცდილობ, გავუ-  
გო ყველას და არავის მოვეკიდო მოსისხლე  
მტრად. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ყველაფერი უნ-  
და ვიღონო, რათა ჭირიანი აღარ მერქვას და რომ  
მხოლოდ ამ გზით შეიძლება სულის სიმშვიდე  
ვიპოვოთ, ანდა ღირსეულად მაინც დავიხოცოთ.  
სწორედ ამას ძალუძს კაცთა სულის შემსუბუქება  
და თუ ვერ იხსნის, რაც შეიძლება ნაკლებ ზიანს  
მაინც მიაყენებს, ხანდახან კი ცოტაოდენ სიკეთე-  
საც მოუტანს. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, უა-  
რი მეთქვა ყველაფერზე, რაც პირდაპირ თუ  
შემოვლით, კეთილ თუ ბოროტ განზრახვათა მო-  
მიზეზებით კლავს ადამიანს, ანდა მკვლელობას  
ამართლებს.

აი, რატომაა, რომ ამ ეპიდემიას ჩემთვის ახა-  
ლი არაფერი უსწავლებია, გარდა იმისა, რომ  
თქვენ მხარდამხარ უნდა ვიპრძოდე. მე დანამდ-  
ვლებით ვიცი (დიახ, რიე, მე ყველაფერი ვიცი სი-  
ცოცხლეზე, როგორც თავადვე ხედავთ), რომ

ჭირს ყველა თავის თავში დაატარებს იმიტომ, რომ ქვეყნად არვინ, დიახ, არვინაა მისგან დაზღვეული; რომ მუდამ თვალი უნდა გეჭიროს საკუთარ თავზე, რათა შემთხვევით სახეში არ შეასუნთქო სხვას და ინფექცია არ გადასდო. რამეთუ მიკრობი ბუნებრივი რამაა. სხვა დანარჩენი, ჯანმრთელობა, პირიანობა და, თუ გნებავთ, სინმინდეც – ეს ნებისყოფის ნაყოფია, ნებისყოფისა, თავის დღეში რომ არ უნდა მოდუნდეს. ნამუსიანი კაცი, არავის რომ არ გადასდებს ინფექციას, ისაა, ვინც წამითაც არ მისცემს თავს მოდუნების უფლებას. საამისოდ კი ნებისყოფის საოცარი დაძაბვაა საჭირო! დიახ, რიე, მეტად დამლლელია ჭირიანად ყოფნა. მაგრამ უფრო მომქანცველია წადილი, არ გინდოდეს, ჭირიანი გერქვას. ამიტომაა, რომ ყველა დალლილი ჩანს, დღეს ხომ ყველას ცოტათი მაინც ჭირი შეჰყრია. ამიტომაა ისიც, რომ ზოგს, ვისაც აღარ სურს ჭირიანი იყოს, უკიდურესი დალლილობა რევს ხელს, რომლისგანაც ვერაფერი იხსნის სიკვდილის მეტი.

დღეის ამას იქით მე ვიცი, რომ არაფერს წარმოვადგენ ამ ქვეყნისთვის და იმ წუთიდან, რაც კაცის კვლაზე ვთქვი უარი, საბოლოო განდევნა მივუსაჯე ჩემს თავს. ისტორიას სხვები შექმნიან. მე ისიც ვიცი, რომ არ ძალმიძს, ბრალი დავდო ამ სხვებს. რაღაც თვისება მაკლია საიმისოდ, რომ საკუთარი თავის სიმართლეში დარწმუნებული მკვლელი შევიქნე. ეს სულაც არაა უპირატესობა, ახლა თანახმა ვარ ვიყო ის, რაც ვარ, თავმდაბლობა ვისწავლე. მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ ამქვეყნად არის დიდ-დიდი უბედურებანი და არიან მათი მსხვერპლი და რომ ყოველი ღო-

ნე უნდა იხმარო, რათა უბედურებათა შემწე არ აღმოჩნდე. ეს შეიძლება ცოტა მარტივადაც მო-  
გეჩვენოთ, არ ვიცი, მართლა მარტივია თუ არა,  
მაგრამ ჭეშმარიტება კია. მე იმდენი მსჯელობა  
მოვისმინე, რომ კინალამ თავბრუ დამეხვა. ასეთ-  
მა მსჯელობებმა ბევრს აურიეს გონება და  
მკვლელობის მომხრედ აქციეს. და მე მივხვდი,  
ადამიანთა ყველა უბედურება იქიდან მოდის,  
რომ ნათლად ვერ გამოუთქვამთ სათქმელი. მა-  
შინ გადავწყვიტე, ჩემი სიტყვაცა და საქმეც ნა-  
თელი ყოფილიყო, რომ კარგ გზას დავდგომოდი.  
ერთი სიტყვით, თავში ჩავიჭედე, რომ არის დიდ-  
დიდი უბედურებანი და არიან მსხვერპლნი და მე-  
ტი არაფერი. თუ ამის თქმით მე თავადაც უბე-  
დურებად ვიქცევი, ეს ჩემი დასტურით მაინც არ  
მოხდება. მე ვცდილობ, უდანაშაულო მკვლელი  
გავხდე. ხომ ხედავთ, ამაში დიდი პატივმოყვა-  
რეობა არ ძევს.

ცხადია, მესამე კატეგორიაც უნდა არსებობ-  
დეს, კატეგორია ჭეშმარიტი ექიმებისა, მაგრამ  
ფაქტია, რომ ისინი ბევრნი არ არიან და დიდი გა-  
საჭირიც ადგათ. აი, რატომ გადავწყვიტე მსხვერ-  
პლთა მხარეს დავდგე, რომ ცოტათი მაინც შემ-  
ცირდეს უბედურება. მათ შორის მყოფს ის მაინც  
შემიძლია ვეძიო, მესამე კატეგორიაში როგორ  
ხვდებიან და როგორ ჰპოვებენ სულის სიმშვიდეს.

ამ სიტყვებს რომ ასრულებდა, ტარუ ფეხს ნე-  
ლა სცემდა ტერასის მოაჯირს. ცოტა ხნის სიჩუ-  
მის შემდეგ ექიმმა ნელა წამოინია და ჰკითხა, თუ  
იცით, რა გზას უნდა დაადგეს კაცი, სულის სიმშ-  
ვიდე რომ ჰპოვოსო.

— თანაგრძნობის გზას, — მიუგო ტარუმ.

შორიდან ზედიზედ ორჯერ სასწრაფო დახმარების მანქანის საყვირის ხმა გაისმა. აქამდე გაფანტული ხმები შენივთდა ქალაქის კარიბჭესთან, კლდოვანი ბორცვის მახლობლად. მათ ყურს უერად მისწვდა ხმაური, გასროლის ხმას რომ ჰგავდა. შემდეგ კვლავ სიჩუმე ჩამოდგა. რიემ დაითვალა: ორჯერ გაიელვა ფარების შუქმა. ზღვიდან მონაბერმა სიომ თითქოს ძალა მოიკრიბა და ერთბაშად მარილის სუნიც მოაყოლა. ახლა გარკვევით ისმოდა, ტალღები როგორ ეტყოლაშუნებოდნენ კლდოვან ნაპირს.

— არსებითად, — თქვა ტარუმ უბრალოდ, — მე მაინტერესებს, როგორ ხდებიან წმინდანები.

— თქვენ ხომ ღმერთი არ გნამთ.

— არა, დღესდღეობით მარტო ერთი კონკრეტული პრობლემა მაღლვებს — უღმერთოდ თუ შეიძლება წმინდანად ქცევა.

უეცრად, დიდი სინათლე ამოვარდა იმ მხრიდან, საიდანაც ყვირილი შემოესმათ და ქარმარალაც ყრუ ხმაურიც მოიტანა ტერასაზე მდგომთა ყურამდე. სინათლე მაშინვე ჩამუქდა და შორს, ტერასების ბოლოსდა აკიაფდა წითლად. ქარის ახალმა ტალღამ ადამიანთა ყვირილის ხმა მოიტანა. შემდეგ გარკვევით გაისმა სროლის ხმაც და ბრბოს შეძახილები. ტარუ წამოდგა და მიაყურა. სიჩუმე ჩამოდგა ირგვლივ.

— ისევ კარიბჭესთანაა შეტაკება.

— უკვე მორჩა, — თქვა რიემ.

ტარუმ წაიჩურჩულა, მორჩენით არასოდეს მორჩება და მსხვერპლიც კვლავ იქნება, იმიტომ, რომ ხვედრი ასეთი გვაქვსო.

— შეიძლება, — მიუგო ექიმმა, — მაგრამ იცით თუ არა, რომ მე დამარცხებულთ უფრო თანავუგრძნობ, ვიდრე წმინდანებს. მე თავად, მგონი, გმირობა და სინმინდე არ მიტაცებს. მე მარტო ადამიანად ყოფნა მნადია.

— დიახ, ჩვენ ერთსა და იმავეს ვეძებთ, მაგრამ მე ნაკლებ პატივმოყვარე ვარ.

რიემ იფიქრა, ტარუ ხუმრობსო და დაკვირვებით დააცქერდა. მაგრამ ციდან მონადენ მკრთალ შუქზე მნუხარე და სერიოზული სახე შემოჰყურებდა. ქარმა კვლავ დაუბერა და რიემ კანით იგრძნო მისი სითბო. ტარუ გამოერკვა:

— იცით, — თქვა მან, — რა უნდა მოვიმოქმედოთ ჩვენი მეგობრობის გასამტკიცებლად?

— რასაც ინებებთ, — უთხრა რიემ.

— მოდით, ზღვაში ვიბანაოთ. ეს ისეთი სიამეა, მომავალი წმინდანისგანაც არ დაიწუნება.

რიეს ლიმილი მოერია.

— ამ საშვებით ჯებირებამდე გაგვიშვებენ. ბოლოს და ბოლოს, სისულელეა, სულ უამიანობით იცხოვრო. ცხადია, კაცმა მსხვერპლთა მხარეზე კი უნდა იბრძოლოს, მაგრამ მათ მეტი თუ ყველაფერი მოიძულა, მაშინ რაღა აზრი აქვს ბრძოლას?

— კეთილი, წავიდეთ, — უთხრა რიემ.

ცოტა ხნის შემდეგ მანქანა პორტის ჭიშკართან შედგა. მთვარე ამოსულიყო. ცაზე რძისფერი ნისლი განოლილიყო და ირგვლივ მკრთალი ჩრდილები ეფინა. მათ უკან კიბე-კიბედ ამოდიოდა ქალაქი და მიმავალთ თბილსა და სნეულ სუნთქვას აყოლებდა, რომელიც მათ ზღვისკენ მიერეკებოდა. გუშაგს საბუთები უჩვენეს. დიდ-

ხანს უკირკიტა. საგუშავოს გასცდნენ და კასრებით ჩახერგილი გზით, ლვინისა და თევზის სუნად რომ ყარდა, ჯებირებისკენ გაემართნენ. იქ მისვლამდე ცოტა ხნით ადრე იოდისა და წყალმცენარების სუნმა ზღვის სიახლოვე ამცნოთ. ნამიც და, ტალღების ხმაურიც შემოესმათ.

ზღვა ნელა ეხეთქებოდა კლდოვან ნაპირს. ცოტა მაღლა რომ ავიდნენ, კიდევაც გამოჩნდა ხავერდივით სქელი, მკვრივი და მტაცებელი ნადირივით მოქნილი, მბზინავი ზღვა. ზღვისკენ გაშვერილი კლდის ძირას ტალღები იქოჩირებოდნენ და ნელ-ნელა მიგორავდნენ უკან. ზღვის ეს მშვიდი სუნთქვა ბადებდა და აქრობდა წყლის ზედაპირზე მოლაპარაკე ცხიმოვან ანარეკლებს. რიეს, რომელიც თითებქვეშ გრძნობდა კლდის დასვრეტილ ზედაპირს, უცნაური ბედნიერებით ევსებოდა გული. ტარუსკენ რომ შემობრუნდა, თავისი მეგობრის მშვიდსა და სერიოზულ სახეზე იგივე სიხარული ამოიკითხა, ოლონდ იმასაც მიხვდა, რომ ტარუს არაფერი დავიწყებოდა, ისევ ანვალებდა კაცთა კვლაზე ფიქრი.

ტანთ გაიხადეს. პირველად რიემ ჩაყვინთა. ჯერ ცივი ეჩვენა წყალი, მერე თბილი, როცა ამოყვინთა, რამდენიმე მკლავის მოქნევის შემდეგ უკვე იცოდა, რომ ზღვა თბილი იყო, შემოდგომურად თბილი, მიწას რომ ართმევს გრძელი თვეების მანძილზე დაგროვილ მცხუნვარებას. ნებანება მიცურავდა. მისი ფეხების დგაფუნისგან უკან აქაფებული კვალი რჩებოდა, ტალღა მკლავებზე უსხლტებოდა და ფეხებზე გადასდიოდა. წყლის შხეფებმა ამცნო, რომ ტარუც გადაეშვა ზღვაში. რიე ზურგზე გაწვა და ერთხანს ასე ირ-

წეოდა ტალღებზე მთვარითა და ვარსკვლავებით მოჭედილ ცაზე თვალმიშტერებული. ლრმად ამო-ისუნთქა. მერე უფრო გარკვევით გაიგონა წყლის დგაფუნი, სიჩუმესა და ლამის სიმარტოვეში სა-ოცრად მკვეთრად რომ მოისმოდა. ტარუ უახ-ლოვდებოდა, უკვე მისი სუნთქვაც ჩაესმა ყურ-ში. რიე შემობრუნდა, მეგობარს მხარში ამოუდ-გა და იმავე რიტმით განაგრძო ცურვა. ტარუ უფ-რო ლონივრად მიინევდა წინ და რიე იძულებული შეიქნა, აჩქარებულიყო. რამდენიმე წუთის გან-მავლობაში მხარულით ერთად მიაპობდნენ ტალ-ღებს მარტონი, სამყაროსგან მოწყვეტილები, ქა-ლაქისა და შავი ჭირისგან თავდახსნილნი. რიე პირველი შეჩერდა და გამობრუნდა უკან, მხო-ლოდ მაშინ უმატეს სიჩქარეს, როცა ანაზდად ცივ ნაკადში მოხვდნენ. ერთმანეთისთვის სიტყ-ვაც არ უთქვამთ, მაგრამ გამალებით მოიქნიეს ხელ-ფეხი ზღვის ამ მოულოდნელი მუხანათობით შემცდარებმა.

ტანთ რომ ჩაიცვეს, უსიტყვოდ გამობრუნდ-ნენ უკან. მაგრამ გული ერთნაირად უძგერდათ და ამ ლამის ხსოვნა სასიამოვნო იყო ორთავესთ-ვის. როცა შორიდან შენიშნეს შავი ჭირის გუშაგი, რიეს გაუელვა, ტარუც ჩემსავით ფიქრობს, სენ-მა რამდენიმე ხანს დაგვივინყა, ჩვენდა საბედ-ნიეროდ, ახლა კი ყველაფერი თავიდან უნდა და-ვინყოთო.

დიახ, თავიდან მართებდათ დაწყება, რაკი შავი ჭირი დიდი ხნით არავის ივიწყებდა. მთელი დეკემბრის განმავლობაში ცეცხლს აგზნებდა ჩვენი თანამოქალაქეების მკერდში, კრემატორიუმის ღუმელს აგიზგიზებდა, უმოქმედო აჩრდილებით დაასახლა ბანაკები და ასე მიიწევდა წინ ნახტომ-ნახტომ, ჯიუტი მოთმინებით. მთავრობა იმედოვნებდა, ცივი დღეები სენის წინსვლას შეაფერხებსო, მაგრამ პირველმა სუსხმა შავ ჭირს ნირიც ვერ უცვალა. კიდევ ლოდინი იყო საჭირო. მაგრამ ამდენი ხნის ლოდინს ლოდინიც აღარ ეთქმოდა და მთელი ჩვენი ქალაქი მომავლის გარეშე ცხოვრობდა.

სიმშვიდისა და მეგობრობის სწრაფმავალ წუთს, რიეს რომ ებოძა, ხვალინდელი დღე არ ეწერა. კიდევ ერთი საავადმყოფო გახსნეს და ექიმი ავადმყოფების მეტს სულ ვეღარავის ხედავდა. მაინც შენიშნა, რომ ეპიდემიის ამ სტადიაზე, მაშინ, როდესაც სენი უპირატესად ფილტვებს ედებოდა, ავადმყოფები თითქოს რაღაცით ეხმარებოდნენ ექიმს. ახლა თითქოს აღარც პროსტრაცია რევდათ ხელს და აღარც სიშმაგე, გრძნობდნენ, რა ამბავი იყო მათ თავს და თვითონვე ითხოვდნენ იმას, რაც არგებდათ. სულ წყალს თხოულობდნენ და სითბოს ეტანებოდნენ. და თუმცა ექიმი უწინდებურად იღლებოდა, ახლა თავს ნაკლებ ეულად გრძნობდა.

დეკემბრის მიწურულს რიემ ბ-ნი ოტონის წერი-

ლი მიიღო. გამომძიებელი ისევ ბანაკში იყო და წერილით ატყობინებდა რიეს, კარანტინის ვადა გამივიდა, მაგრამ ადმინისტრაციამ ვერ მიაგნო ჩემი აქ მოსვლის თარიღს და, ეტყობა, ეიდევ დამაյავებუნ შეცდომითო. ჩემი ცოლი უკვე გავიდა კარანტინიდან და საჩივარი შეიტანა პრეფექტურაში, მაგრამ იქ ცუდად შეხვდნენ, უთხრეს შეცდომა არასდროს მოგვდისო. რიემ რამბერი ჩარია საქმეში და რამდენიმე დღის შემდეგ თავად ბატონი ოტონიც ეწვია. მართლაც შეცდომა მოსვლოდათ და რიე, ცოტა არ იყოს, გაცხარდა კიდეც, მაგრამ ბატონმა ოტონმა, რომელიც კიდევ უფრო გამხდარიყო, უღონოდ ასწია ხელი და გარკვევით, თითქოს სიტყვებს წონისო, თქვა, ყველას შეიძლება შეცდომა მოუვიდესო. ექიმმა გაითიქრა, რაღაცით შეცვლილა ეს კაციო.

— ახლა რაღას იზამთ, ბატონი გამომძიებელო? თქვენი საქმეები მოგელიან.

— არა, — მიუგო გამომძიებელმა, — შვებულება მინდა ავიღო.

— მართალი ბრძანდებით; უნდა დაისვენოთ.

— დასვენებას როდი დავეძებ. ვერ მიმიხვდით. ისევ ბანაკში მინდა დავბრუნდე.

— ახლა არ გამოხვედით იქიდან?

— კარგად ვერ გამოვთქვი სათქმელი. გავიგე, რომ ბანაკში მოხალისეები სჭირდებათ.

გამომძიებელი აქეთ-იქით აცეცებდა თავის გადმოკარკლულ თვალებს და ცდილობდა, აჩერილი თმა გაესწორებინა.

— ხომ გესმით, ამგვარად საქმე გამიჩნდება. მერე კიდევ, სისულელეა ამის თქმა, მაგრამ ვფიქრობ, ასე უფრო ახლოს მეყოლება ჩემი საწყალი ბიჭი.

რიე სახეში შეაცქერდა. წარმოუდგენელი იყო

თითქოს, მაგრამ მისი კუშტი მზერა გაელხო უეც-  
რად მოწოლილ სინაზეს, თვალები მონისვლოდა  
და თავიანთი ფოლადისებური ბზინვა დაეკარგათ.

— კეთილი, — უთხრა რიემ, — ვიზრუნებ ამაზე,  
რაკი ასე გინებებიათ.

მართლაც მოუხერხა ეს საქმე. ჭირიანი ქალა-  
ქის ცხოვრებაც თავისი გზით წავიდა. ასე გაგრძელ-  
და შობამდე. ტარუ კვლავ მშვიდად ირჯებოდა და  
მისი სიმშვიდე სხვებსაც გადაედებოდა ხოლმე.  
რამბერმა გაანდო ექიმს, რომ გუშაგი ძმების დახ-  
მარებით ფარულად დაუკავშირდა თავის ცოლს;  
ხანგამოშვებით წერილებსაც იღებდა მისგან. რიეს  
შესთავაზა, თქვენც ამ გზას მიმართეთო და ექი-  
მიც დათანხმდა. განშორების გრძელი თვეების შემ-  
დეგ პირველად მისწერა წერილი ცოლს, მაგრამ დი-  
დი გაჭირვებით. ვერ იქნა და ვერ აანყო სათქმელი.  
წერილი გააგზავნეს. პასუხი აგვიანებდა... კოტარი  
ამასობაში ბედის მადლიერი იყო, წვრილ-წვრილი  
სპეკულაციებით მდიდრდებოდა. აი, გრანს კი შო-  
ბა-ახალწლის დღესასწაული ჩამნარდა.

ამ წლის შობას ჯოჯოხეთის დღესასწაული უფ-  
რო ეთქმოდა, ვიდრე სახარებისა. ჩაბნელებული მა-  
ლაზიები, ვიტრინაში გამოდებული ბუტაფორიული  
შოკოლადები და ცარიელი კოლოფები, სახემოლუ-  
შული ხალხით გაჭედილი ტრამვაიები — არაფერი  
მოგაგონებდათ შარშანდელ შობა-ახალწლინადს.  
ამ დღეს უნინ ერთნაირად ხარობდა მდიდარიც და  
ლარიბიც, ახლა კი ადგილი მხოლოდ სამარცხვინო  
სიხარულსა და განმარტოებულ სიამეთათვის დარ-  
ჩენილიყო, მდიდრები ოქროს ფასად რომ ყიდუ-  
ლობდნენ ბინძური დუქნის უკანა ოთახებში. ეკ-  
ლესიებში გლოვის ზარი უფრო გაისმოდა, ვიდრე

ლვთის სადიდებელი ლოცვა. პირქუშსა და გაყინულ  
ქალაქში მხოლოდ ბავშვები დანავარდობდნენ  
უდარდელად, რაკი ჯერ არ უწყოდნენ, ბედი რას  
უქადდათ. მაგრამ ვერავინ ბედავდა, ემცნო მათ-  
თვის უწინდელი ღმერთის მოვლინება, საჩუქრე-  
ბით ხელდამშვენებული ღმერთისა, ადამის მოდგ-  
მის მწუხარებასავით ძველი რომ იყო და მაინც ახა-  
ლი, როგორც ჩვილი იმედი. ხალხის გულში უკვე  
აღარაფერი კიაფობდა, გარდა ძალიან ძველი და  
ულიმლამო იმედისა, კაცს ხელს რომ უშლის, მი-  
ნებდეს სიკვდილს და სხვა სახელი არ მოეძევება,  
თუ არა სიცოცხლისკენ ჯიუტი ლტოლვა.

წინა დღით გრანი არ მოვიდა დათქმულ საათზე.  
შემფოთებულმა რიემ უთენია მიაკითხა შინ და ვერ  
ნახა. ყველგან მოიძიეს. თერთმეტი სრულდებოდა,  
როცა რამბერი მოვიდა საავადმყოფოში და აუწყა  
ექიმს, გრანი შორიდან შევნიშნე, ქუჩაში დაეხეტე-  
ბოდა სახეშეშლილი, მერე თვალთავან მიმეფარაო.  
ექიმი და ტარუ მანქანით წავიდნენ მის საძიებლად.

შუადღეს, როცა სუსხმა იმძლავრა, რიე მანქა-  
ნიდან გადმოვიდა და შორიდან გრანს მოჰკრა თვა-  
ლი, რომელიც ხისგან ულაზათოდ გამოჩირკნილი  
სათამაშოებით გამოტენილ ვიტრინას აკვირდებო-  
და. მოხელეს ცრემლები ლაპალუპით ჩამოსდიოდა  
სახეზე. ამ ცრემლებმა შესძრა რიე, რადგან ესმოდა  
მათი აზრი და გრძნობდა, რომ თვითონაც გორგალი  
აწვებოდა ყელში. მასაც გაახსენდა ამ უბედურის  
ნიშნობა, გაახსენდა, როგორ იდგა იგი თავის საცო-  
ლესთან ერთად საშობაოდ გაჩახჩახებული დუქნის  
წინ და როგორ წამოიძახა უკან თავგადაგდებულმა  
უანმა, ბედნიერი ვარო. თქმა არ უნდოდა, რომ შო-  
რეული წლების სიღრმიდან იმავე სიგიჟით შეპყრო-

ბილი გრანის ყურამდე, სიგიფისა, მთელი ქალაქი რომ  
მოეცვა, უანის ნარნარი ხმა აღწევდა. რიემ იცოდა,  
რად იმდუღრებოდა იმნუთას მოხუცი და თვითო-  
ნაც მასავით ფიქრობდა, რომ უსიყვარულო სამყა-  
რო მკვდარი სამყარო იყო და რომ ყოველთვის დგე-  
ბა უამი, როცა კაცი იღლება ციხეებით, მუშაობითა  
და სიმამაცით და მიელტვის ცოცხალი ადამიანის სა-  
ხესა და სინაზით გამთბარ გულს.

მოხუცმა უეცრად ვიტრინის მინაში შენიშნა  
იგი. ტირილი არ შეუწყვეტია, მიეყრდნო ვიტრი-  
ნას და ისე დაელოდა რიეს.

— ოჟ! ექიმო! ექიმო! — გაიძახოდა იგი.

რიე თავს უქნევდა, რომ გაემხნევებინა მო-  
ხუცი. სიტყვის თქმა უმძიმდა. სასონარკვეთას  
გრანივით მისთვისაც დაერია ხელი და იმნუთას  
გულს უფლეთდა უსაზღვრო რისხვა, რომელიც  
კაცს ეუფლება იმ მნუხარების წინაშე, ყველა  
ჩვენგანისთვის საერთო რომაა.

— იყუჩეთ, გრან, — უთხრა მოხუცს.

— ნეტავ, მომესწრო წერილის მინერა, რომ  
სცოდნოდა... ბედნიერი ყოფილიყო და სინდისის  
ქენჯნით არ დატანჯულიყო.

რიემ თითქმის ძალით მოსწყვიტა ვიტრინას.  
ძალისძალით ადგმევინებდა ფეხს, გრანი კი ჩურ-  
ჩულებდა:

— არ იქნა და აღარ დასრულდა ეს ამბავი; წი-  
ნააღმდეგობის თავიც აღარ მაქვს, დაე, მოხდეს,  
რაც მოსახდენია! ოი, ექიმო! გარეგნულად თით-  
ქოს მშვიდად ვარ, მაგრამ მუდამ უდიდესი ძა-  
ლის მოკრება მჭირდება, ჭკუაზე რომ არ შევც-  
დე. ახლა ნერვებმა მიმტყუნეს.

გრანი შედგა, მთელი სხეულით კანკალებდა,

თვალებს შეშლილივით აცეცებდა. რიემ ხელი და-  
უჭირა. ცეცხლი ეკიდა ხელზე.

— შინ უნდა დაბრუნდეთ.

მაგრამ მოხუცი ხელიდან დაუსხლტა, რამდენი-  
მე ნაბიჯი გაირბინა, მერე შეჩერდა, ხელები გაშა-  
ლა, დაბარბაცდა, ერთი შემოტრიალდა და გაყინულ  
ქვაფენილზე მოილო ზღართანი. დასვრილ სახეზე  
კვლავ ღაპალუპით სდიოდა ცრემლები. გამვლელე-  
ბი შორიდან უმზერდნენ, უეცრად შედგებოდნენ  
ხოლმე, მაგრამ მიახლოებას ვერ ბედავდნენ. რიე  
იძულებული გახდა, ხელში აეტატებინა მოხუცი.

ლოგინში რომ ჩანვინეს, გრანი იხუთებოდა:  
სენს ფილტვები ჩაეთრია. რიე საგონებელს მიე-  
ცა. მოხელეს ოჯახი არ ჰყავდა. რისთვის გადაეყ-  
ვანათ საავადმყოფოში? აქ ისედაც მარტო იქნე-  
ბოდა, ტარუ მიხედავდა...

გრანი ლრმად იყო ჩაფლული ბალიშში, სახე  
გამწვანებოდა, თვალები ჩაქრობოდა. დაჟინებით  
უცქერდა მბჟუტავ ცეცხლს, ტარუს რომ დაენ-  
თო ბუხარში ძველი ყუთის ფიცრებით. „ცუდადაა  
საქმე“, — ამბობდა იგი და მისი ალმოდებული  
ფილტვებიდან საშინელი ხიხინი ამოდიოდა, თან  
სდევდა მის ყოველ სიტყვას. რიემ ურჩია, ლაპა-  
რაკით თავს ნუ დაიღლითო, და დაუბარა, კვლავ  
შემოვივლიო. ავადმყოფს უცნაური ლიმილი გა-  
უკრთა ბაგეზე და მასთან ერთად სახეზე სინა-  
ზეც გამოეხატა. რის გაჭირვებით თვალი ჩაუკრა  
მიმავალს და უთხრა: „თუ გამოვძვრები ამ დავი-  
დარაბიდან, ქუდი მოიხადეთ მოწინებით, ექიმო!“  
მერე კი ერთბაშად პროსტრაციაში ჩავარდა.

რამდენიმე საათის შემდევ რიე და ტარუ უკანვე  
მობრუნდნენ და ნახეს, ავადმყოფი სანახევროდ წა-

მომჯდარიყო ლოგინზე. რიეს თავზარი დაეცა, რა-კი მის სახეზე აშეარად წაიკითხა, რომ სენს მაგრად ჩაეჭიდა მისთვის კლანჭები და ცეცხლს უგზნებდა, მაგრამ გონებაზე უფრო ნათლად იყო და მყისვე უცნაურად ჩახლეჩილი ხმით უთხრა მოსულებს, ხელნაწერი მომიტანეთ, უჯრაში რომ მიდევსო. ტარუმ მიურბენინა ქალალდები. გრანმა გულში ჩაიკრა ნანერი ისე, რომ არც დაუხედავს, მერე კი ექიმს გაუნოდა და ხელით ანიშნა წაიკითხეთო. ეს გახლდათ მოკლე ხელნაწერი, ასე ორმოცდაათიოდე გვერდი. ექიმმა გადაფურცლა დასტა და დაინახა, რომ ყოველ გვერდზე მხოლოდ ერთი და იგივე ფრაზა ეწერა, უთვალავჯერ გადაკეთებულ-გადმოკეთებული, გამდიდრებული თუ განძარცული. სულ მაისის თვე, ამორძალი და ბულონის ტყე ენაცვლებოდნენ ერთმანეთს, ოდნავ სახეცვლილი და შელამაზებული. ყოველივე ამას თან ერთვოდა უსაშველოდ გრძელი ახსნა-განმარტებანი და ვარიანტები. უკანასკნელი გვერდის ბოლოს კი ახალი მინაწერი იყო გულმოდგინედ გამოყვანილი. „ჩემო ძვირფასო უან, დღეს შობაა...“ ზევით გამოყვანილი ასოებით ეწერა ფრაზის უკანასკნელი ვარიანტი. „წაიკითხეთ!“ – სთხოვა გრანმა და რიემაც წაიკითხა:

„მაისის მშვენიერ დილას საუცხოო ქურანზე ამხედრებული ტანნერნეტა ამორძალი ყვავილთა შორის მიქროდა ბულონის ტყის ხეივნებში...“

– ვარგა რამედ? – იკითხა მოხუცმა სიცხისგან გათანგული ხმით.

რიემ თვალი ვერ გაუსწორა.

– ა! – ანრიალდა მოხუცი, – „მშვენიერი“, „მშვენიერი“ მარჯვედ მორგებული სიტყვა ვერაა.

რიემ ხელი მოჰკიდა ხელზე.

— მაცალეთ, ექიმო. თორემ დრო აღარ მეყოფა...  
მკერდი გაჭირვებით აუდ-ჩაუდიოდა, უცბად  
შესძახა:

— დაწვით!

ექიმი შეყოყმანდა, მაგრამ გრანმა ისეთი საში-  
ნელი კილოთი გაიმეორა თავისი ბრძანება და ისე-  
თი ტანჯვა ჩააქსოვა ხმაში, რომ რიემ უსიტყვოდ  
შეყარა ფურცლები თითქმის მინავლულ ცეცხლში.  
ოთახი ერთბაშად გაანათა აღმა, წამით დათბა კი-  
დეც. როცა ექიმი კვლავ მივიდა ავადმყოფთან, მო-  
ხუცს ზურგი შეებრუნებინა მისთვის და კედელს  
მიჰკვროდა. ტარუ ფანჯარაში იმზირებოდა, თით-  
ქოს იქ მომხდარი სცენა არ აღელვებდა. ავადმ-  
ყოფს შრატი რომ გაუკეთა, ექიმმა უთხრა ტარუს,  
გრანი დილამდე ვერ გაატანსო. ტარუმ ითავა, გვერ-  
დიდან არ მოვშორდებიო. რიე დათანხმდა.

მთელ ღამეს თან სდევდა ფიქრი იმისა, გრანი  
კვდებაო, მაგრამ მეორე დილით, როცა კვლავ ეწვია  
ავადმყოფს, ნახა, რომ მოხუცი ლოგინში წამომჯ-  
დარიყო და ტარუს ესაუბრებოდა. სიცხე აღარ ჰქონ-  
და. მხოლოდ საერთო დაქანცულობის დაღი ესვა.

— ოი, ექიმო, — ეუბნებოდა მოხელე, — შევც-  
დი. მაგრამ თავიდან დავიწყებ. აი, ნახავთ, ყვე-  
ლაფერი მახსოვს.

— კიდევ მოვიცადოთ, — უთხრა რიემ ტარუს.

მაგრამ შუადღეს არაფერი შეცვლილა. საღამოს  
უკვე შეიძლებოდა იმის თქმა, რომ გრანი გადარჩა.  
რიეს ვერაფერი გაეგო ამ მკვდრეთით აღდგომისა.

დაახლოებით იმავე პერიოდში რიეს ავადმყო-  
ფი მოუყვანეს. ექიმს მისი საქმეც ხელიდან წასუ-  
ლი ეგონა და სხვა ავადმყოფებისგან განცალკე-  
ვებით მოათავსებინა. ქალიშვილი სულ ბოდავდა

და ყველა ნიშნის მიხედვით ფილტვის ჭირი სჭირდა. მაგრამ მეორე დილით სიცხემ დაუნია. ექიმმა გამოცდილებით იცოდა, რომ ეს დილანდელი მომჯობინება სწორ კარგს არაფერს უქადდა და ძალიან გაუკვირდა, რაკი შუადღეს ავადმყოფისთვის სიცხეს არ აუწევია. საღამოს მხოლოდ რამდენიმე ხნით აუნია და მეორე დღეს სულ დაუვარდა. ქალიშვილი თუმცა ღონემიხდილი იყო, თავისუფლად სუნთქავდა. რიემ უთხრა ტარუს, რაღაც სასწაულით გადარჩაო. კვირის განმავლობაში მსგავსი შემთხვევები განმეორდა.

იმავე კვირის მინურულს ექიმი და ტარუ ასთმით სწორ მოხუცთან რომ მივიდნენ, მასპინძელი ერთობ აღელვებული დაუხვდათ:

– ისევ, ისევ გამოდიან!

– ვინ?

– ვინ და ვირთხები!

აპრილის აქეთ ერთი მკვდარი ვირთხაც არ დაულანდავთ.

– ნუთუ თავიდან დაიწყება ყველაფერი? – ჰერითხა ტარუმ რიეს.

მოხუცი ხელებს იფშვნეტდა:

– უნდა უცქიროთ ერთი, როგორ მოძვრებიან! საუცხოო სანახავია.

ორი ცოცხალი ვირთხა ენახა, ქუჩაში გამავალი კარიდან რომ შემოვიდნენ. მეზობლებიც გაიძახოდნენ, ჩვენთანაც ისევ გამოჩნდნენო. სადღაც, ხარჩოებზე, ისევ ესმოდათ თვეების ნინათ დავიწყებული ფხაკაფხუკი. რიე დაელოდა სტატისტიკურ ცნობებს, ყოველი კვირის დასაწყისში რომ აქვეყნებდნენ. ისინი სენის უკუქცევას იტყობინებოდნენ.

## V

თუმცა სენის უეცარ უკუქცევას არავინ ელოდა, ჩვენი თანამოქალაქენი არ ამჩატებულან და სიხარულს არ მისცემიან. უამიანობა თვეების მანილზე გრძელდებოდა, გათავისუფლების წყურვილსაც თანდათან უფრო აღვივებდა ხალხის გულში, მაგრამ სიფრთხილესაც შთააგონებდა და ჭირს შეჩვეულებს უკვე იმედი აღარ ჰქონდათ, ეპიდემია მალე დასრულდებაო. ეს ახალი ამბავი მაინც ყველას პირზე ეკერა და გულის სილრმეში დიდ, იდუმალ იმედებს აღუძრავდათ. სხვა დანარჩენი უკანა პლანზე იწევდა. შავი ჭირის ახალი მსხვერპლი რაღა მოსატანი იყო ამ განსაცვიფრებელ ამბავთან შედარებით. სნეულების მრუდი ეცემოდა. ერთ-ერთი ნიშანი იმისა, რომ იდუმალ ყველა ჯანმრთელობის ხანის დადგომას ელოდა, თუმცა კი აშკარად მასზე ოცნებას ვერავინ ბედავდა, ის გახლდათ, რომ ჩვენი თანამოქალაქენი ამ ხნიდან მოყოლებული უკვე ხალისით ლაპარაკობდნენ, თითქოსდა სასხვათაშორისოდ, თუ როგორ წარიმართებოდა განახლებული ცხოვრება ჭირიანობის შემდეგ.

სუყველა იმას ფიქრობდა, რომ წარსული ცხოვრების ყველა სიკეთე ერთბაშად არ დაუბრუნდებოდათ და რომ დანგრევა უფრო იოლი იყო, ვიდრე შენება. ოლონდ იმედოვნებდნენ, რომ მომარაგება ცოტა გაუმჯობესდებოდა და ხალხს მთა-

ვარი საზრუნავი მოაკლდებოდა. სინამდვილეში ამ უწყინარი შენიშვნების ქვეშ უგონო იმედი იჭვრიტებოდა, თანაც იმ ზომამდე იწყვეტდა ლაგამს, რომ ჩვენი თანამოქალაქენი მალევე მოეგებოდნენ ხოლმე გონს და გაცხარებით ამტკიცებდნენ, ასეა თუ ისე, ხსნა ხვალ მაინც არ გვიწერიაო.

მართლაც შავი ჭირი მეორე დღესვე არ გასცლიათ, მაგრამ უფრო სწრაფად შესუსტდა, ვიდრე იმედოვნებდნენ. იანვრის პირველ დღეებში საშინელი სიცივეები დაიჭირა და თითქოს დაკრისტალდა ქალაქის თავზე. და მაინც ცა არასდროს ყოფილა ასეთი ფირუზისფერი. მთელი დღეების განმავლობაში მისი უცვლელი და გაყინული შუქი ჩვენს ქალაქს ათოვდა თავზე. განმენდილ ჰაერში შავმა ჭირმა სამი კვირის მანძილზე რამდენჯერმე დაიხია უკან და მსხვერპლიც საგრძნობლად შემცირდა. ცოტაც და თითქმის მთლად მოელია ძალა, რომლის დაგროვებას თვეები მოანდომა. რომ გენახათ, როგორ უშვებდა ხელიდან მსხვერპლთ, სასიკვდილოდ გადადებულნი რომ ჩანდნენ, გრანის და იმ ქალიშვილისა არ იყოს, როგორ აფთრობდა ზოგიერთ კვარტალში სამი-ოთხი დღის მანძილზე, მაშინ როდესაც სხვებიდან სულ ამოეკვეთა ფეხი, რომ გენახათ, ორშაბათობით როგორ ინირავდა უამრავ ხალხს; ოთხშაბათობით კი თითქმის ყველას ინდობდა, როგორ ეცლებოდა არაქათი ან ძალას უეცრად როგორ იკრებდა ხოლმე, იტყოდით, ნერვიულობამ და დალლილობამ თავგზა აუბნია, თავს ველარ მორევია და კარგავს მათემატიკურად გაანგარიშებულსა და მეფურ ძალმოსილებას, მის უპირატესობას რომ შეადგენდაო. კასტელის შრატმა იმ დღეებში მრავალი გადაარჩინა, თუმცა წინათ ამ

შრატითაც ვერას ხდებოდნენ. ექიმების მცდელობა, უნინ ამაო რომ ჩანდა, ახლა უცილობელი წარმატებით გვირგვინდებოდა. იტყოდით, ამჯერად თვით შავ ჭირს შესევიან და მისმა უეცარმა სისუსტემ ძალა შთაბერა იმ დაჩლუნგებულ იარაღებს, მას რომ უპირისპირდებოდნენო. სენი მხოლოდ დროდადრო თუ იმძლავრებდა, ბრმად ჰკრავდა ირაოს და საიქიოს გზას გაუყენებდა სამოთხ ავადმყოფს, რომელთა გამოჯანმრთელების იმედიც ჰქონდათ. ესენი უილბლონი იყვნენ უამიანობისა, რაკი მაშინ უწევდათ სიკვდილი, როცა იმედმა ფრთა შეისხა. ასე დაემართა გამომძიებელ ოტონსაც, რომელსაც სენმა საკარანტინო ბანაკში მუშაობისას მოუსწრო და იქიდან მოუხდათ მისი გამოყვანა. ტარუმ თქვა, ილბალი არ ჰქონია, ოლონდ კაცმა არ იცოდა, რა მიაჩნდა უილბლობად, გამომძიებლის სიკვდილი თუ სიცოცხლე.

მაგრამ საერთო ჯამში სენი უკან იხევდა მთელ ფრონტზე და პრეფექტურის კომუნიკებმა, რომელთაც ჯერ გაუბედავი და იდუმალი იმედი დაბადეს ორანელთა გულებში, ბოლოს ყველა დაარწმუნეს, გამარჯვება მოპოვებულია, ჭირი საბოლოოდ ტოვებს თავის პოზიციებსო. სინამდვილეში გამარჯვებაზე ფიქრი ცოტა ნაადრევი იყო. მარტო იმის თქმა შეიძლებოდა თამამად, რომ სენი ისევე მოულოდნელად მიდიოდა, როგორც მოვიდა. მის წინააღმდეგ მიმართული ზომები არ შეცვლილა, მაგრამ რაც უშედეგო იყო გუშინ, დღეს შედეგიანი ჩანდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, სენმა თვითონ ამოიჭამა თავისი თავი, ანდა ყველა, ვინც ნიშანში ჰყავდა ამოღებული, განყვიტა და ახლა თავისით გვეცლებაო. ერთი სიტყ-

ვით, მისი როლი თითქმის დამთავრებული იყო.

ქალაქში გარეგნულად თითქმის არაფერი შეცვლილა. ქუჩები უკაცრიელი იყო დღისით, სალამოობით კი კვლავ ივსებოდა ხალხით. უმეტესობას პალტოები ეცვა და კაშნები ეკეთა. კინოებსა და კაფეებს კვლავ ეტანებოდა მუშტარი. მაგრამ უფრო დაუინებით თუ დააკვირდებოდით, შენიშნავდით, რომ ხალხს სახეზე მეტი სიმშვიდე აღბეჭდვოდა და აქა-იქ ღიმილიც გაკრთებოდა ხოლმე. მაშინდა იაზრებდით, რომ დღემდე არავინ იღიმებოდა ქუჩებში. ქუფრი საბურველი, თვეების მანძილზე რომ ებურა ქალაქს, ჩახეულიყო და ყოველ ორშაბათს ორანის თითოეულ მკვიდრს შეეძლო დარწმუნებულიყო რადიოთი გადმოცემული ცნობების წყალობით, რომ ნახევი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა და, ბოლოს და ბოლოს, სულის მოთქმის საშუალება ეძლეოდათ. ეს ჯერ სავსებით ნეგატიური შემსუბუქება იყო, გარეგნულად რომ არაფრით გამოიხატებოდა. მაგრამ თუ ნინათ უნდობლად ეკიდებოდნენ ცნობას იმის შესახებ, მატარებელი წავიდა ან გემი ჩამოვიდაო, ანდა დარხეულ ხმას, მალე მანქანებით სიარულის ნებას დაგვრთავენო, ამგვარი ამბები იანვრის მეორე ნახევარში უკვე არავითარ გაოცებას არ იწვევდა. მათ დაჯერებას აღარაფერი უკლდა. ცხადია, ეს როდი კმაროდა. მაგრამ ეს პატარა ნიუანსი საცნაურს ჰყოფდა, რამხელა გზა განვლეს ჩვენმა თანამოქალაქეებმა იმედის გზაზე. შეიძლება ისიც კი ითქვას თამამად, რომ იმ ნუთიდან, როცა იმედის ნამცეცი სხივი ჩაესახა გულში მოსახლეობას, შავი ჭირის ჭეშმარიტ მეუფეობასაც ბოლო მოეღო.

ოლონდ უნდა დავძინოთ, რომ იანვრის თვეში ჩვენი თანამოქალაქენი წინააღმდეგობრივ გრძნობათა ტყვეობაში იყვნენ. უეცარ აღტკინებას დეპრესია ცვლიდა ხოლმე. მოხდა ისეც, რომ იმ დროს, როცა სტატისტიკური მონაცემები ყველაზე მეტად სანუგეშო იყო, რამდენიმე კაცი დააკავეს, გაქცევას რომ აპირებდა. ამ გარემოებამ ერთობ გააოცა ხელისუფალნიცა და საგუშავო პოსტების განმგებელნიცა, რადგან ლტოლვილთა უმეტესობამ გაქცევა შეძლო. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ხალხი, რომელიც ამ დროს გარბოდა, ბუნებრივ გრძნობას ემორჩილებოდა, ზოგთა გულებში ჭირმა ჩამოთესლა ღრმა სკეპტიციზმი, რომელიც ვერა და ვერ მოეცილებინათ თავიდან. იმედი ვეღარ დაიუფლებდა მათ სულებს. მაშინაც კი, როცა უამიანობას ყავლი გაუვიდა, მისი წესისამებრ ცხოვრობდნენ. ესენი მოვლენებს იყვნენ ჩამორჩენილნი. სხვები, პირიქით, იმათ-თავანნი, ვინც სატრფოს ან მახლობლებს იყვნენ გაყრილნი და ხანგრძლივი კარდახშულობის უამს უნუგეშობით გვემულნი, ახლა იმედის ქარით ატანილნი მოუთმენლობას შეეპყრო და თავს ვეღარ იოკებდნენ: პანიკა იპყრობდათ იმის გაფიქრებაზე, რომ შეიძლებოდა სულ ბოლო წუთში, თითქმის მიზანს მიღწეულნი დახოცილიყვნენ, რომ თავის დღეში ვეღარ იხილავდნენ სათაყვანო არსებას და ეს გრძელი სატანჯველიც ფუჭად ჩაუვლიდათ. და თუმცა თვეობით, პატიმრობისა და განდევნის მიუხედავად, ბრმა სიჯიუტით მაინც ხსნას მოელოდნენ, იმედის პირველი სხივი საკმარისი შეიქნა იმის დასანგრევად, რასაც შიშმა და სასონარკვეთამ ვერაფერი დააკლო. გიუები-

ვით მოსწყდნენ ადგილს, რომ გადაესწროთ უა-  
მიანობისთვის, რაკი უკანასკნელ წუთამდე მას-  
თან ფეხანყობით სიარული აღარ შეეძლოთ.

მაგრამ იმავე ხანებში ოპტიმისტური სულისკ-  
ვეთებაც გამძაფრდა. ისიც უნდა დავძინოთ, რომ  
საგრძნობლად დაინიეს ფასებმა. წმინდა ეკონო-  
მიკის თვალსაზრისით ეს გარემოება ვერ აიხსნე-  
ბოდა. სიძნელეები იგივე დარჩა, ქალაქის კარიბჭე  
კვლავ ჩარაზული იყო, მომარაგება ისევ ჭირდა. მა-  
შასადამე, წმინდა მორალურ ფენომენთან გვქონ-  
და საქმე – თითქოს შავი ჭირის უკან დახევა ყვე-  
ლაფერში აირეკლაო. ამავე დროს კვლავ შეყრის  
იმედი მიეცათ იმათ, ვინც წინათ ჯგუფ-ჯგუფად  
ცხოვრობდა და სენმა დააშორიშორა. ქალაქის ორი  
მონასტერი ხელახლა გაივსო და ბერებიც კვლავ  
ერთად შეუდგნენ ცხოვრებას. სამხედროებიც ისევ  
ერთად შეყარეს დაცარიელებულ ყაზარმებში: ისევ  
დაინყეს ნორმალური, ჯარისკაცული ცხოვრება.  
ასე რომ, ეს ვითომდა წვრილმანი ამბები პატარა  
მნიშვნელობის როდი გახლდათ.

მოსახლეობა ამ იდუმალ მღელვარებაში ცხოვ-  
რობდა ოცდახუთ იანვრამდე. ხოლო ამ კვირას სიკ-  
ვდილიანობის მრუდი ისე დაბლა დაეცა, რომ სამე-  
დიცინო კომისიის თათბირის შემდეგ პრეფექტუ-  
რამ გამოაცხადა, ეპიდემიას, შეიძლება ითქვას,  
გზა გადავუკეტეთო. კომუნიკე იმასაც ამატებდა,  
სიფრთხილეს თავი არ სტკივა და იმედია, მოსახ-  
ლეობაც მოგვინონებს, თუ ქალაქის კარიბჭენი კი-  
დევ ორ კვირას იქნება დახშული და პროფილაქტი-  
კური ზომების მიღება ერთ თვემდეც გასტანსო.  
თუ ამ ხნის განმავლობაში იოტისოდენა რამ მაინც  
შეინიშნება საგანგაშო, status quo უნდა იყოს და-

ცული მისგან გამომდინარე ყველა შედეგითო... მაინც ყველა იმ აზრზე იდგა, ეს დამატებანი სავინი-ცობოდ მოაყოლესო, და ოცდახუთი იანვრის საღამოს მხიარულმა გამოცოცხლებამ მოიცვა ქალაქი. საერთო სიხარულისთვის რომ მხარი აება, პრეფექტმა ბრძანა, ქალაქი უნინდელივით გაანათეთო. გაბრდლვიალებულ ქუჩებში, ცივსა და კრიალა ცის ქვეშ ჩვენი თანამოქალაქენი ხმაურიან და მოცინარ ჯგუფებად მიმოიფანტნენ.

ცხადია, ბევრ სახლში დარაბები ისევ დაგმანული იყო და ბევრმა მდუმარედ გაატარა ეს საღამო, როცა სხვები სიხარულს ვერ მალავდნენ. მგლოვიარეთაგან ბევრისთვის მაინც ეს დიდი ნუგეში იყო, იქნებ იმიტომ, რომ, ბოლოს და ბოლოს, დაუცხრათ სხვა მახლობელთა დაკარგვის შიში, ან იქნებ იმიტომაც, რომ იმედი მოეცათ, ჩვენ მაინც გადავრჩებითო. მაგრამ საერთო მხიარულებას არ იზიარებდნენ, ცხადია, ის ოჯახები, რომელთა წევრიც ამ დროს შავ ჭირს ერკინებოდა ლაზარეთში, თვითონ კი საკარანტინო სახლებში ან შინ მსხდომნი ელოდნენ, უამიანობა, ნეტავ, ჩვენც ისე დაგვეხსნებოდეს, როგორც სხვებსო. ცხადია, მათაც ჰქონდათ იმედის სხივი შემორჩენილი, მაგრამ იზოგავდნენ, მანამ ვერ უბედავდნენ ხელის შეხებას, სანამ ნამდვილად არ ექნებოდათ ამის უფლება. და ეს მოლოდინი, ეს მდუმარე ლამისთევა – ცალკერდ აგონიასა და ცალკერდ სიხარულს შორის მოქცეული – უფრო სასტიკი ეჩვენებოდათ ამ საერთო ლხენა-ზეიმში.

მაგრამ ეს გამონაკლისები სხვათა კმაყოფილებას ნირს ვერ უცვლიდა. ცხადია, უამიანობა ჯერ კიდევ არ გათავებულიყო, ერთი-ორჯერ კეხსაც

შემოიბრუნებდა და მაინც უკვე ყველას გონებაში რამდენიმე კვირით ადრე მატარებლები მიქროდნენ უსასრულო გზებზე და გემები მიაპობდნენ სხივმოსილი ზღვის ტალღებს. ხვალ ყველას დაუცხრებოდა გონება და ეჭვის ჭია კვლავ გაიღვიძებდა. მაგრამ ახლა მთელი ქალაქი ზანზარებდა, დაეტოვებინა კარდაგმანული, პირქუში სამყოფელი, სადაც ქვის ფესვები ჰქონდა გადგმული და, ბოლოს და ბოლოს, დაძრულიყო, სიკვდილს გადარჩენილი ადამიანებით დატვირთული. ამ სალამოს ტარუ, რიე, რამბერი და სხვები მიაპობდნენ ხალხის ტალღას და თავადაც გრძნობდნენ, რომ მინა ეცლებოდათ ფეხქვეშ. დიდი ხნის შემდეგაც, რაც ბულვარები უკან მოიტოვეს, ტარუსა და რიეს ესმოდათ, როგორ ფეხდაფეხ მისდევდათ ეს მხიარულება გაუკაცურებულ ქუჩებში, დარაბებჩარაზულ სახლებს შორის მიმავალთ. დალლილობის გამო მათ არ შეეძლოთ, დაეშორიშორებინათ დარაბებს უკან განაბული ტანჯვა და სიხარული, ცოტა მოშორებით ქუჩებს რომ ავსებდა პირთამდე. მომავალ ხსნას სახეზე ღიმილი უკრთოდა და თან ცრემლები ულბობდა ლანვებს.

იმწუთას, როცა ხმაური გაძლიერდა და სახიარულო გნიასმაც იმატა, ტარუ შედგა. ბნელ ქვაფენილზე მსუბუქად გადაირბინა ჩრდილმა. ეს კატა იყო, პირველი კატა, რომელიც გაზაფხულს აქეთ დალანდეს. ერთ წამს გაქვავდა ტროტუარზე, შეყოყმანდა, თათი გაილოკა, მარჯვენა ყურზე გადაისვა, მერე ისევ უჩუმრად განაგრძო გზა და ლამეში გაუჩინარდა. ტარუმ გაილიმა – იმ მოხუცს რა სიხარული შეუდგებაო.

მაგრამ იმ დროს, როცა შავი ჭირი თითქოს გვშორდებოდა, რომ დაბრუნებოდა იმ უცხო ბუნაგს, საიდანაც პირუჩუმრად გამოვიდა ქალაქ-ში, ერთი კაცი მაინც მოიძევებოდა, ვისაც ეს უკუქცევა თავგზას უბნევდა. ტარუს უბის ნიგნაკებს თუ ვენდობით, ეს კაცი კოტარი გახლდათ.

სიმართლე თუ გნებავთ, ეს ნიგნაკები საკმაოდ უცნაური შეიქნა მას შემდეგ, რაც სნეულების მრუდმა დაბლა იწყო დაშვება. იქნებ დაღლილობის ბრალი იყო, მაგრამ ნაწერი ძნელი გასარჩევი გახდა და საუბარიც ერთი საგნიდან ხშირად მეორეზე გადახტებოდა. უფრო მეტიც, ჩანანერებმა პირველად დაკარგეს ობიექტურობა და მისი ადგილი პირადული ხასიათის მსჯელობებმა დაიჭირეს. ასე მაგალითად, კოტარის ამბავში, რომელსაც საკმაოდ ვრცელი ადგილი უკავია, ჩართულია კატებს გადამტერებული მოხუცის ამბავიც. ტარუს თუ დავუჯერებთ, შავმა ჭირმა ვერაფრით წარუხოცა ამ პერსონაჟისადმი მონიშება, რომლისადმი ინტერესი არც ეპიდემიის შემდეგ განელებია, მაგრამ საუბედუროდ ცნობისნადილს ამიერიდან ველარ დაიკმაყოფილებდა, თუმცა ამაში თვითონ როდი მიუძღვდა ბრალი. საქმე ის გახლავთ, რომ იგი შეეცადა მოხუცის ნახვას. ოცდახუთი იანვრის იმ სამახსოვრო სალამოდან რამდენიმე დღის შემდეგ ქუჩის კუთ-

ხეში ჩაუსაფრდა. კატებს აქ მოეყარათ თავი, თბებოდნენ მზის გულზე, ერთგულად მოსულიყვნენ პაემანზე. მაგრამ ჩვეულ დროს დარაბები არ გაღებულა. ტარუმ ვერც მომდევნო დღეებში შენიშნა, რომ გამოეღო ვინმეს. რატომლაც დაასკვნა, მოხუცი განაწყენებულია, ან არადა, მოკვდაო; თუ გულმოსული იყო, უთუოდ იმიტომ, რომ ფიქრობდა, მართალი ვარ და ჭირმა მტყუანად გამომიყვანა. თუ მოკვდა, საკითხავია, იმ ჩვენი ასთმიანისა არ იყოს, ესეც წმინდანი ხომ არ არისო. ტარუს ცოტათი ეჭვი ეპარებოდა მის წმინდანობაში, მაგრამ თვლიდა, აქ „ღვთიური რამ ნიშანი“ მაინც ურევიაო. „იქნებ, – ენერა უბის წიგნაკში, – კაცს მხოლოდ სიწმინდის კარიბჭეს-თან ძალუძს მიახლოება. მაშ, მოკრძალებული და გულმოწყალე სატანიზმით უნდა დავკმაყოფილ-დეთ!“

ისევ და ისევ კოტარის ამბებში ჩართულს თუ ამოიკითხავთ ამ უბის წიგნაკებში უთავბოლოდ გაბნეულ მრავალ შენიშვნას, რომელთაგან ზოგი გრანზე გვიამბობს, განიკურნა და კვლავ ისე შეუდგა მუშაობას, თითქოს არაფერი მომხდარიყო მის თავსო; ზოგი კი ექიმ რიეს დედის ამბებს გვიყვება. მოხუცი ქალის ყოფაქცევა, მისი ღიმილი, მისი შენიშვნები უამიანობაზე ტარუს გულ-დასმით აღუნუსხავს. ჩანერილი აქვს ის საუბრებიც, ერთ ჭერქვეშ ცხოვრებამ რომ დაბადა. ტარუს ათასჯერ აქვს აღნიშნული, ქალბატონი რიესულ იმის ცდაშია, როგორმე უჩინარი იქმნესო; ყველაფრის მარტივი ფრაზებით გამოთქმა სჩვევია, განსაკუთრებით ის ფანჯარა უყვარს და შეთვისებია, წყნარ ქუჩაზე რომ გადადის; სწო-

რედ მას მიუჯდება ხოლმე საღამოობით, წელში გამართული, გულხელდაკრეფილი და თვალებგაფაციცებული, და ასე ზის მანამ, სანამ ბინდი არ ჩამოწერდა ოთახში და თვითონაც მნუხრში გარინდულ შავ აჩრდილად არ გადაიქცევა, მნუხრში, თანდათან რომ მატულობს და ნთქავს მის უძრავ სილუეტსო. ჟყვებოდა იმაზეც, თუ რა მსუბუქად დაფარფატებდა ქალი ერთი ოთახიდან მეორეში; სიკეთეზე, რომელიც თითქოს ეგზომ დიდად არც არასდროს გამოუჩენია ტარუს თანდასწრებით, მაგრამ რომლის სხივიც გამოკრთოდა ყველაფერში, რასაც აკეთებდა ან ამბობდა. დაბოლოს, იმაზედაც, რომ ქალმა ყველაფერი იცოდა ისე, რომ თავის დღეში ტვინი არ უჭყლეტია და ამოდენა მდუმარებითა და ჩრდილით მოსილს შეეძლო ნებისმიერი სინათლის სიმაღლეზე ასვლა, თვით შავი ჭირის სიმაღლეზედაც კი. აქ, სიმართლე თუ გნებავთ, ტარუს ნაწერი როგორლაც უცნაურად გამოიყურება, მომდევნო სტრიქონების გარჩევა ჭირს და თითქოს ნახსენები უცნაურობის დასტურად პირველად გვამცნობს პირადულს: „დედაჩემიც ასეთი იყო! მიყვარდა მასში ეს უჩინარობა და ყველაზე მეტად მასთან ყოფნა მნეურია. აგერ უკვე რვა ნელი გავიდა, რაც მოკვდა, თუმცა, მოკვდა კი არა, ცოტა უფრო მეტად უჩინარი შეიქნა, ვიდრე მანამდე იყო და როცა მოვტრიალდი, ვეღარსად ვიპოვე.“

მაგრამ ჯობს, კოტარს დავუბრუნდეთ. მას შემდეგ, რაც ეპიდემია შენელდა, კოტარმა ხან რა მიზეზი მოიდო, ხან რა და რამდენჯერმე ენვია რიეს. მაგრამ არსებითად სულ იმას ეკითხებოდა ექიმს, ეპიდემიის მსვლელობას როგორი პი-

რი უჩანსო: „მართლა ფიქრობთ, რომ უამიანობა შეიძლება ასე მოულოდნელად, ერთბაშად შეწყდეს?“ თვითონ დიდად ეჭვობდა ამას, ან არადა, თავს განზრახ იკატუნებდა. მაგრამ ეს ჩაციებული შეკითხვები იმას მოწმობდა, რომ მაინც შერყეოდა რწმენა. იანვრის შუა რიცხვებში რიემ საკმაოდ იმედიანი პასუხი უთხრა და ამგვარი პასუხები კოტარს სიხარულის ნაცვლად უგუნებობასა და სასონარკვეთილებაში აგდებდა. ბოლოს უკვე ექიმი ეუბნებოდა, სტატისტიკური ცნობები თუმცა კი საამურია, მაგრამ გვიჯობს, თუ გამარჯვების ნალარას ჯერ არ დავცემთო.

— სხვაგვარად რომ ვთქვათ, — შენიშნა კოტარმა, — არაფერი ვიცით და სენმა ხვალ-ზეგ შეიძლება ისევ იმძლავროს?

— დიახ, თუმცა ისიც შეიძლება, სულ უფრო და უფრო მეტი სნეული განიკურნოს.

ეს ვარაუდი, ყველა სხვას რომ შეაშფოთებდა, აშკარად გულს მოეფონა კოტარს და ტარუს თანდასწრებით არაერთგზის სცადა, თავისი უბნის კომერსანტებში გაევრცელებინა ეს აზრი. მართალი თუ გნებავთ, ეს არც გასძნელებია, რადგან პირველი გამარჯვების ციებ-ცხელების შემდეგ ბევრის გონებაში ისევ ეჭვი ჩასახლდა და დააზრო პრეფექტურის დეკლარაციებით გამოწვეული სიხარული. კოტარი ნუგეშს ჰპოვებდა ამ შეშფოთების შემხედვარე, ზოგჯერ კი ისევ ღალატობდა სიმხნევე. „ეჭ, — ეუბნებოდა ტარუს, — ბოლოს ისე ნავა საქმე, რომ კარიბჭესაც გააღებენ და ნახავთ, ყველა ზურგს შემაქცევს!“

ოცდახუთ იანვრამდე ყველამ შენიშნა მისი ხასიათის ეგზომ მალიმალ ცვალებადობა. ადრე

სულ იმის ცდაში იყო, მთელი კვარტალისა და ყველა ნაცნობის გული მოეგო, ახლა სუსკველას ზურგს აქცევდა. გარეგნულად, ყოველ შემთხვევაში, ხალხისგან განაპირდა და რამდენიმე დღეს კაცს არ გაჰქარებია. ვეღარც რესტორანში მოპკრავდით თვალს, ვეღარც თეატრში, ვერც მის საყვარელ კაფეებში. და მაინც ეტყობოდა, გამოზომილი და უჩინარი ცხოვრებით როდი ცხოვრობდა, როგორც ეპიდემის დაწყებამდე. მთლად განმარტოებულიყო თავის ბინაში და მეზობელი რესტორნიდან ატანინებდა სადილებს. მხოლოდ სალამონბით, ისიც მალულად თუ გავიდოდა გარეთ, ყიდულობდა, რაც ჰქონდა საყიდელი, და მაღაზიებიდან გამოსული უკაცურ ქუჩებში შერგავდა ხოლმე თავს. თუ ამ დროს ტარუ გადაეყრებოდა, ჰოსა და არას მეტს ვერაფერს ამოგლეჯდა პირიდან. შემდეგ უეცრად ისევ ამოიდგამდა ენას, ენანყლიანად ალაპარაკდებოდა შავ ჭირზე, სხვის აზრს გამოიძიებდა და ყოველ სალამოს კვლავ სიამოვნებით დაინთქმებოდა ხალხის ტალღებში.

იმ დღეს, როცა პრეფექტურის დეკლარაცია გამოქვეყნდა, კოტარს თითქოს მინამ უყო პირი. ორი დღის შემდეგ ტარუმ თვალი მოპკრა, როგორ დანანნალებდა ქუჩებში. რანტიერ სთხოვა, გარეუბნამდე მიმაცილეთო. ტარუ იმ დღეს განსაკუთრებით იყო დაღლილი და შეყოყმანდა. მაგრამ კოტარი არ მოეშვა. ძალიან აღელვებული ჩანდა, უთავბოლოდ იქნევდა ხელებს, ხმამაღლა და ჩქარ-ჩქარა ლაპარაკობდა. ჰკითხა ტარუს, მართლა თუ ფიქრობთ, რომ პრეფექტურის დეკლარაცია უამიანობის დასასრულს მოასწავებსო. ტა-

რუმაც უთხრა თავისი ვარაუდი: ადმინისტრაციის დეკლარაცია თავისთავად საკმარისი არაა უამიანობის შესაჩერებლად, მაგრამ ჭკუასთან ახლოა ვიფიქროთ, რომ ეპიდემია, თუ რამ მოულოდნელობა არ დაგვატყდა თავს, შეწყდება.

— დიახ, — უთხრა კოტარმა, — თუკი მოულოდნელობა არ დაგვატყდა თავს. მოულოდნელობა კი ყოველთვის შეიძლება გამოტყვრეს.

ტარუმ შენიშნა, კაცმა რომ თქვას, პრეფექტურამ ეს მოულოდნელობაც გაითვალისწინა, რაკი ქალაქის კარიბჭის გახსნა ორი კვირით გადადოო.

— კარგადაც მოიქცა, — შესძახა კოტარმა, კვლავ პირქშად იმზირებოდა და აღელვებაც არ დასცხობია, — თორემ იმისდა მიხედვით, თუ როგორ წავა საქმე, შეიძლება კიდევაც გასცუდებოდა დანაპირები.

ტარუმ მიუგო, საქმე ასედაც შეიძლება შემობრუნდესო, მაგრამ ბოლოს მაინც დასძინა: ჯობს, იმედი ვიქონიოთ, რომ ქალაქის კარიბჭე მაღე გაიხსნება და ნორმალურ ცხოვრებას დავუბრუნდებითო.

— დავუშვათ, ასეც მოხდეს, მაგრამ რას ნიშნავს, ნორმალურ ცხოვრებას დავუბრუნდებითო?  
— ჰკითხა კოტარმა.

— რას და, კინოში ახალი ფილმი გვექნება, — ღიმილით მიუგო ტარუმ.

მაგრამ კოტარს არ ეღიმებოდა. მას სურდა, სცოდნოდა, ნიშნავს თუ არა ეს, რომ შავმა ჭირმა ვერაფერი შეცვალა ქალაქში და ყველაფერი წინანდებულად იქნება, ისე, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოსო. ტარუსთვის რომ გეკითხათ, შავ-

მა ჭირმა კიდევაც შეცვალა ქალაქი და ვერც შეცვალა. ცხადია, ჩვენი თანამოქალაქეების უმხურვალესი სურვილი იყო და იქნება თავი ისე დაიჭირონ, თითქოს არაფერი შეცვლილიყოს და ამდენად, ერთი მხრივ, არც არაფერი შეიცვლება, მაგრამ მეორე მხრივ, ყველაფერს დავიწყებას ვერ მისცემენ, რა ძალა და ლონეც არ უნდა იხმარონ. შავი ჭირი გულებში მაინც უეჭველად კვალს დატოვებსო. წვრილმა რანტიერმ მიახალა, გულები მე არ მაინტერესებს, გულები მე ფეხებზე მკიდიაო. მარტო იმის გაგება სურდა, წყობა ხომ არ შეიცვლება, უნინდებურად თუ იმუშავებს ყველა დაწესებულებაო. ტარუ იძულებული გახდა, ეღიარებინა, ამაზე წარმოდგენაც არ მაქვსო. მაგრამ ვარაუდობდა, ეპიდემიის დროს ანენილ დაწესებულებებს, ცოტა არ იყოს, გაუჭირდებათ წელში გამართვაო. საფიქრალი იყო ისიც, რომ უამრავი ახალი პრობლემა იჩენდა თავს, რომლებიც, სულ ცოტა, ძველ დაწესებულებათა რეორგანიზაციას მოითხოვდა.

— ჰო, ეგ შეიძლება, — კვერი დაუკრა კოტარმა, — მართლაც ყველას ყველაფერი თავიდან ექნება დასაწყები.

კოტარის სახლს მიუახლოვდნენ. კოტარი აგზებული ჩანდა, ცდილობდა, იმედიანად ჩვენებოდა თანამოსაუბრეს. წარმოიდგინა, როგორ ინყებდა თავიდან ცხოვრებას ქალაქი, როგორ შლიდა თავის წარსულს, რომ ყველაფერი სულ ნულიდან დაეწყო.

— იქნებ, ბოლოს და ბოლოს, თქვენს სასიკეთოდაც წარიმართოს საქმე, — უთხრა ტარუმ, — აკი გარკვეული აზრით ახალი ცხოვრება იწყება.

სადარბაზოს ნინ შედგნენ და ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს.

— მართალი ბრძანდებით, — უთხრა კოტარმა. თანდათან მეტი მღელვარება ეტყობოდა, — სულ თავიდან დაწყება მართლაც ჩინებული რამ იქნებოდა.

უცებ, დერეფნის ჩრდილს ორი კაცი გამოეყო. ტარუმ ძლივს გაიგონა, როგორ წაიჩურჩულა კოტარმა, ეს რა ჩიტები მოფრენილანო. ჩიტებმა, საუქმოდ გამოწყობილ მოხელეებს რომ ჰგავდნენ, ჰკითხეს კოტარს, ბატონი კოტარი ხომ არ ბრძანდებითო, მან კი ყრუდ შეპყვირა, შეტრიალდა და ბნელში გაუჩინარდა, სანამ ის ორი და ტარუ გონს მოეგებოდნენ. უეცარი გაოცებისგან რომ გამოერკვა, ტარუმ ჰკითხა მოსულებს, რა გნებავთო. მათაც თავშეკავებით, მავრამ ზრდილობიანად მიუგეს, რაღაც-რაღაცები უნდა გვეკითხა კოტარისთვისო, და დინჯად გაემართნენ იქით, სადაც წვრილი რანტიე გაუჩინარდა.

შინ რომ დაბრუნდა, ტარუმ თავის წიგნაჟში ჩაწერა ეს ამბავი და ზედ დააყოლა, ძალიან ვარ დალლილიო (წაწერიც ამას ადასტურებდა). ისიც დაეწერა, კიდევ ბევრი რამ მაქვს გასაკეთებელი, მაგრამ ეს სულ არ არის საბაბი საიმისოდ, რომ მზად არ ვიყოო, და თავს ეკითხებოდა, ნეტავ, თუ ვარ მზადო. მერე პასუხობდა და ტარუს ჩანაწერებიც სწორედ აქ წყდებოდა: დღისითაც და ღამითაც მუდამ დგება უამი, როცა ყოველი კაცი მხდალია და მეც სწორედ ამ უამის მეშინიაო.

მესამე დღეს, კარიბჭის გალებამდე რამდენიმე დღით ადრე, ექიმი რიე შუადღისას შინ ბრუნდებოდა და თავს ეკითხებოდა, ნეტავ, დეპეშა თუ დამხვდებაო. თუმცა დღეცისმარე იმგვარივე დამქანცველი შრომა უნევდა, როგორც გაცხარებული უამიანობის დროს, საბოლოო განთავისუფლების მოლოდინმა სრულიად წარუხოცა დაღლილობის კვალი. ახლა იმედი ჩასახვოდა გულში და ლხენას ეძლეოდა. სულ მუდამ ვერ დაძაბავ ნებისყოფას და გულსაც ვერ გაიქვავებ; და აი, ფიქრობდა, რა ბედნიერებაა, რომ ბოლოს და ბოლოს, შემიძლია ერთბაშად მოვადუნო საბრძოლველად შემართული ძალებით. თუ დეპეშა, რომელსაც მოუთმენლად ელოდა, სასიკეთოს ამცნობდა, რიეს შეეძლო თავიდან დაეწყო ყველაფერი. მისთვის რომ ვეკითხათ, ყველას თავიდან დაწყება მართებდა.

გვერდით ჩაუარა კონსიერჟის სადგომს. ახალი კონსიერჟი ფანჯარასთან იჯდა და ულიმოდა. კიბეზე რომ ადიოდა, ექიმს თვალწინ ედგა მისი სახე, დაღლილობისა და შიმშილისგან გადაფირებული.

დიახ, თავიდან დაიწყებდა, როცა ბოლო მოელებოდა ამ აბსტრაქციას და თუ ცოტათი მაინც გაუღიმებდა ბედი... მაგრამ ამ ფიქრებში გართულმა შეაღო თუ არა კარი, მაშინვე გამოეგება დედა და უთხრა, ბატონი ტარუ თავს უქეიფოდ გრძნობსო. დილით კი ამდგარიყო, მაგრამ გარეთ

გასვლის ღონე აღარ ჰქონია და კვლავ ჩაწოლილიყო. ქალბატონი რიე შეშფოთებული ჩანდა.

— იქნებ სერიოზული არაფერი სჭირს, — უთხრა ვაჟმა.

ტარუ გაშხლართულიყო საწოლზე, მძიმე თავი ბალიშში ჩაეფლო, ღონიერი მკერდი გამოკვეთილად მოუჩანდა საბანში. სიცხე ჰქონდა და თავის ტკივილი ანამებდა. რიეს უთხრა, ისეთი ნიშნები მაქვს, ადვილი შესაძლებელია ჭირიც მჭირდესო.

— არა, ჯერ გარკვეულს ვერაფერს ვიტყვი, — გასინჯვის შემდეგ უთხრა რიემ.

მაგრამ ტარუს ნყურვილი ახრჩობდა. დერეფანში ექიმმა უჩურჩულა დედას, შეიძლება, მართლაც ჭირი ეწყებაო.

— ოპ! — თქვა ქალმა, — ეს შეუძლებელია. მერე როგორ დროს! — და მაშინვე დააყოლა, — ჩვენთან გვყავდეს, ბერნარ!

რიე ჩაფიქრდა:

— ნება არ მაქვს. მაგრამ ქალაქის კარი დღეს თუ ხვალ გაიღება და ამ ერთი რამის უფლებას კი მივცემდი თავს, შენ რომ არ მყავდე აქ.

— ბერნარ, ორთავე დაგვტოვე. მე აკი სულ ახლახან ამცრეს.

ექიმმა მიუგო, ტარუც ახლახან აცრილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ იქნებ დალლილობამ სძლია და უკანასკნელი აცრა გამოტოვა, ან სათანადოდ არ იფრთხილაო.

მერე თავის კაბინეტში შევიდა. როცა გამობრუნდა, ტარუმ დაინახა, რომ ხელში შრატის უზარმაზარი ამპულები ეჭირა.

— მაშ, ისაა, — აღმოხდა ავადმყოფს.

— არა, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

პასუხად ტარუმ მკლავი მიუშვირა და იგრძნო, როგორ დაუსრულებლად უშხაპუნებდნენ შრატს, ზუსტად ისე, როგორც თვითონ უშხაპუნებდა სხვა ავადმყოფებს.

— საღამოს ვნახავთ, — უთხრა რიემ და სახეში შეხედა ტარუს.

— აქაურობას არ უნდა განმარიდოთ, ექიმო?

— მთლად დარწმუნებული არ ვარ, რომ ჭირი გაქვთ.

ტარუმ ნაძალადევად გაილიმა:

— ეს პირველი შემთხვევაა, ავადმყოფს რომ შრატს უშხაპუნებთ, მის იზოლაციას კი არ მოითხოვთ.

რიემ სახე მოარიდა.

— დედაჩემი და მე მოგივლით. აქ უკეთ იქნებით.

ტარუ დადუმდა და ექიმი, ამპულებს რომ ალაგებდა, დაელოდა, როდის ამოილებდა იგი ხმას, რომ მისკენ მიხედვის საბაბი ჰქონდა, მაგრამ ვერ გაუძლო დუმილს და ისევ საწოლს მიაშურა. ავადმყოფი უსიტყვოდ შემოჰყურებდა, სახე დალლილი ჰქონდა, მაგრამ ნაცრისფერ თვალებში სიმშვიდე ედგა. რიემ გაულიმა.

— დაიძინეთ, თუ მოახერხებთ. მე მალე დავბრუნდები.

კართან რომ მივიდა, ტარუს ძახილი ჩაესმა ყურში. მაშინვე შემობრუნდა, მაგრამ ტარუ თითქოს სათქმელს ებრძოდა:

— რიე, — უთხრა მან, — წმინდანად რომ იქცეთ, უნდა იცოცხლოთ. იბრძოლეთ!

დღის განმავლობაში მსუსხავმა სიცივემ ოდნავ იკლო, მაგრამ ნაშუადლევს საშინელი თქეში და სეტყვა წამოვიდა. მწუხრისას ცამ ცოტათი

მოიშორა ღრუბლები და სიცივე უფრო საგრძნობი შეიქნა. რიე სალამოთი დაბრუნდა შინ. პალტო არ გაუხდია, ისე შევიდა მეგობრის ოთახში. დედამისი ქსოვდა. ტარუ თითქოს არ შერხეულიყო, მაგრამ მისი სიცხისგან გადაფითრებული ტუჩები ამხელდა, რა ბრძოლაც ჰქონდა გამოვლილი.

— როგორაა საქმე? — ჰქითხა ექიმმა.

ტარუმ ძლივს შესამჩნევად აიჩეჩა ვეება მხრები.

— როგორ და, ვაგებ თამაშს.

ექიმი მისკენ დაიხარა. სიცხით გათანგულ ტანზე ჯირკვლები დასხდომოდა. მკერდი ისე უდგანდგარებდა, თითქოს შიგნით მთელი სამჭედლო ჩაბუდებულიყო. საოცარია, მაგრამ ტარუს ჭირის ორთავე სახის სიმპტომები გამოაჩნდა. რიემ თავი ასწია და თქვა, ეტყობა, შრატს ჯერ ბოლომდე არ უმოქმედიაო. ტარუ შეეცადა, რაღაც ეპასუხნა, მაგრამ ყელს მობჯენილმა სიცხის ალმურმა სიტყვის თქმა არ აცალა.

ნასადილევს რიე და დედამისი სნეულს მიუსხდნენ. ღამე ბრძოლით იწყებოდა ტარუსთვის და ექიმმა იცოდა, რომ ეს ბრძოლა უამიანობის ანგელოზთან დილამდე გასტანდა. ტარუს განიერი მკერდი ან ფართო ბეჭები კი არ იყო ყველაზე საიმედო იარაღი ამ ბრძოლაში, არამედ სისხლი, ახლახან რომ იჩქეფა რიეს შპრიცქვეშ და ამ სისხლში მიმალული იდუმალი რამ, მის სულზე უფრო იდუმალი, რასაც ვერც ერთი მეცნიერება ვერ აღმოაჩენდა. რიეს კი მხოლოდ უნდა ეცქირა, როგორ ერკინებოდა სენს მისი მეგობარი. მრავალი თვის ნარუმატებელი ბრძოლის შემდეგ კარგად ისნავლა ჩირქოვანი მუნჯუკების გაკვეთის, აცრების, ტონუსის ამნე-

ვი პრეპარატების ეფექტიანობის ფასი. კაცმა რომ თქვას, მისი ერთადერთი მოვალეობა იყო, ხელი შე-ეწყო შემთხვევისთვის, რომელიც ხშირად არც ერე-ვა საქმეში, თუ ძალით არ გამოიწვიე. შემთხვევი-თობას კი უეჭველად მართებდა ახლა ხელის გამო-ლება, რადგან რიეს თვალწინ იყო სახე შავი ჭირი-სა, რომელიც სხვაზე მეტად აკრთობდა. შავი ჭირი ისევ და ისევ ცდილობდა, გვერდი აევლო მის ნინა-აღმდეგ მიმართული ყველა ღონისთვის, ჩნდებო-და იმ ადგილებში, სადაც აღარავინ ელოდა, და ქრე-ბოდა იქ, სადაც ჩანდა ფესვებგადგმული. ამჯერა-დაც საგონებელში ჩაეგდო ექიმი.

ტარუ უძრავად ინვა და იბრძოდა. ლამის გან-მავლობაში ერთხელაც არ აწრიალებულა სენის შემოტევაზე, იბრძოდა მხოლოდ თავის ბრგე ტა-ნითა და სრული მდუმარებით. ერთხელაც არ და-ულაპარაკია და ამით ამჟღავნებდა თავისდაუნე-ბურად, რომ არც მართებდა სხვა რამეზე ფიქრი ასეთ დროს. რიეს ისღა დარჩენოდა, ბრძოლის ფა-ზებისთვის ედევნებინა თვალყური მეგობრის თვალებში, ხან გახელილი რომ ჰქონდა, ხანაც და-ხუჭული, ხან მოჭუტული, ხანაც გაფართოებუ-ლი, ხან რაღაც საგანს რომ მიაშერებდა ჩაციუ-ბით, ხანაც რიესა და დედამისა რომ მიაპყრობ-და. ყოველთვის, როცა ექიმი აწყდებოდა ამ მზე-რას, ტარუ დიდი გაჭირვებით ულიმოდა.

ნამით ქუჩიდან აჩქარებული ფეხის ხმა შემო-ესმათ. თითქოს შორეულ გრუხუნს გაურბოდა ვი-ლაცა. მაგრამ გრუხუნი თანდათან მოახლოვდა და შხაპუნით მოასკდა ფილაქანს: ისევ გაწვიმდა, მა-ლე ზედ სეტყვაც დაერთო და ტკაცატკუცი ატეხა ქვაფენილზე. ფანჯრებზე გადმოფარებული ვეე-

ბა ტენტები დაიბერა. ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში მჯდარმა რიემ წუთით წვიმის მიუგდო ყური და კვლავ ტარუს მიაჩერდა, რომელიც სასთუმალთან მდგარი ლამპის ნაშუქით იყო განათებული. დედამისი ქსოვდა, დროდადრო თავს აიღებდა და ყურადღებით აკვირდებოდა ავადმყოფს. ექიმი უკვე ყველაფერი გააკეთა, რისი გაკეთებაც შეეძლო. წვიმის შემდეგ სიჩუმე შენივთდა ოთახში. ამ სიჩუმეს მხოლოდ უხილავი ბრძოლის უტყვი მშფოთვარება არღვევდა. უძილობისგან გატანჯულ ექიმს ამ სიჩუმეში თითქოს ჟამიდან ჟამს ჩუმი სტვენა ესმოდა, რომელიც მთელი ეპიდემიის მანძილზე თან სდევდა. დედას უჩურჩულა, დანექიო, მაგრამ ქალმა უარის ნიშნად თავი გადააქნია, თვალებში სხივი ჩაუდგა, შემდეგ გულდასმით დააცქერდა ჩხირებს, თვალი ხომ არ ჩამივარდაო. რიე ნამოდგა, ავადმყოფისთვის წყალი რომ დაელევინებინა, და ისევ საწოლთან ჩამოჯდა.

გამვლელებს გამოდარებით ესარგებლათ, სწრაფი ნაბიჯებით მიუყვებოდნენ ტროტუარებს. მათი ნაბიჯების ხმა თანდათან შორეული ხდებოდა და ბოლოს წყდებოდა კიდეც. ექიმმა პირველად შენიშნა, რომ ეს ღამე, რომლის ნიაღშიც ბევრი ნავვიანები მგზავრი სეირნობდა და სასწრაფო დახმარების საყვირთა ხმები არ ისმოდა, უნინდელ ღამეებს მოჰვავდა. ეს ჟამიანობისგან თავდახსნილი ღამე იყო და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს სიცივის, ლამპიონებისა და ბრძოსგან განდევნილი სენი ქალაქის ბნელ ნიაღს დასხლტომოდა, აქ, ამ თბილ ოთახში შემოყუჟულიყო და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაემართა ტარუს უმოძრაოდ გაშოტილ სხეულთან. ჭირი უკვე აღარ

დაპეროდა ქალაქის ცაზე, მაგრამ ხმადაბლა სტვენდა ოთახის შეხუთულ ჰაერში. სწორედ მისი ხმა იყო, რიეს რომ ესმოდა ეს რამდენიმე საათი. უნდა დალოდებოდა, რომ ჭირი აქაც უკუქცეულიყო, თავი აქაც დამარცხებულად ეცნო.

განთიადს ცოტაღა უკლდა, როცა რიე დედისკენ გადაიხარა და უთხრა:

— უთუოდ უნდა დაწვე, რომ რვა საათზე ჩემი შეცვლა შეძლო. სანამ დაწვებოდე, ინსტილაცია გაიკეთე.

ქალბატონი რიე წამოდგა, საქსოვი წამოკრიფა და საწოლისკენ გადაიხარა. ტარუს ეს ერთი ხანობა იყო, დახუჭული ჰქონდა თვალები. ოფლი უხუჭუჭებდა თმას კოპებიან შუბლზე. ქალბატონმა რიემ ამოიოხრა და სწეულმაც თვალი გაახილა. დაინახა ალერსიანი სახე, მის თავთან რომ დახრილიყო და თუმცა სიცხით იყო სულ ერთიანად გათანგული, კვლავ ჯიუტი ღიმილი გაუკრთა ბაგეზე. მაგრამ თვალები მყისვე მიეღლულა. მარტო რომ დარჩა, რიე იმ სავარძელში ჩაესვენა, რომელშიც ერთი წუთის წინ დედამისი იჯდა. ქუჩიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა და ირგვლივ მკვდრული სიჩუმე გამეფებულიყო. დილის სუსხი ატანდა ოთახში.

ექიმს თვლემა მოერია, მაგრამ განთიადის პირველმა თრთოლვამ დაუფრთხო ძილი. შეაურუოლა, მერე ტარუს გადახედა და მიხვდა, სენი წამით დახსნოდა ავადმყოფს და მასაც ჩასძინებოდა. ცხენშებმული ოთხთვალას რკინით შემოსალტული ხის თვლების ხრივინი ჯერაც არ მიმწყდარიყო. ფანჯარაში ჯერ ისევ ბნელოდა. როცა ექიმი საწოლისკენ გაემართა, ტარუმ უაზრო თვალებით შემოხედა, თითქოს ჯერაც ძილში იყო დანთქმული.

— გეძინათ, არა? — ჰელიოს რიემ.

— დიახ.

— უკეთ სუნთქავთ?

— ცოტათი. განა ეს რამეს ნიშნავს?

რიემ იყუჩა და ცოტა ხნის შემდეგ უთხრა:

— არა, ტარუ, არაფერსაც არ ნიშნავს. თქვენ ჩემსავით უწყით, რომ ეს დილის რემისიაა და მეტი არაფერი.

ტარუმ თავი დაუქნია.

— გმადლობთ, — უთხრა ექიმს, — სულ სიმართლე მითხარით ხოლმე.

რიე ავადმყოფის ფერხთით ჩამოჯდა. სულ ახლოს გრძნობდა სნეულის გრძელ, გაფიჩხულ ფეხებს, როგორიც მიცვალებულებს აქვთ ხოლმე. ტარუმ ქშენა დაიწყო.

— სიცხე კვლავ ამინევს, არა, რიე? — ჰელიოს ექიმს ქოშინით.

— ჰო, ოღონდ შუადლით და მაშინ გაირკვევა ყოველივე.

ტარუმ კვლავ დახუჭა თვალი, თითქოს ძალას იკრებდა. სახეზე დაღლილობა აღბეჭდოდა. ელოდა სიცხის ახალ შემოტევას, სადღაც მისი სხეულის სილრმეში რომ დაბუდებულიყო. თვალი რომ გაახილა, მზერა დაბინდოდა. მხოლოდ მაშინ გაუნათდა თვალი, საწოლთან დახრილი რიე რომ დაინახა.

— მოსვით, — ეუბნებოდა ექიმი.

ავადმყოფმა წყალი მოსვლა და კვლავ ჩაჰეკიდა თავი.

— როგორ გამიგრძელდა, — თქვა ამოოხვრით.

რიემ მკლავზე მოუჭირა ხელი, მაგრამ ტარუ მისკენ აღარ იყურებოდა და ეტყობოდა, აღარც არაფერი ესმოდა მისი. უეცრად, სიცხე თვალნათ-

ლივ შემოენთო თმის ძირებამდე, თითქოს რაღაც შინაგანი კაშხალი გაურღვიესო. როცა ტარუს მზე-რა კვლავ ექიმისას შეხვდა, ექიმი სახედაძაბული ამხნევებდა მეგობარს. ავადმყოფი კვლავ შეეცა-და გაეღიმა, ოღონდ ეს ღიმილი არ გასცილებია შეკრულ კრიჭას და მოთეთრო დუშით შედუღაბე-ბულ ბაგეთ. მის გაქვავებულ სახეზე მხოლოდ თვალებილა ელავდნენ ვაჟაცური შემართებით.

შვიდ საათზე ქალბატონი რიე შემოვიდა ოთახ-ში, ექიმი თავის კაბინეტში გავიდა, რომ ლაზარეთ-ში დაერეკა და ეთხოვა, ვინმე შემცვლელი მომი-ნახეთო. გადაწყვეტილი პქონდა, კონსულტაციე-ბიც გადაედო და წამით თვალის მოსატყუებლად კაბინეტის დივანზე მინვა, მაგრამ მყისვე წამოხ-ტა და სანოლ ოთახში შეტრიალდა. ტარუს ქ-ნი რი-ესკენ შემოებრუნებინა სახე. შესცეკროდა მისგან სულ ახლოს შენივთულ პატარა ჩრდილს სკამზე, რომელსაც ხელები მუხლებზე დაეწყო; ისე დაძა-ბულად შეჰყურებდა, რომ ქალბატონმა რიემ თი-თი მიიტანა ტუჩებთან, როცა ოთახში შემოსული შვილი დაინახა, და წამოდგა, რათა სასთუმლის ნა-თურა ჩაექრო. მაგრამ ფარდებში თანდათანობით იჭრებოდა დღის სინათლე და ცოტა ხნის შემდეგ, როცა ავადმყოფის ნაკვთებმა ამოყვინთეს სიბნე-ლიდან, ქალბატონმა რიემ დაინახა, რომ ტარუს კვლავ მისთვის მიეციებინა მზერა. სნეულისკენ დაიხარა, სასთუმალი გაუსწორა და სანამ თავის ად-გილას დაჯდებოდა, წამით ხელი დადო გაოფლილ-სა და შეხუჭუჭებულ თმაზე. მაშინ მის ყურს მისწ-ვდა შორიდან მომავალი, ყრუ ხმა, მადლობას რომ ეუბნებოდა და არწმუნებდა, ამიერიდან აღარა მი-შავსო. ქალი ხელახლა რომ დაჯდა, ტარუს კვლავ

დახუჭული ჰქონდა თვალები და გატანჯულ სახე-ზე, თუმც კი კრიჭა მაგრად ჰქონდა შეკრული, თით-ქოს ისევ ღიმილი დასთამაშებდა.

შუადღისას ავადმყოფს სიცხე ძალიან აუვარ-და. შინაგანი რხევა არყევდა მის სხეულს. მალე სისხლიც ამოჰყვა ნახველს. ჯირკვლები აღარ უსივდებოდა, მაგრამ არც გაჰქრობია. ისევ ისე იყ-ვნენ გაქვავებული, თითქოს სახსრებს ჩახრახ-ნოდნენ და რიემ გადაწყვიტა, მათ გასერვას აზრი არ აქვსო. ხურვებისა და ხველების შემოტევებს შორის ტარუ უამიდან უამს ისევ გადმოხედავდა ხოლმე თავის მეგობრებს. მაგრამ თვალს სულ უფ-რო და უფრო იშვიათად ახელდა და სხივი, რომე-ლიც მის განაცრებულ სახეს აშუქებდა, თანდა-თან ქრებოდა. ქარიშხალს, ამ სხეულს უმონყა-ლოდ რომ არხევდა, იშვიათადლა ანათებდა ელვა და ტარუც ნელა მიჳყვებოდა ამ გრიგალს. რიეს თვალნინ ახლა მარტოოდენ უძრავი ნიღაბილა იდო, ინერტული და ღიმჩამორეცხილი. ეს სახე, მისთვის ესოდენ მახლობელი რომ იყო, ახლა ათას-ლახვარდასობილი, არაადამიანური სატკივრით დადაგული, ცის ყველა ავი ქარით დაქარული, მის თვალნინ შავი ჭირის მორევში იძირებოდა და მას არ შეეძლო ნყალნალებულისთვის ეშველა რამე. თვითონ ნაპირზე უნდა დარჩენილიყო ხელცარი-ელი და გულდასერილი, უიარაღო და უმწეო ამ ერ-თხელ კიდევ მისი მძლეველი უბედურების ნინა-შე. ბოლოს, უძლურების ცრემლებმა ხელი შეუშა-ლეს, დაენახა, როგორ უეცრად შებრუნდა ტარუ კედლისკენ და ყრუ კვნესას როგორ ამოაყოლა სუ-ლი, თითქოს მთავარი ძარღვი ჩაუწყდა სხეულშიო.

მომდევნო ღამე ბრძოლის აღარ იყო, დუმილის

გახლდათ. სამყაროდან მოწყვეტილ ამ ოთახში, ახლა უკვე ჩაცმული მიცვალებულის თავთით მდგარ-მა რიემ იგრძნო, როგორ დაქროდა საოცარი სიმშვიდე, რომელიც ამას ნინათ, უამიანობისას, ტერა-სებს ზემოთ ტრიალებდა, როცა ქალაქის კარიბჭეზე იერიში მიიტანეს. ჯერ კიდევ მაშინ ფიქრობდა ამ სიჩუმეზე, რომელიც ამოიზრდებოდა საწოლებიდან, სადაც ადამიანები სულს უტევებდნენ. ყველგან იგივე პაუზა იყო, იგივე საზეიმო ინტერ-ვალი, მუდამ იგივე დამშვიდება, თან რომ მოჰყვება ბრძოლებს. ეს დამარცხების დუმილი გახლდათ. მაგრამ დუმილი, მის მეგობარს რომ მოსავდა, ისე-თი მქისე ჩანდა, ისე ერწყმოდა უამიანობისგან თავ-დახსნილ ქუჩებისა და ქალაქის სიჩუმეს, რომ რიე კარგად გრძნობდა, ეს დამარცხება უკვე საბოლოო იყო, იმგვარი, ომებს რომ მოსდევს და თვით მშვიდობასაც უკურნებელ ტანჯვად გვიქცევს. ექიმმა არ უწყოდა, ტარუმ ბოლოს თუ მაინც ჰპოვა სიმშვიდე, მაგრამ თავად კი ამწუთას ფიქრობდა, ჩემთვის ამიერიდან აღარ იარსებებს სიმშვიდე, როგორც შვილმკვდარი დედისთვის ანდა კაცისთვის, მეგობარი მინას რომ მიაბარაო.

გარეთ ისევ ცივი ლამე იდგა, მოწმენდილსა და გაყინულ ცაზე ვარსკვლავები კიაფობდნენ. სანახევროდ ჩაბნელებულ ოთახში იგრძნობოდა, როგორ აწვებოდა სიცივე – პოლარული ლამის ეს მერთალი სუნთქვა – შუშებს. საწოლის ახლოს ქალბატონი რიე იჯდა ჩვეულ პოზაში; მარჯვენა მხარს სასთუმალთან მდგარი ნათურა უნათებდა. ოთახის შუაგულში, შუქისგან მოშორებით რიე მიმჯდარიყო სავარძელში. ცოლი აგონდებოდა, მაგრამ ამ ფიქრს ჯიუტად იცილებდა თავიდან.

გამვლელთა ფეხის ხმა მკაფიოდ გაისმოდა სიცივეში.

- ყველაფერი მოაგვარე? – ჰკითხა ქ-მა რიემ.
- ჰო, დავრეკე.

მერე ისევ განაგრძეს მდუმარე ღამისთევა. ქ-ნი რიე დროდადრო შვილს გადახედავდა. მის მზე-რას რომ დაიჭერდა, შვილი უღიმოდა. ქუჩიდან ღამეული ხმები მოისმოდა: თუმცა საამისო ნე-ბართვა ჯერ არ მიეცათ, ბევრს მანქანაც გამო-ეყვანა. მანქანები სწრაფად დასრიალებდნენ ქვა-ფენილზე, ქრებოდნენ და ხელახლა ჩნდებოდ-ნენ. მოისმოდა რაღაც ხმები, გადაძახილ-გადმო-ძახილი, მერე კვლავ სიჩუმე დაისადგურებდა, რომელსაც ცხენის ფლოქვების ხმა, მოსახვევში ტრამვაის ხრივინი ან გაურკვეველი გნიასი არღ-ვევდა და მერე ყველაფერი კვლავ ღამის სიჩუ-მეში ინთქმებოდა.

- ბერნარ!
- ჰო, დედი.
- არ დაიღალე?
- არა.

რიემ იცოდა, რას ფიქრობდა დედამისი, იცო-და, რომ დედას უყვარდა ამ წუთში. მაგრამ ისიც იცოდა, რომ დიდი არაფერი ბედენაა ადამიანიშ-ვილი გიყვარდეს, ყოველ შემთხვევაში, სიყვარუ-ლი თავის დღეში არა ისეთი ძლიერი, რომ სიტყ-ვაში გამჟღავნდეს. ასე რომ, მასა და დედამისს მუდამ უსიტყვოდ ეყვარებათ ერთიმეორე. მერე დედაც მომიკვდება, ან თვითონ მოვკვდები და მთელი სიცოცხლის მანძილზე სიყვარულში ამა-ზე მეტად ვერ გამოვუტყდებით ერთმანეთსო. ასევე ცხოვრობდა ტარუს გვერდით და ტარუ ისე

მოკვდა იმ სალამოს, რომ მათ მეგობრობას არ დასცალდა ბოლომდე გაეშალა ფრთები. ტარუმ წაგო პარტია, როგორც თავად იტყოდა ხოლმე. რიემ კი რა მოიგო? მხოლოდ ის, რომ ჭირიანობა გამოიარა და დაიმახსოვრა, იგემა მეგობრობა და მეხსიერებაში ჩაიჭედა, იგემა სინაზე და ერთი დღეც იქნება, ისიც მოგონებასლა შემორჩება. ყველაფერი, რისი მოხვეჭაც კაცს შეეძლო უამიანობასა და სიცოცხლის თამაშში, ცოდნა და მახსოვრობა იყო. იქნებ ტარუც სწორედ ამას ეძახდა პარტიის მოგებას!

მანქანამ ისევ ჩაიქროლა ქუჩაში და ქალბატონი რიე ოდნავ შეირხა სკამზე. ექიმმა გაულიმა. დედამ უთხრა, არ დავლლილვარო და მაშინვე დააყოლა:

- იქ, მთებში უნდა წახვიდე დასასვენებლად.
- ასეც ვიზამ, დედი.

მართლაც წავიდოდა და დაისვენებდა. რატომაც არა? საბაბიც მიეცემოდა მოგონებებისთვის. მაგრამ თუკი ამას ეთქმოდა პარტიის მოგება, რა მძიმე უნდა იყოს სიცოცხლე მხოლოდ იმის ამარა, რაც ვიცით და რაც გვახსოვს, თუკი მოკლებული ვიქნებით იმას, რისი იმედიც გვაქვს. უთუოდ ასე ცხოვრობდა ტარუ და შეგნებული ჰქონდა, რა უნაყოფო რამ არის იღუზიების გარეშე სიცოცხლე. არ არსებობს სულის სიმშვიდე იმედის გარეშე და ტარუ, ვინც კაცთ სხვათათვის მსჯავრის დადების ნებართვას არ აძლევდა, თუმცა კი უნყოდა, რომ თვით მსხვერპლნიც ხშირად ჯალათებად გადაიქცევიან, ცხოვრობდა გულში დაბუდებული ამ ვარამით და შინაგანი წინააღმდეგობებით ქენჯნილს თავის დღეში არ სცოდნია,

იმედი რა იყო. იქნებ ამიტომაც მოინდომა წმინდანად ქცევა და სულის სიმშვიდეს ხალხის სამსახურში დაუწყო ძებნა? რიემ ამ ამბების შესახებ არსებითად არაფერი იცოდა, მაგრამ ამას არც ჰქონია დიდი მნიშვნელობა, ტარუს რომ გაიხსენებს, თვალწინ დაუდგება კაცი, მაგრად რომ ბლუზავდა საჭეს მანქანის მართვისას, თვალწინ დაუდგება მისი ბრგე ტანი, ახლა უძრავად რომ გაშოტილიყო საწოლზე. სიცოცხლის სითბო და სახე სიკვდილისა – აი, ეს გახლდათ ცოდნა.

უთუოდ ამიტომაც იყო, რომ დილით ექიმი მშვიდად შეხვდა ცოლის სიკვდილის ამბავს. თავის კაბინეტში იჯდა. დედამისმა თითქმის სირბილით მოუტანა დეპეშა, მერე ისევ გაიქცა, რომ ფოსტალიონისთვის ცოტაოდენი ფეხის ქირა მიეცა. როცა შემობრუნდა, მის შვილს ხელში გახსნილი დეპეშა ეჭირა. ქალმა შეხედა, მაგრამ რიეჯიუტად გასცექეროდა ფანჯარაში საუცხოო დოლას, პორტის თავზე რომ თენდებოდა.

– ბერნარ, – შეეხმიანა ქალბატობი რიე.

შვილმა დაბნეულად შეხედა.

– რაო დეპეშამ? – ჰკიოთხა ქალმა.

– ჟო, დედი, – გამოხედა ექიმმა, – ერთი კვირის წინ.

ქალბატონმა რიემ ფანჯრისეუნ მიაბრუნა თავი. ექიმი დუმდა. შემდეგ უთხრა დედას, ნუ ტირი, ამ ამბავს ველოდი, მაგრამ მემნარაო მაინც. ამას რომ ამბობდა, მიხვდა, რომ მის ტანჯვაში გაოცება არ ერია. ეს რამდენიმე თვე და რამდენიმე დღე სულ ეს სატანჯველი ღრღნიდა.

ბოლოს, თებერვლის ერთ საუცხოო დილას, ქალაქის კარიბჭეც გააღეს. ხალხი, გაზეთები, რა-დიო და პრეფექტურა სიხარულით შეხვდნენ ამ ამბავს. მთხრობელს ისლა დარჩენია, აღწეროს ეს ლხენა, კარიბჭის გაღებას რომ მოჰყვა, თუმცა კი თვითონ არ იყო თავის თავის უფალი და არ შე-ეძლო მთლიანად შეერთებოდა სხვათა სიხარულს.

იმ დღესა და იმ ღამეს დიდი საზეიმო მსვლელობა მოაწყვეს ქალაქში. იმავე დროს მატარებლებმაც მოაკივლეს სადგურებს, შორეული ზღვებიდან მოსულმა გემებმა ლუზები ჩაუშვეს ჩვენს ნავსადგურში და თავისებურად გვამცნეს, რომ ამ დღეს ყველა იმათვის, ვინც განშორებით იტანჯებოდა, შეხვედრის სიხარული მოჰქონდა.

ადვილად წარმოიდგენთ, რად უნდა ქცეულიყო განშორების სატანჯველი, ბევრ ჩვენს თანამოქალაქეს გულს რომ უფლეთდა. მატარებლები, ამ დღეს რომ შემოდიოდნენ ჩვენს ქალაქში, აქედან გასულებზე ნაკლებ გაჭედილნი როდი იყვნენ. ყველამ დაიბევა ადგილი ჯერ კიდევ ორი კვირის ნინ და შიშით გული ელეოდათ, ვაითუ პრეფექტურამ უკანასკნელ წუთს თავისი გადაწყვეტილება გააუქმოსო. ზოგ მგზავრს, ქალაქს რომ უახლოვდებოდა, მთლად არ გადაუგდია გულიდან შიში, რადგან ვარაუდით თუ იცოდა, რა ბედი ენია მისიანებს, სხვათა შესახებ და თვით ქალაქის შესახებ არა უნიოდა რა და ეგონა, ქალაქი

შესაზარი შესახედავი იქნებაო. მაგრამ ეს ითქ-  
მოდა უფრო იმათზე, ვისაც ვნება არ დაგავდა  
მთელი ამ ხნის განმავლობაში.

ვნების ქარით დადაგულნი კი მთლად თავიან-  
თი აკვიატებული აზრის ტყვეობაში იყვნენ. მათ-  
თვის მხოლოდ ერთი რამ შეიცვალა: უნინ, გადა-  
სახლების უამს, თვეების მანძილზე ცდილობდნენ,  
როგორმე დაეჩქარებინათ დრო, აეძულებინათ,  
ელვის სისწრაფით ევლო, ახლა კი, როცა ქალაქი  
გადაიშალა მათ თვალთა წინაშე და მატარებელმა  
უკვე დამუხრუჭება იწყო, ნატრობდნენ, ნეტავ,  
დრო გაჩერდეს, გაქვავდესო. ბუნდოვანი და ამავე  
დროს მწველი გრძნობა იდუმალ სურვილს აღუძ-  
რავდათ, რაკი ეს თვეები დაკარგა ჩვენმა სიყვა-  
რულმა, სამაგიერო იმით მაინც მოგვეზღოს, რომ  
სიხარულის უამი მოლოდინისაზე ორჯერ უფრო  
გახანგრძლივდესო. და ისინიც, ვინც მათ ელოდ-  
ნენ თავ-თავიანთ ოთახებში ან ბაქანზე, – რამბე-  
რისა არ იყოს, რამდენიმე კვირით ადრე რომ შე-  
ატყობინა ცოლს, ჩამოსვლა შეიძლებაო და წუთი  
წუთზე ელოდა ქალს, რომელმაც ყოველი ღონე  
იხმარა ჩამოსასვლელად, – იმავე მოუთმენლობი-  
სა და დაბნეულობის ტყვეობაში იყვნენ. ეს სიყვა-  
რული თუ სინაზე ჭირიანობას თვეების მანძილზე  
აბსტრაქციად ექცია და რამბერიც შიშის კანკა-  
ლით ელოდა, როდის დაუყენებდა მათ პირისპირ  
ხორცესხმულ არსებას, რომელიც ამ სიყვარული-  
სა თუ სინაზის საგანი იყო.

უნდოდა, ისევ იმ რამბერად ქცეულიყო, ვინც  
ეპიდემიის დასაწყისში ცდილობდა უკანმოუხედა-  
ვად გაქცეულიყო ქალაქიდან და გაჭრილიყო მის  
შესახვედრად, ვინც უყვარდა. მაგრამ იცოდა,

რომ ეს შეუძლებელი იყო. ის შეიცვალა, უამიანობამ უცნაური გულგრილობა შეჰყარა, რომელსაც რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ებრძოდა და რაც კაეშნის დარად დაუფლებოდა. ცალკერძ იმის ფიქრი ტანჯავდა, ეს შავი ჭირი ისე ერთბაშად შეწყდა, გონს მოსვლაც არ მაცალაო. ბედნიერება ელვის სისწრაფით უახლოვდებოდა, მოვლენათა მსვლელობა მოლოდინს წინ უსწრებდა. რამბერს ესმოდა, რომ ყველაფერი ერთბაშად დაუბრუნდებოდა და რომ სიხარული დამწვრობას ჰგავს – გემოს ვერაფერს ჩაატან.

კაცმა რომ თქვას, მეტნაკლებად ყველა მის დღეში იყო და სწორედ ამ ყველაზე მინდა გიამბოთ. სადგურის ბაქანზე, სადაც კვლავ ნასკვავდნენ პირადი ცხოვრების ძაფს, ჯერ კიდევ თავიანთ ერთობას გრძნობდნენ და ეს მათ მზერაში, მათ ღიმილში გამოსჭიოდა. მაგრამ როგორც კი ორთქლმავლის კვამლს მოჰკრეს თვალი, გადასახლების ეს შეგრძნება ერთბაშად გაანელა მღელვარე და თავბრუდამხვევი სიხარულის შხაჲუნა წვიმამ. მატარებელი რომ ჩამოდგა, ამავე ბაქანზე დაწყებულ დაუსრულებელ განშორებათ ერთ წამში მოელო ბოლო, როცა დამხვდურთა მკლავები ლხენით, ხარბად შემოეჭდო სხეულებს, რომელთა სითბო და მოყვანილობა დავიწყებული ჰქონდათ. რამბერმა ვერც კი მოასწრო შეეხედა იმ ქალისთვის, მისკენ რომ მორბოდა და ქალი უკვე გულში ჰყავდა ჩაკრული. მაგრად მოხვია ხელები, მკერდზე მიიკრა მისი თავი, სახეს ვერ ხედავდა, მარტო ნაცნობ თმასლა ეალერსებოდა. უეცრად ცრემლი წასკდა თვალებიდან და არ კი უწყოდა, რისი ბრალი იყო ეს – ახლანდელი

ბედნიერებისა თუ ამდენ ხანს გულში ჩაგუბებული ნაღველისა. იმას კი ხვდებოდა, რომ ეს ცრემლები ხელს უშლიდა, შეემოწმებინა, მის მკერდში ჩარგული სახე ამდენი ხნის ნანატრი ქალის იყო თუ ვინმე უცხოსი. მოგვიანებით შეიტყობს, გამართლდება თუ არა მისი ეჭვი. ამ წუთში კი, ისევე, როგორც ყველა იქ მყოფს, სურდა ენმუნა, შავჭირს შეუძლია ისე მოვიდეს და წავიდეს, კაცთა გულებში ვერაფერი შეცვალოსო.

ყველა წყვილი ხელიხელგადახვეული ბრუნდებოდა შინ, ველარავის და ველარაფერის ხედავ-დნენ, გარეგნულად ჭირზე გამარჯვებულთ და-ვინყებოდათ ყველანაირი განსაცდელი და ისი-ნიც, ვინც მათთან ერთად ჩამოჰყვა მატარებელს, არავინ დახვედრია და ახლა იმის ფიქრში იყო, სახლში მისულს უთუოდ გამიმართლდება შიში, ხანგრძლივმა დუმილმა გულში რომ ჩამისახლაო. ამ უკანასკნელთათვის, რომელთაც თანამგზავ-რად მხოლოდ ახლად შობილი მნუხარება სდევ-დათ, და სხვებისთვისაც, გარდაცვლილი არსე-ბის მოგონებას რომ მისცემოდნენ, ამნუთას ყვე-ლაფერი სხვაგვარად მოჩანდა და განშორების გრძნობა მთლად გაუსაძლისი გამხდარიყო, მათ-თვის – ამ დედებისთვის, ქმრებისთვის, მიჯნუ-რებისთვის, რომელთაც მთელი სიხარული ჩამარ-ხეს უსახელო თხრილში გაუჩინარებულ, ანდა ფერფლის გროვად ქცეულ საყვარელ არსებას-თან ერთად, უამიანობა ისევ გრძელდებოდა.

მაგრამ მათ სიმარტოვეზე ვიღა ფიქრობდა? შუადლისას მზემ დასძლია ცივი ქარი, დილიდან რომ ერკინებოდა, და პაერს უძრავი შუქის ტალ-ლები მოჰყინა. დღე თითქოს გაქვავდა. ბორცვ-

ზე აღმართული ციხესიმაგრიდან ზარბაზნები განუწყვეტლივ ისროდნენ ცაში. მთელი ქალაქი გამოეფინა გარეთ, რომ ეზეიმა ეს სულის შემგუბებელი წუთი, როცა ტანჯვის უამი დასრულდა, ხოლო დავიწყების უამი ჯერ არ დამდგარიყო.

ყველა მოედანზე ცეკვა-თამაში გაეჩაღებინათ. მოძრაობა მყის გაცხოველდა და მანქანებს უჭირდათ ხალხით შეტბორილ ქუჩებში გავლა. ქალაქის ზარები განუწყვეტლივ რეკვდნენ ნაშუადლევიდან მოყოლებული და გუგუნით ავსებდნენ ლაუვარდოვან ცას, რომელსაც ოქროსფერი დაჰკრავდა. ეკლესიებში პარაკლისს იხდიდნენ, სამადლობელს აღავლენდნენ. გასართობი დაწესებულებებიც გაჭედილი იყო და კაფეების მეპატრონენი ხვალინდელ დღეზე აღარ ფიქრობდნენ, ისე არიგებდნენ უკანასკნელ სასმელს. დახლების წინ ერთიანად აგზნებული ხალხის ბრძო ტრიალებდა, მათ შორის ბევრი იყო ხელიხელგადახვეული წყვილიც, უცხო თვალს რომ აღარ ერიდებოდა. ყველა ყვიროდა ან იცინოდა. სასიცოცხლო ძალებს, რომლებსაც აგრერიგად ზოგავდნენ მთელი ამ თვეების მანძილზე, როცა თითოეულ მათგანს სული კბილით ეჭირა, იმ დღეს თავისუფლად ხარჯავდნენ, რადგან ეს მათი გადარჩენის დღედ მიაჩნდათ. ხვალ ცხოვრება დაიწყება და თან სიფრთხილესაც მოიტანს. ახლა კი სხვადასხვა წრის ხალხი უძმობილდებოდა ერთმანეთს. თანასწორობა, რომელიც სიკვდილმაც კი ვერ დაამყარა, სიხარულსა და ხსნას დაემყარებინა ამ რამდენიმე საათით მაინც. მაგრამ ეს ბანალური სიშმაგე როდი იყო და ისინი, ვინც ქუჩებს ავსებდნენ ნაშუადლევს, ხშირად გარეგნუ-

ლი სიმშვიდით ნიღბავდნენ უფრო სათუთ ბედ-ნიერებას. ბევრი წყვილი და ბევრი ოჯახი გარეგ-ნულად მართლაც ისე გამოიყურებოდა, თითქოს მშვიდობიანი მოსეირნენი ყოფილიყვნენ და მე-ტი არაფერი. სინამდვილეში უმრავლესობა იმ ად-გილების მოსახილველად მიეშურებოდა, სადაც იტანჯენენ. ჩამოსულთათვის უნდა ეჩვენებინათ შავი ჭირის თვალში საცემი თუ იდუმალი ნიშნე-ბი, მისი ცოცხალი კვალი. ზოგ შემთხვევაში მეგ-ზურის როლს სჯერდებოდნენ, კაცისა, ვისაც ბევრი რამ უნახავს, ბევრიც განუცდია. უამიანო-ბის ეს გადამტანნი საფრთხეზე ისე ლაპარაკობ-დნენ, რომ მსმენელთ შიშს არ აღუძრავდნენ. ეს უწყინარი სიამოვნებანი გახლდათ. მაგრამ სხვა შემთხვევებში უფრო ძრნოლის მომგვრელ გზას გაუყვებოდნენ ხოლმე, როცა მოგონების ტკბი-ლი კაეშნით შეპყრობილი საყვარელი სატრფოს ეუბნებოდა: „მაშინ, ამ ადგილას, ისე გინატრე, ისე გინატრე, შენ კი არსად ჩანდი“. ამ ადამია-ნებს, რომლებსაც ვნება მიუძღვოდათ მეგზურად, უმალვე გამოარჩევდით სხვათაგან: ისინი ჩურ-ჩულისა და ალსარებათა კუნძულებად მოჩანდ-ნენ ირგვლივ შემოჯარულ მოზეიმე ხალხში. ისი-ნი უკეთ ამცნობდნენ ირგვლივ მყოფთ, განსაც-დელმა ჭეშმარიტად გადაიარაო, ვიდრე ორკეს-ტრები, ყოველ გზაჯვარედინზე რომ უკრავდნენ. რადგან ეს ალტაცებული სიტყვაძუნნი წყვილე-ბი, მაგრად რომ ეკვროდნენ ერთმანეთს, მთელ ამ გნიასში თავიანთი ბედნიერების გამარჯვები-თა და უსამართლობით ამტკიცებდნენ, რომ უა-მიანობას ყავლი გასვლოდა და შიშიანობასაც ბო-ლო მოღებოდა. და თუმცა ცხადზე ცხადი იყო,

მაინც უარყოფდნენ, რომ ჩვენ შევიცანით ეს უგუნური სამყარო, სადაც კაცის სიკვდილი ისე-თივე ჩვეულებრივი რამ არის, როგორიც ბუზისა, რომ შევიცანით ეს გაანგარიშებული ველურობა, გამოთვლილი ბოდვა, პატიმრობა, როცა აღარაფ-რად შეგვწევდა გონება, რაც დღევანდელი დღის ფარგლებს სცილდებოდა; რომ შევიცანით სიკვ-დილის სუნი, რომელიც თავზარს სცემდა ყველას, ვისაც ვერ კლავდა; დაბოლოს, ისინი უარყოფდ-ნენ, რომ ჩვენ ის თავგზააბნეული ხალხი ვიყა-ვით, რომლის ერთ ნაწილსაც ყოველდღე კრემა-ტორიუმის ლუმლებში ჰყოლდნენ და მქისე კვამ-ლად ფანტავდნენ ცაში, მაშინ, როდესაც უღო-ნობისა და შიშის ჯაჭვით დაბორკილი მეორე ნა-ხევარი თავის ჯერს ელოდებოდა.

ასე თუ ისე, ყოველივე ამგვარად ეხატებოდა ექიმ რიეს, გარეუბნისკენ რომ მიიჩქაროდა ნაშუ-ადლევს და მარტო მიაბიჯებდა ზარების რეკვასა და ზარბაზნების გრიალში, მუსიკის ხმებსა და გა-მაყრუებულ უივილ-ხივილში. მისი ხელობა კვლავ საჭირო იყო. ავადმყოფებმა უქმე დღე არ იციან. ნაზ, ლამაზ შუქში, ქალაქს თავს რომ ეღვრებოდა, უნინდელი სუნი ტრიალებდა: შებრანული ხორცი-სა და ანისულის ნაყენისა. მის ირგვლივ მყოფთ სი-ხარულისგან გაბრნყინებული სახეები მიეპყროთ ცისკენ. კაცს და ქალს ხელი ჩაეჭიდა ერთმანეთი-სთვის. სახეზე ალმური ასდიოდათ, ვნებისგან გა-ხელებულთ ყვირილი სწყდებოდათ ბაგეთაგან. დი-ახ, უამიანობა გათავდა, შიშიანობას ბოლო მოეღო და მკლავები, ერთურთს რომ გადასჭიდობოდნენ, ამბობდნენ, შავი ჭირი გადასახლება და განშორე-ბა იყო, ამ სიტყვის ღრმა გაგებითო.

რიემ პირველად ახლა შეამჩნია ის საერთო გამომეტყველება, თვეების მანძილზე ყველა გამვლელს რომ ანათესავებდა. ახლა საკმარისი იყო, ირგვლივ მიმოეხედა. ამ ადამიანებმა, რის გაჭირვებით მშიერ-მწყურვალებმა უამიანობის ბოლოს რომ მიატანეს, როგორც იქნა, როლის შესაფერი კოსტიუმი მოირგეს ტანზე, როლისა, რომელსაც დიდი ხანია თამაშობდნენ – ემიგრანტის როლისა; ჯერ მათი სახეები, ახლა კი ტანსაცმელიც მოწმობდა მათ უთვისტომობასა და სამშობლოდან მოწყვეტას. იმ ნუთიდან, რაც შავმა ჭირმა ჩარაზა ქალაქის კარები, განშორების კირთებქვეშ მოექცნენ, მოწყვეტილნი აღმოჩნდნენ იმ ადამიანურ სითბოს, რომელიც ყველაფერს გვავინებს. ქალაქის ყოველ კუთხე-კუნჭულში ქალები და კაცები რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, ნატრობდნენ ერთობას, რომელიც ყველას ერთნაირად არ ნარმოედგინა, მაგრამ ყველას ერთნაირად სწყუროდა. უმეტესობა ნარსულს მისტიროდა, ნატრობდა ვიღაცის სხეულის სითბოს, სინაზეს ანდა უბრალოდ, რამე ჩვეულებას. ზოგიერთები, ხშირად თავად რომ არ უწყოდნენ, ისე იტანჯებოდნენ, რადგან მეგობრებს იყვნენ მოკლებულნი და არ შეეძლოთ მათთან დაკავშირება მეგობრობისთვის ისეთი ჩვეულებრივი გზებით, როგორიცაა წერილები, მატარებლები და გემები. სხვები, ტარუს მსგავსნი, ასეთები კი უფრო იშვიათნი იყვნენ, ისეთ რამესთან ნატრობდნენ შეერთებას, რასაც სიტყვით ვერ გადმოსცემდნენ, მაგრამ მათთვის ერთადერთ სანუკვარ სიკეთედ მოჩანდა. და რაკი სხვა სახელი ვერ მოეძებნათ, ხშირად ამას მშვიდობას ეძახდნენ.

რიე კვლავ მიაბიჯებდა. რაც უფრო მიიწევდა ნინ, ბრძო მით უფრო მრავალრიცხოვანი ხდებოდა, ხმაურიც მატულობდა და ექიმს ეჩვენებოდა, რომ გარეუბანი, საითაც მიეშურებოდა, თანდათან შორდებოდა. მალე თვოთონაც გაითქვიფა ამ ვეება, აღრიალებულ სხეულში, რომლის ყვირილიც სულ უფრო და უფრო უკეთ ესმოდა, რაკი ნაწილობრივ მისი სულის ამოძახილიც იყო. დიახ, ყველა ერთად იგვემა ხორცითაც და სულითაც, ერთად გადაიტანეს განსაცდელი, უსაშველო გადასახლება და ერთად იტანჯნენ დაუოკებელი წყურვილით. ამ მძიმე განსაცდელის უამს, როცა ათასობით კაცი კვდებოდა, როცა სასწრაფო დახმარების მანქანებს წიგილი გაჰქონდათ, როცა ავის მომასწავებელი ძახილი ისმოდა, ჩვეულებრივ ბედისწერის ხმას რომ ეძახიან, როცა შიშით იყო ქალაქი დაზაფრული და ადამიანთა გულებში საშინელ ჯანყს დაებუდებინა, ყოველი მხრიდან დრტვინვა მოისმოდა განუწყვეტლივ, რომელიც აფორიაქებდა ამ თავზარდაცემულ ხალხს და დღეცისმარე ჩასჩიჩინებდა, კვლავ უნდა პპოვოთო თქვენი ჭეშმარიტი სამშობლო. ჭეშმარიტი სამშობლო კი ყველასთვის ამ მოშთობილი ქალაქის ზღუდეებს მიღმა იყო. იგი ფერდობების სურნელოვან ბუჩქნარში ბუდობდა, ზღვაში, თავისუფალ ქვეყნებსა და სიყვარულის ძალაში. და სწორედ მისეენ – ბედნიერებისკენ სურდათ მიბრუნება, რომ სხვა ყველაფრისთვის ზიზღილით ებრუნებინათ ზურგი.

რა აზრი უნდა პქონოდა ან განდევნას, ან ხელახლა შეერთების ამ წყურვილს, რიემ არ უნცოდა. ისევ ისე მიაბიჯებდა ტროტუარზე, ყოველი

მხრიდან აწვებოდნენ, ეძახდნენ. როგორც იქნა, გავიდა იმ ქუჩებში, სადაც ნაკლები ხალხი ტრიალებდა. ფიქრობდა, არცთუ ისე მნიშვნელოვანია, აქვს თუ არა ამას აზრი, მთავარია, რა მიეგება პასუხად კაცთა იმედსო.

დღეიდან ეს პასუხიც იცოდა, როგორლაც უფრო ნათლად დაინახა გარეუბნის თითქმის უკაცურ ქუჩებში. ისინი, ვინც იმ მცირედს სჯერდებოდა, რაც ებოდათ, მხოლოდ იმასლა ნატრობდნენ: ნეტავ, ჩვენი სიყვარულის ჭერქვეშ დაგვაბრუნაო, და ზოგჯერ კიდევაც უსრულდებოდათ ნატვრა. ცხადია, ზოგი კვლავ მარტო მიაბიჯებდა ქალაქის ქუჩებში, რადგან დაკარგა არსება, რომელსაც ელოდა. კიდევ ბედი მათი, ვინც ორგზის არ ყოფილა გაყრილი, მსგავსად იმ ზოგიერთებისა, ეპიდემიამდე ერთი დაკვრით რომ ვერ გამოჭედეს თავიანთი ბედნიერება და წლების განმავლობაში ხელის ცეცებით დაეძებდნენ ძნელად მისაღწევ თანხმობას, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, ადუღაბებს მტრადქცეულ საყვარლებს. რიესი არ იყოს, მათაც ქარაფშუტულად დროისთვის მიენებებინათ ყოველივე და აკი სამუდამოდაც დარჩნენ გაყრილნი. სხვებმა, როგორც, მაგალითად, რამბერმა, რომელსაც ექიმი ამ დილით გამოეთხოვა სიტყვებით: სიმამაცე გვმართებს, ჩვენი სიმართლე უნდა დავამტკიცოთო, ერთბაშად იპოვეს ისევ ახლობელი ადამიანი, დაკარგული რომ ეგონათ. ესენი ცოტა ხნით მაინც იქნებიან ბედნიერები, რაკი იციან, რომ თუკი ამქვეყნად არსებობს რაღაც, რისკენაც მუდამ უნდა მიიღოტვოდეს კაცი და რასაც ზოგჯერ მოხელთებენ კიდეც – ეს ადამიანური სინაზეა.

ყველა იმათთვის კი, ვისაც, პირიქით, ადამიანთა მიღმა მიეპყრო მზერა და ისეთ რამეს მიელტვოდა, რისი წარმოდგენა თავადაც არ ძალუდა, პასუხი არ მოიძევებოდა. ტარუმ იქნებ კიდეც ჰპოვა ის ძნელად მისაღწევი მშვიდობა, რომელზეც ლაპარაკობდა, მაგრამ მარტოოდენ სიკვდილში, იმ დროს, როცა ეს მშვიდობა აღარაფერდი წაადგებოდა. იმათ კი, ვისაც რიე ხედავდა სახლების ზღურბლზე გამოფენილთ, ბინდბუნდში მაგრად ჩახვეულებს და ერთმანეთისთვის მგზნებარედ მომზირალთ, მიიღეს ის, რაც ენადათ. ეს იმიტომ, რომ ინატრეს ერთადერთი რამ, რაც თავად მათზე იყო დამოკიდებული, და რიემაც, როცა იმ ქუჩაზე შეუხვია, სადაც გრანი და კოტარი ცხოვრობდნენ, გაიფიქრა, სავსებით სამართლიანია, დროდადრო მაინც ერგოთ სიხარული იმათ, ვინც კმაყოფილდება კაცის ხვედრითა და თავისი საწყალი და საშინელი სიყვარულით.

ჩვენი ქრონიკა დასასრულს უახლოვდება. დროა, ექიმმა ბერნარ რიემ აღიაროს, რომ თვითონაა მისი ავტორი. მაგრამ სანამ უკანასკნელ ამბებს აგინერდეთ, სურს გაამართლოს თავისი საქციელი და გაგაგებინოთ, რომ ამგვარი რამ ობიექტურ მოწმედ ყოფნის წადილმა უკარნახა. მთელი უამიანობის მანძილზე თავისი ხელობის წყალობით ნახა თანამოქალაქეთა უმეტესობა და მათ გულის-თქმასაც ჩასწვდა. ასე რომ, სწორედ მას უნდა მოეთხოო, რაც ენახა და გაეგონა; მაგრამ მან ისურვა, მართებული თავშეკავებისთვის არ ელალატა, შეეცადა, იმაზე მეტი არ მოეთხოო, რაც თავად ჰქონდა ნანახი, თავისი ამხანაგებისთვის ისეთი აზრი არ მიენერა, რომლებიც თავში არ მოუვიდოდათ და გამოეყენებინა მხოლოდ ის ნაწერები, შემთხვევამ ან უბედურებამ რომ ჩაუგდეს ხელთ.

რაკი ერთგვარად დანაშაულის მოწმედ გამოდიოდა, ცოტა თავშეკავებას იჩენდა, როგორც შეპფერის კეთილსინდისიერ მოწმეს. მაგრამ ამავე დროს მართალი გულის კარნახით ნებაყოფლობით დაიჭირა მსხვერპლთა მხარე და მოინდომა, ხალხს, თავის თანამოქალაქეებს არ მოსწყვეტოდა იმ ერთადერთ რამეში, რაც ყოველთვის უდავო იყო: სიყვარულში, ტანჯვასა და გადასახლებაში. ასე რომ, არ არსებობდა უბედურება, თავის თანამოძმეებთან რომ არ გაეზიარებინა, არავითარი განსაცდელი, თვითონაც რომ არ გამოევლო.

კეთილსინდისიერი მონამე რომ ყოფილიყო, თვითონაც რომ არ გამოევლო ამბები, დოკუმენტური მასალა და მითქმა-მოთქმა უნდა გადმოეცა. ის კი, რაც პირადული ჰქონდა სათქმელი: დაუსრულებელი მოლოდინი, თავს გადახდენილი უბედურება, გულში უნდა დაემარხა. თუ ცოტ-ცოტაობით ესენიც გაურია, მხოლოდ იმიტომ, რომ გაეგო, ანდა გაეგებინებინა სხვებისთვის თავის თანამოქალაქეთა სულისკვეთება და რაც შეიძლება კარგად გამოესახა ის, რასაც ისინი ამ ხნის მანძილზე იდუმალ გრძნობდნენ. სიმართლე თუ გნებავთ, გონების ასეთი ძალისხმევა არც გასჭირვებია. როცა სული წასძლევდა, ათასობით ჭირიანის ხმისთვის თავისი ხმაც შეერთებინა, იმის ფიქრი აკავებდა, ერთი სატანჯველიც არ გამომივლია, სხვებსაც რომ არ გადაეტანოთ და ამ სამყაროში, სადაც მწუხარება ასე ხშირად ცალად დაიარება, ეს უპირატესობა არისო. მაშასადამე, ყველას მაგივრად უნდა ელაპარაკა.

მაგრამ ჩვენს ქალაქში იყო მკვიდრი, რომლის მაგივრადაც ვერ ილაპარაკებდა. იმ კაცზე მოგახსენებთ, ვისზედაც ერთ დღეს ტარუმ უთხრა რიეს: მისი ერთადერთი დანაშაული ისაა, რომ გულში გაამართლა ის, რაც ბავშვებსა და მოზრდილებს სიცოცხლეს უსწრაფებსო. სხვაგვარად, მესმის მისი, ეს კი, იძულებული ვარ, შევუნდოო. და სრულიად სამართლიანია, რომ ქრონიკა მთავრდება სწორედ ამ კაცის ამბით, ვისაც ბრმა, ანუ ეული გული ჰქონდა.

როდესაც ფართო, მოზიმზიმე ქუჩებიდან ვამოვიდა და გრანისა და კოტარის ქუჩაზე უნდა შეეხვია, ექიმ რიეს გზა გადაულობა პოლიციის

ვერმა ერთბაშად დაიქუხა და დაცხრილა მოპირ-დაპირე სახლის დარაბა. მერე კვლავ სიჩუმე ჩა-მოვარდა. მზე ცოტა გადახრილიყო და ჩრდილი თანდათან უახლოვდებოდა კოტარის ფანჯარას. ექიმის უკან ნელა დაამუხრუჭეს მანქანა.

— აი, მოვიდნენ კიდეც, — თქვა პოლიციელმა.

პოლიციელები გადმოხტნენ მანქანიდან, თან თოვები, კიბე და ორი, ბრეზენტში გახვეული, მოგ-რძო ფუთა მოჰქონდათ. შემდეგ იმ ქუჩაში შერგეს თავი, კოტარის სახლს უკნიდან რომ უვლიდა. ცო-ტა ხნის მერე რიემ უფრო იგრძნო, ვიდრე დაინახა, ამ სახლის ჭიშკარში რაღაც შერბენ-გამორბენარომ შეიქნა. შემდეგ კვლავ ლოდინი იწყეს. ძალლი აღარ ინძრეოდა, მაგრამ მუქ გუბეში ცურავდა.

უეცრად, იმ სახლის ფანჯრიდან, სადაც პო-ლიციელები იყვნენ ჩასაფრებულნი, ტყვიამფრ-ქვევის კავანი გაისმა. სროლისას დარაბა, რომე-ლიც მიზანში ჰქონდათ ამოღებული, მთლიანად მოწყდა და ფანჯრის შავი ხახა გამოაჩინა, მაგ-რამ რიემ და გრანმა თავიანთი ადგილიდან შიგ ვერაფერი გაარჩიეს. სროლა რომ შეწყდა, ახლა მეორე ტყვიამფრქვევმა ატეხა კავანი მეზობე-ლი სახლიდან. უთუოდ ფანჯარას უმიზნებდნენ, რადგან აგური ჩამოიმტვრა. იმავ ნამს სამმა პო-ლიციელმა სირბილით გადაჭრა ქუჩა და სადარ-ბაზოში შევარდა. მათ მაშინვე სამი სხვაც მიჰყვა უკან და ტყვიამფრქვევმაც სროლა შეწყვიტა. კვლავ მოლოდინი გამეფდა ირგვლივ. მერე ორი ყრუ სროლის ხმა გაისმა სახლში. შემდეგ ხმაური გაძლიერდა და ყველამ დაინახა, როგორ გამოიყ-ვანეს, ან უკეთ, როგორ ძალისძალით გამოათრი-ეს უპიჯაკო პატარა კაცი, რომელიც გაბმით ყვი-

როდა. თითქოს ჯადო-თილისმით ქუჩის ყველა დაგმანული დარაბა ერთბაშად გაიღო და ფანჯ-რებში ცნობისმოყვარეთა სახეები გამოეფინა. ბევრი სხვა ამასობაში გამოვიდა სახლებიდან და დაპატიმრებულს მიაწყდა. კაცი ყვიროდა. ერთი პოლიციელი მიუახლოვდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ორჯერ გამეტებით ჩასცხო მუშტი.

— ეს კოტარია, — წაიჩურჩულა გრანმა, — გაგი-უებულა.

კოტარი დაეცა. ყველამ დაინახა, პოლიციელ-მა როგორ მოუქნია წიხლი მიწაზე გართხმულს. შემდეგ სეირის მაყურებლები დაიძრნენ და ექი-მისა და მისი მეგობრისკენ გამოემართნენ.

— დაიშალეთ! — ბრძანა პოლიციელმა.

მოსეირნეებმა გვერდით რომ ჩაუარეს, რიემ თვალი აარიდა.

გრანი და ექიმი ბინდს შეერივნენ. მომხდარ-მა ამბავმა თითქოს ძილისგან გამოაფხიზლა უბა-ნი. ქუჩები ისევ ივსებოდა მოსეირნე ხალხის გნი-ასით. გრანი სადარბაზოსთან დაემშვიდობა ექიმს. მუშაობას აპირებდა. ოლონდ სანამ კიბეს აუყვებოდა, რიეს გამოსძახა, უანს წერილი მივ-წერე და ახლა კმაყოფილი ვარო. ისიც დააყოლა, კვლავ მივუბრუნდი იმ წინადადებას, ყველა ზედსართავი ამოვაგდეო.

მერე ეშმაკური ლიმილით მოიშვლიპა ქუდი და დიდის ამბით გამოეთხოვა ექიმს. მაგრამ რიე კო-ტარზე ფიქრობდა და მუშტების ყრუ ხმა, სახეში რომ ჩააზილეს პატიმარს, თან სდევდა, სანამ ას-თმით სხეული მოხუცის სახლს მიაღწევდა. იქნებ უფრო სამძიმე იყო დამნაშავე კაცზე ფიქრი, ვი-დრე — გარდაცვლილზე.

როცა რიე თავის ძველ ავადმყოფთან მივიდა, წყვდიადს უკვე შთაენთქა მთელი ზეცა. ოთახში აღნევდა გათავისუფლების შორეული ყიუინა და მოხუცი მშვიდად ყრიდა ერთი ჭურჭლიდან მეორეში ბარდის მარცვლებს.

— კარგს შვრებიან, რომ ერთობიან, — ამბობდა იგი, — ქვეყნად ყველაფერი საჭიროა. იმ თქვენს კოლეგას რა დაემართა?

სროლის ხმა მათ ყურამდე აღნევდა, მაგრამ ეს სამშვიდობო ხმები იყო, ბავშვები უშვებდნენ მაშხალებს.

— მოკვდა, — უთხრა ექიმმა, როცა ახრიალებულ მკერდზე სტეთოსკოპი მიაბჯინა.

— აა! — აღმოხდა განცვიფრებულ ბერიკაცს.

— ჭირისგან, — დასძინა რიემ.

— ეჰ, — თქვა დანანებით მოხუცმა, — მუდამ კარგები იხოცებიან. ასეთია ცხოვრება. ისეთი კაცი ჩანდა, იცოდა, რაც უნდოდა.

— ამას რაზე ბრძანებთ? — ჩაეკითხა რიე, თან თავის სტეთოსკოპს ინახავდა.

— რაზე და, თავის დღეში არ იტყოდა სიტყვას, თუ სათქმელი არაფერი ჰქონდა. მე რომ მკითხოს კაცმა, ღმერთმანი, მომწონდა, მაგრამ რას იზამ. სხვები გაიძახიან, ჭირიანობა იყო, ჭირიანობა გადავიტანეთო. ცოტაც და, ორდენებსაც მოითხოვენ საამისოდ. კაცმა რომ თქვას, რა არის ჭირიანობა? ესეც ცხოვრებაა. სიმართლე სწორედ ესაა, თუ გნებავთ.

— რეგულარულად იკეთეთ ინჟალაცია.

— ო! არხეინად ბრძანდებოდეთ. მე კიდევ დიდხანს გავტან, ბევრს კიდევ ჩავლალავ სამარეს. მე ვიცი, როგორ უნდა ცხოვრება.

შორიდან სიხარულის ყიუინა გაისმა. ექიმი ოთახის შუაგულში შეჩერდა.

— ხომ არ მიწყენთ, ტერასაზე რომ გავიდე?

— ო, არა! გინდათ, ზემოდან გადახედოთ? ნება თქვენია. მაგრამ ხალხი მუდამ ერთნაირია.

რიე კიბისკენ გაემართა.

— მითხარით, ექიმო, მართლა აპირებენ ჭირისგან დახოცილთათვის ძეგლის აგებას?

— გაზეთში ეწერა. სტელას ან მემორიალურ დაფას გააკეთებენ.

— ასეც ვფიქრობდი. უთუოდ სიტყვებსაც წარმოთქვამენ, — მოხუცმა ყრუდ ჩაიცინა, — თითქოს მესმის კიდეც: „ჩვენი დახოცილები“.. მერე კი ლუკმის გასატეხად წავლენ.

რიე უკვე კიბეზე ადიოდა. უზარმაზარი ცივი ზეცა დაჰკაშკაშებდა სახლებს და დაბლა, ზედ ბორცვების თავზე დაკიდებული ვარსკვლავები კაუებს მოჰკვდნენ. ეს ღამე არც ისე განსხვავდებოდა იმ ღამისგან, როდესაც ის და ტარუ ამოვიდნენ ამ ტერასაზე, შავი ჭირი რომ დაევინყებინათ. მხოლოდ ზღვა იყო უფრო მშფოთვარე, უფრო ხმაურით ეხეთქებოდა კლდეების ძირს. უძრავი, მსუბუქი ჰაერი განწმენდილიყო მარილიანი სუნთქვით, შემოდგომის თბილ ქარს რომ მოჰქონდა. ქალაქის ხმაური ზვირთებივით აწყდებოდა ტერასებს. მაგრამ ეს ღამე ხსნის ღამე გახლდათ და არა ჯანყისა. შორს მოციმციმე შუქი ამცნობდა მნახველს, რომ აქ ბულვარები და გაჩახჩახებული მოედნები იყო. და ამ უკვე გათავისუფლებულ ღამეში სურვილი ყოველგვარ ჯებირს არღვევდა და სწორედ მისი ბრდლვინვა აღნევდა რიეს ყურამდე.

ჩაბნელებული ნავსადგურებიდან პირველმა საზეიმო მაშხალებმა იელვეს. ქალაქი მათ გაბ-მული, ყრუ ყიუინით შეხვდა. კოტარი, ტარუ, თა-ვისი ცოლი, ყველა ისინი, ვინც რიეს უყვარდა – მკვდრებით დამნაშავენი – დავიწყებას მიეცნენ. მოხუცი არ ტყუოდა: ხალხი არ შეცვლილა. მაგ-რამ მათი ძალა და უცოდველობაც სწორედ ეს იყო და რიე გრძნობდა, რომ განვლილი ტანჯვის მიუ-ხედავად, თვითონაც მათ უერთდებოდა. ვაშას გრიალში, თანდათან რომ ძლიერდებოდა და ტე-რასამდე აღწევდა, სანამ შუშხუნების ფერად-ფერადი კონები ერთიმეორის მიყოლებით იჭრე-ბოდა ცაში, ექიმმა რიემ გადაწყვიტა, დაენერა მოთხრობა, რომელიც აქ სრულდება, გადაწყვი-ტა, დაენერა ამბავი, მოეთხრო ჭირით დახოცილ-თა შესახებ, რათა არ ყოფილიყო იმათთაგანი, ვინც დუმილს არჩევს; რათა ის მაინც გაეკეთები-ნა, რომ კაცთა ცხოვრებაში არ წაშლილიყო, რა უსამართლოდ მოექცნენ, როგორი ძალადობა იხ-მარეს ამ ხალხზე, დაბოლოს, რათა ეთქვა უბრა-ლოდ, რას სწავლობს ხალხი ასეთი განსაცდელის უამს და რომ ადამიანებში აღტაცების მომგვრე-ლი მეტია, ვიდრე დასაძრახი.

მაგრამ მან ისიც იცოდა, რომ ეს ქრონიკა არ გამოდგებოდა საბოლოო გამარჯვების მაუნიებ-ლად. ის მხოლოდ მატიანე გახლდათ იმისა, რაც უნდა მოემოქმედებინათ ადამიანებს და კვლავაც უნდა მოიმოქმედონ, რათა შიშსა და მის მსახვრალ იარაღს წინ აღუდგნენ, როცა პირადი სატანჯვე-ლიც ანუხებთ, არც წმინდანებად ქცევა ძალუძო და მაინც ეურჩებიან თავს დამტყდარ უბედურე-ბას, მაინც ცდილობენ მკურნალებად იქცნენ.

ყურში სიხარულის ყიფინა ჩაესმოდა, მაგრამ რიეს ახსოვდა, რომ ამ სიხარულს საფრთხე ელოდა. რადგან იცოდა ის, რაც ამ მოზეიმე ბრძომ არ უწყოდა და რაც შეიძლება წიგნებში ამოიკითხო კაცმა; იცოდა, რომ შავი ჭირის ბაცილა არასოდეს კვდება და არც არასოდეს ქრება, რომ მას შეუძლია ათეულ წლობით ეძინოს ავეჯსა თუ თეთრეულში, მოთმინებით იცადოს ოთახებში, სარდაფებში, ჩემოდნებში, ცხვირსახოცებში, ქალალდებში და იქნებ ერთი დღეც დადგეს, როცა ადმიანთა საუბედუროდ თუ მათ ჭუის სასწავლებლად, შავი ჭირი კვლავ გამოაღვიძებს ვირთებს და სასიკვდილოდ გამოაგზავნის ბედნიერ ქალაქში.